სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამა

ნანა ქირია

პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პარაბოლურ ნარატივში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მირანდა თოდუა**

ფილოლოგიის დოქტორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

თბილისი

2022

სარჩევი

შესავალი ----------3

თავი პირველი - პროფეტიზმი და ენიგმა

1.1 პროფეტიზმი - წინასწარჭვრეტითი სისტემა----------10

1.2. ენიგმის პოეტიკა ----------39

თავი მეორე - პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

2.1. პანეგირიკი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, მიძღვნითი ხასიათის ლექსები-------53

2.2. შემოქმედებითი თავისუფლება ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ----------71

თავი მესამე - ანტიციპაციური ობერტონები ზვიად გამსახურდიას იგავებში

3.1. დროისა და სივრცის დისკურსი ზვიად გამსახურდიას იგავებში ----------85

3.2. კეთილისა და ბოროტის დიქოტომია ზვიად გამსახურდიას პროფეტულ

იგავთმეტყველებაში ----------116

დასკვნა ----------162

გამოყენებული ლიტერატურა ----------187

შესავალი

ზოგადლიტერატურული და თეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, პროფეტიზმისა და ენიგმის არსის კვლევა საკმაოდ აქტუალურია როგორც საერთოდ თანამედროვე ლიტერატურის თეორიის მკვლევრებსა და თეოლოგ-ფილოსოფოსებს, ასევე ქართველ კრიტიკოსებსა და მოაზროვნეებს შორის.

ძველი და ახლო აღმოსავლეთის ბიბლიური და არაბიბლიური წინასწარმეტყველება, მთელი თავისი მანიფესტაციებით, არის წინასწარჭვრეტის ფორმა, რომელიც გაცხადებულია ადამიანური ენით. წინასწარმეტყველებს არ სჭირდებათ რელიგიური პრაქტიკოსობა და მისი გაერთიანების წევრობა. ისინი მოქმედებდნენ საკულტო კონტექსტის ფარგლებში, რაც მათ უნარებზეა დამოკიდებული და გამოხატულია გზავნილის აღქმული სიზუსტითა და ღმრთისადმი მკაცრი ერთგულებით. წერილების ან თავმოყრილი გამონათქვამების ჩაწერა ხდება იმის საფუძველი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „წინასწარმეტყველურ ლიტერატურას“, ლიტერატურული ფორმების მრავალფეროვნებას, რაც გულისხმობს ღმერთ(ებ)ის აქტიურ ინტერესს ადამიანის საქმიანობის მიმართ.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში, ერთი გადახედვითაც, ვლინდება პროფეტიზმი, უცდომელი წინასწარმეტყველება, რომელიც მხატვრულად ისეა ჩამოყალიბებული, რომ მკითხველისთვის შესაძლოა, შეუმჩნეველი ან ბუნებრივიც კი იყოს. მის პოეზიაში ოსტატურად, ჰარმონიულად შერწყმულა ალეგორია ბუნდოვანსა და გამჭვირვალეს შორის. **საკითხის აქტუალურობას** განსაზღვრავს ის, რომ ზვიად გამსახურდია ენიგმური პოეზიის დიდოსტატია. ამდენად, ენიგმური და წინასწარმეტყველური ასპექტების ღრმა შესწავლა თავად ზვიად გამსახურდიას მრავლისმეტყველი შემოქმედების საკვლევად საშურ საქმედ მიგვაჩნია .

საკითხის შესწავლის ისტორია. ზოგადად, წინასწარმეტყველებისა და ენიგმის ისტორიის გააზრებამ მითოლოგიურ-რელიგიური კრეაციონიზმისა და

პროვიდენციალიზმის საზღვრებს მიღმა კაცობრიობის ცხოვრებისა და განვითარების წარმოჩენა და მისი ცვლილება სივრცესა და დროში, დიალექტიკური კავშირი ზოგადსა და კონკრეტულს შორის გახადა შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ სივრცულ განზომილებაში კაცობრიობის ცხოვრება ჩნდება ზოგადი, უნივერსალური, ეროვნულად სპეციფიკური და სოციალურად უნიკალური, ხოლო დროულ განზომილებაში - ისტორიული ცვალებადობით. აშკარაა, რომ ასეთი შემეცნებითი პარადიგმა არ გაჩენილა მყისიერად, ის რამდენიმე საუკუნე ყალიბდებოდა. რელიგიური კრეაციონიზმი, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული პროფეტიზმთან, იკვალავდა გზას მისი თეორიის ჩამოსაყალიბებლად.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში ყურადღება ექცეოდა არა მარტო პროფეტულ, არამედ ენიგმურ პროვიდენციებს ლიტერატურაში და, კერძოდ, ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში, რაც ნათლად გამოიხატა. ფასდაუდებელია ზვიად გამსახურდიას ნამოღვაწარი რუსთველოლოგიაში, რომელმაც შეიძლება ითქვას, საკვანძო საკითხები სრულიად ახლებურად გამოავლინა და სინათლე მოჰფინა რუსთველის საღვთისმეტყველო რემინისცენციებს ენიგმატური ასპექტების ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზით, რომელიც მანამდე არავის განუხილავს.

საკუთრივ ზვიად გამსახურდიას შემოქმედება მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი, თუმცა არსებობს არსებობს მ.მირესაშვილის, რ. ჩხეიძის, კ. გამსახურდიას, მ. ტურავას, ნ. ვახანიას, ნ. კუციას, ქ. შენგელიას, მ. ჯოხაძის, ი. მილორავას, თ. ჯანჯღავას, ლ. ანდღულაძის, ს. ღლონტის, მ. ცაგარეიშვილის, ი. კალანდიას, თ. ყალიჩავას, გ. არქანიას, ც. მაღლაფერიძის ... ცალკეული კვლევები, რომელთაგან მხოლოდ ზოგი მოიცავს ჩვენთვის საინტერესო სივრცეს.

სადისერტაციო ნაშრომის საგანს წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ორი საყურადღებო ერთეულის - პროფეტიზმისა და ენიგმის კრიტიკული ანალიზი, ეს კი ,მიგვაჩნია, რომ ავტორის შემოქმედების მნიშვნელოვან საკითხებს ნათელს მოჰფენს და მკითხველს გაუადვილებს მათ გაგებას, რაც დისერტაციის მიზნობრიობასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. საკვლევი მასალა

ზვიად გამსახუდიას შემოქმედებიდან ჟანრობრივი თვალსაზრისით ავირჩიეთ, იმ ლაიტმოტივებისა და ობერტონების მიხედვით, რომლებიც მთელ მის შემოქმედებას გასდევს. საქმე ისაა, რომ ზვიად გამსახურდია მიზანსწრაფული მკვლევარია, რომელმაც თავად გვიკარნახა ნაწარმოებების შერჩევა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია დიდი ქართველი მოღვაწის, მოაზროვნისა და მწერლის, ზვიად გამსახურდიას შემოქმედების, კერძოდ, ლექსებისა და იგავების კრიტიკული ანალიზი (პროფეტული და ენიგმატური თვალსაზრისით). რასაკვირველია, ერთ სადისერტაციო ნაშრომს ამის პრეტენზია ვერ ექნება (ზვიად გამსახურდიას არცთუ ისე დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიუხედავად). ამიტომ ვეცადეთ, რამდენიმე აქტუალურ თემას შევხებოდით მისი მრავალმხრივი შემოქმედებიდან, რომელიც არსებითად, ჩვენი აზრით, წარმოდგენას შეგვიქმნის მის შემოქმედებით სამყაროზე.

სადისერტაციო ნაშრომის კონკრეტული ამოცანა განსაზღვრულია მიზნობრიობიდან გამომდინარე. ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაზე მწირი ლიტერატურაა ჩვენი ამოცანაც ისაა, რომ ეს ხარვეზი მეტ-ნაკლებად ამოივსოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ გვესახება შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრა:

- რომელ სახეობას შეესაბამება ავტორის იგავ-არაკები: პროზაულს, პოეტურს თუ შერეული ტიპისას; მთავრდება თუ არა ისინი ყოველთვის ე.წ. მორალით; ახასიათებს ალეგორიულობა (ენიგმურობა) თუ დიდაქტიკურობა. ლაკონიურობა, პერსონაჟთა სიმცირე და თხრობის მიმზიდველი სტილი;
- იქონია თუ არა ტექნოკრატიულმა ეპოქამ გავლენა ამ ჟანრზე და შეცვალა არათუ ავტორთა ლექსიკური არჩევანი, სიმბოლური თავისებურებანი, გარემო, პერსონაჟების მიზანდასახულობანი. არის თუ არა ზვიად

გამსახურდიას იგავები ლექსიკურად და თემატურად გათანამედროვებული.

- ითხოვს თუ არა შემოქმედების მართებული გაგება სიღრმისეული სემანტიკისა და სტილისტიკური მახასიათებლების ზუსტ გააზრებას;
- გამოირჩევა თუ არა ზვიად გამსახურდიას იგავები ეპიკურობით და შეიცავს თუ არა ისინი მწერლის ცხოვრების არსობრივი იდეებისა და პრინციპების გასაღებს.
- არის თუ არა დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების პრობლემა ისტორიული პირების ალეგორიული გამოხატვა, დროის უნივერსალური და მაქსიმალურად მწყობრი განსაზღვრების შემუშავება.
- ზვიად გამსახურდიას იგავური ნარატივი წარმოადგენს თუ არა სივრცულ გარსში გახვეულ დროის ალეგორიას. ემსახურება თუ არა ჟამის რეპრეზენტირებას? შეჩერებული დროის ასპექტი პროფეტული პერსპექტივების პოტენციურად უსაზღვრო სიმრავლის სახით არსებობს თუ არა მხატვრულ ტექსტე(ებ)ში?
- გვიჩვენებს თუ არა ზვიად გამსახურდია ენიგმურად, რომ ქრისტეს მოვლინება და გამოსყიდვა სულიერ პლანში შეიძლება გავიგოთ, როგორც შესაქმის მერვე დღე, როგორც ახალი ადამის მოვლინება, ანუ, როგორც პროცესი კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური, როგორც საღვთო სიყვარულის აღმოჩენა შესაქმეში, როგორც ახალი სტადია ადამიანის თავისუფლებისა?
- ადამიანური ბუნების გარეშე, ადამიანის თავისუფლების გამოსყიდვის საიდუმლოს გარეშე ხორციელდება თუ არა რაიმე.

ნაშრომი განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის და, ვფიქრობთ, მისაღები იქნება ზვიად გამსახურდიას შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

კვლევის ობიექტი გამოკვლევის ობიექტად გვესახება მეოცე საუკუნის მოღვაწის ზვიად გამსახურდიას შემოქმედების იმ ნიმუშების გაანალიზება, რომლებიც სიახლეა ქართული ლიტერატურისათვის. მის ლექსებსა და იგავებში წარმოჩენილია პროფეტულ-ენიგმური ხედვა. სადისერტაციო ნაშრომის საგანი, მიზანი და ამოცანებია ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებების, ქართულ ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად ცნობილი და შესწავლილი მისი საინტერესო პანეგირიკული ლექსების, იგავთმეტყველების სტრუქტურული თავისებურებებისა და ჟანრობრივი მახასიათებლების, დროისა და სივრცის დისკურსის, კეთილისა და ბოროტის დიქოტომიის წარმოჩენა იგავებში.

თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია. საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, დისერტაციაში კვლევის რამდენიმე მეთოდი გამოვიყენეთ: პირველივე თავი ეძღვნება იმ ისტორიულ ნიადაგს, რომელიც წინ უძღოდა ზვიად გამსახურდიას შემოქმედებას. ნაჩვენებია ის ფონი, რაზეც კარგად იკვეთება მისი საოცარი შემოქმედება. ჩანს, რომ მას მთელი ისტორიული წანამძღვრები ჰქონია. კომპარატივისტიკული და ტიპოლოგიური მეთოდები მოცემული ტექსტების დასაჯგუფებლად და საძიებელი თემის ძირითადი, ზოგადი და კონკრეტული საკითხების შესაჯამებლად დაგვჭირდა. სათანადო ყურადღება დაეთმო კოდების გახსნას, რადგან მწერალი ხშირად იყენებს სახეებსა და სიმბოლოებს. ასევე, სადისერტაციო ნაშრომმა თავადვე გვიკარნახა ინტერდისციპლინარული, კონცეპტუალური მეთოდების გათვალისწინებაც. ასევე, გამოყენებულია დაკვირვების, აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. მათი გამოყენება ობიექტის სათანადო აღწერისა და გაანალიზების საშუალებას იძლევა.

კვლევის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომის მეცნიერული სიახლეა მაქსიმალურად მრავალმხრივი თემატური კალეიდოსკოპის გამოყენება, რათა ასევე მაქსიმალურად წარმოჩნდეს ავტორის შემოქმედებითი მრავალფეროვნება. მისტიკური სიღრმის ძიება, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მის შემოქმედებას, რა

თქმა უნდა, ის სრულად ვერ გადმოსცემს ზვიად გამსახურდიას შემოქმედების არსს. ნაშრომის მეცნიერული სიახლეც ისაა, რომ ის წარმოდგენილია როგორც პროფეტული და ენიგმის ამოცნობაზე ორიენტირებული მწერალი. აქედან გამომდინარე, ის ღირებულია თეორიულადაც, რადგან ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ახალ თეორიულ ასპექტებს წარმოაჩენს. გარდა ამისა, განხილულია ზვიად გამსახურდიას სტილი ლიტერატურული ხერხების გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით.

ნაშრომის მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება მის ძლიერ აქცენტებშია, რომელსაც ანთოლოგიური ღირებულებაც გააჩნია, რათა მკითხველს გაუადვილოს ორიენტაცია იმ შემოქმედებით სიღრმეში, რომელსაც ზვიად გამსახურდიას ლექსები და იგავები ეწოდება. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა, ზოგიერთი მისი ნაწარმოები სასკოლო და უმაღლესი დაწესებულებების პროგრამებშიც შესულიყო. საკვლევი მასალა ზვიად გამსახუდიას შემოქმედებიდან ჟანრობრივი თვალსაზრისით ავირჩიეთ, იმ ლაიტმოტივების მიხედვით, რომელიც მთელ მის შემოქმედებას გასდევს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 193 გვერდს. შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავის, ქვეთავებისა და დასკვნებისაგან.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის სია, სულ 94 ერთეული.

შესავალში განხილულია: საკითხის აქტუალურობა; საკითხის შესწავლის ისტორია; სადისერტაციო ნაშრომის საგანი, მიზნები და ამოცანები; სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტი; თეორიული საფუძველი და მეთოდოლოგია; მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები; ნაშრომის მეცნიერულ-პრატქიკული ღირებულება.

ნაშრომის სტრუქტურა ასე გვაქვს წარმოდგენილი:

შესავალი

თავი პირველი - პროფეტიზმი და ენიგმა

1.1 პროფეტიზმი - წინასწარჭვრეტითი სისტემა;

1.2. ენიგმის პოეტიკა ;

თავი მეორე - პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

2.1. პანეგირიკი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, მიძღვნითი ხასიათის ლექსები;

2.2. შემოქმედებითი თავისუფლება ზვიად გამსახურდიას პოეზიაში;

თავი მესამე - ანტიციპაციური ობერტონები ზვიად გამსახურდიას იგავებში

3.1. დროისა და სივრცის დისკურსი ზვიად გამსახურდიას იგავებში;

3.2. კეთილისა და ბოროტის დიქოტომია ზვიად გამსახურდიას პროფეტულ იგავთმეტყველებაში;

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

თავი I -პროფეტიზმი და ენიგმა

1.1 პროფეტიზმი-წინასწარჭვრეტითი სისტემა

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების სხვადასხვა სიღრმისეული ასპექტის გაგება ყოვლად წარმოუდგენელია მისი ბიოგრაფიული ესკიზის, პირადი ღირსებებისა და თვისებების წარმოჩენის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით იყო დაკავებული და ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან ქართული დისიდენტური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან იდგა, არასოდეს დაშორებია ლიტერატურას, მხატვრული სიტყვიერება მისთვის ყოველთვის „აზროვნების ლინგვისტური ეკვივალენტი“ (ბორხესი) იყო. საოცარია მისი შემოქმედებითი ნაყოფიერება განვლილი გზის, მისიისა და ტვირთის გათვალისწინებით. სამართლიანად შენიშნავს ქ. შენგელია, რომ არიან ხელოვანი ადამიანები, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან თავიანთ შემოქმედებას, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთა მხატვრული ტექსტებიც საოცრად ემსგავსებიან ავტორის ცხოვრებისეულ წესს. ასეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ზვიად გამსახურდია. [შენგელია ქ., 2019 :104].

ზვიად გამსახურდია დაიბადა 1939 წელს, ქალაქ თბილისში. მამა - კონსტანტინე გამსახურდია, დედა - მირანდა (მართა) ფალავანდიშვილი. ზვიადის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს მშობლებმა. ამას აღნიშნავს კიდეც თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში,რომ მისთვის და თამარისთვის მამა შინაგანი ძლიერებისა და სიბრძნის განსახიერება იყო, დედა-სიყვარულისა და სითბოსი. სწორედ დედამ აზიარა ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის სამყაროს, ქალის რაინდულ თაყვანისცემას .

პატარა ზვიადი იმჟამად უკვე ცნობილ მწერალ მამასთან ერთად ძველი ციხეებისა და ეკლესიების მოსანახულებლად დადიოდა. ათი წლიდან კონსტანტინეს რომანების კორექტირებაში ეხმარებოდა. საუბრობდნენ ისტორიაზე, პოეზიასა და რელიგიაზე.

ილექებოდა ზვიადის მეხსიერებაში თავგადასავლები ქართული ეპოსისა და ლიტერატურის გმირებისა.

კონსტანტინე გამსახურდიას სიყვარულით სავსე წერილებში ნათლად ჩანს, თუ რა იდეებით იზრდებოდა ზვიადი. 1955 წლით დათარიღებულ ერთ-ერთი წერილში ვაჟს სწერს:"ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი დროა, სერიოზულად ემზადო, რათა შეძლო გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი... გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწ ყენია, თუ ადამიანი არ იწვის მაღალი და ზეამტაცი ამბებისთვის(მოსკოვი 08.12.1955) [გამსახურდია კ., 2018:5]

1956 წელს, ზვიად გამსახურდია, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, დააპატიმრეს იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და ანტისაბჭოური, ანტიტოტალიტარული პროკლამაციების გავრცელებისთვის. 1957 წელს, ქართველი მწერლების მიერ გამოთქმული პროტესტის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს პირობითი სასჯელით. ამავე წელს ზვიადმა სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომანული და გერმანული ენებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის სპეციალობით. 1966 წლიდან იგი კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში, ამავე წელს გახდა მწერალთა კავშირის წევრი.

1974 წლიდან თანამოაზრე აქტივისტებთან ერთად ბეჭდავს და ავრცელებს თბილისსა და მოსკოვში დისიდენტურ ნაწარმოებებს. ერთგულ თანამოძმესა და თანამოაზრე მერაბ კოსტავასთან ერთად ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ინტენსიურად აყენებდა საქმის კურსში, თუ როგორ ირღვეოდა საბჭოთა ტოტალიტალური რეჟიმის მიერ ადამიანთა უფლებები, აწვდიდა ცნობებს ქართული კულტურისა და ქართული ეკლესიის შევიწროების თაობაზე.

1975 წელს შეუდგა ჟურნალ „ოქროს საწმისისა“ და სხვა არალეგალური ჟურნალების გამოცემასა და გავრცელებას. დისიდენტური საქმიანობისთვის მას წაართვეს თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის უფლება.

1976 წელს ზვიად გამსახურდიამ ჩამოაყალიბა არალეგალური პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ .

1977 წლის აპრილში „ანტისაბჭოური მოქმედებებისთვის“ რიცხავენ მწერალთა კავშირის რიგებიდან, რის შემდეგადაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს.

1977 წლის აგვისტოში იგი გადაჰყავთ მოსკოვის „ლეფერტოვის“ ციხეში, ხოლო შემდეგ სუკის კონტროლის ქვეშ მყოფ სერბსკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, სადაც ამყოფებენ 4 თვის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც ექსპერტიზა ადგენს მის ფსიქიკურ სიჯანსაღეს, აბრუნებენ თბილისის ციხეში, პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად და განუსაზღვრავენ 3 წლით ციხესა და 2 წლით გადასახლებას. ამ პერიოდში ზვიად გამსახურდიას აშკარად დაემუქრა დასავლეთში გაძევების საფრთხე, რაც, ბუნებრივია, დიდ ზიანს მიაყენებდა ქართულ ეროვნულ და დემოკრატიულ მოძრაობას, ამიტომაც, პატიმრობაში ყოფნისას, იგი წავიდა მოჩვენებით „მონანიებაზე,“ რაც მხოლოდ ტაქტიკურ უკან დახევას წარმოადგენდა.

ციხიდან გამოსული ზვიად გამსახურდია გადაასახლეს ნოღაის ველზე, კასპიის ჩრდილოეთ სანაპიროზე, სადაც მან დაახლოებით ერთი წელი გაატარა, სოფელ კოჩუბეიში. ამის შემდეგ იგი გათავისუფლდა, დაბრუნდა თბილისში და განაგრძო პოლიტიკური და ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული საქმიანობა. იგი კვლავ გამოსცემს არალეგალურ პერიოდულ გამოცემებს: „საქართველო“ (1983), „მატიანე“ (1987-1988) და მერაბ კოსტავასთან ერათად არის საქართველოში 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა საპროტესტო აქციის, გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგის თუ დემონსტრაციის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში იმარჯვებს კოალიცია „მრგვალი მაგიდა“, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. იგი ხდება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით 1991 წლის 9 აპრილს აღსდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც 31 მარტის რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, იგი აირჩიეს საქართველოს პირველ პრეზიდენტად.

ქვეყანაში ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც ზვიად გასახურდიამ შეახსენა აშშ-ს, რომ მას უფრო აქტიურად უნდა დაეჭირა მხარი საქართველოსთვის და სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისთვის. მან პუტჩს „გორბაჩოვის სპექტაკლი“ უწოდა, რამაც განარისხა ამერიკის პრეზიდენტი, უფროსი ჯორჯ ბუში. მან მკაცრად გააკრიტიკა ზვიად გამსახურდია და „დინების საწინააღმდეგოდ მცურავი“ უწოდა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ დინებას მხოლოდ „მკვდარი თევზები“ მიჰყვებიან. საქართველოში სიტუაციის განმუხტვა ვერ მოხერხდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ უარი თქვა, პირდაპირ ხელი მოეწერა დსთ-ს ხელშეკრულებაზე და მოითხოვა მოსაფიქრებელი დრო, 1992 წლის დასაწყისში მოხდა რევანშისტი კოუნისტებისა და კრიმინალების მიერ ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება, რუსეთის არმიის აქტიური მხარდაჭერით. პრეზიდენტი გამსახურდა იძულებული გახდა, გადასულიყო, სომხეთის გავლით, ჩეჩნეთში. გენერალმა ჯოჰარ დუდაევმა მას გროზნოში თავშესაფარი მისცა. ამის შემდეგ საქართველოში მოსკოვიდან დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც პუტჩისტების სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგა. ქვეყანაში დაიწყო ზვიად გამსახურდიას მომხრეების რეპრესიები, სამეგრელოს რადენჯერმე დალაშქვრა და აფხაზეთის ომი, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთის დაკარგვა და ათასობით ადამიანის მსხვერპლი.

ზვიად გამსახურდიას, როგორც ქვეყნის კანონიერ პრეზიდენტს, არ შეეძლო შორიდან გულმშვიდად ეყურებინა ქვეყნის კატასტროფისათვის. 1993 წლის

სექტემბერში იგი გროზნოდან სამეგრელოში დაბრუნდა, რაც იყო მისი თავგანწირული მცდელობა, გადაერჩინა აფხაზეთი და კანონიერება აღედგინა მთელს საქართელოში, მაგრამ ეს მიზანი აუსრულები დარჩა,

რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად დასავლეთ საქართველო კიდევ ერთხელ იქნა ოკუპირებული, 1993 წლის ნოემბერში. ზვიად გამსახურდია რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად აღმოჩნდა მთიანი სამეგრელოს სოფლებში. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ როგორც შსს-ს, ისე უშიშროების სამინისტროს სპეციალური ჯგუფები. ძალიან დიდი ალბათობით, იგი 1993 წლის მიწურულს მოკლეს და ეს მკვლელობა მსოფლიო საზოგადოებისთვის შეიფუთა თვითმკვლელობად. ამასთანავე, ყველანაირი კვალი განადგურდა. ზვიად გამსახურდიას ცხედარი თავდაპირველად სამეგრელოში დაკრძალეს, სოფელ ჯიხაშკარში. იქიდან მალევე გადაასვენეს გროზნოში, სადაც პატივით დაიკრძალა. 2007 წელს გადმოასვენეს საქართველოში. აქ მას უკანასკნელი პატივი ასი ათასობით ადამიანმა მიაგო. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში. [გამსახურდია კ., 2014 :8-10]

კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი მკვლევარი იმთავივითვე შეამჩნევს, რომ ძირითადი და არსებითი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში არის თავისუფალი საქართველოს და საზოგადოდ, თავისუფლების იდეა. მისი ყველა ნაბიჯი და ქმედება სწორედ ამ იდეიდან გამომდინარეობს. აკი ამბობდა კიდეც: როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებასო.

ილიას გზის გამეორებად თვლის როსტომ ჩხეიძე ზვიად გამსახურდიას გზას:

შვიდი წლით გვიან დადგა ჩვენში მეოცე საუკუნე.

მაშინ ეპოქა დასრულდა დიდო...

შვიდი წლით ადრე მოათავა თავისი არსებობა.

ახლაც დიდი ეპოქა დასრულდა...

ესეც ამ მეფისტოფელური საუკუნის კომპოზიციურინ ქარგა.

ძალიან შეიკვეცა ამ ასწლეულის საზღვრები,მაგრამ ბედისწერას ასე ენება და ასეც განსაზღვრა. [ჩხეიძე რ., 2015: 6]

ზვიად გამსახურდია მისტიკურად იყო განწყობილი მომავლის გაცხადების მოლოდინში, ახალი ჰორიზონტებისკენ მომზირალი, რომელიც თავისი წარმოუდგენელი მისტიკური სტიქიით იყო შებურვილი და რომლის არსი გასაგები და გამოხატულებას დაქვემდებარებადი გახდა. ეს კი ზვიად გამსახურდიას გამორჩეული ხვედრი იყო - მას შეეძლო სიტყვა-ლოგოსში გამოეხატა თავისი წინათგრძნობები. ასტრალური და სულიერი საოცრად შეერწყა მასში, რამაც განაპირობა ჭეშმარიტი ნათლის მდგომარეობასთან გატოლება. როგორც კი სახალხო მღელვარების ქარიშხალმა დაჰბერა, მან გამოავლინა სულის გმირული აქტივობა, ბზე გამოარჩია თავთუხისგან. ის არათუ ელოდა ეპოქურ ცვლილებებს, არამედ თავად მოიყვანა ის. ალექსანდრა ნოვოდვორსკაიას თქმით, ზვიად გამსახურდია იყო ერთადერთი დისიდენტი ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამით ამ გამორჩეულმა, დისიდენტური მოძრაობის დიდმა რუსმა მოღვაწემ პოლიტიკურ წრეებს საქმის ნამდვილი არსი დაანახა. ამგვარი შეფასება ერთადერთობისა ზედმიწევნით ახასიათებს ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსის სურათს. „ზვიად გამსახურდია არ ყოფილა ლოკალური მნიშვნელობის, მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მოქმედი დისიდენტი, ის საკმაოდ დაახლოებული იყო საბჭოთა დისიდენტურ წრეებთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანტისაბჭოთა მოძრაობის გაძლიერებაში," წერს გიორგი არქანია და ამის ნიმუშად მოაქვს ზვიად გამსახურდიას მიერ ალექსანდრე სოლჟენიცინის აკრძალული წიგნის „არქიპელაგი გულაგის" გავრცელება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ .[არქანია გ., 2020:27]

ზვიად გამსახურდია ფლობდა ძალაუფლებას, მაგრამ, ამავდროულად, იყო ყველაზე უუფლებო, უფლებაჩამორთმეული ადამიანი. მან მხოლოდ ძალაუფლების ესთეტიკა იცოდა და არა - რეალური ძალაუფლება. ის იყო განცალკევებული,

შეუცნობელი და ამიტომ - არაღიარებული. სოციალისტურ ეპოქაში ის იყო პირველი ქართველი, რომელიც ამქვეყნიურ ძალაუფლებასთან დამოკიდებულებას ზემოდან გადმოჰყურებდა, რაც ძალიან უცხო იყო იმდროინდელი საქართველოსთვის. ხანდახან გეჩვენება, რომ ის გაუგებარი დარჩა, შინაგანი თვისებების მიხედვით მცირედ შეფასებული და ასეთი მარტო თავის ქვეყანაში. ეროვნული ლიდერობა კი ზვიად გამსახურდიას პიროვნების მხოლოდ ერთი მხარეა. ის ამხელს ტოტალურ სიყალბესა და მაცდურობას, გამოაქვს სააშკარაოზე. თითქოსდა სულიერი რევოლუცია ჩაკეტილი და შეზღუდული პიროვნებიდან გმირულ კოსმიზმსა და კოლექტიურ ინდივიდუალიზმში გადადიოდა. აქ იყო ანტიქრისტეს ცდუნება. სახალხო ქარიშხალს უნდა შეეცვალა ადამიანი ყოველისშემძლე კოლექტიურობით, რაც უშუალოდ საპირისპიროა ქრისტიანული ადამიანური სახის გადარჩენა-შენარჩუნებისა. ხალხი ზვიად გამსახურდიას ამ გზით უნდა ეტარებინა. ადამიანური სახე უნდა შეემზადებინა მარადიული ცხოვრებისათვის და არა - პირიქით, უსახო და სულგამოცლილი კოლექტიურობისთვის. მეორეში ქართველი კვდება, პირველში სამუდამო სიცოცხლეში ივანებს. ქრისტეს და ბარაბას გზის არჩევანზე რომ მიუთითებდა, ზვიად გამსახურდია სწორედაც რომ ამას გულისხმობდა განმღრთობილი ქართველი და არა ნიღბიანი ცინიკოს-ეგოისტი - აი, ზვიად გამსახურდიას იდეალი და მიზნისკენ სწრაფვა. ზვიად გამსახურდიას იდეალსა და მიზანსწრაფებაზე ცხადია, გავლენა იქონია მისმა ოჯახურმა გარემომ. საგულისხმოა მამის სიტყვები: ალბათ შენთვის დამიწერია (თუ მითარგმნია) მე ჰომეროსის სიტყვები: ზევესს გეფიცები, აგელაი, ზევესს და მამაჩემის ტკივილებს. ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში, რათა შესძლო გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. [გამსახურდია კ., 2018: 5]

საინტერესოა ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში განჭვრიტა ეროვნული სულიკვეთებითა და დიადი მიზნებისთვის აღზრდილი ზვიადი როგორ იბრძოლებდა ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვისა და ეფემერული კომუნისტური წყობის

დამარცხებისთვის. 1969 წლის მაისს თბილისის 61-ე სკოლას სწვევია. მწერალს უბრძანებია: „მე ვტოვებ ისეთ შვილს, რომელიც არ მოუთმენს ამ წყობას უკანონობას, შეებრძოლება იმპერიას, იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, იბრძოლებს მშვიდობიანი გზით. ვიცი, ის გაიმარჯვებს, დაამარცხებს კომუნისტურ წყობას საქართველოში, მაგრამ ეს გამარჯვება იქნება ხანმოკლე, მეეჭვება, გადაურჩება თუ არა იგი დიდ იმპერიას შინაური მტრების შემწეობით, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში“.[გაზ. ნიკოლაძის გზით“, 2009:15]

მიმართება ადამიანის გადარჩენისა და ადამიანის შემოქმედებითი გზებისა არის ყველაზე მთავარი და მწვავე საკითხი ჩვენი ეპოქისა. ადამიანი კვდება და მას აქვს დიდი წყურვილი გადარჩენისა, მაგრამ ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედიც არის. შეუძლებელია, რომ მასში შემოქმედებითი მუხტი ჩაქრეს. შეეძლო კი ზვიად გამსახურდიას გადარჩენილიყო და ამავდროულად, შეექმნა კიდეც? შემოქმედებითად ეცხოვრა და ამავდროულად გადარჩენილიყო? და როგორ ვლინდებოდა ეს მთლიანობა? თანამედროვეობას ეს საკითხი აღელვებს, მაგრამ სიღრმისეულად არ განიხილავს. ის ქრისტიანი იყო და ყოველთვის არ აღიარებს, რომ სასიცოცხლო მოწოდების გამართლების სურვილის დროს საქმე ეხება ქრისტიანობის არსის აგებას, მისი სისრულის ათვისებას. მტკივნეულობა ხსნისა და შემოქმედებისა ასახავს სულიერი და სამოქალაქო ცხოვრების განხეთქილებას. სულიერი მხარე ამ დიდი მოღვაწისა დაკავებულია ხსნით, ხოლო შემოქმედება და პოლიტიკური აქტივობები - ამქვეყნიური ცხოვრებით.

ცნობილი რუსი დისიდენტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრა ნოვოდვორსკაია ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას ზეპირ გამოსვლაში უმაღლეს შეფასებას აძლევს და დისიდენტური მოძრაობის იერარქიაში უმაღლეს ადგილს ანიჭებს. ეს განსაკუთრებით დამაჯერებელია ადამიანისაგან, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ დაუფარავად

იბრძოდა და ძალზე პოპულარული იყო უკიდეგანო განათლებისა და უშიშრობის გამო.

ჭეშმარიტი მწერლის წმინდა ვალი და მისიაა კაცობრიობის, ერისა და პიროვნების სულიერი სახის ასახვა თავის შემოქმედებაში. ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებულს უნდა შესწევდეს უნარი წარსულის ანალიზისა, აწმყოსთვის თვალის მიდევნებისა და მომავლის ჭვრეტისა. ასეთი შემოქმედი,ერთგვარად, თითქოს იტვირთავს წინასწარმეტყველის ფუნქციას.

ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებების გასაღები მისი შემოქმედების ორ ნიშანსვეტში - პროფეტიზმსა და ენიგმატურობაში უნდა ვეძიოთ, რაც მას განუმეორებელ და უაღრესად ინდივიდუალურ პიროვნებად წარმოგვიჩენს. ძლიერი ამასოფლისა და ამავდროულად, უფლებაჩამორთმეული. ჰქონდა ძლაუფლების ესთეტიკური განცდა და არა რეალური ძალაუფლება. ის ქართულ სინამდვილეს მოევლინა მებრძოლი ესთეტიზმისა და რომანტიზმის ნაზავით. მის პიროვნებაში კარგად აისახა თავისებურება ქართული მართლმადიდებლობისა და ქართული ქრისტიანული მორჩილებისა.

რელიგიური კაცი და თავდადებული ქრისტიანი - აი, იდეალი ზვიად გამსახურდიასი. მან იგრძნო სამშობლოს ბედი, რომელიც ქარიშხლის წინ დგას და ამიტომაც განწირულია მუდმივი ბრძოლისთვის. ის წუხდა სამყაროს ძველებური სილამაზის კვდომის გამო, თუმცა, ამავდროულად, გრძნობდა ახლის მოსალოდნელი დაბადებით გამოწვეულ სიხარულსაც. ზვიად გამსახურდია არაა ახალი შემოქმედება. ისაა — დასასრული ძველისა. ზვიად გამსახურდიას გამორჩეული ხვედრი იყო ის,რომ მას შეეძლო სიტყვა ლოგოსში გამოეხატა თავისი წინათგრძნობები გადარჩენა-შენარჩუნებისა. ხალხი ზვიად გამსახურდიას უნდა შეემზადებინა მარადიული ცხოვრებისათვის და არა - პირიქით, უსახო და სულგამოცლილი კოლექტიურობისთვის. სულიერი მხარე ამ დიდი მოღვაწისა დაკავებული იყო ხსნით, ხოლო შემოქმედება და პოლიტიკური აქტივობები - ამქვეყნიური ცხოვრებით.

კონსტანტინე გამსახურდია მწერალს უწოდებდა „მენცარს“, რომელსაც ხელეწიფებოდა აწმყოდან მომავლის ჭვრეტა: „როგორც ადამიანი ღმერთებს, ისე ვქმნიდი მე მათ (ლიტ.გმირების) სახეებს, ხოლო ისინი მეხმარებოდნენ მე შემსხმოდა და გამეშალა ფრთები, რათა ზეამაღლებულს დამენახა და დამეხატა ვნებანი, ოცნებანი, მისწრაფებანი და მოძრაობა მათი და ეს იყო არა მხოლოდ ის, რაც იყო, არამედ ისიც, რაც არის და შეიძლება მერმისშიც იყოს, წარსულში ჩადგმული თანამედროვეობის ჭვრეტა მომავლიდან უფრო უპრიანია და ამიტომ ის ფრთებით მე მყოფადიდანაც ვაკვირდებოდი მათ და ეს, ვითარცა მენცარს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა გმირებმა შემაძლებინეს“. [გუგუშვილი პ., 1976:7]

პროფეტი ანუ წინასწარმეტყველი არის რელიგიური ლიდერი და მჭევრმეტყველი. განსაკუთრებით ის ბიბლიაშია წარმოჩენილი - წინასწარმეტყველები ღვთის შეტყობინებებს გადმოსცემენ ამაღლებული, ზეგარდმო შთაგონებული სიტყვით. გამოსვლის დროს ისინი აღწერენ მოსალოდნელს, განმარტავენ მას. ეს სიტყვა წარმოდგება ბერძნული საკულტო სიტყვისგან, რომელშიც წინასწარმეტყველები განმარტავდნენ პასუხებს ორაკულის მიერ დასმულ კითხვებზე. ახსნა-განმარტება ფართოდ იყო გავრცელებული რელიგიაში, მაგრამ მისი ფუნქცია დამოკიდებულია კულტურაზე. ამგვარად, ტერმინი შეიძლება განსაზღვრავდეს გარკვეულ რელიგიურ მიმართულებებს. ჩვეულებრივი წინასწარმეტყველი ზეშთაგონებულია. მისი გამოთქმები სპონტანურ ხასიათს ატარებს იმ დროს, როდესაც ქურუმი გულისხმობს რიტუალური ვალდებულებების დადგენას. წინასწარმეტყველური გადმოცემები ძველ ახლო აღმოსავლეთში ათასწლეულის პირველ საუკუნეებშივეა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ისინი მოხსენებულია ეგვიპტურ და არამეულ ტექსტებში.

პროფეტული მჭევრმეტყველების ფენომენი ასევე გვხვდება ისრაელში მეფეთა ხანიდან მოყოლებული , ვიდრე განდევნის შემდგომდროინდელი პერიოდის ჩათვლით. მსაჯულნი (მაგალითად, ნათან წინასწარმეტყველი), ისევე , როგორც

არაოფიციალური წინასწარმეტყველები, მაგალითად, ამოსი, მრავალგზის არიან დამოწმებული, მაგრამ ისრაელის ყველა წინასწარმეტყველს როდის ამჩნევია ორაკულის კვალი. ყველაზე მეტად დიდი თავყრილობები ჩნდება ესაიას, ერემიასა და ეზეკიელის წიგნებში. თავად წინასწარმეტყველის ტიტული, ასევე სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებსაც მიეკუთვნება, მაგალითად, აბრაამს, მოსეს, ელიას, ელისეს, ნათანს, იუდას და სხვ. ყველა დარწმუნებულია თავის მისიასა და ისრაელის რელიგიის გზით საღვთო განწმენდაში. წინასწარმეტყველები მოქალაქეთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ერეოდნენ და ხშირად გამოდიოდნენ დამცირებულთა, დევნილთა და გაჭირვებულთა დამცველებად. მათი აზრით, ისრაელი ღმერთს მხოლოდ მაშინ მიეახლება, თუ ისინი მთლიანად რელიგიურად და სახელმწიფოებრივად განიწმინდებიან. ესაა ნაწილი ტრადიციული ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელიც კარგად არის გამოხატული ნიკეის რწმენის სიმბოლოში და პეტრე მოციქულის მეორე წერილში (ახალი აღთქმა, ეპისტოლე წმ. მოციქულისა პეტრესი.), სადაც გადმოცემულია საღვთო ზრახვები თავისი რჩეული ხალხის მიმართ.

როგორც ქრისტიანობაში, ასევე ისლამშიც წინასწარმეტყველება ყოველთვის აღფრთოვანებით, ზეშთაგონებული გამოთქმებით არის გადმოცემული. ასეთი ტრადიცია ბოლომდე იქნა შენარჩუნებული, მაგალითად, მონტანიზმსა ანუ ქრისტიანულ წვალებაში, სექტაში, ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში. წინარექრისტიანული იყო ისეთი წინასწარმეტყველება, რომელიც შედარებით უფრო ნაკლები ისტორიის მქონეა ქრისტიანობაში. ამჯერად, იოაკიმე ქლორისა და იოანე საუზპორტის მაგალითებიც საკმარისია. მაგალითად, წმინდა ვინსენტი პროტესტანტიზმში გამოყოფდა გარკვეულ ნაირსახეობებს და აქცენტი გადაჰქონდა ზეშთაგონებაზე [სლატერი ქ., 2004: 98] ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ანაბაპტისტები -თომას მიუნცერი და არიზონელი დანსკი, ემანუელ სვედენბორგი და ჯოზეფ სმიტი იყვნენ. ბევრი იყო თვითგამოცხადებული წინასწარმეტყველებით გაპოპულარებული, რომლებიც პროტესტანტული და მწვალებლური ეფექტებიდან

გამომდინარეობდნენ. ისლამმა შეკრიბა და გააერთიანა საზოგადოება, რომელიც ეფუძნებოდა იმას, რომ მუჰამედი იყო ღვთის მოციქული და უკანასკნელი წინასწარმეტყველი, გამოცხადება ალაჰისა. [აბულჰასან ალი ნავდი, მუჰამედი, უკანასკნელი წინასწარმეტყველი, 1993]

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინასწარმეტყველების უნარსა და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულს ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია“ [კარლ გუსტავ იუნგი,.1995:24] ჩ. ლომბროზოს მიხედვით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არაა ცნობილი.[Ломброзо Ч., 2019:123]

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, წინასწარმეტყველი მომავალს კი არ ხედავს, არამედ აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ . [ნეტარი ავგუსტინე.,1995:237]

წინასწარმეტყველების შეუმეცნებლობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ დასავლური მოაზროვნეები. დრო წინასწარმეტყველების პერიფრაზადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ნეტარი ავგუსტინეს „აღსარების“ მეცხრე წიგნში ასახულია წინასწარმეტყველების საიდუმლოს ამოცნობის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. ავგუსტინე კითხულობს: „რა არის წინასწარმეტყველება?“ და იქვე პასუხობს: „თუ არავინ მეკითხება, მაშინ ვიცი, რა არის წინასწარმეტყველება. თუკი ვინმეს უნდა განვუმარტო, მაშინ უკვე მისი არაფერი გამეგება.“

ლიტერატურული ნაწარმოებების წინასწარმეტყველება თავისებური და ინდივიდუალურია. ლიტერატურული ნაწარმოებების ქრონოლოგიური რიგით დალაგება წინასწარმეტყველების არსს მეტად მკაფიოს ვერ გახდის, რასაც წინასწარმეტყველების მეცნიერული თეორიები ისახავენ მიზნად, ჩოსერის

წინასწარმეტყველება განსხვავდება ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველებისგან და არცერთი მათგანი არ წააგავს, მაგალითად, მარლოუს წინასწარმეტყველებას.

ცხოვრებისეული წინასწარმეტყველების აღსანიშნავად არცრთი ზუსტი სიტყვა არ არსებობს. ამდენად, მისი აღმნიშვნელი ყველა სიტყვა ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად მეტაფორული ხასიათისაა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე შთამბეჭდავ სახეებში წინასწარმეტყველება იყენებს საკუთრივ ენას, როგორც წინასწარმეტყველების ფორმას.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში ასახული წინასწარმეტყველების კრიტიკული ანალიზი სამ კატეგორიად იყოფა: ისინი მეტ-ნაკლებად შეესაბამება შუასაუკუნეობრივი ტრივიუმის სამ კატეგორიას – ლინგვისტური განსწავლის საფუძველს შუა საუკუნეებში: გრამატიკას, ლოგიკასა და რიტორიკას. გრამატიკულ კვლევებში – მაგალითად, ჟერარ ჟენეტის სამტომეულში. „ციფრები“ [ჯენეტი ჟერარ, „ციფრები,“ 1980] ან „ტემპუსი“ [ვაინრიხი ჰარალდ „ტემპუსი,“ 1995] გამოკვლეულია დაძაბულობის სტრუქტურები და, აგრეთვე, ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც უშუალოდ მიემართება წინასწარმეტყველების განზომილებებს: მანამ, შემდეგ, ახლა და ა.შ. თვით ჟაკ პულეს „ადამიანური წინასწარმეტყველების კვლევებში“ [ჟაკ პულე, „ადამიანური წინასწარმეტყველების კვლევები,“ 2008] , განხილულია ლიტერატურაში წინასწარმეტყველების ასახვის თემატური რეპრეზენტაციები, რაც მეტ-ნაკლებად ემყარება ამ რეპრეზენტაციების ენას. წინასწარმეტყველების რიტორიკული ინტერპრეტაციები ლიტერატურაში, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ, როგორც წესი, იმ ხერხებზე საუბრობს, რომელთა მეშვეობითაც განსაკუთრებული და ბუნდოვანი მხატვრული ენა გამოიყენება ლიტერატურაში ამ იდუმალი მოვლენის – ადამიანური წინასწარმეტყველების ასახვის მიზნით.

მწერლის პროფეტულობა იმაში გამოიხატება, რომ მას უნდა ხელეწიფებოდეს სამივე დროის საიდუმლოებათა წვდომა, მომავლის განჭვრეტა, წარსულიდან

სასიცოცხლო ძლებით გამსჭვალვა და აწმყოდან მომავლის პერსპექტივის დანახვა, რაც მსოფლიო ,მათ შორის ქართული,ლიტერატურისთვის არის ნიშანდობლივი. ცნობილი ამერიკელი მწერალი, პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი კლასიკოსი, კურტ ვონეგუტი (1922-2007) წერდა: „მარკ ტვენმა არა მხოლოდ იწინასწარმეტყველა, არამედ გამოიწვია კიდეც მეორე მსოფლიო ომი და მეოცე საუკუნის სხვა კატაკლიზმებიო“. ამ გამოთქმის უტრირებისა და აშკარა მეტაფორულობის მიუხედავად, წინასწარმეტყველ ავტორთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სწორედ ამერიკელი მარკ ტვენია (1835-1910), რომელიც ისეთ მოვლენებსა და ფაქტებზე წერდა, რაც რეალობად ათეული წლების მერე იქცეოდა ხოლმე. ჯერ კიდევ 1899 წელს ის ოცნებობდა რადიოგადაცემებზე: სამოცი ცენტის საფასურად ყოველ დილით ტელეფონი წაგიკითხავთ დილის გაზეთს, მოგიყვებათ ბირჟის აქციებსა და საქმეებზე, სამი საათის მანძილზე შეგასწავლით სამ უცხო ენას, დღისით გადმოსცემს უკანასკნელ ამბებს, საღამოს კი კონცერტებსა და ოპერებს. და, რა თქმა უნდა, ის ყველას ენდომება: კლერკს, ბოლშევიკს, ფეხსაცმლის გამპრიალებელს, წერდა ტვენი [Предсказания Марка Твена (ელექტრონული რესურსი)].

მოკლე მოთხრობაში „1904 ლონდონური „ტაიმსიდან“ ტვენმა იწინასწარმეტყველა ინტერნეტის გამოგონება. მოთხრობა 1898 წელს დაიწერა. ისტორია გასაიდუმლოებული დანაშაულით იწყება. არმიის ფეთქებადი და ემოციური ოფიცერი კლეიტონი ბრალდებულია ზეპანიკას მკვლელობაში, რომელმაც გამოიგონა ახალი მოწყობილობა _ ტელეელექტროსკოპი. ანონიმური მთხრობელი ყვება: როგორ კი პარიზული კონტრაქტიდან გათავისუფლდა, ტელეელექტროსკოპი საზოგადოებრივი მოხმარების საგანი გახდა, რის შემდეგაც მთელი მსოფლიოს სატელეფონო სისტემებს მიუერთეს. მალე შეიქმნა გაუმჯობესებული „მსოფლიო ტელეფონი“ და ამიერიდან ყველას შეეძლო ენახა, რა ხდება სამყაროში და განეხილა ყველანაირი მოვლენა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ასობით კილომეტრით დაშორებული იყვნენ ერთმანეთისაგან. მარკ ტვენის მიერ აღწერილი მოვლენა ძალიან ჰგავს სოციალურ ქსელს.

რომანში „ამერიკელი პრეტენდენტი“ მწერალმა საკმაოდ ზუსტად ასახა როკფელერების, მორგანებისა და სხვა ფინანსური სახლების მოქმედების ფორმები _ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როცა ფედერალური და ცალკეული შტატების ბანკების ჭეშმარიტად ურჩხულისებური ქსელი 4-5 ფინანსურ ჯგუფზე (ოჯახზე) გადანაწილდა. რომანის მთავარი გმირი სელერსი იმაზე ოცნებობს, „ასანთის კოლოფივით გაყიდოს ბანკები“. მას გადაწყვეტილი აქვს შეისყიდოს ასცამეტი მცირე ბანკი ოჰაიოში, ინდიანაში, კენტუკიში, ილინოისსა და მისურიში. ამავე წიგნში ის აღწერს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომელთა წყალობითაც ამერიკულმა სამრეწველო პროდუქციამ შეავსო მთელი მსოფლიო: მთავარი შტაბი იქნება კონსტანტინეპოლში, არიერგარდი კი, შორეულ ინდოეთში. ფაბრიკები და საწყობები გაიხსნება ქაიროში, ესპანეთში, დამასკოში, იერუსალიმში, იედოში, პეკინში, ჰონკონგში, დელიში, ბომბეიში, კალკუტაში. ყოველწლიური შემოსავალი? მხოლოდ ღმერთმა იცის, რამდენი მილიონი გახდება ის.

ხშირად ამბობენ, რომ სწორედ მარკ ტვენმა ასახა პირველად დამნაშავის თითის ანაბეჭდებით პოვნის ამბავი. წიგნში „ცხოვრება მისისიპიდან“, რომელიც 1874 წელს გამოიცა, მოყვარული დეტექტივი პროფესიულად ეძებს ეჭვმიტანილს, ცერათითის ანაბეჭდების დახმარებით. რა არის ეს, მწერლის მიგნება თუ მარკ ტვენი ცნობილი მეცნიერის, დაქტილოსკოპიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფოლდსის, ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნებულ კვლევას იცნობს?! ამერიკელმა კრიმინალისტებმა მხოლოდ 1892 წლიდან დაიწყეს თითის ანაბეჭდის გამოყენება, დამნაშავის მოსაძებნად.

ფრანც კაფკას (1883-1924), მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გერმანულენოვანი მწერლის, „მიხვედრილობა“, მოვლენების წინასწარჭვრეტა იმდენად ხელშესახები გახდა, რომ საუკუნის ყველაზე „დაწყევლილი“ საკითხების გადაწყვეტას მის შემოქმედებაში ეძებენ _ ეგზისტენციალისტები, ფსიქოანალიტიკოსები, სემიოტოლოგები, რელიგიურ-იუდეველური მიდგომების მკვლევარნი და ა.შ. ამ საუკუნის არც ერთ სხვა მწერალს არ გამოუწვევია თავისი

შემოქმედების განსხვავებული ინტერპრეტაციების იმდენი შესაძლებლობა, როგორც ფრანც კაფკას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის დაინტერესება მწერლის შემოქმედებით: ჰერმენევტიკული სკოლები კაფკას იგავების ფილოსოფიურ სიღრმესა და განჭვრეტას იკვლევენ, სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები მის „საჯარიმო კოლონიებში“ მომავალი საკონცენტრაციო ბანაკების კონტურებს ხედავენ, „პროცესს“ ფარსად ქცეული სასამართლოს, ხოლო „ციხე-სიმაგრეს“ ბიუროკრატიული დიქტატურის განჭვრეტად მოიაზრებენ. გასულ საუკუნეში ადამიანი ხშირად ხდებოდა „კაფკასეული“ ტრაგედიის მსხვერპლი _ მოვლენების არალოგიკური თანმიმდევრობა ბიოგრაფიის რადიკალურ ცვლილებას იწვევდა, მომრავლდნენ უდანაშაულო დამნაშავეები, მზაკვრულ ბედისწერას შეწირულნი. კაფკას პროზის უცნაურმა „თამაშმა“, საშიშმა მოვლენებმა დროთა განმავლობაში სასტიკი წინასწარმეტყველების ელფერი შეიძინა [Кафка, 2009:8].

კაფკას აბსურდულმა, ალოგიკურმა, სიზმარეულმა პროზამ თითქმის ბოლომდე ამოიცნო და განჭვრიტა მეოცე საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი კატაკლიზმა. ბიუროკრატიული სასამართლოს არასამართლიანი გადაწყვეტილებები, თითქმის მთელ მსოფლიოზე შემოვლებული მავთულხლართები, ჭანჭიკად ან უცნაურ მწერად ქცეული ადამიანი გასცდა მწერლის შემოქმედებას და ეპოქის ქარტეხილების გამოხატულებად იქცა. უდიდესი ევროპული ტრადიციების, ქრისტიანული სიყვარულისა და განმანათლებლური ჰუმანიზმის კონტექსტიდან მეოცე საუკუნეში ადამიანი კაცთმოძულეობისა და ნიჰილიზმის უსასრულო უფსკრულში გადაეშვა. მეორე მსოფლიოს ომის წლებში კაფკას სახელს დავიწყების მტვერი ჩამოსცილდა და წინასწარმეტყველის იარლიყი მიეკერა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 1918 წლის 4-18 ოქტომბერს დაიწერა ნოველა „გამოსასწორებელ კოლონიაში“. კოლონიაში გამოიცდება ახალი მანქანა, რომელიც, მექანიკური მოქმედებით, ადამიანის სხეულზე კანონის გრავირებას აკეთებს. ამ

ნოველით კაფკა გვევლინება შუამავლად _ პირველ მსოფლიო ომსა და მომავლის მოვლენებს შორის. მწერლის მიერ ნაწინასწარმეტყველებ ამბავს იმავე 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო გულაგების მშენებლობა. მოგვიანებით, როცა დემოკრატიული არჩევნების შედეგად, ჰიტლერი მოვიდა გერმანიის ხელისუფლების სათავეში, გულაგების ანალოგიით, მანაც სრულყოფილებამდე მიიყვანა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა.

დროთა განმავლობაში გულაგი აღნიშნავდა არა მხოლოდ ამ დაწესებულების ადმინისტრაციას, არამედ საბჭოთა მონური შრომის მთელ სისტემას: შრომით, საჯარიმო, პოლიტპატიმრებისა და კრიმინალების, ქალთა, ბავშვთა და ტრანზიტულ ბანაკებს. უფრო ფართო გაგებით, გულაგი იქცა საბჭოთა რეპრესიების სიმბოლოდ, რომელსაც ტყვეები „ხორცსაკეპად“ მოიხსენიებდნენ, და რაც გულისხმობდა: დაპატიმრებას, დაკითხვას, მგზავრობას პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით, მონურ შრომას, ოჯახების დანაწევრებას, ნაადრევ სიკვდილს [Паю Имби, Отвергнутые воспоминания (ელექტრონული რესურსი)].

„გამოსასწორებელი კოლონიის“ იურიდიული სისტემა მარტივია. არ იმართება სასამართლო პროცესი, ბრალდებულს არ აქვს თავის დაცვის უფლება, რადგან კანონი არის სამართალი. ბრალი ყოველთვის ეჭვგარეშეა. რაც უფრო ნაკლებად არის ადამიანი ინფორმირებული სახელმწიფო სასჯელზე, მით უფრო მეტი ინტერპრეტაციის საშუალება აქვს. ყველაზე საშიში მთელ ამ სიტუაციაში არის დამღა, დამნაშავის დამღა ადამიანს მარგინალად აქცევს, არავის შეუძლია დამღიანის თანაგრძნობა, დახმარება, ხელის გაწვდენა.

კაფკას არ აქვს დიდი და გავრცობილი ტილოები, აქ უფრო მცირე ნაწყვეტებია: ჰალუცინაციური, წარმოსახვითი, სიზმრისეული. ზოგჯერ პერსონაჟი მწერად გარდაისახება, ზოგჯერ სიკვდილით დასჯის მანქანა ამუშავდება, ზოგჯერაც ბიუროკრატიული ქაოსი თავდაუღწეველი ხდება. ყველა ეს პროცესი ასახულია XX საუკუნის იმ კოშმარულ სინამდვილედ, რამაც ადამიანის ცხოვრება საყოველთაო

ტრაგედიად აქცია. როგორც ჩანს, ფრანც კაფკას განსაკუთრებულად ჰქონდა განვითარებული მოვლენების წინასწარ ჭვრეტის უნარი. მწერლის მუდმივი თანამგზავრი და მეგობარი პრაღელი იანოუხი (გუსტავ იანოუხი (1903-1968), მუსიკოსი და ლიტერატორი, გაიზარდა პრაღაში, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. ცნობილი გახდა „კაფკასთან საუბრების“ გამოცემის წყალობით, მართალია, ეს საუბრები ავთენტურ წყაროდ არ ითვლება, მაგრამ მათ დიდი როლი შეასრულეს მწერლის იმიჯის ჩამოყალიბებაში). იგონებდა, როგორ უყურებდნენ ისინი სახლის ფანჯრიდან პირველი მაისის დემონსტაციას. მწერალმა მეგობარს დაანახა წესრიგის დამცველები, რომლებიც ხან ხაზის სისწორეს იცავდნენ და ხანაც მოძრაობის სისწრაფეს არეგულირებდნენ. იანოუხის მტკიცებით, მწერალმა მათში მომავალი ბიუროკრატები და ჯალათები ამოიცნო [Кафка, 2009:7-8].

პოეტური შემოქმედების ბუნებაზე დაკვირვებისას, ცნობილმა შვეიცარიელმა ფსიქოთერაპევტმა და ფსიქიატრმა კარლ იუნგმა (1875-1961) აღმოაჩინა _ გენიალურობის საყოველთაო კანონი. იუნგი გენიალურობას აღიქვამდა, როგორც გაუცნობიერებელი ზოგადი ცოდნის გამოხატვის უნარს. ზუსტად ამ უნარის გამო პოეტებსა და მოაზროვნეებს აქვთ თავიანთ თანამედროვეებსა და შთამომავლობაზე ზემოქმედების ძალა. მათ შეუძლიათ ხმამაღლა გამოხატონ ის, რასაც სხვები მხოლოდ „ფიქრებში ბედავენ.“ იუნგი განმარტავდა კოლექტიურ ქვეცნობიერს, როგორც ყველა ინდივიდისათვის დამახასიათებელ ფსიქიკურ შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ არქეტიპების სამყარო არსებობს ქვეცნობიერის სიღრმეში, ის მაინც ობიექტურ რეალობად უნდა განვიხილოთ. იუნგის მიერ აღმოჩენილი არქეტიპების სამყარო, პლატონის იდეების სამყაროს მსგავსად, არსებობს „თავისთავად,“ ადამიანის სურვილისგან დამოუკიდებლად. თუ იუნგის აზრების თანმიმდევრობას გავყვებით, გენიოსის, მოაზროვნის ან ფართო გაგებით, შემოქმედის ნიჭი მდგომარეობს არქეტიპების სამყაროს წვდომაში. ეს უნარი მხოლოდ გამორჩეულებს აქვთ, ამიტომაც არიან გენისიოსები ცოტანი [Е.Синицын, О. Синицына, Тайна творчества гениев (фрагменты из книги), Писатели-пророрки (ელექტრონული რესურსი)].

თითქმის ყველა დიდმა ერმა მისცა მსოფლიოს მწერალი ან მწერლები, რომლებიც, თავის დროზე, ნაციონალურ, ეროვნულ წინასწარმეტყველებად იქცნენ. ზოგიერთი ლიტერატურული წინასწარმეტყველება უცნაურად ემთხვევა კაცობრიობის განვითარების კანონებს. იუნგი აღნიშნავს, რომ საზოგადოებაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ ის მოაზროვნეები, რომლებიც ახერხებენ ცნობიერის დონეზე გადმოიტანონ „კოლექტიური არაცნობიერის ზედაპირული შრე."

ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსის ბენჯამინ დიზრაელის სიტყვებით (1804-1881), გენიალური განდგომილები, თავიანთი ხასიათით, მთელი ერის გონიერებას გამოხატავენ. ასეთი განდგომილი, რუსული სულისა და ხასიათის გამომხატველი მწერალია ნ.ვ. გოგოლი (1809-1852) _ რუსული ლიტერატურის დიდი წინასწარმეტყველი. ბლოკი გოგოლს რუსი ერის „გაშიშვლებულ სმენას" უწოდებდა. მწერალმა შეაღწია ერის კოლექტიურ ქვეცნობიერში და წარმოგვიდგინა ფანტასტიკური ელემენტებით, მისტიკითა და კოშმარული რეალიზმით გაჯერებული მხატვრული სამყარო. თავად მწერალი იგონებდა, როგორი ემოციით უსმენდა პუშკინი ავტორის მიერ წაკითხული „მკვდარი სულების" ტექსტს, როგორ მოიღუშა, მოიწყინა, კითხვის დასრულების შემდეგ კი ემოციურად წამოიძახა: ღმერთო ჩემო, როგორი სევდისმომგვრელია ჩვენი რუსეთიო.

ნიკოლაი გოგოლი არის მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამოუცნობი მწერალი. მისი ცხოვრება და შემოქმედება აღსავსეა მისტიკითა და საიდუმლოებებით. „მკვდარი სულები" 17 წელი იწერებოდა, გოგოლი მას თავის ყველაზე მნიშვნელოვან მისიას უწოდებდა. ნაწარმოებში ასახულია XIX საუკუნის 30-იანი წლების რუსეთი, მემამულეების ჭეშმარიტი სახე, ადამიანური სისუსტეების მთელი გალერეა. მწერალი-წინასწარმეტყველი განწირულია იმისთვის, რომ თავისი სულის მეშვეობით გააშიშვლოს სხვების სულები. გოგოლის შემოქმედებაში, მათ შორის „მკვდარ სულებშიც", არის სხვადასხვა ხაზი: პირველია რუსული ყოველდღიური ცხოვრების, ყოფის სურათები, სადაც მეფობს იუმორი და

სატირა; მეორე ხაზია _ რუსეთის გაუგებარი და საიდუმლო მომავლის განჭვრეტა, რომელიც „ტროიკა (სამეული) ფრინველის“ სახით გამოიხატება (1937 წლის 30 ივლისს გამოვიდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანება N 00447, რის შედეგადაც მიმდინარე პოლიტიკურმა რეპრესიებმა ახალი მასშტაბები შეიძინა: საქმეების განხილვა დაჩქარებული წესით დაიწყო, რისთვისაც შეიქმნა არასასამართლო ორგანო, ე.წ „ტროიკა“, რომელიც ელემენტარული სასამართლო პროცედურების გარეშე, რამდენიმე წუთში წყვეტდა ადამიანის ბედს.) [მარიამ ბოგვერაძე (ელექტრონული რესურსი)].

გოგოლთან გმირთა დიალოგი და სიუჟეტის ლოგიკა მხოლოდ დეტალებად მოიაზრება, პერსონაჟების საერთო მდინარებაში. „მკვდარ სულებში“ პოემის სიუჟეტი ავტორის ფანტაზიებში ინთქმება. გოგოლის სახეებშია მისი წინასწარმეტყველური სულიცა და სინამდვილის „დამაბრმავებელი ხედვაც“.

„მკვდარი სულების“ მსგავსი წინასწარჭვრეტის ანალიზისას, იუნგი წერდა, რომ ავტორები ამგვარი ნაწარმოებებთან თავის თავს აიგივებენ, ისინი მხოლოდ საკუთარ არაცნობიერს ექვემდებარებიან, რომელიც, თავის მხრივ, იმორჩილებს მწერლის კალამს. ამ თვალსაზრისით გოგოლის პოემა და მისი წინასწარჭვრეტითი სული ფატალური აღმოჩნდა ავტორისთვის. გოგოლს დაეუფლა ის შინაგანი ძალა, რომელზედაც საუბრობდა იუნგი, მისი საკუთარი ავტონომიური შემოქმედების კომპლექსი, რომელმაც ეშმაკეულად შეიწირა მწერალი. იგი ბოლომდე, უდანაკარგოდ შთანთქა საკუთარმა შემოქმედებამ. გოგოლი გარდაიცვალა, როგორც ნამდვილი ხელოვანი, რომელმაც ამოწურა შემოქმედებითი ძალები, ფსიქიკური და ცხოვრებისეული ენერგია. ის სიღრმისეულად, მგრძნობიარედ განიცდიდა რუსული „ცხოვრების გაუკუღმართებას“, „საფლავების უსასრულობას.“ სიკვდილის წინ კი, კიბეებს ახსენებდა წამდაუწუმ, იმდენად ცოცხლად ჰქონდა წარმოდგენილი ზეციური სარკმლიდან ჩამოშვებული გადამრჩენი-კიბე, რომელსაც შეეძლო მწერლის გადაფრენა ცისფერ უფსკრულზე, როგორც ერთ-ერთ შემოქმედებით სიზმარში თუ ზმანებაში

ჰქონდა ნანახი [Е.Синицын, О. Синицына, Тайна творчества гениев (фрагменты из книги), Писатели-пророрки (ელექტრონული რესურსი)].

წინასწარჭვრეტითი სული მძაფრად შეიგრძნობა დოსტოევსკის (1821-1861) რომანში „ეშმაკნი“, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ყველაზე განსხვავებული მოტივები. აქ შეიძლება ვიპოვოთ ნიჰილიზმის უბოროტესი იდეები და სიკეთის ქრისტიანული აბსოლუტები. დოსტოევსკი წინასწარმეტყველურად მიანიშნებს ორად გახლეჩილ ცნობიერებაზე: „ღმერთი აუცილებელია, ამიტომ ის უნდა იყოს“ და ანტინომიაზე: „ის არ არის და არც უნდა იყოს.“ უკანასკნელი მტკიცება თვითგანადგურებასა და ყველაფრის მოსპობას იწვევს. დოსტოევსკის გმირები ვერ იღებენ წინანდელ ღმერთს, სიყალბისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს ამორალურობის გამო. კირილოვი ამ პარადოქსურ მტკიცებას იმით აბათილებს, რომ ღმერთად საკუთარ თავს აცხადებს. ამ მიმართულებით სვლისას დოსტოევსკის გმირს არაერთი კითხვა უჩნდება, რომელთაგანაც უმთავრესია: „რა აზრი აქვს ცხოვრებას, ღმერთის სიკვდილის დროს?!“ მის წინ გადაიშლება სასტიკი რეალობა _ უღმერთო სამყარო. ეს არის სამყარო აბსოლუტის გარეშე. ადამიანმა თავი, ზნეობრივი ორიენტირების არარასებობის პერიოდში, საკუთარი ურწმუნოების სამსხვერპლოზე უნდა მიიტანოს.

უღმერთობას, ზნეობრივი ნორმების დავიწყებას კაცობრიობა განადგურების სტიქიამდე მიჰყავს. დოსტოევსკის აზრით, ორიენტირების გარეშე ცხოვრება თავად ადამიანურობის არსს ეწინააღმდეგება. აბსოლუტური ღირებულებების არარასებობის დროს ადამიანმა დაკარგა თანაგანცდის, სხვის მაგივრად ტანჯვის უნარი. ეს გრძნობა შეცვალა ადამინის გაკეთილშობილების (облагодетельствовать) მოთხოვნილებამ, ოღონდ ამ ადამიანის სურვილის გაუთვალისწინებლად. ეს პარადოქსი ახალი ეპოქის სიმბოლოდ იქცა. დოსტოევსკიმ წინასწარმეტყველურად განჭვრიტა, რომ თავისუფლება, ღმერთის, როგორც ზნეობრივი აბსოლუტის, უარყოფის ეპოქაში, საშიში და საფრთხილოა. ბევრი თანამედროვე მოაზროვნე მიმართავდა, ციტირებდა

დოსტოევსკის, როგორც პირველ მწერალს, რომელიც ღრმად ჩაწვდა ადამიანის შინაგან ტანჯვასა და კაცობრიობის მცდარ ორიენტირებს.

კამიუმ დაინახა დოსტოევსკიში პირველი მწერალი, რომელმაც აღმოაჩინა აბსურდული სამყაროს ყველა ტკივილი. თუმცა, ალბათ, მხოლოდ ჰერმან ჰესემ ამოიცნო დოსტოევსკის შინაგანი მისია, გამხდარიყო არა მხოლოდ რუსი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის წინასწარმეტყველი. „მე ვიტყოდი, რომ დოსტოევსკი, პირველ რიგში და მხოლოდ მწერალი არ არის. მე მას წინასწარმეტყველს ვუწოდებდი“, წერდა ჰესე. მისი სიტყვებით, დოსტოევსკის კითხვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უბედურები ვართ, როდესაც ჩვენმა ტანჯვამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც მთელ სამყაროს აღვიქვამთ როგორც ღია ჭრილობას, როდესაც ჩვენ ვიხრჩობით სასოწარკვეთილებით და ვკვდებით უიმედობით.

ალბერტ აინშტაინი დოსტოევსკის მათემატიკოს კარლ ფრიდრიხ გაუსზე მაღლა აყენებდა და „დიად რელიგიურ მწერალს“ უწოდებდა, რომელიც „სულიერი ცხოვრების საიდუმლოს“ იკვლევდა. ფრიდრიხ ნიცშე კი დოსტოევსკიზე ამბობდა: სხვათა შორის, ერთადერთი ფსიქოლოგი, რომლისგანაც მე რაღაც ვისწავლე; ის ჩემს ცხოვრებაში ფორტუნას ყველაზე მშვენიერ გაღიმებებს შორის დგას. ის ფრიდრიხ ნიცშე, რომელმაც XIX საუკუნის დასასრულს მთელი მომდევნო საუკუნისთვის საბედისწერო პოსტულატი გვისახსოვრა, ღმერთის სიკვდილის შესახებ. ეს იყო უაღრესად სასოწარკვეთილი კაცის ფრაზა, რომლითაც მან კაცობრიობის ყველაზე უგუნური საქციელი ფორმალურად გააფორმა. „ნიცშემ „მოკლა“ ღმერთი და ომი გამოუცხადა წარსულს. „რა დაემართა ღმერთს? მე გეტყვით ჩვენ ის მოვკალით! ჩვენ ყველანი მისი მკვლელები ვართ.“ ფრიდრიხ ნიცშეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეფცია ღმერთის სიკვდილის კონსტანტაციაში მდგომარეობს. ეს არის იმის გაცნობიერება, რომ ქრისტიანულმა ღირებულებებმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა“ [ტურავა, 2014:60].

როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ნიცშეს ფილოსოფიური რომანი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ფარული შინაგანი ჭიდილისა და ტრაგიკულობის ნაყოფია. ნიცშე აღვსილია გულისჭიდილით, ეჭვებით, ყოყმანით და ღვთის დამუნათებითაც კი“, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჭეშმარიტი რწმენის მიღწევა [ჩხეიძე, 1997:45].

მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, ფრიდრიხ ნიცშეს მუდმივი გაორება, ანტითეზურობა მისი ბიოგრაფიიდან იღებს სათავეს, ფილოსოფოსის და მეცნიერის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. „ნიცშეს ბიოგრაფიაში უნდა ვეძებოთ მისივე აზროვნების გასაღები. დაკვირვებული თვალი მის ბიოგრაფიულ დეტალებშიც შეამჩნევს ურთიერთსაპირისპირო, შეიძლება ითქვას, ურთიერთგამომრიცხავ მომენტებს: ეკლესიურ ოჯახში აღზრდილი „პატარა პასტორი“, შემდეგში „ღმერთის მკვლელი“ და ახალი მოძღვრების ფუძემდებელი; ვუნდრეკინდი მუსიკოსი და კომპოზიტორი, შემდეგში _ კლასიკური ფილოლოგიის ახალგაზრდა პროფესორი, მოგვიანებით კი _ „თეორიული ადამიანის“ უარმყოფელი; ვაგნერით უზომოდ აღტაცებული, შემდეგში _ მრისხანე ანტივაგნერელი; გერმანული პატრიოტული იდეებით გატაცებული, ფრანგულ-პრუსიული ომის მოხალისე, შემდეგში - ყოველივე გერმანულის მიმართ მტრულად განწყობილი და გერმანელების „ქერა მხეცებად“ მომნათლავი; შოპენჰაუერით უზომოდ გატაცებული, შემდეგში _ შოპენჰაუერის კატეგორიულად უარმყოფელი... ამგვარი ანტონიმიების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება“ [მესხი, 2016:3-4]. ამ გაორებული მიდგომების, სულიერი დუალიზმის დაგვირგვინებად უნდა ჩაითვალოს ის ფრაზა, რომლის გარდაუვალობასაც ყველა გრძნობდა, მაგრამ მისი ფორმულირება მხოლოდ ნიცშემ გაბედა. ნიცშემდე ღმერთის სიკვდილი და რწმენის გარეშე დარჩენილი ადამიანის მარგინალობა, მარტოობა, სულიერებისგან დაცლა სწორედ დოსტოევსკიმ იწინასწარმეტყველა.

დიდი მწერლები თავიანთი ნათელმხილველობით კაცობრიობის მოტივაციას წვდებიან. ისინი ღრმად იკვლევენ ადამიანის ხასიათის ცვლილებებს საუკუნეების მანძილზე, რომ ნათლად წარმოგვიდგინონ ამ ტრანსფორმაციის საიდუმლო. ამიტომაც

თავიანთ მხატვრულ სახეებში ინტუიტიურად, შინაგანად სწორედ ამ საიდუმლოს გადმოგვცემენ. წინასწარმეტყველი თავის დროის გამოუთქმელ სურვილს მიენდობა, წერდა იუნგი, სიტყვით უჩვენებს იმ გზას, რომელსაც ყველანი ეძებენ, მიუხედავად იმისა, სიკეთის თუ ბოროტების, კურნების თუ ტკივილის მომტანია ეს გზა. კოლექტიური არაცნობიერი მწერალ-წინასწარმეტყველის პირად გამოცდილებად იქცევა და მის მხატვრულ შემოქმედებაში მკვიდრდება, მარადიული პრობლემები _ სიცოხლის არსისა და ადამიანური ურთიერთობების კვლევა, წარმოსახვებისა და გრძნობების სამყაროში ინაცვლებს.

მწერალ-წინასწარმეტყველის ინტუიციით შეძლო ლევ ტოლსტოიმ (1828-1910) ბრბოს კოლექტიური „მე“-ს დანახვა. ის გამუდმებით იკვლევდა ადამიანის შინაგან ბუნებას, რამაც მისი მარადიული არსის წვდომამდე მიიყვანა. მოთხრობაში „მამა სერგი“ ხალხი თავისი ჭეშმარიტი, ნამდვილი სახით წარმოგვიდგება. ამ ადამიანებს, რომელთაც კურთხევა და დახმარება სჭირდებოდათ, მწერალი თავისი პერსონაჟის თვალით უყურებს. მრავალრიცხოვან მრევლში ძნელი მოსაძებნია ნამდვილი ქრისტიანი, მართალი სული, რომელსაც ღვთის სიყვარული აქვს. მწერალი გვიჩვენებს მხოლოდ კოლექტიურ პრაქტიკულ ეგოიზმს: აქ მოსულებს ცოდვის მოშორება მხოლოდ პრაგმატული მიზნებით სურთ. ბრბო მწერლის წინაშე გაშიშვლებული წარსდგა: მას არასდროს სურდა ცხოვრების შეცნობა ან საკუთარი აზრების სხვებისთვის გაზიარება. რაც უფრო მეტი ადამიანი მიდიოდა ბრძენთან, მით უფრო მარტოსულად და მწუხარედ გრძნობდა იგი თავს. ტოლსტოიმ დახატა მორწმუნე ადამიანის საზოგადოებრივი ტიპი, რომლისთვისაც რწმენა მხოლოდ კომფორტის ზონაა, მაგრამ ამასთანავე ყოველთვის სიცივესა და გულგრილობას ინარჩუნებს, „ეს არის ყველაზე არარელიგიური, ცივი პირობითი ტიპი.“ თუმცა ვერ ვიტყვით, რომ რწმენის ამგვარი ზედაპირულობა მხოლოდ ტოლსტოის ეპოქის ნაყოფია, სულაც პირიქით. როგორც შტეფან ცვაიგი წერდა ლევ ტოლსტოის შემოქმედებაზე: ტოლსტოის ნაწარმოებებს არ ეტყობა კონკრეტული ეპოქის დაღი. თუ მისი მოთხრობების ნაწილი, ავტორის მითითების გარეშე, ჩაუვარდებოდა ვინმეს ხელში,

ვერავინ გაბედავდა ზუსტად დაესახელებინა მათი დაწერის არათუ ათწლეული, არამედ საუკუნეც კი, იმდენად ზედროულია თხრობა. ზედროულობა კი. მოგესხენებათ, წინასწარმეტყველების მთავარი ნიშანია [Е.Синицын, О. Синицына, Тайна творчества гениев (фрагменты из книги), Писатели-пророрки (ელექტრონული რესურსი)].

ცნობილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი (1866-1946) ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული და ნაყოფიერი მწერალია არა მხოლოდ ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში. შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე, 1895 წლიდან, მან დაწერა 40-მდე რომანი, მოთხრობების რამდენიმე ტომი, ათეულობით პოლემიკური წერილი ფილოსოფიურ და საზოგადოებრივი გარდაქმნის საკითხებზე და ა.შ. ჟიულ ვერნთან და ჰიუგო გერნსბეკთან ერთად უელსი ითვლება სამეცნიერო ფანტასტიკის მამად. 1895 წელს უელსმა გამოაქვეყნა პირველი რომანი „დროის მანქანა“, გამომგონებლის მოგზაურობაზე შორეულ მომავალში, მაგრამ წინასწარჭვრეტის განსაკუთრებული უნარი გამოავლინა 1914 წელს დაწერილ რომანში „განთავისუფლებული მსოფლიო.“ სწორედ აქ იწინასწარმეტყველა მასიური განადგურების ბირთვული იარაღის გამოყენება და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ უელსმა „განთავისუფლებული მსოფლიო“ კაცობრიობის გასაფრთხილებლად, ერთგვარი პრევენციის მიზნით დაწერა, რომანმა გამაოგნებელი შედეგი გამოიწვია. თუ მარკ ტვენმა თითის ანაბეჭდების გამოყენებაში ამერიკელ კრიმინალისტებს დაასწრო და პირველმა ასახა ეს მოვლენა თავის პროზაში, ჰერბერტ უელსის რომანი შესაძლოა, თავად გახდა ბირთვული იარაღის მაპროვოცირებელი. 1932 ფიზიკოსმა ლეო სილარდმა წაიკითხა უელსის რომანი „განთავისუფლებული მსოფლიო“, ერთი წლის მერე მან შეიმუშავა ნეიტრონების ჯაჭვური რეაქციის კონცეფცია, ხოლო 1943 წელს მიიღო პატენტი. ამიტომაც ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი კურტ ვონეგუტის ფრაზა, შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს მეტაფორული და გადაჭარბებული. რომანის გამოსვლიდან 31 წლის შემდეგ ამერიკელებმა ბირთვული

იარაღი გამოიყენებს იაპონურ ქალაქებში _ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. 57 წლის მერე ახდა კიდევ ერთი წინასწარმეტყველება ბრიტანელი მწერლისა, რომელიც მან გამოთქვა რომანში „კაცი, როგორც ღმერთი," ეს არის ხმოვანი ფოსტა.

ქართულ ლიტერატურაში, წინასწარმეტყველების თვალსაზრისით, პირველ რიგში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი-შედევრი „მერანი" იქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიძღვნითი პოეზიის ნიმუშია, ახალგაზრდა პოეტმა ზუსტად განჭვრიტა საკუთარი აღსასრული, „მძიმე ხვედრი", რასაც პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაპყრო ყურადღება, სწორედ იმ ილიამ, რომლის სახელსაც უკავშირდება ბარათაშვილის აღმოჩენაც და განჯიდან თბილისში გადმოსვენებაც. „კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულისკვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთის წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს".

ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი ზაზა აბზიანიძე. „იშვიათია ლექსი, რომელიც ერთსა და იმავ დროს, პოეტური ავტობიოგრაფიც იყოს და ანდერძიც, ძალზედ პიროვნულიც და, იმავდროულად, თავისი ეპოქის უძირითადესი ტენდენციის გამომხატველიც" [აბზიანიძე, 2020:89].

როგორ შეიძლება რაიმე ლოგიკა ეძიოთ ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა კაცის სიკვდილში, მაგრამ იმ სულიერი ჩიხიდან, რომელიც ბარათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსებიდან და წერილებიდან ჩანს, გამოსავალი, ვგონებ, ერთადერთი იყო, წერს ზ.აბზიანიძე. თუ კაცს არ სჯერა შემთხვევითობებისა და ფატალურად უცქერის ცხოვრებას, იმასაც დაიჯერებს, რომ განუზრახველი და გაუცნობიერებელი თვითმკვლელობაც არსებობს: სწორედ ასეთ თვითმკვლელობად თუ აღვიქვამთ „განჯის ციებისაგან" დასიცხული, უკვე თითქმის გამორჩენილი

ბარათაშვილის მიერ დალეულ იმ ერთ კათხა ცივ ლუდს, რომელმაც შეუბრუნა სენი და იმსხვერპლა კიდეც 1845 წლის ცხრა ოქტომბერს... განჯაში იმხანად ბარათაშვილის არცერთი ახლობელი არ იყო. არც არავის დაუტირია. განგებამ თითქოს აქაც ისურვა „მერანის“ მისნური წინათგრძნობა სიტყვასიტყვით აღსრულებულიყო. ბარათაშვილის ობოლ საფლავთან რუსული ეკლესიის გალავანში მაღალი კვიპაროსი მდგარა და მისი სიკვდილიდან უკვე კარგა ხანი რომ იყო გასული და საფლავის ქვაც დაიკარგა, პოეტის სამარეს სწორედ ამ კვიპაროსით აგნებდნენ... მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1893 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით, ბარათაშვილის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს, დიდუბის პანთეონში, ხოლო 1938 წელს, უკვე მის საბოლოო და მარადიულ თავშესაფარში – მთაწმინდაზე... [აბზიანიძე, 2020:91].

წინასწარმეტყველურია კ. გამსახურდიას „ტაბუ“(დაიწერა 1925-27 წ.წ.), თუმცა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან განიხილავდა *(მაგ. იხ. ბენაშვილი 1962:14-16).* „ტაბუში“ არარსებული სოციალისტური იდეები აღიზიანებს ბესარიონ ჟღენტსაც. ამიტომაც არ დაიშურა კრიტიკა *(იხ. ჟღენტი 1967: 24-25).* ზ. გამსახურდიამ კი გამოკვეთა ნაწარმოების არსიცა და მისი წინასწარმეტყველური ხასიათიც: “ ნოველაში აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე... წითურმა ეშმაკმა ჯერ ერთმანეთს მიუსია მარგალები და აფსუები,ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა ეს არ არის კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?“ [გამსახურდია ზ. 1990:57].

აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისით კი, თუ „ხოგაის მინდიაში“ ღმერთთან კავშირია ადამიანის ტრაგედიის მიზეზი, „ტაბუში“ სატანასთან ურთიერთობა ღუპავს მას. აკაკი ბაქრაძე ასკვნის:„ადამიანმა ადამიანურის სამანს არ უნდა გადააბიჯოს, თორემ უბედურება არ ასცილდება. აქ სულერთია, იქნება იგი ღვთაებრივთან წილნაყარი თუ ეშმაკის თანაზიარი“ [ბაქრაძე 2004 (II):292]. „ადამიანურის სამანის“ გადალახვა,

მარგინალობა, რაც მეოცე საუკუნის ლიტერატურის მთავარ თემებად იქცა, ასე იწინასწარმეტყველა, შეიგრძნო კონსტანტინე გამსახურდიამ, ზვიად გამსახურდიას მამამ, რომელმაც დიდად განსაზღვრა შვილის ლიტერატურული პოზიციაც, გემოვნებაცა და მსოფლმხედველობაც.

როგორც პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს, თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობით კ. გამსახურდიამ წარმატებით განაგრძო და კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ე.წ. აფხაზური თემის ტრადიცია. ამ თვალსაზრისით მისი „მთვარის მოტაცება“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ განუყოფელი თანაცხოვრების შესახებ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო დამკვიდრებული ქართველებსა და აფხაზებს შორის. გამსახურდიას რომანის ქართველი და აფხაზი პერსონაჟები ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობებით იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ეროვნულ-ენობრივი ნიშნით მათ შორის არანაირი გამიჯნვა არ არსებობს. თავიანთი საერთო ისტორიითა და დღევანდელობით ისინი ერთი ქვეყნის, ერთი სამშობლოს შვილები არიან [ნიკოლეიშვილი, (ელექტრონული რესურსი)]. „ტაბუში“ მწერალმა ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირება გვიჩვენა, რითაც იწინასწარმეტყველა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში დატრიალებული სისხლიანი კატაკლიზმები, როცა ორი მოძმე ხალხი უფროსმა ძმამ ისე გადაჰკიდა ერთმანეთს, რომ საუკუნეობრივი სიყვარული დაავიწყა. ამგვარ წინასწარმეტყველებას ვხვდებით ოთარ ჩხეიძის „ბორიაყშიც“: „ოთარ ჩხეიძემ ათწლეულებით ადრე იწინასწარმეტყველა მეჯვრისხევისა და მერეთის, ტყვიავისა და ძევერას, ჯავახაანთისა და აჩაბეთის, ნიქოზისა და ფხვენისის, მთელი ლიახვის ხეობის, ისტორიული სამაჩაბლოს ახალი განსაცდელი, ივარაუდა, მათი განახლებული მოლოდინი ერთიანი საქართველოს ნაწილად და სისხლ-ხორცად აღიქმებოდეს სამარადისოდ...“ [ტურავა, 2014:290].

სიტყვას წინასწარმეტყველური ძალაც აქვს უპირველესად, რისი დასტურიც არის მხატვრული ლიტერატურა, ის უკვდავი შედევრები, რომელთა ნაწილიც სწორედ ამ კუთხით განვიხილეთ ჩვენს ნაშრომში.

1.2. ენიგმის პოეტიკა

საბერძნეთში ძვ. წ. აღ. მეხუთე საუკუნეში სიმბოლო და ალეგორია უკავშირდება ტერმინ *აინიგმას (ენიგმას).* პოემის ენა, რომელიც დაკავშირებულია ორფეოსსა და ჰომეროსთან, საერთო ნიშნებს დელფოს სამისნოსთან აჩენდა [სიგლერ ა., 2008].

ალეგორიას (ბერძნ. „სხვაგვარად თქმა“) „ანტიკურობის ლექსიკონი“ განმარტავს როგორც რიტორიკის ფიგურას - განვრცობილ, ფართო შედარებას. აბსტრაქტული ცნებებისა და საგანთა ურთიერთმიმართებების სახეობრივი წარმოდგენა მხატვრობაში აპელესის, ლიტერატურაში კი ჰომეროსის დროიდან იწყება, ტრადიციას ელადაში განაგრძობენ ჰესიოდე და არქილოქე, მოგვიანებით კი, უკვე რომში - ვერგილიუსი, ჰორაციუსი და ოვიდიუსი. პირველ კლასიკურ ალეგორიულ ტექსტად მიჩნეულია პრუდენციუსის „ფსიქომაქია“ (“Psychomachia”), რომლის რემინისცენციებსა და ალუზიებს აქტიურად იყენებდნენ შუა საუკუნეებში [Словарь Античности, 1989: 25].

აინიგმა გამოცანად/დაფარულად ითარგმნება, მაგრამ ანტიკურ სამყაროში ჰქონდათ სხვა ტერმინიც - გრიფოსი, რომელიც გამოხატავდა სიტყვიერ თავსატეხებს - მარტივ კალამბურებსა და ილეთებს ასოებით, რომლებიც ამოხსნისთნავე უინტერესო ხდება [ეკოლანი ა., ჯორდანო დ., 2016: 131-154], მაგალითად, სფინქსის გამოცანა იმსახურებს, იწოდებოდეს აინიგმად: ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, შუადღისას - ორზე და საღამოს - სამზე? (იგულისხმება ადამიანი, რომელიც „დილით“ (ჩვილობისას) ოთხზე დადის, „შუადღისას“ (ახალგაზრდობასა და მოწიფულობაში) - ორზე და „საღამოს“ (სიბერეში) - სამზე (ჯოხით) - ნ.ქ.)

ესაა რთული მეტაფორა, რომელიც შემოქმედებითობისკენ აღგვძრავს, ადამიანური ცხოვრების ჭვრეტას გვიხსნის ოიდიპოსის იგავის წყალობით.

რომაული გამოცანის არსი იყო სადილისშემდგომი გართობა, რაც ბერძენთა და რომაელთა ჩვეულებას წარმოადგენდა (აინიგმაც, მეორე მხრივ, მიმართულია რაღაც იდუმალის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი გაგებისკენ).

ლათინური გრიფოსი და ბერძნული აინიგმა ჯერ კიდევ გამოხატავენ სხვაობას ძირითადი იდეისა სიტყვიერ თავსატეხებში. ენიგმა რჩება მნიშვნელოვან ტერმინად ნაწერისა, რომელიც ორიენტირებულია აზროვნების სიჭარბეზე და ინტერპრეტაციის სურვილს აღძრავს.

ტერმინ საიდუმლოს/დაფარულის/იდუმალის კლასიკურ, შუასაუკუნეობრივ და თანამედროვე სალიტერატურო კულტურაში გამოყენება გულისხმობს ისეთი დაფარული ხერხისა და სტილის აღიარებას, რომელიც უპირისპირდება დიდაქტიკურ-ეზოთერულ განსაზღვრას.

დიდაქტიკური ტექსტები შეიცავს პროგრამას, რომელიც დამოუკიდებელია იმისაგან, თუ რა ლიტერატურულ საშუალებებს იყენებენ გარკვეული შეტყობინებისა თუ მყარი მოსაზრების გადმოსაცემად [გლეისერი ნ., პინელი ს., 2003: ....] მეორე მხრივ, ეზოთერული ტექსტი ე.წ. პრივილეგირებული ცოდნიდან, რჩეულის გარდა, ყველას გამორიცხავს.

როგორც დიდაქტიკური, ასევე ეზოთერული ტექსტი ცდილობს, მკვეთრი ხაზი გაავლოს შინაგანსა და გარეგანს შორის მაშინ, როდესაც ენიგმური იწვევს მკითხველს უსასრულო ჭვრეტისაკენ, აქეზებს ინტერპრეტაციისათვის, რაკი ორიენტირებული არტიკულაციას აღმატებულ რეალობაზე.

თანამედროვეობაში ენიგმის ყველაზე გავრცელებული სახეობაა სახალისო, სერიოზული დიდაქტიკური დარიგებებისაგან თავისუფალი [კეძიერსკა ბ., ნეკ-გოზდეკი ი., 2015: 251-260]

ძველად სალიტერატურო ხელოვნება (დღევანდელი გაგებით, გრამატიკა და რიტორიკა) საიდუმლოს/დაფარულს/იდუმალს (ენიგმას) განსაზღვრავდა, როგორც

წინასწარი განზრახვით გადმოცემულ ბუნდოვანი ალეგორია, რაღაც საშუალოს ღიაობასა და დაფარულს, გამჭვირვალესა და გაუმჭვირვალეს/ბუნდოვანს შორის.

რა ჰქონდა მიზნად ასეთ სახალისო დაბრკოლებებს? ძველი ავტორები ასეთ შეკითხვას პირდაპირ არასდროს დასვამდნენ. ისინი კითხვის ისეთ პროცესს გვთავაზობდნენ, რასაც სულიერი ზრდისკენ მივყავართ - როგორც გაგების, ისე - გაგებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით. ამგვარი ტიპის აზროვნება მხოლოდ შინაგანი ჭვრეტის უნარით დაჯილდოებულებს ეწყალობებათ (ეზოთერიკოსთ) და არ გააჩნიათ მხოლოდ გარეგან შინაარსზე ორიენტირებულებს (დიდაქტიკოსთ).

ყველაფერი დამოკიდებულია რეალობის ისეთ აღქმაზე, რომელიც იდუმალებასთანაა თანაზიარი, რომელიც გამოცანით/დაფარულითაა შებურვილი. ავგუსტინე ხშირად ციტირებს პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ: რამეთუ ვხედავთ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ, აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შევემეცნე. ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაი,სასოებაი და სიყუარული, სამი ესე: ხოლო უფროის ამათსა სიყუარული არს (13:11)

ახალ აღთქმაში ეს ერთადერთი განსაზღვრებაა ენიგმისა, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ღვთაებრივი ცოდნის შემეცნების ზღვრულობას, არააბსოლუტურობას.

იმის აღნიშვნით, რომ არაფერია უფრო დიდი საიდუმლო, ვიდრე ჩვენივე თავი, ავგუსტინე იკვლევს ცნობიერ(ებ)ის გამოცდილებას. საბოლოოდ, ის პოულობს ადამიანის გონების „მონაწილეობის“ კვალს სიტყვის (ლოგოსის) განხორციელებაში - იოანეს სახარების ექსპოზიცია - „პირველითგან იყო სიტყუაი“ - ყველაზე საიდუმლო გამოცანად, ყველაზე ტევად ენიგმად მიაჩნია.

შუასაუკუნეობრივი საღვთისმეტყველო კონცეფციით, სამყარო აღიქმებოდა ღვთაებრივის გამომჟღავნებად, ანარეკლად. მთელი ბუნება და ისტორია სავსეა გამოცანებით/დაფარულით - ფარული ენიგმებით, მინიშნებებით.

კითხვის ბერული პრაქტიკა და მედიტაცია ოდითგანვე წმინდა წერილს აღიქვამდა სამყაროს ენიგმური შიფრის გასაღებად. შუასაუკუნეების რელიგიური შრომები და ენციკლოპედიები ლათინურ სიტყვა სარკესაც ამავე მნიშვნელობით იყენებენ.

ქრისტიანული სამყაროს წარმოდგენა თავად სამყაროზე, როგორც საიდუმლოზე, ლათინურ ლიტერატურაში წმინდა ალდჰელმის ენიგმებში გამოიხატა [წმ. ალდჰემი, 2015].

ენიგმის გამოყენება საღვთო თუ ადამიანურ საიდუმლოებებში წვდომის მცდელობისას პოეტური ენის შესაძლებლობებსაც.

არცერთ ავტორს ისეთი წარმატებით არ გამოუყენებია ენიგმურის პოტენციალი საღვთო და ადამიანურის საიდუმლოებების წარმოჩენისას, როგორც ეს დანტე ალიგიერის („ღვთაებრივი კომედია“).

არანაკლებ მნიშვნელოვანი ტექსტია ინგლისური ლიტერატურის ნიმუში „მეგუთნე პირსი“ [სქეიზი ვ., 1989].

თუკი ჩოსერი ინგლისური ლიტერატურის მამაა, მაშინ ლენგლენდი პაპა ყოფილა - მან შვიდი ათასი სტრიქონი მიუძღვნა ძილში მიმდინარე ძილის (სიზმარში დასიზმრებული სიზმრის) შესახებ დაწერილ ენიგმურ პოემას.

ტექსტი არა მხოლოდ შუასაუკუნეების პარამეტრებითაა მნიშვნელოვანი, არამედ - ყველა დონეზე, სასკოლო გამოცანებით დაწყებული, თეოლოგიური მსოფლხედვებით დამთავრებული.

შუასაუკუნეების ეკლესიას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა პოეზიაზე და ისიც, ენიგმურის ნაცვლად, ეპოქის კანონიკიდან გამომდინარე, უფრო დიდაქტიკურ-ეზოთერული იყო. თომა აქვინელის მიერ შედგენილი კატეხიზმო პოეტთა შთაგონების წყაროდ იქცა [უსპენსკი ე., 1895]

ლენგლენდი უღრმავდება წმინდა წერილის საიდუმლოებებს, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მას რეფორმაციის მიერ ლიბოდადებული პროტესტანტიზმის წინამორბედად მიიჩნევენ.

რელიგიური კლიმატი თანდათან უფრო არასახარბიელო შეიქმნა ენიგმური პოეზიისთვის. რამდენადაც კულტურა უფრო და უფრო სეკულარული ხდებოდა, ის საიდუმლო მოდუსების სათამაშო არენად იქცა გახდა, რომელიც თითქოს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე გადავიდა - ადამიანურ განზომილებაში. ასეთი ძვრა შეიმჩნევა მეგუთნე პირსის თეოლოგიურ ხედვებსა და „კენტერბერიული მოთხრობების“ ადამიანურ კომედიებში, ან დანტეს „ღვთაებრივ კომედიასა“ და ბოკაჩოს „დეკამერონში.“

ენიგმა, ერთგვარად, იქცევა ნეოკლასიციზმის ალტერნატივად, რამდენადაც კლასიკური ლიტერატურა ამჯობინებს დახვეწილსა და მკაფიოს - საპირისპიროდ ბუნდოვანისა და რთულისა (მაგალითად, ჯონ დონის სტილი, რომელიც მეტაფიზიკის ელემენტებს შეიცავს, უპირისპირდება ბენ ჯონსონის კლასიციზმს. ისევე, როგორც რომანტიზმს უორდსვორთისა და კოლრიჯისა, მეთვრამეტე საუკუნის კლასიცისტური სტანდარტების საპირისპიროდ, როდესაც რელიგიური დისკურსი არ იწონებს ამა თუ იმ ტიპის თამაშს, რომელიც აუცილებელია რეალობაზე შეხედულების ამგვარი კულტივირებისათვის).

ლიტერატურა იქცევა ერთგვარ ალტერნატივად, როგორც მას აღიქვამდნენ მეთიუ არნოლდი, თომას ელიოტი და ე.წ. „ახალი კრიტიკოსები“, რომლებიც ოპერირებდნენ ანტიკური ენიგმური სახელებით („ანტისთენოს“, „ტაუროსთენოს“ (ხარის ძალის მქონე), „ჰეგესტრატოს“ (მხედართმთავარი), „პატროკლეს“ (მამასავით

ცნობილი), „ჰერაკლეს“ (ჰერას მიზეზით ცნობილი), „დიოტოტოს“ (ზევსის ნაჩუქარი), „ჰეროდოტოს“ (ჰერას ნაჩუქარი), „მარკუს“ (მარსისეული)...

ძველი სახელების ონომასტიკის პრინციპების შესწავლა ცხადყოფს, რომ საგნისა და იდეის სახელთან მიმართების ამგვარი გაგება გავრცელებული იყო ძველი მსოფლიოს მისტერიებსა და რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლებში, შუმერულ-აქადურ, ძველ ინდურ სამყაროში, ზოგადად, ძველ აღმოსავლეთში.

ენიგმათაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ქვაბი (გამოქვაბული), აქტუალური ქრონოტოპულად უაღრესად დაშორებულ კულტურებსა და ცივილიზაციებში.

როგორც ბრიტანული ლეგენდა გვაუწყებს, მეფე არტური ქვეყნის დასახსნელად ბრიტანეთში დაბრუნებამდე ავლონის გამოქვაბულში ცხოვრობდა (სხვათა შორის, სწორედ ამ გამოქვაბულის სახელიდან მომდინარეობს გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი ფსევდონიმი - ავალონ კარდუელი).

ბიბლიის მიხედვით მაქფელაქის ქვაბის, ანუ იგივე გამოქვაბულის მფლობელი იყო აბრაამი, სადაც დაიმარხა კიდეც. გამოქვაბულში ჰქონდა საკურთხეველი და სამკვიდრებელი ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველს. როდესაც ცოდვების გამო პირისაგან მიწისა აღიგავა სოდომი,ლოტი ქვაბს აფარებდა თავს.

გამოქვაბულის თემატიკას ვხვდებით ემპედოკლეს, პლატონის, არისტოტელეს ფილოსოფიაში. ამავე დროს ქვაბი საყოველთაოდ გავრცელებული სამკვიდრებელია ქრისტიან მოღვაწეთა და წმინდანებისა. „ქართლის ცხოვრებაც“ ,მოგვითხრობს ფარნაოზ მეფის მიერ ქვაბში საუნჯის პოვნის ამბავს.

ჩვენამდე მოაღწია ხუთი სოფისტური რომანის ხელნაწერმა, რომელთა ავტორები არიან ხარიტონი, ქსენოფონტე ეფესელი, აქილევს ტატიუსი, ჰელიოდორე და ლონგე. აქ ძველთაგანვე კლიშეებად ქცეული მოთხრობები, შეყვარებულ წყვილთა ამბები

სოფისტური რიტორიკის სტილშია წარმოდგენილი და ემსახურება შემეცნებით მიზნებს.

სიუჟეტური სქემა ტრადიციულია და გვაგონებს წინარერომანის ძირითად მახასიათებლებს: ჩვენ წინაშეა შეყვარებული წყვილი, უეჭველად მაღალი არისტოკრატიული წარმოშობისა, გადმოცემულია მათი ტრაგიკული (ძირითადად) თავგადასავალი, რომლის მიუხედავად, ისინი რჩებიან ერთმანეთის ერთგულნი, ბოლოს რომანი აუცილებლად ბედნიერი ფინალით მთავრდება.

შეყვარებული წყვილის ფათერაკები გამოწვეულია ავი ბედისწერით (ფატუმით, მოირათი), ღვთაების მიერ დევნით, ძლიერთა ამა სოფლისათა, ყაჩაღების, მეძავების მტრობით და ა.შ. ახალგაზრდა წყვილი გაივლის ტყვეობას, მონობას, ციხეს, წამებას, ხშირად სიკვდილმისჯილიც კია.

მოქმედების ადგილი გამუდმებით იცვლება, ხშირია უცხო კუნძულზე მოხვედრის, ზღვით გატაცებით მოტივი. უმძიმეს განსაცდელს გადიან, მაგალითად, ჰელიოდორეს რომანის - „ეთიოპიკის“ (IV ს.) გმირი, ბრძენი ქალწული ქარიკლეა (ქარიკლეს ასული), სოფისტური სიბრძნის სიმბოლო, და მისი მიჯნური თეაგენე („ღვთის შობილი“).

ქარიკლეა აპოლონის მისტერიებსაა ზიარებული, წინასწარმეტყველია (იგი, ამავდროულად, სულისა და გონების სიმბოლოცაა).

ამგვარ რომანებს თავიდან ეროტიულს უწოდებდნენ სასიყვარულო სქემის გამო, მაგრამ მათი ფილოსოფიური, ალეგორიული გააზრების შედეგად ჩამოყალიბდა ტერმინი „არეტოლოგიური რომანი“ („არეტე“ – სიქველე, მამაცობა, კეთილშობილი აზროვნება).

ამავე დროს, ამგვარ თავგადასავლებში შეუძლებელია ვერ შევიცნოთ ადამიანის სულის (ანიმას) ბედი და თავგადასავალი, რომელიც ნაირგვარი ალეგორიული

ვარიაციით ფიგურირებს ძველი მსოფლიოს პოემებსა და წინარერომანის სხვადასხვა ნიმუშში.

წინასწარმეტყველნი საღმრთო ნებას, ღვთიურ გამოცხადებას გადმოსცემენ ამაღლებული, ზეგარდმო შთაგონებული სიტყვით, რასაც განუმარტავენ მრევლს. ტერმინი „პროფეტული“ შეიძლება განსაზღვრავდეს გარკვეულ რელიგიურ მიმართულებებსაც.

წინასწარმეტყველნი მოქალაქეთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ერეოდნენ და ხშირად გამოდიოდნენ დამცირებულთა, დევნილთა და გაჭირვებულთა დამცველებად. ისრაელი ღმერთს მხოლოდ მაშინ მიეახლება, თუ ლოცვითა და მონანიებით განიწმინდება.

წინასწარმეტყველება ყოველთვის ზეშთაგონებული ფრაზა-კონსტრუქციებითაა წარმოდგენილი.

ლიტერატურული ტექსტის წინასწარმეტყველება განსხვავებული, თავისებური და ინდივიდუალურია. წინასწარმეტყველების აღმნიშვნელი სიტყვები და ფიგურები (ფრაზა-კონსტრუქციები) დასავლურ ენებში, უპირველეს ყოვლისა, სივრცული ხასიათისაა და წინასწარმეტყველებას სივრცედ გარდაქმნის, ამიტომ შეუძლებელია წინასწარმეტყველების უშუალო რეპრეზენტაცია - ის განყენებისკენ მიისწრაფის. ტერმინი „წინასწარმეტყველება“ ტროპია, თუ მეტად დავაკონკრეტებთ, ესაა კატაქრეზისი ანუ შეუსაბამო განმარტება იმისა, რაც შეუცნობელია.

ტერმინ იდუმალის/დაფარულის კლასიკურ, შუასაუკუნებრივ თუ თანამედროვე სალიტერატურო კულტურაში გამოყენება გულისხმობს ისეთი დაფარული ხერხისა და სტილის აღიარებას, რომელიც უპირისპირდება დიდაქტიკურ თუ ეზოთერულ განსაზღვრას.

სიმბოლოს არსზე გამოწვლილვით მსჯელობს ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე ალექსეი ლოსევი წერილში „სიმბოლოს ლოგიკა“, რომელშიც

აღნიშნავს, რომ „სიმბოლოდ გარდაქმნილ-აბსტრაჰირებული აზროვნება თავის მიერვე „უკუგდებულ“ ობიექტურ რეალობას უბრუნდება“ [Лосев А., 1991: 249], თუმც, ცხადია, ეს უკვე განსხვავებული რეალობაა - ინტერპრეტირებული (აბსტრაჰირება ინტერპრეტირებას გულისხმობს).

ლიტერატურისგან მკითხველი მრავალ რამეს მოელის. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მათში ჭეშმარიტების ძიება სულ უფრო და უფრო ჭირს. ზოგადად კი ლიტერატურული ჭეშმარიტებისა და სიმართლის საკითხი ყოველთვის რთული იყო.

ზ. გამსახურდიას აზრით, ალეგორიას მოკლებული ლიტერატურა შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც განზოგადების უნარი არ გააჩნია და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს [გამსახურდია ზ., 1991:32]. ანალოგიურს აცხადებდა კ.გამსახურდია: პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს. ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო, მაგრამ ჟამიდან ჟამზე პოეტი იძულებული ხდება, ეს ჩაიდინოს და ცნებების ენით ელაპარაკოს მკითხველს“ [გამსახურდია კ., 1992:380]. კლასიკოსის თხზულებებში შეფარვით,იგავურად,ენიგმურად გადმოცემულია ეპოქის მართმხილება თუ მომავლის წინჭვრეტა. როგორც ლ. სორდია შენიშნავს: „ მწერალი მოვლენებთან მიდის ისორიკოსის, მითოლოგის, ფსიქოლოგის, ესთეტის პოზიციებიდან. სინამდვილისა და გამონაგონის სინთეზირებით, ინტუიციურ და ინტელექტუალურ ინტუიციაზე დაყრდნობით მწერალი ქმნის თავის განუმეორებელ ხელწერას... კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟები დიდი ინტუიციით, წინათგრძნობით, წინასწარმეტყველური ხილვებით გამოირჩევიან. მწერალს აინტერესებს არა მხოლოდ პერსონაჟების, მთელი ქვეყნის მომავალი, მისი მზერა გამუდმებით მიმართულია მერმისისკენ. მის ნოველებში, რომანებში, წერილებში აქცენტირებულია ბედისწერის მოტვიი, ინტერესის საგანია წინასწარმეტყველური სიზმრები, ხილვები, იგავურად მინიშნებულია მომავალზე“ [სორდია ლ., 2011:164]

მრავალმხრივ საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას იგავები იმ მხრივაც, რომ მან გააცოცხლა თანამედროვე მწერლობაში მივიწყებული ეს ჟანრი და მეტი ელფერიც

შესძინა. ზვიად გამსახურდიას იგავები პროფეტული ბუნებითა და ენიგმატურობითაც იქცევს მკითხველისა თუ მკვლევართა ყურადღებას. როგორც ი. მილორავა შენიშნავს: „ლაკონიური, ზუსტი, კომპოზიციურად შეკრული და ნათელი იგავები შეიცავს სათქმელს, რომელიც ორმაგად კოდირებულია-ზედა ნაპირზეა თანამედროვე მკითხველისთვის გასაგები, საჭირო, აღმზრდელობითი, მორალურ-ეთიკური თეზა და მასზეა დამაგრებული მეორე, უფრო ფარული და ამავე დროს ემპირიულ დროში გახსნილი პლანი, რომელიც მხოლოდ ამ იგავების დაწერიდან კარგა ხნის მერე ხდება საცნაური“ [მილორავა ი., 2020: 379].

ტრანსფორმაციის საოცარი მაგალითია იგავი **„თერსიტეს გაცოცხლება,“** რომელიც ერთდროულად ზვიადის თანამედროვე ეპოქის ამბებს მოგვითხრობს და მომავალშიც გვახედებს. ავტორის მიერ დროის მანქანის გაცოცხლება „ალეგორიულად მიგვანიშნებს ძველი ვითარების შერყევასა და მორალური საფუძვლების მოშლაზე. თუმცა ღმერთს მოკლებული სინამდვილის ეს ტკივილი იგავებში ყველგან შეფარულია“ [ყალიჩავა თ., 2011:105]. ჩემია აწმყო და რაც მთავარია, მომავალი,- ამბობს თერსიტე,ამიტომაც მისია აწყმო. თავისი მიზნის მისაღწევად ცდილობს თავისი „დროის მანქანის“ გამოგონებას, რომლითაც შეძლებს ყველა ღირსეული და პატიოსანი ადამიანის გადადენას წარსულში.[გამსახურდია ზ.,1987: 32]. აქ თითქოს წინათგრძნობა გაბუნდოვანდა ბუნებრივი სამყაროს შეზღუდულობით.

ზ. გამსახურდია, რომელიც შესანიშნავი ანალიტიკოსია თანამედროვე პროცესებისა, ალეგორიულად გადმოსცემდა თერსიტეთა სარბიელს, მიზეზ-შედგობრივ კავშირს, თუ როგორ გამოდიან ასპარეზზე მსგავსი პერსონაჟები. „სოციალიზმის დადგომამ დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძნობის დაკარგვა. ადამიანმა თავისი თავი დაინახა მოჩვენებით მწვერვალზე და ამით დაკარგა აღმასვლის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება. ღმერთკაცის ნამდვილი გზისგან სამუდამოდ აცდენილი საზოგადოება კი თერსიტე გაბატონებას მოიხვეჭს და უდავოდ დასაღუპავად იქნება განწირული. ამ მრუდე გზაზე შემდგარი

საზოგადოება საბოლოოდ განდგება ყოველგვარი სულიერი იდეალებისგან და აპათიისა და დეგრადაციის გზას დაადგება“ [გამსახურდია ზ., 1995:59].

„სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკზე“ , რომლის შინაარსი მაშინ ბევრმა ვერ გაიგო, ზვიად გამსახურდია ამბობდა, რომ დაწერა წინასწარმეტყველური ზღაპარი. შეგვეძლო გვესაუბრა ტექსტში მოცემულ ცალკეულ სიმბოლოებზე, მაგრამ მათზე მსჯელობა ძალზე შორს გადაგვახვევინებდა თემიდან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ ენიგმური წინასწარმეტყველურზე ნაკლები როდია. ტექსტის დეკოდირების თვალსაზრისით საინტერესოა თ. ჯანჯღავასა და ლ. ანდღულაძის მოსაზრებები. ენიგმურ ტექსტში ასახულია საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ამხდრება. უმზეო ქვეყანა „ყინულეთი“ რუსეთის სახეა, ხოლო სასწორთვალა- ბოროტების მანქანის მეთაური. სახელმწიფო კარზე დაწინაურების გარანტი „სასწორთვალას“ მიერ აწონვაა. ავტორი არც მოღალატე ქართველებს ინდობს , სწორედ მათ განასახირებს სასწორთვალას სტუმრები. „აუწონავი ხმის ჭაბუკში კი იგულისხმება თავად ავტორი, რომელიც „ყინულეთის ქვეყანაში“ ყინულს დაადნობს და სასწორთვალლასაც გააგებინებს, რომ იმ ერს,სადაც პატრიოტები ცხოვრობენ, ვერ დაიმონებს და დაიმორჩილებს სამუდამოდ“ [ჯანჯღავა თ., ანდღულაძე ლ., 1995:12]. აკი ასეც ხდება, აუწონავი ხმის ჭაბუკის გამოჩენის შემდეგ ყინული ლღვება და ბოროტ პერსონაჟთა სამკვიდრებელი დავიწყების ქალაქი ხდება.

„სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკში,“ უწონადი ხმის ჭაბუკი მსხვერპლისა და სიყვარულის გამოხატვით იდილიური ქალაქის გარდაქმნის ფონზე გვევლინება. იმდენად ღრმა ენიგმაა აქ მოცემული, რომ სპეციალური დაკვირვების გარეშე მისი ამოცნობა შეუძლებელია:ხელმწიფე და დიდებულები არნახული მუსიკის ჰანგებმა გამოაღვიძეს. საოცრად შეცვლილი დახვდათ ქალაქი. არსად იყო ყინული და ავდარი! სივრცე შვიდფერად გალობდა. თორმეტ ხმად ასხივებდნენ მიწაზე ჩამოსული გაცოცხლებულ მნათობთა დასები. ვერძების ნასისხლარზე უცნაური გარეგნობის ხალხი ამოსულიყო. თავის ქალები თორნეებად ქცეოდათ, აღარც აბედი

სჭირდებოდათ, აღარც კვესი, გულით ინთებდნენ ენებს, ხოლო ენით თავის ქალის თორნეებს, საიდანაც ნელსურნელება იფრქვეოდა ენით უთქმელი [გამსახურდია ზ., 1987:60].

მარადიული ქმედების, გარდაქმნისა და წინსვლის დინამიკაში იბადება ახალი ქალაქი, უკვდავი ქალაქი: „უკვდავების სახაბაზო," - ეწერა ქალაქის გალავანს ფიქრის ასოებით. მეფემ უცნაური სისუსტე იგრძნო. კარისკაცებმა უკან დაიხიეს. უეცრად ცა გაიხსნა და გამოჩნდა ცეცხლის მერანზე ამხედრებული შვიდფერმშვილდოსანი ჭაბუკი. „დაუბრუნდი შენს თავს, მეფეო," - დაუძახა მან მეფეს, ხოლო დიდებულებს მიმართა: „გასწით თქვენს ქალაქში." მეფე სიცილის ხიდისაკენ გაემართა. ხიდის თავთან მისანი დაუხვდა, რომელმაც უწინასწარმეტყველა ჭაბუკის გამოჩენა. მეფე დააკვირდა მისანს და სასწორთვალა შეიცნო. მას აღარ ჰქონდა თვალებში სასწორი, სასწორი ახლა ხელთ ეპყრა მას, ხოლო მეორე ხელში ახალი, ჯერაც აუნთებელი ჩირაღდანი ეკავა" [იქვე: 68-69].

გვახსენდება კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი", რომელიც, „ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრის მიერ მოტანილ უბედურებათა მხილებასთან ერთად, მომავალში გახედვის მცდელობაც არის. იმპერიული რუსეთის სახეა რუსის ოფიცერი სლანსკი, იგი შემდგომ გარდაისახა ღაწვმაღალ, ყვითელეპოლეტებიან მონღოლად, რომელიც ჩრდილოეთის მეფის კოშკში ტახტზე ზის და მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, ხოლო მის გვირგვინში ჩასმულია თამარ მეფის გვირგვინიდან მოპარული ალმასი" [სორდია ლ., 2011:164].

მრისხანება არა მარტო სიკეთის, არამედ ბოროტების მიმართაც ანგრევს ადამიანის სულიერ სამყაროს. ეს არანაირად არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ უნდა არსებობდეს დაუნდობელი დამოკიდებულება ბოროტების მიმართ და რომ მასთან შერიგება შეუძლებელია. „ფრთოსნებმაც დასტოვეს ოქროსმატყლიანი ვერძები, კელაპტრებიც ჩაქრნენ. დიდებულებმა გამოსტაცეს ჭაბუკს აყვავებული კომბალი, რომელიც მაშინვე გახმა, ბორკილი დაადეს ქედზე, წაიყვანეს და უზარმაზარ ხაროში ჩააგდეს, შემდეგ

მიწით ამოავსეს ხარო. მერმე წავიდნენ, მორეკეს ხიდის გამოღმიდან ცოფიანი კატები, შეუსიეს ცხვრებს და მუსრი გაავლეს. სისხლის ტბა დადგა მოედანზე. გველიც ნაკუწ-ნაკუწად აქციეს კატებმა, დიდებულები სახეგაბადრულნი დაბრუნდნენ ხელმწიფესთან.“ [გამსახურდია ზ.,1987:67]. ბოროტების აღორძინება საოცარი დრამატიზმით არის გადმოცემული. ცრუ ორიენტაცია არის ჯოჯოხეთის შექმნა, ჯოჯოხეთური სამეფოს კრისტალიზაცია სიკეთისთვის ბრძოლის სახელით. ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ დათრგუნვითა და განადგურებით არ შეიძლება. ბოროტება უნდა დაამარცხო და დაძლიო. ჭეშმარიტი სულიერი მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ სიკეთის ძალის უფრო გჯეროდეს, ვიდრე - ბოროტის, ღმერთის უფრო მეტად, ვიდრე - ეშმაკის. აქედან მსოფლიოში იზრდება სიკეთის ძალა. სამყაროში სიკეთის ძალა იზრდება კეთილი გრძნობებისაგან და ბოროტი გრძნობებისგან იზრდება ბოროტების ძალა. სულიერი სისუფთავის ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ადამიანები თითქმის არ სცნობენ. ზვიად გამსახურდიას მოძალებული გაღიზიანებით გამოწვეული განცდების მიუხედავად, არ დაუკარგავს საღვთო სინათლის განცდა და მისი მადლი და ძალმოსილება.

სახელმწიფო მოწოდებულია ამქვეყნად ბოროტებასთან საბრძოლველად და შეზღუდოს სამყაროში ბოროტების საზღვრები. მაგრამ სახელმწიფო ადვილად იძენს თვითკმარ ხასიათს, იქცევა თვითკმარ მიზნად, ბრმების ქვეყნად. საშუალებები, რომლითაც სახელმწიფო იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, ადვილად გადაიქცევიან ბოროტებად, აღმოჩნდებიან ბოროტ საშუალებებად და ეს ყოველთვის ხდება ყველაფერში. თავად მორალს აქვს უნარი გადაიზარდოს ბოროტებად, ჩააქროს სულის შემოქმედებითი ცხოვრება. ჩაახშოს უებარი თავლხილული დასტაქრის ენთუზიაზმი, მეტიც, ფიზიკურად გაანდაგურონ კიდეც ის. თუკი ენიგმურად ზვიად გამსახურდია თავად იყო უებარი ექიმი, ბრმების ქვეყანაში მან ნაბიჯიც ვერ წასწია წინ - მუდამჟამს დამწყვდეული ჰყავდათ. შემდეგ ჭაბუკი მწყემსი გადის ხალხში და, მიუხედავად იმისა, რომ მისი არავის ესმოდა, ყველა მის ირგვლივ იკრიბებოდა, რადგან სითბო მოდოდა მისგან. სითბო კი ყინულის სახელმწიფოს აღსასრულს მოასწავებდა. ამიტომ

მისთვის დიდი ხარო გაამზადეს და მიწაც მიაყარეს. ეს პასაჟი იგავის ყველაზე მნიშნელოვანი პროფეტული ნაწილია, რომელიც რეალურად აღსრულდა კიდეც სამწუხაროდ.

1998 წელს ზ.გამსახურდიაზე დაწერილ მონოგრაფიაში რ. ჩხეიძე წერს: ძნელია, ძალიან ძნელი, მზერა გაუსწოროშენს პილატეობას, მაგრამ მონანიების გზა ეს არის, არა საზოგადოების განკითხვა, არამედ საკუთარ თავში ძებნა დანაშაულის მიზეზისა. საზოგადოებას კი ესღა დარჩენია: თავისი თითოეული წევრის ბაგით აღიაროს სიმართლე და ასე შეეცადოს სულიერ განწმენდას [ჩხეიძე რ., 1998:4].

სიმამაცით გამორჩეული მგელთავა (**„მგელთავა და ამაღლების ციხე“**) ზვიადს განასახიერებს, მის დისიდენტურ ბრძოლას და უამრავი დაბრკოლების გადალახვას ამ ეკლიან გზაზე. თ. ჯანჯღავას დაკვირვებით, ზვიადის ეს ზღაპარი, ფაქტიურად, დაშიფრული პროგრამით , სტრატეგიული გეგმაა გრანდიოზული გეგმის გადაწყვეტისთვის [ჯანჯღავა თ., 1996:53].

იგავ-არაკის სიმბოლიკა სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა კულტურაში. ტექნოკრატიულმა ეპოქამ გავლენა მოახდინა ამ ჟანრზეც და შეცვალა არათუ ავტორთა ლექსიკური არჩევანი, არამედ სიმბოლური თავისებურებანი, გარემო, პერსონაჟების მიზანდასახულობანი. ზვიად გამსახურდიას იგავები ლექსიკურად და თემატურად გათანამედროვებულია და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ზედმიწევნით იცავს იგავ-არაკულ ზომიერებასა და იდეებს. და ბოლოს, ზ. გამსახურდია „იგავების მეტაფიზიკურობას აშკარად გვაგრძნობინებს, ვხედავთ, რომ არა მხოლოდ დროის ერთ ლოკალში ან ერთი ქრონოტოპისთვის შექმნილი ტექსტები, არამედ მისტიკური პატარა სამყაროებია უსასრულოდ სამოგზაუროდ და ახალი შრეებით შესავსებად და ფენებით დასაფარად გატყორცნილი“ [მილორავა ი. , 2020:380].

თავი II-პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

2.1. პანეგირიკი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, მიძღვნითი ხასიათის ლექსები

ზვიად გამსახურდია, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, თავისებური პოეტია. მის გარშემომყოფ მრავალ მოშურნეთ უღვივებდა დაუოკებელი ბრძოლის სურვილს და მათ შეზღუდულობასა და სულიერ სიდუხჭირესთან ბრძოლას მძაფრი და ღრმა კრიტიკული ნაშრომებით ახერხებდა. სავსე იყო ნიჭიერებით, სიყვარულით, პირდაპირობით, დისიდენტური ვნებათაღელვით, დაუდგრომლობით, ტკბილმეტყველებით, პოეზიისა და მუსიკის დაუსრულებელი ზიარებით (მერაბ კოსტავასთან სიახლოვეც განაპიროებებდა ამას), ესთეტიკური წიაღსვლებით, უშუალობით, შეურყვნელი მეგობრობით, საოცარი ზოგადი განათლებითა და ამავდროულად, ღრმა პროფესიონალიზმით.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების თვალის გადავლებითაც კი ჩანს ემოციური სიღრმე და შემოქმედიბითი წვა. განსაკუთრებით მძფრია მსოფლგანცდებში და მარადიული, უცვლელი, უცნაურად მშვიდიც კი, მაგრამ თემატურად ცვალებადი. მისი ზღვრულობამდე მისული პატრიოტიზმი თემატურად ტრიადის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოით - ძეგლები, გმირები და მსოფლიო ლიტერატურა. ძირითადად, ზვიად გამსახურდიას პოეზია პანეგირიკულ ხასიათს ატარებს და ის მიძღვნითია - მიძღვნაა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი, საქართველოსთვის თავდადებული თუ შეწირული გმირებისადმი და მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი პოეტ-მწერლებისადმი. ზოგადად მეფსალმუნე ტარიგს გვაგონებს, რომელიც წარდგენილია სამსხვერპლოდ და ამას შესანიშნავად ჭვრეტს (მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაც არ წასცდენია ამაზე ლექსებში, იგავებში კი სულ სხვაგვარი ვითარებაა). ლიტერატურამ იცის ენიგმებამდე აყვანილი ალუზიები, სადაც

მთქმელი საერთოდაც არ ახსენებს მისთვის საინტერესო ობიექტს, მაგრამ სულისმიერად გრძნობს მკითხველი და შესანიშნავად აღიქვამს ოდნავი დაკვირვებითაც კი. ამის ნიმუშად მიგვაჩნია ხალხური ლექსი პირობითი სათაურით „რა ვქნისა ციხე ავაგე,“ სადაც სიტყვა საქართველო საერთოდ არაა ნახსენები, მაგრამ საქართველოს მისტიკური მომავალი ისე ოსტატურადაა ასახული, რომ მისი ხსენება, შესაძლოა, ღირსებასაც კი ულახავდეს სამშობლოს დასახელებას:

რა ვქნისა ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა, მერმე თქვეს:
მემრე თქვეს:დრო რომ მოალის, კარ გაიღების თავადა.
[ქართ. ხალხ. პოეზია, 1974 :52]

ზვიად გამსახურდიას ვნებანი არც პირად ცხოვრებასა და არც შემოქმედებაში არ დაჰკლებია, რაც ბოლომდე გაჰყვა სულის განწმენდის ძიებაში მყოფ მის ბობოქარ არსებას. მაგრამ სულ სხვაა ისტორიული ძეგლების ნახვით გამოწვეული განცდები,ემოციათა სიღრმე. ზვიად გამსახურდია აქაც გამორჩეულია - სულის სინატიფე და გრძნობისეული ტრანსპარენტულობა, დახვეწილი ტაეპი და მოკლედ გადმოცემული ემოციური მუხტი საოცარ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე:

შენ გეზმანება ვაჰანი და ძველი ვარძია,
სამსარი, კლდეში შეხიზნული, გედივით წუნდა,
შოთას აკვანი მადლიანი ვინაც არწია,
ვინაც ჯვარცმული იყო მარად და არ შეძრწუნდა.

შენ გეზმანება გარუჯული სამცხის სერები,
მუნჯი მოწამე წარსულისა - მდუმარე მტკვარი,
ცის კაბადონზე სპილენძის და ტყვიის ფერები,
კუმურდოს თაღი დაღარული და ზარზმის ზარი.

შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა,
იშხანი, ოშკი, პარხალი და წმინდა ხახული,
ვინაც ხილვები წარსულისა ცრემლებით ბანა,
ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული.
[გამსახურდია ზ., 2014: 28].

ვფიქრობ, ლექსი „ალბათ თვითონ ღმერთი“ ერთ-ერთი საუკეთესოა ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში. ღრმადმორწმუნე ლირიკული გმირის სულიერი რელიგიური ექსტაზი, განწყობა, ლირიზმი ცხადად გადმოგვცემს სათქმელს. როცა ძალიან მაღალია რეგისტრი ამგვარი ჰარმონიისა, ზვიად გამსახურდიას შედმოქმედებაში ჩნდება პროფეტიზმის ელემენტები და უნდა ითქვას, რომ უცდომელია მისი წინასწარმეტყველება ოსტატურად მოქცეული მხატვრულ ყალიბში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს მუდმივად თანმდევი მარტოობის განცდა-განწყობა, რომელიც დამაჯერებლობას მატებს მის ტაეპებს:

თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,
უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.
მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,
უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.
ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,
შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი,
ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,

გვედრი შემიწყალე, ძეო დავითისო!

[გამსახურდია ზ.,2014: 80]

პროტაგონისტმა ზუსტად იცის, რომ უნდა დალიოს „სასუმელი“ მოწამეობის გვირგვინის დასადგმელად. მისი ზმანება აშკარად წინასწარმეტყველურია. როგორ ჰგავს გედსამანიის ბაღში მოღაღადე ქრისტეს სიტყვებს ეს სტრიქონები-მამაო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო არა რაჲ-იგი მე მნებავს, არამედ რაჲცა შენ გნებავს (მარკოზი 15:36) . როცა ამბობენ, რომ წინასწარმეტყველი კოსმოსს გზავნილით მიმართავს ან პირიქითო, ვფიქრობთ, რომ მათთან დროს ის ფუნქცია არა აქვს და ამქვეყნიური განზომილებით ის ვერ აღირაცხება. აქედან დასკვნა, პროფეტული დრო მიღმიერია, დრო პროფეტს მთლიანობაში ეძლევა და არა - ნამყოთი, აწმყოთი ან მყოფადით.

ეს ხომ პროფეტიზმის უმაღლესი მწვერვალია, სადაც მიღწეულია მომავლის სრული სურათი. პროტაგონისტმა უწყის, რომ მას შურისა და მტრობის ფონზე მოუწევს ქრისტეს გოლგოთის გამეორება, რომ მას გაყიდიან და მოწამებრივ გვირგვინს დაიდგამს.

პოეზიის პროფეტული თვისებების შესახებ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო ცნობილი. კერძოდ, არისტოტელე აღნიშნავდა, რომ პოეტის ამოცანა იყო არა იმაზე ლაპარაკი რაც არსებობდა, არამედ ის, რაც შეიძლება მოხდეს ან მომხდარიყო თავისი შესაძლებლობებით ან გარდაუვალობითგარდაუვალობით [არისტოტელე, 2019:18]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზვიად გამსახურდიას პოეზია ენიგმატურია, რაც გამომდინარეობს მისი მაღალინტელექტუალური წერის მანერიდან, რომელიც რთული მეტაფორული აზროვნებითაა გადმოცემული და ახსნას საჭიროებს. მასში პროფეტული და ენიგმატური ისეა შერწყმული, რომ ხშირად სპეციალური დაკვირვებაა საჭირო, რათა გაიმიჯნოს,გამოიყოს და მკაფიოდ გასარჩევი გახდეს.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედება ყველაზე ნაკლებად ეგოისტურია. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი მათგანი მიძღვნით ხასიათს ატარებს (მაგალითად, ელისო ვირსალაძისადმი, ვახტანგ რაზიკაშვილისადამი, ბაირონისადმი, შლიმანისადმი, იოლანტა მარშევის, რუთ ნოიკომისა და ლეა ფლურისადმი და .შ.). პოეტის მახვილ თვალს არ გამორჩენია კიტა ჩხენკელის სამი მოსწავლის საქართველოში ჩამობრძანებაც. ეს საოცარი ფაქტი, ციურიხელი ხანდაზმული ქალბატონების ჩამობრძანებისა, რომელიც ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპებზე მოხდა, ფრიად ამაღელვებელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის. პოეტის აღფრთოვანებას პროფეტული ელფერი დაჰკრავს საქართველოს გათავისუფლებისა და ევროპის ოჯახთან შეერთების საუკუნოვანი მისწრაფებით:

იდიადოს თქვენმა გზნებამ,
დაგილოცოს ზენამ გზანი,
შეგვაერთოს უფლის მცნებამ
როს ჯაჭვს გასწყვეტს ამირანი.

[გამსახურდია ზ., 2014:64]

ელისო ვირსალაძის ხელოვნებამ რომ შთაგონება მოგანიჭოს, ეს გასაკვირი არაა, თუმცა, მის მიერ გადმოცემულის ზუსტი აღქმა და ინტერპრეტაცია (ისიც ლექსით), ყველას ხვედრი არ არის. ის დიდ ინტელექტუალურ რესურსებსა და ლაკონიური სტილის ფლობას გულისხმობს. ეტიუდივით სიმებიანი საკრავით შესრულებული ვირტუოზული ნაწარმოები - „კაპრიჩიო“ ძალზე დინამიკური და თავისუფალი ხასიათის მუსიკალური პიესაა. პოეტს ის ანტიკური სამყაროს (სტიქსის წყალი; ქარონი), ძველი აღთქმისა (ლიბანი, ქერუბიმი) და წინასწარმეტყველურ (წამების გვრიგვინი) შთაბეჭდილებას უქმნის. ძველსა და ახალ აღთქმას უშუალოდ ანტიკურ შემოქმედებით ქურაში გადაადნობს და პროფეტულ დაბოლოებამდე მიჰყავს, სადაც ბოლო ტაეპი არა მარტო ბიბლიური პარალელი, არამედ საკუთარი მომავლის ზმანებას უფრო მოგვაგონებს. სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: (ენიგმატური

ნაწილი) ანტიკური მითი და ხელოვნება > ძველი და ახალი აღთქმა > (პროფეტიზმი) მოწამეობრივ გვირგვინამდე მისვლა, გვირგვინი კაცობრიობის ლტოლვისა - ქრისტე და მისი ალუზიით საკუთარი ბედის წარმოჩენა.

ელისო ვირსალაძის მიერ ჟინით გადმოცემული ყოველი მუსიკალური ჰანგი, ცვალებადი ხასიათის ვირტუოზული მუსიკალური პიესა, დიახაც, რომ ეთანადება ლექსის პათოსს და - პირიქით. [გამსახურდია ზ., 2014:28]

ძნელია თქვა, როგორ გამოსდით პოეტებს მომავლის წარმოდგენა. ეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესასწავლია, რადგან ბევრი რამ გაუგებარია. ხომ არ ფლობენ პოეტები მედიუმის გარკვეულ თვისებებს? მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა, როგორც საკრალური ელემენტი, რამენაირად მოქმედებს თუ არა მომავალზე? წინასწარმეტყველება უზარმაზარი ნიჭია,როგორც ა. ჩეხოვი აღნიშნავდა, ნამდვილი მწერალი იგივეა,რაც უძველესი წინასწარმეტყველი. ის უფრო ნათლად ხედავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. ზვიად გამსახურდიას პოეზიაში შეიძლება გამოვყოთ წინასწარმეტყველების ორიოდე ფაქტი: პირველი, პოეტი ჩვენ წინაშე საზოგადოებრივ- პოლიტიკურ მოვლენას ჭვრეტს წინასწარ - ეს იქნება ეკონომიკური ფორმაცია, რევოლუცია, სამოქალაქო ომის დაწყება, სტიქიური უბედურება და ასე შემდეგ მოვლენები; მეორეც - პოეტი წინასწარმეტყველებს სხვა ადამიანების ბედს და თავის პირად ცხოვრებასაც, უპირველეს ყოვლისა, ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის შესახებ.

ის აზრი, რომ პოეტი უბრალო მელექსე არ იყო, არამედ წინასწარმეტყველი, რომელიც მოწოდებულია ხალხის გულებამდე მიაღწიოს, ჯერ მე-19 საუკუნემდე მუსირებდა. ილია, ვაჟა და აკაკი როდესაც საუბრობენ ღმერთთან მათ კავშირსა და ერის წინამძღოლობაზე, სწორედ მისტიკურ პროფეტიზმს გულისხმობენ. ქართველმა ხალხმა მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა, იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ისტორიული ვითარებაც აკისრებდა ამ როლსა და პასუხისმგებლობას მწერალს,ამიტომაც ის ერის წინამძროლადაც მოიაზრებოდა და მწერლობა ერთგვარ

ტრიბუნად. ქართველებს იდენტობის დასაცავად გამუდმებით უწევდათ ბრძოლა სამშობლოსა და ქრისტეს რჯულის დასაცავად. უცხო რჯულისა და ტომის უღელქვეშ მცხოვრები ქართველის ეროვნული ღირსების დაცვა სწორედ ამ მაგისტრალზე გადიოდა-ქრისტიანული რელიგია და მწერლობა. ამ მოსაზრებას ავითარებდა კონსტანტინე გამსახურდიაც კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ წერილში: ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას ერთ რამეში ჰქონიათ ბედი. ჩვენ ორი ათასი წლის განმავლობაში ვიდექით ხმლით, ჯვრითა და კალმით აღჭურვილნი ევროპისა და აზიის კულტურათა ურთიერთთან შეხლის სამანებზე.

მწერლობის ეს დანიშნულება ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში ხდება თვალსაჩინო. აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ეს ტრადიცია „აბოს წამებით“ იწყება: „იოვანე საბანისძემ დაწერა თხზულება, რომელმაც ძნელბედობის ჟამს, ქართველ ხალხს რწმენა, ძალა, იმედი, ენერგია და მტკიცე თავდაცვა ასწავლა.“ თუმცა, ალბათ, ამ ტრადიციას ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ ჩაეყარა საფუძველი, რადგან იაკობ ცურტაველის ნაწარმოებში მრავლისმომცველი პრობლემების გარდა, კონკრეტული ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხებიც აისახა.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, სულხან-საბა ორბელიანი მწერალიც არის და სახელმწიფო მოღვაწეც. დავით გურამიშვილი პოეტიც არის და „ქართლის ჭირის“ მოზარეც. განსაკუთრებით, ამ მხრივ, გამოირჩევა ილია ჭავჭავაძე.მან პირდაპირ გამოაცხადა მწერალი ერის წინამძღოლად. ლექსის სათაურიც არ არის შემთხვევითი. ის პირდაპირი ტექსტით აცხადებს:

...არა მარტო ტკბილ ხმათათავის
გამოგმზავნა ქვეყნად ცამ.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა. [ჭავჭავაძე ი., 2007: 55]

მეოცე საუკუნეში, რა თქმა უნდა, პოეტის ეს ფუნქცია საზოგადოებაში იჩენს თავს. იყვნენ მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, რომელთა შემოქმედებაში ეს საკითხი ღრმად არის შესასწავლი. ამა თუ იმ ზომით ყველა ჭეშმარიტ პოეტს აქვს წინასწარმეტყველური, პროფეტული შესაძლებლობები. ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ამას არაერთგზის დაამტკიცებს. პროფეტიზმის მისტიფიცირება ძალზე მაცდუნებელია, მაგრამ ის მეცნიერულ შესწავლას უფრო საჭიროებს.

პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური მიზანია სხვადასხვა მეთოდით გადასცეს გლობალური და ლოკალური ინფორმაცია. ეს მიზანი გულისხმობს თანაშემოქმედებით რეცეფციას - მკითხველს, როგორც თანაავტორს. თავისთავად ავტორი, როგორც შემოქმედი ერთეული, არ არის თვითმკმარი. თანამედროვე კულტურაში აზრი კომუნიკაციური ბუნების შესახებ ბევრ საინტერესო კანონზომიერებას იძლევა მხატვრის შემოქმედების განვითარების შესახებ. შინაგანი დიალოგი შემოქმედებისა მის დიალოგურ ბუნებას აღიარებს, ესთეტიკურ განცდას. მხატვრული ნაწარმოების აქტი თავიდანვე გულისხმობს პოეტის კავშირს მაკროსამყაროსთან და ისინი მიღებულ ინფორმაციას ადამიანისთვის გასაგებ ენაზე უგზავნიან თანამედროვეთ და მომდევნო თაობებსაც. შესაძლოა, ისინი თავად უგზავნიან კოსმოსს გარკვეულ გზავნილებს ადამიანის წარმოშობისა და ბუნების შესახებ დედამიწაზე ცხოვრების შემდეგ არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც ღიად რჩება დღემდე (ფრისტი კრის, 2016).

„მიძღვნა“ არის სონეტი, რომელშიც პროფეტული და ენიგმატური შერწყმულია ერთმანეთში. პოეტი სათქმელს ისე აყალიბებს, რომ მოგიწოდებს დაფიქრებისკენ, თითქოს მკითხველი პოეტთან ერთად არღვევს დრო-სივრცის საზღვრებს . ის რომ ამ დროს თავიდან აიცილო ლექსი-რებუსის მდგომარეობა, კიდევ ერთხელ მიუთითებს პოეტის ოსტატობაზე:

საპირისპირო განათების სხივი ფარული

შემოესალტა დაუტირებ სახვათა კრებულს
ვით შელამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს,
ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული.

გრაალის კოშკი შორით მოსჩანს ქიმ-გაბზარული,
პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს
„შავი ყორანი აზის თავზე“ და გაფითრებულს
გარს ახვევია დემონების ბილწი არული...

[გამსახურდია ზ., 2014: 25]

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოეტი - წინასწარმეტყველის პოეზიისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კომუნიკაციური ფუნქცია, არამედ მეტაკომუნიკაციური , ანუ ყოვლისმომცველი ფუნქცია, რომელიც არის გათვლილი მაქსიმალურად ფართო აუდიტორიისთვის, მათ შორის მომავლიდან წარსულისკენ და - პირიქით. ტერმინი შეიძლება ფილოსოფიური ტერმინია და ხდება მისი კვინტენსენცია შემოქმედების დისკურსიული ანალიზისა და ის განსაზღვრავს წინასწარმეტყველების პოეტური შეტყობინებების მთავარ ვექტორებს.

ზვიად გამსახურდია ლექს-ტრილოგიაში „სიონის ელეგია“ მესიის აღმსრთობითა და ფარულ ეშმათა არულით, ინისა და იანის ხვეულს მოგვაგონებს, სამყაროსეული კეთილ-ბოროტითა და პოეზიის მათკენ მიმართული გეზით. პოეზია აქ შვების მომტანის როლს ასრულებს. როგორ ოსტატურად არის შეზავებული წინასწარი განზრახვით გადმოცემული ბუნდოვანი ალეგორია, რაღაც საშუალო ღიაობასა და დაფარულს, გამჭვირვალესა და ბუნდოვანს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია ენიგმატური პოეზიის დიდოსტატია:

აღიმსთო მესია, თაღებს შეესია
ველური მარულა ამ ზღვა სიხარულის,

შვების პოეზია თანადთა გეზია,

ვით ცოფი ფარული ეშმათა არულის!

[გამსახურდია ზ., 2013:34].

ზვიად გამსახურდიას პირადი მომავლის საიდუმლო სერობის მისტერიასთან შედარება მის თავზარდამცემ ესქატოლოგიური წარმოსახვის ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც არც მეტი და არც ნაკლები, საკუთარი სისხლით ზღავს.

საზოგადოებრივი დრამა იქ მის პირად ტრაგედიად გარდაიქმნება. და რატომ მოხდა ეს? ხომ არ იყო ეს დაუნდობელი და მსახვრალი ბედის გარდუვალობა, რომელიც აჩრდილივით დასდევდა პოეტს? დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ ძირითადი თემები პოეზიისა არის სიყვარული და სიკვდილი. გამსახურდიას შემოქმედებიდან კარგად ჩანს, რომ ის წერდა სიყვარულსა და სიკვდილზე, მაგრამ წერდა ძალიან ზუსტად და მოზომილად:

შარავანდედი ჩანგების

თუ დიადემა განგების

აღსასრულისა ჰანგები

მოვლენღა ის ფარშავანგები.

[გამსახურდია ზვიად., 2014: 37]

ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ ეგოცენტრისტული განწყობებით არაფრის შექმნა არ შეიძლება, არ შეიძლება მიეცე აღმაფრენას და გამოიგონო უმჯობესი სამყარო. პარადოქსი ისაა, რომ ის ახერხებდა და აერთიანებდა ასკეზასა და შემოქმედებით ცხოვრებას. ასკეტურ გამოცდილება აფიქრებს საკუთარ სრულქმნასა და გადარჩენაზე. ეს ერთი მხარეა პოეტის პროფეტული ნათელხილვებისა, ხოლო შემოქმედებით გამოცდილებას მწერალი გაჰყავს და მიაქანებს უმაღლესი სამყაროსკენ. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში არის თავისებური ასკეზა და თვითშეზღუდვაც, მაგრამ სხვა ხასიათისა. ეს ასკეზა არაა მიმართული პირადი

სრულქმნისა და პირადი გადარჩენისაკენ (თუმცა, არც უამისობაა). არც ასკეზა მიიღწევა ნიჭიერებითა და უნარებით. შემოქმედებით გენიალობა გამოიმუშავება, რომელიც პოეტს მაღლიდან მადლის სახით ენიჭება. ზვიად გამსახურდია შემოქმედებით სრულყოფას აღწევს პირველქმნილი ბუნებითი თავისუფლებით და არა თვითსრულქმნის ასკეტური გმირობის მარცხით. ასკეზა მიძღვნითი შეიძლება იყოს, მაგრამ მასში კარგად იჭვრიტება თავად ზვიადის სახე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზღვარი ზვიადისა და მერაბის პიროვნებებს შორის წაშლილია, სადაც მოიაზრება ერთი, იქაც მეორე და - პირიქით. უნდა აღინიშნოს, რომ „ქრისტესმიერი ძმები“, „ქარიშხლის ძენი“, „მწუხარე სახის რაინდები“, ძმადნაფიცები წინასწარ ჭვრეტდნენ თავიანთ/ერთმანეთის ბედსა და ტრაგიკულ აღსასრულს.

1978 წლის 12 აგვისტოს დაწერილ ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“, მერაბ კოსტავამ წინასწარგანცდის უტყუარი ალღოთი განჭვრიტა ზვიადის ბედისწერა. ზუსტად შენიშნავს მ.ჯოხაძე: „ სკეპტიკოსთათვის ძმობის თავდაპირველი ნიმუში აბელ-კაენია. სამყაროში პირველი მკვლელობის ცდუნება, ასე რომ მოინდომა ლუციფერმა და ძველთაძველი გრძნობა შური ძმობის იდენტობად აქცია. „ძმას ქრისტესმიერს“-ღვთის შთაგონებით ეს ლექსი ეშმაკის მიერ გაჭედილი მრუმე ხატის საპირწონედ რომ დადო სასწორზე მერაბ კოსტავამ , რწმენით გასხივოსნებული ერთგული ძმობის რეალური და პოეტური დადასტურებაა“. [ჯოხაძე მ., 1987:2-7].

საოცარი პორტრეტი დაგვიხატა მერაბ კოსტავამ „დევების დამამხობელი“ ზვიადისა. ქრისტესმიერი ძმის უკვდავების იდეის გაჟღერებასთან ერთად (გადაიჭრები გზნებით მყოფადში, /დამკვიდრებული ხალხში მითივით,/ ზეაღმართული ჩვენს ეპოქაში, /მიქელანჯელოს კუშტ დავითივით), დაგვიხატა და სრულყოფილად, ისე, როგორც ჯერ არავინ, ახსნა ზვიადის ფენომენი, რომელშიც შეკრა ზნესრული ადამიანის, ერისთვის თავდადებული მოღვაწის, ერის წყლულისთვის მარტვილის სახე, გამოკვეთა ზვიადის პიროვნული თვისებები და სიდიადე, მისი რელიგიური და ეროვნული იდეალები, მისი როლი ეროვნულ-

განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ერის სულიერ-ზნეობრივ წრთობაში და აქვე იწინასწარმეტყველა მისი მომავალი ბედი და უკვდავების იდეაც:

მოყვასისაგან რად განისაჯე,

ღირსო უკვდავთა დიადემისა.

ალბათ გამოცდა ენება უფალს,

როს გიმზადებდა ხვედრს არ ასაცდენს,

რადგან განგებას რომელი უყვარს

მასვე მოუვლებს სასტიკ განსაცდელს.

არც საკუთარი ბედის წინასწარმეტყველებაში შემცდარა მერაბ კოსტავა. ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავას ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნავს,რომ: „საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი (მ.კოსტავა) ჩემზე ადრე დატოვებდა წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს.აკი ამიხდა კიდეც“ [კოსტავა მ.,1990:5].

ხსოვნას გიშხამავს საფლავების ჩამოღამება და აკლდამას

თალხით მოსილი, ვითა აქილევსს,ელოდები მეგობრის აჩრდილს (იქვე:121)

„ ერზე მჭვუნვარე“ ძმას ემოციურ სტრიქონებს უძღვნის ზვიად გამსახურდიაც და მიანიშნებს მოწამეობრივი გვირგვინით შემკული მეგობრის შემდეგდროინდელ საყოველთაო აღიარებასა და უკვდავებას:

უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმთა ჰაეროვნება,
ამ ქვეყნად ტანჯვით რომ იდაგები

იმქვეყნიური გელის ცხოვნება.

[გამსახურდია ზ., 2014:108].

ჭეშმარიტი პოეზია ერთდროულად ცდილობს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოთა წვდომას,როგორც უიტმენი წერდა: არ ვარ მეხოტბე მარტოოდ სიცოცხლის გრძნობისა,სიკვდილის ტრფობაც შემიქია. ასე გრძნობდა ზვიადიც თავისი ამქვეყნიური არსებობის აღსასრულსა და მოახლოებული სიკვდილს. ყველა მისი ტრაგიკული და წინასწარმეტყველური გამონათქვამი ახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საიმქვეყნიო ვნებანი რელიგიური შთაგონებითაა გასხივოსნებული ზვიად გამსახურდიას მთელ შემოქმედებაში. მასთან არ არის ისეთი პერიოდი, რომელიც სხვადასხვა დოზით პროფეტულ განცდათა მოზღვავებას არ აჩენდეს. ზვიად გამსახურდია არა მარტო საამქვეყნიო, არამედ საიმქვეყნიო ფიქრებსა და წინათგრძნობებსაც კი არასდროს მოუსვენებია. ეს პოეტური ღირსება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუკარგავს, რაც მას პოეტური უკვდავების გზას აზიარებს:

საიქიო მირონის ზღვაა
რომელშიაც ყვინთავენ ანგელოსნი
რათა გამოყვინთონ
ჩვენს ცაზე.
მირონმა რომ არ გამოჟონოს
ნაპრალებს გმანავენ
დავიწყებით.
საიქიო სავარდეა ყოვლადწმინდა
შენი დანერგილი, უფალო!
წარსულს, მომავალს და აწინდელს
საიქიოდ ამწიფებ, უფალო!
შენი გარდამოსვლის საწინდარს
საიქიოს გვიბოძებ უფალო!

საიქიო შენა ხარ, უფალო!

[გამსახურდია ზ., 2014:106]

ამ რელიგიურ ექსტაზში არის გარდაუვალი აუცილებლობა. მისი ამოცნობა ადვილია, მაგრამ ჭეშმარიტი პროფეტული ლტოლვა ბნელი გზებით გვატარებს და უჩირაღდნოდ სიარულს გვაიძულებს. ამავდროულად, ასეთი ვნება თავისუფალია ყოველგვარი ბიწიერისაგან. სწორედაც, რომ ჭეშმარიტ თავისუფლებაში არის პოეზიის უდიდესი საიდუმლოს აღსრულება, უკუნეთში სინათლის შემოჭრა. წინასწარმეტყველური გზნებანი გზაგასაყარზე გვამყოფებს. ერთი - ადამიანს გონებას აკარგვინებს და შეშლილს ამსგავსებს, რაც ხშირად პოეზიას უხდება კიდეც, როგორც გამორჩეულ სულიერ მდგომარეობას. ხოლო მეორე გზას - ალეგორიულსა და ენიგმატურს - ჯოჯოხეთის დამუნათებამდე მიჰყავს ავტორი:

ყვითელი უსახლო ჯოჯოხეთო გადასაბუგო,
საბედისწეროდ დაგიღია უძღები ხახა,
შენგან მრავალი გაიტანეს იმედის კუბო
მაინც მძვინვარებ და მოითხოვ მსხვერპლს ახალ-ახალს,
ყველა ავკაცის ბილწი ბუდე და სულის დგმა ხარ,
მახეს უმზადებ ყველა მართალს, უღვთოდ იმეტებ,
მაგრამ იცოდე, ვერ ასცდები განკითხვის ლახვარს,
შენ სამუდამოდ დაივიწყებ ყველა იმედებს.
დღეს ახალ-ახალ სიამეთა გაქვს თადარიგი,
გიგზავნი წყველას, დე, წარწყმედად შეგერგოს იგი.

[გამსახურდია ზ., 2014: 90-91]

წინასწარმეტყველება თავისი არსით არაფრისგან ქმნადობას გულისხმობს. არაფერი იმად გარდაიქმნება, რაც არყოფნიდან ყოფიერში გადასვლას გულისხმობს. ასეთ ყოფიერში მსხვერპლშეწირვა გარდაუვალი გვირგვინის შარავანდედია. ის ,

ამავდროულად, სამსხვერპლოცაა. მასში, თუ ის ჭეშმარიტია, განწმენდა, სულის გათავისუფლება სამშვინველ-სხეულებრივი სტიქიისაგან ყოველთვის იგულისხმება:

ვის წყალობა ზეცის თან სდევს
მსხვერპლის არდარიდებით,
ის აღდგომის შარავანდედს
შეიმოსავს დიდებით!

[გამსახურდია ზ., 2014: 83-84]

ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ წინასწარმეტყველება არ არის მატერიისა და ენერგიის გადანაწილება და, ამდენად, არაევოლუციურია. ევოლუციაში ახალი არაფერი იქმნება, მხოლოდ ძველი გადაინაცვლებს. ევოლუცია აუცილებლობაა, წინასწარმეტყველება კი - თავისუფლება, სადაც ცის გარდაცვალებაში იგულისხმება ხილული ცა, რასაც დარობა დარის მოსდევს, ანუ მარადიული, დაულეველი სიკეთე სამოთხისა. ქნარის ფერისცვალებას კი შემოქმედებითი გარდაქმნის ყველაზე ლაკონური სიმბოლოც კი შეიძლება ეწოდოს. ბიბლიური წინასწარმეტყველების ეგზომ მცირე ლირიკულ ჩარჩოებში ასე ოსტატურად მოქცევა ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული სიღრმისა და გემოვნების უტყუარი დასტურია. პროფეტული ენიგმა, ასე შეიძლება ეწოდოს აფრაზე გაკრულ გველის მეტაფორას. ხომ არ არის ეს ათასწლეულეულით შეკრული სატანა სუპერსამყაროს, მართლისა და მტყუანის გადარჩევის, უფლის მეორედ მობრძანების შემდგომ საღვთო მეუფების დადგომის სიმბოლო? ავტორი თავისთავს ელაპარაკება, რადგან პროფეტიზმი გამოსხივებისა და დაბადებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ემანაციაში სხივდება მატერია და მატერიიდან მოწყვეტა. ამის დასტურია სტრიქონი „ცის გარდაცვალებას ელი," სწორედ აქ არის განცხადებული ფარული თვითდიალოგი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ასე შეფარვით გამოუტანია სამზეოზე, მაგრამ შეუიარაღებელი თვალით ამის დანახვა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროებს მისი პოეზია გაცილებით ღრმა კვლევას, ვიდრე ეს აქამდე გაკეთებულა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს

კონსტანტინე (კოკო - კონსტანტინე უმცროსი) გამსახურდიას განსაკუთრებული წვლილი მამის პოეზიის კვლევის გაღრმავების თვალსაზრისით.

ზვიად გამსახურდიასთან პროფეტიზმი სიცოცხლის უდიდესი საიდუმლოა, ახლის წარმოქმნის ან ქმნადობის საიდუმლო, არაფრისგან გამოყვანილი, არაფრისგან გამომდინარე და არაფრისგან დაბადებული „ შავი ლაქა დანთქმული მარადიულ ბნელში“ . და ეს უკავშირდება სამებას. მარადიული ბნელის სიშავე სწორედ რომ არაფრის კვინტენსენციაა იმ ქაოსისა, სადაც, შესაქმეს მიხედვით, სული ღვთისა მიმოიქცეოდა სამყაროს შექმნამდე. ალბათ, დროსა და სივრცის მიღმიერი. ეს არის საიდუმლო საწყისის, პირველადის, სამყარომდელი, ყოფიერებამდე თავისუფლება მის სულში. ამდენად, მიუწვდომელი მრავალთათვის და მხოლოდ რჩეულთა ხვედრი. ენიგმატურია ამ არაფრისგან ჩრდილთა სიმრავლესთან შერწყმა, საღამოს პირად აღმოცენებულებისა. ყვავილთა დარად სწრაფწარმავალი უკვდავ ზრახვათა ჩრდილნი. თავისუფლება კი იესოშია - ის უკვდავ კელაპტრად გვანთებს არარაობის უფსკრულთან მყოფებს. არაფერი, შემდეგ ნაპერწკალი - ყოფა ჩვენი და მერე იესო ამ ნაპერწკლის უკვდავებად გარდამქმნელი. ლექსს შემთხვევვით არ ჰქვია „სამება,“ ვითარცა სიმბოლო ძველი და ახალი აღთქმისა, შესაქმემდე, შესაქმის მერმინდელი და მარადიული ყოფის ნაპერწკალი - იესო:

...სამყაროს მთელი უსასრულობა
შავი ლაქა
შენი უსაზღვრო ნათლის წინაშე.
რაც უფრო მოგელტვიან ანგელოსნი
მით უფრო გშორდებიან
რაც უფრო ნათლდებიან შენით
მით უფრო ინთქმებიან
შენს მარადიულ ბნელში.
ჩვენ კი, შენს უკვდავ ზრახვათა ჩრდილნი

საღამოს პირად აღმოვცენდებით
ვცახცახებთ და ურთიერთს ვფარავთ
ვიდრე საბოლოოდ არ შევერწყმით
სხვა, უფრო დიდ ჩრდილთა სიმრავლეს.
და ჩვენი დიდების სიზმარი
ქარწყლდება ჩვენი განწირული ცდა
შენამდე მოსვლისა
და ოდენ შთება
შენი ნაპერწკალი
რომელიც შესაქმის გარიჟრაჟზე
დაგვეცა შენგან
და დაგავნთო უქრობ კელაპტრად
არარაობის უფსკრულთან.

[გამსახურდია ზ., 2014:106]

რატომ იყო ასე გაუტეხელი თავის ბრძოლაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთი დისიდენტი? რას შეეწირა ის? მისი საიდუმლო არის თავისუფლების საიდუმლო. მისი ენიგმაც და პროფეტიზმიც მხოლოდ უძირო თავისუფლებიდან მომდინარეობს, რამეთუ უძირო თავისუფლებიდან შეიძლება ახლის შექმნა არარსებულისა. ასეთი იყო ახალი საქართველოს შექმნა - საბჭოთა კავშირის რუტინის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე და ა.შ. ეს ჭეშმარიტად „საკვირველ ძლევას“ ჰგავდა. მას შემდეგ ქართველობას იმედის ნაპერწკალი აღარც ჩაქრობია, მიუხედავად წარმოუდგენელი ზეწოლისა. რაღაცისგან, ყოფიერისაგან ახლის შექმნა, არარსებულისა შეუძლებელია. მისგან მხოლოდ დაცლა შეიძლება, დაბადება და გადანაწილება. შემოქმედება კი არაფრისგან, თავისუფლებისაგან, თავისუფლების გზით ყოფიერებასა და სამყაროში გარღვევაა. ხშირად ამას პოეტი ყოფითი თემატიკის უბრალო მაგალითებით

გადმოცემს, თუ როგორ ექცევა ლუციფერის მონობის არტახებში გავაჭრებული მუზა, თავისუფალი შემოქმედების სიმბოლო, პერსონიფიცირებული.

გასწირა ოქროს ვერძი,
გახდა ღორების მწყემსი,
გახდა პოეტი თერძის
მაქო, ძაფი და ნემსი
გადაივიწყა გედი,
გახდა ბატების ძიძა,
ირჩია ხარჭის ბედი,
ტრფიალი დედამიწა,
ო, აღარ გალობს ქნარზე
მზიურ ოცნების ნავში,
მუზა მიადგა კარზე
ვაჭარ პოეტთა კავშირს,
მათ კი ქვესკნელის ურჩხულს
მუზა მიჰგვარეს ხასად,
უსმენს ღვთაებრივ ჩურჩულს,
ქვეწარმავალი ნასად.
დავჯექ და ცრემლი ვღვარე
ვჭამე პეშვებით მიწა,
თავს მადგა შავი მთვარე
და... უცებ გამეღვიძა.

[გამსახურდია ზ.,2014: 52-53]

2. 2. შემოქმედებითი თავისუფლება ზვიად გამსახურდიას პოეზიაში.

თავისუფალი შემოქმედების საიდუმლო თავისებურად ახსნილია ბიბლიურ-ქრისტიანულ სწავლებაში ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა. ღმერთმა სამყარო შექმნა თავისუფლად და თავისუფლებისაგან. სამყარო საღვთო გამოსხივება კი არა, დაბადება იყო, ან ევოლუცია კი არა, - შემოქმედება, ანუ აბსოლუტური სიახლე. შემოქმედება იმიტომაცაა შესაძლებელი ამ სამყაროში, რომ სამყარო შექმნილია, არსებობს მისი შემოქმედი. ადამიანიც, რომელიც სახე და ხატია ღვთისა, შემოქმედია და მოწოდებულია შემოქმედებისაკენ. კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ლექსში „კენტავრების აურზაური“ ლოგოსი იფეთქებს. ესეც ალეგორიაა ქაოსზე ღვთის სულის გადმოსვლისა და მისგან საღვთო წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით. მაგრამ აქ უფრო მთავარია მონსალვატის ნელი ანთება. მონსალვატი იგივე მუნსალვეშია ეშენბახის თხზულებიდან „პარციფალი“. ინგლისელები მხარს უჭერდნენ იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც, იოსებ არიმათიელმა მოგზაურობისას ბრიტანეთს მიაღწია და წმინდა რელიქვია იქ დამალა, სახელგანთქმული გლოსტენბერის სააბატოში. მრგვალი მაგიდის მხოლოდ რამდენიმე წევრს მიეცა უფლება, ენახათ გრაალი. ლეგენდის თანახმად, ქრისტეს სისხლმა საოცარი თვისებები შესძინა თასს. ვინც იქიდან დალევდა, კურნებას, ცოდვათა მიტევებასა და უკვდავებას მოიპოვებდა. მონსალვატის ნელი ანთება ნამდვილად გულისმობს გრაალის საოცარ თვისებებს, ქრისტეში გადარჩენასა და შემოქმედებით ამონათებას. გახსოვთ, როგორი შემომწყრალი იყო ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირს („დაცემული მუზა“), მაგრამ პირდაპირპროპორციულად ადიდებს კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც ახერხებდა თავისუფალ შემოქმედებას საბჭოთა სინამდვილეშიც. ის ცისებრ სალუქად იწოდება, ანუ ზეციურის, მარადიულის შემამკობელად, სადაც სულის უნაზესი ფოლიანტები მისხალ-მისხალ არის შენარჩუნებული:

... და შემოგესმა

კენტავრების აურზაური.

მაშინ ლოგოსმა

იფეთქა შენში და მოზღვაული

დაინთხა ლექსი

და ამ ნალექში

შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება

და მით დალუქე

ცისებრ სალუქი

სულის შენის უნაზესი ფოლიანტები.“

[გამსახურდია ზ., 2014: 47]

პროფეტიზმს აქვს რთული შედგენილობა. ის არა მხოლოდ თავისუფლებას გულისხმობს, ჩანასახში ადამიანის უქმნად თავისუფლებას, არამედ ტალანტს, ნიჭს, რომელიც ღვთაება-შემოქმედისაგან ეძლევა ადამიან-შემოქმედს. ადამიანი თვითონ არაა „დამნაშავე“ თავის ნიჭსა თუ გენიალობაში. არაფერი იმაზე სასაცილო და დამამცირებელი არაა, რომ ტრაბახობდე შენი გენიით. იტრაბახო იმით, რაც გაჩუქეს, სადაც შენი დამსახურება მინიმალურიც არაა.(ძველი ბერძნები ფიქრობდნენ, რომ ოლიმპოს მთაზე მცხოვრები მუზები ესტუმრებოდნენ ხოლმე პოეტებს და შთააგონებდნენ ლეწქსებს, შუასაუკუნეებში ფიქრობდნენ,რომ ადამიანი თვითონ კი არ ქმნიდა,არამედ ღმერთი კარნახობდა დასულიწმინდის მადლით იქმნებოდა თხზულებები (მაგ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“-აწ არს ხანცთას ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოი იადგარი)). გენიოსი გრძნობს, რომ ის თითქოსდა თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ ღვთაების ხელში არის ერთგვარი იარაღი აღსრულებისა და დანიშნულებისა. სულიერი გადარჩენა მისგან მომდინარეობს. მას არავითარი დროული და სივრცული განზომილება არა აქვს. ამიტომაა ის უჟამო და უსასრულო. მისია სრული მეუფება, ყველაფერი, შველა, მადლი, სულის დარდის განქარვება:

საკრა სტელლა, შვიდად სრულო,
შენგნით იშვის სულთა შველა,
უჟამოვ და უსასრულო,
საკრა სტელლა! საკრა სტელლა!

[გამსახურდია ზ., 2014: 70]

გალაკტიონის დემონი სხვა არაფერია, თუ არა მასში ჩასახული გენია. გენიალურობისაკენ ლტოლვა მხოლოდ აღმოჩენაა შენსავე თავში ზემოდან მონიჭებული ტალანტისა. ასევე არ შეუძლია ადამიანს შემოქმედებითი წინასწარმეტყველების წყარო აღმოფხვრას საკუთარი წიაღიდან. პროფეტული შემოქმედებითი აქტის ბუნება ყოველთვის შეერთება-შეყრასა ჰგავს, ის ყოველთვის შეხვედრაა. მისი მასალა შეიძლება ამოიღოთ ღვთის მიერ შექმნილი სამყაროდან. ნებისმიერი ხელოვნებისათვის მეცნიერების ქმნილება აღმოჩენა ან ამის დასტურია. ღმერთმა მიანიჭა ადამიანს წინასწარმეტყველების შემოქმედებითი ნიჭი, გენია და მისცა სამყარო, რომელშიც უნდა განხორციელდეს კიდეც ამგვარი შემოქმედებითი აქტი. ღმერთისგან მოდის მოწოდება, რომ ადამიანმა პროფეტული შემოქმედებითი აქტი განახორციელოს, განახორციელოს თავისი მოწოდება, და ღმერთი ელოდება პასუხს თავის მოწოდებაზე. ზვიად გამსახურდიას პასუხი ღვთის მოწოდებაზე არ შეიძლება მთლიანად შედგებოდეს იმ ელემენტებისაგან, რომელსაც ღმერთი იძლევა და რომელიც ღვთისგან გამომდინარეობს. რაღაც ადამიანისაგანაც უნდა გამომდინარეობდეს, და სწორედ ეს რაღაცა არის უპირატესად ღვწა-შემოქმედება, ახლისა და არარსებულის შემოქმედება. ეს რაღაცა არაფერია, თუ არა თავისუფლება, რომლის გარეშეც არ არსებობს წინასწარმეტყველური შემოქმედებითი აქტი. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებით ჩანაფიქრში არის ადამიანის თავისუფლების პირველადი ელემენტი, არაფრით დასაზღვრული, უძირო თავისუფლებისაგან, რომელიც მოდის ღმრთისაგან და რომელიც ღმერთს მიემართება. საღვთო მოწოდება ამ უფსკრულისკენაა მიმართული და უფსკრულიდანაც ელოდება პასუხს.

თავისუფლების ეს უფსკრული ნებისმიერ შემოქმედებაშია, მაგრამ შემოქმედებითი ქმნადობა იმდენად გართულებულია, რომ არ არის ადვილი მასში ეს პირველადი ელემენტი გახსნას.

პროფეტული თავისუფლება არაფრით განსაზღვული არ არის და იძლევა პასუხს საღვთო მოწოდებაზე შემოქმედებითი ქმნადობის თაობაზე, მაგრამ ტალანტთან, გენიასთან შეერთებით, რომელიც მიღებულია ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროსა და იმ მატერიალური მასალისაგან, რომლითაც შემქნილია სამყარო. არაფრისგან მომდინარე ადამიანის შემოქმედება უნდა გავიგოთ პროფეტული თავისუფლებიდან გამომდინარე შემოქმედების გაგებით. ეს კი მადლად უცვნია პოეტს, პროფეტულ მადლად:

შენგნით მონავანნი კრთიან საფირონნი,
შენ უწყი გ ზადაქცევა მათი
წიაღნი უშქარონი და უნაპირონი
და სულთა მზის ათინათი.
შენგნით აღმზევდება სულთა ალიონი
შენ გამო ვარდობენ ცანი
ზღვა-ხომლთა დენანი, ციმციმთა ციონი
მადლად ცხოვრებისად ვცანი.

[გამსახურდია ზ., 2014: 78].

შემოქმედებითი აქტი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ასევე მადლისა და თავისუფლების ნარევია, რომელიც ღმერთისგან ადამიანს მიემართება და - პირიქით. შემოქმედებითი აქტი შეიძლება აღვწეროთ თავისუფლებისა და მადლის ფარგლებში. პოეტის წინასწარმეტყველური შემოქმედებითი შთაგონება თავისუფლების გარეშე არ არსებობს:

ჭეშმარიტებას ვეძიებდი ცხოვრება მთელი,
და აჰა, ჰპოვე აკლდამა და გვირგვინი მჭკნარი,

სადაც ხმიანებს ავბედითი დუმილის ქნარი,

სად იდუმალთა სამყაროთა მაცნეებს ელი.

[გამსახურდია ზ., 2014: 95]

კრიტიკულ ლიტერატურაში შენიშნულია ზვიად გამსახრუდიას პოეზიაში ორი სხვადასხვა მხარე, აქტი, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება განვმარტოთ [ზვიად გამსახურდიას პოეზიის მიხედვით), ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, 2019:103-110)] მის შემოქმედებას აქვს გარეგანი და შინაგანი მხარეები. არის პირველადი შემოქმედებითი აქტი, რომელშიც ადამიანი ღვთის წინაშე დგას და მეორეული აქტი, რომელშიც პოეტი ხალხისა და სამყაროს წინაშე დგას. არსებობს პირველადი შემოქმედებითი ინტუიცია, შემოქმედის შემოქმედებითი ჩანაფიქრი, როდესაც მას ჩაესმის მუსიკა, წარმოუდგება თვალწარმტაცი სახე ან პოეტური სახე, შინაგანი, რომელიც არ არის გახსნილი და გამოგონებული, პოეტის სიყვარულის შინაგანი შემოქმედებითი ბუნება, რომელიც ჯერ არაფრით გამოხატული არ არის. ამ შემოქმედებით აქტში ზვიად გამსახურდია ღვთის წინაშე დგას და არაა დაკავებული მისი საამქვეყნიო რეალიზაციითა და სახალხო განხორციელებით. თუკი უნდა შეიმეცნოს, ის უპირველესად არ არის მის მიერ დაწერილი წიგნი და არ არის სამეცნიერო აღმოჩენა ადამიანებისათვის, რომელიც შედის ადამიანური კულტურის წრეში. ეს, უპირველესად, მისი შინაგანი შემეცნებაა, რომელიც ჯერ კიდევ სამყაროს არ უნახავს და არ გამოხატულა სამყაროსთვის. ეს მხოლოდ პირველსაწყისი შემეცნებაა, მისი ნამდვილი ფილოსოფია, როდესაც ის შემომქედებითი ყოფიერების წინაშე დგას.

პოეტური შემოქმედება ბუნებით გენიალურია და პოეტიც, შესაბამისად, შექმნილია გენიალურ არსებად. პოეტ-შემოქმედის გენიალურობა ასახავს მასში ღმერთ-შემოქმედის სახე-ხატს. გენიალურობა არის მთლიანად თვისება პოეტისა და არა განსაკუთრებული ნიჭი და ის მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი მიილტვის

პირველსაწყისისაკენ, რომ შემოქმედებით პროცესში მასში პირველადია საღვთო ლტოლვა და არ არის განსაზღვრული საზოგადოებრივი დანაშრევებით:

თვით უზენაეს ანგელოსთა აალებული მზერა
ბრმავდება წინაშე პირისა შენისა,
სამყაროს მთელი უსასრულობა
შავი ლაქა
შენი უსაზღვრო ნათლის წინაშე
რაც უფრო მოგელტვიან ანგელოსნი
მით უფრო გშორდებიან
რაც უფრო ნათლდებიან შენით
მით უფრო ინთქმებიან
შენს მარადიულ ბნელში.

[გამსახურდია ზ., 2014: 106]

საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ენიგმატური სულთქვნა შემოქმედებითი ფიასკოს (ფიასკოს პირობითად, რა თქმა უნდა. ნ.ქ.) გამო. არის უზარმაზარი სევდა და წუხილი, რომელიც შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. აქედანაა ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული კონფლიქტი პირად სრულყოფილებასთან. ძალა, სიდიადე, გენიალურობა შემოქმედებისა სრულყოფილების ხარისხის პირდაპირპროპორციული არ არის, რომელსაც ადამიანი აღწევს. ყველაფერი იღვრება სამნათობიერი ერთარსებისაგან. სულეთის ცისარტყელა მრავალფეროვნების სიმბოლოა, რომელიც მარადიულიდან მოედინება, ხოლო ცეცხლოვანი მუზები უეცრად, იჩქითად ჩნდებიან, მაგრამ წვა და დაგვა ზეშთა სიახლეების, თავად პოეტის ღრმა შემოქმედებით კირთებად გვესახება:

შენგნით აღმზევდება სულთა ალიონი
შენ გამო ვარდობენ ცანი
ზღვა-ხომლთა დენანი, ციმციმა ციონი

მადლად ცხოვრებისად ვცანი.
სამმნათობიერთა ზეგარდმოვლენანი
სულეთის ცა-მზეოსანი
ალიერ ფრთოსანთა იჩქითად ჩენანი
ზეშთა სიალეთა წვანი.

[გამსახურდია ზ., 2014:78-79]

ზვიად გამსახურდიას პოეზია შესანიშნავად აჩენს პოეტის ეთიკურ თვისებებს, მაგრამ ცნობილია, რომ გენიალური და დიდი შემოქმედი შეიძლება იყოს ლოთი, ზნედაცემული და ა.შ. პოეტური და ზოგადად შემოქმედება ეთიკის კანონის გარეშეა და სხვაგვარ ეთიკას გულისხმობს, ვიდრე, მაგალითად, მონანიების ეთიკაა. შემოქმედი მართლდება თავისი შემოქმედებით, თავისი შემოქმედებითი გმირობით. მაგალითად, დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ცნობილია თავისი ქრისტიანული დოქტრინით, რომელიც ორთოდოქსიიდან გადახრაა და, ამდენად, მიუღებელი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, საერთოდაც მართლმადიდებლობისთვის. მაგრამ როგორც მწერალი, ის უდიადესია მსოფლიო კლასიკოსთა შორის. გალაკტიონის ღვინისადმი დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისი წარმოუდგენელი პოპულარობისათვის საქართველოში. ზვიად გამსახურდია ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მისი ზნეობრივი თვისებები, ცხოვრების წესი და ა.შ. ის მთლიანად ეთანადება იმ სულისკვეთებას, რომელსაც ხშირად აშკარად და ხშირად შეფარვითაც გამოხატავს ხოლმე. უძღები შვილის იგავი სახარებისეული საღვთო დიდაქტიკის ჩინებული ადგილია, სადაც მონანიების ძალმოსილება ღვთის თვალში განსაკუთრებულ რეგისტრს აღწევს. პოეტი უძღები შვილის პოზიციიდან ესაუბრება უფალს და ცოდვით დამძიმებული თვალს ვერ უსწორებს. ალაგმავას (არა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ლაგმის ამოდების შინაარსით) სთხოვს უფალს, სადავეების ამოდებას, ცოდვათა შესაჩერებლად. მიმართვის ფორმით დაწერილ

ლექსთა შორის ეს ლექსი საუკეთესოა არა მარტო ზვიად გამსახურდიას პოეზიაში. განსაკუთრებით ამშვენებს რეფრენი -„მეუფეო ზეცათაო,“ რომელიც ალუზიაა დავით გურამიშვილისეული იესოსადმი მიძღვნილი ლექს-ფსალმუნისა (განსაკუთრებით რეფრენისა - დიდება, მოთმინებასა შენსა, უფალო, იესო!):

ვით უძღები შვილი სოფლად, ვერ წაუველ ვერსადაო
თვალთა შენთა მშანთავ ნათელს, მეუფეო ზეცათაო!
ქვესკნელს დამნთქა სულთა მტერმა, სადა შენ და მე
სადაო
მომიძიე კრავი შენი, მეუფეო ზეცათაო!
გულისთქმათა განმგებელო, მსურს ამლაგმო,
მესადავო,
სულთა მწეო, ყოვლისმძლეო, მეუფეო ზეცათაო!
სინანულის ცრემლთა რუებს აწ კი უნდა ესათაავო,
მოხვედ ჩვენად სინანულად, მეუფეო ზეცათაო!

[გამსახურდია ზ., 2014: 80]

ზვიად გამსახურდიას შემოქმედებას ახასიათებს თავისებურად დაძაბული ხასიათი და, ამასთანავე, პირად ტკბობასაც ეძლევა ხოლმე. დაძაბულია იმ ფონით, რაც მის ირგვლივ სუფევს. ის, როგორც არავინ, ისე განიცდიდა სამშობლოს შეჭირვების ნებისმიერ გამოხატულებას. უბრალო ჩამონათვალშიც კარგად იგრძნობა, თუ როგორ შესტკივა გული მიტოვებულ და უპატრონოდ დარჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. განცდის რეგისტრი ისეთი მაღალია, რომ ტაძარი გაპიროვნდება ჩვენ თვალწინ, განცდა ენიგმატურია, მეტაფორული და მიუწვდომელი შეუიარაღებელი თვალისთვის:

ხანაც იპყრობს ნაღველი
მთაზე ნისლად მდგომი

და მრავალის მნახველი
ჩუმად სტირის წრომი.
წლები ჩამიწებულან წრომში,
წრომი ქვით ნაგები ემბაზი
წარმომავლობის სიმწარეში
ფიქრობს სამეგაზე.

[გამსახურდია ზ., 2014: 30]

აქ არაჩვეულებრივ ზნეობრივ პარადოქსთან გვაქვს საქმე. პოეტი დაინტერესებულია გადარჩენითაც და დაღუპვითაც. ივიწყებს თავის პოეზიაში საკუთარ პიროვნებას, უარყოფს თავისთავს. თავად შემოქმედება ყოველთვის მსხვერპლს გულისხმობს. ზვიად გამსახურდიას პოეზიაში პროფეტიზმი ყოველთვის თვითგადალახვა, მისივე ჩაკეტილი სამყაროდან გამოსვლაა. ის ივიწყებს გადარჩენას და გამუდმებით ზეადამიანურ ღირებულებებზე ფიქრობს. ეს ზეადამიანური ქრისტესმიერი თვისებებია, რომელიც მართლაც გამოდგება ამ ღირებულებების ყველაზე უფრო პოზიტიურად წარმოსაჩენად. უნებურად იბადება პროფეტული განცდა საქართველოს თავისუფლების გარდუვალობისა, რომელიც ზვიად გამსახურდიას საჯარო გამოსვლებში მრავალჯერ გაუმეორებია, სიკვდილიდან გამოსვლისა და გარდაუვალი აღორძინების შესახებ. ის, რომ ქვეყნის ტვირთმზიდველობა ჯოჯოხეთიდან ამოიყვანს ცოდვილ ადამიანს:

თქვენ რომ მეუფე დაფლეთ
აღსდგა, აქ არ განისვენებს;
დღიდან ბნელს ნათელი დაფლეთს
განჰკურნავს ცოდვილთ სენებს.
უფალი ჯოჯოხეთს შთაჰხდა,
იხსნა სულნი მართალთა,
ანგელოსნი დარჩნენ სახტად

ცა დასთმეს ფერგამკრთალთა.“

[გამსახურდია ზ.,2014: 83-84]

საერთოდ პროფეტული პოეზია დაკავშირებულია არასრულყოფილებასთან, დაუხვეწაობასთან. ხელოვანისთვის სრულქმნილება შეიძლება არასასურველიც კი იყოს. ესაა შემოქმედების ზნეობრივი პარადოქსული პრობლემა. უკმარისობის გრძნობა მუდამ ახლავს ზვიად გამსახურდიას ლექსებს. ის ძალიან ფაქიზია ლექსების წერისას. რუდუნებითაა ყოველი სტრიქონი გამოყვანილი, მაგრამ განცდა იმისა, რომ მეტს სთხოვს თავს, მკითხველს არცერთ ნაბიჯზე არ ტოვებს. შემთხვევითი არაა, რომ ვალპურგიაა ნახსენები - ნარევი სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვრის შესუსტებისა, წარმართულისა და ქრისტიანობის შეერთებისა, აღუვსებლობა:

სთვლემენ ლამისფერი ლომები
და სული ჩანგების ყრმა არი
სად სერაფიმების ხმა არი
ვალპურგია და ვარფლომები.

[გამსახურდია ზ., 2014: 36]

შემოქმედებითად ზვიად გამსახურდია თვითსრულქმნილების გზას არასდროს დასდგომია. მისი პროფეტული პოეზია გულისხმობს პირადი სრულქმნის დავიწყებასა და პირად მსხვერპლშეწირვას. მისი შემოქმედების გზა - გმირული გზაა, მაგრამ განსხვავებული თვითსრულქმნისა და გადარჩენისაგან. მისი ხელოვნების დანიშნულება სამეუფეო სამყაროსთვის, ამქვეყნად სამეუფეო საქმეებისთვის არსებობს. მაგრამ სრულებითაც არ არის საჭირო, რომ ეს იყოს პირადი ხსნის გზა და, თუ ეს საჭირო იქნება, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შემოქმედი თავისი შემოქმედებით არის გამართლებული. ამიტომაა, რომ ზვიად გამსახრუდიას „უზენაესთან ზიარება“ და „სასოების სავსე თაველი“ არის უზეშთაესი მიზანი, მის კალამს არასდროს შეუნელებია ეს განცდა:

თუ არ გასთელე უსასოო ჭმუნვათა ველი
ვეროდეს ჰპოვო ღვთაებრივი სევდის ბაღნარი,
ვერ ეზიარო უზენაესს ლოცვად დამდნარი,
ვერ მოიწიო სასოების სავსე თაველი.
[გამსახურდია ზ., 2014: 95]

ზვიად გამსახურდიას კალამს არც პროფეტული და არც ენიგმური ჭვრეტა არ ექნებოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ცოდვების გამო გამუდმებული გრძნობისა და მხოლოდ მორჩილების გზით ეარა. მას, როგორც დიდოსტატ ხელოვანს, შეეძლო, სული გადაეყვანა ყოფიერების სხვადასხვა მდგომარეობაში. მის შემოქმედებაში იგრძნობა, რომ სულს შეუძლია იცხოვროს ერთდროულად ყოფიერების სხვადასხვა დონეზე, ამაღლებული ან დამდაბლებული, შეუძლია თამამად შექმნას და მორჩილად მოინანიოს. მუზა ერთგვარი სარკეა პოეტის სულისა, ის „ისხეულებს“ თავს, რაც თავისთავად ხდება და წვით აღავსებს პოეტს. მუზა ხომ ზღაპარივით მშვენია, ზეციდან ღრუბელ-ბროლთა ცვენას ჰგავს, მაგრამ იმწამსვე საცნაური ხდება, რომ ენიგმურია ეს ბროლები, ისინი წვას იწვევენ. ზოგადად, „ეპილოგი“ არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, არამედ ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია თავისი არაჩვეულებრივი დინამიკითა და ტექნიკური შესრულებით (ორიგინალური რითმითა და ძალზე დინამიკური ტემპით):

მესარკე რად
თვით ისხეულე თავი შენი
ან თარგი მტვრად
სული ან ზღაპრად რად იმშვენე
ვიდოდი თვით
კოშკი როს ღრუბელ-ბროლთა მშენი
დამეცა ცით
ამავსო წვით. [გამსახურდია ზ., 2014: 96]

ზვიად გამსახურდიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რამდენადაც ადამიანური ბუნება ცოდვითდაცემულია, იმდენად შემოქმედებაა გამრუდებული და დამძიმებული ცოდვით, და შესაძლებელია, ის არსობრივად ბოროტი შემოქმედებაც კი შეიძლება იყოს. მხოლოდ შემოქმედი და მისი შემოქმედება საუბრობს იმ მოწოდებასა და ადამიანის დანიშნულებაზე სამყაროში, რომელზეც კანონი არაფერს ამბობს და არც გამოსყიდვისა და მონანიების ეთიკა ძრავს კრინტს. სახარება და პავლე მოციქული გადმოგვცემენ ადამიანის ნიჭიერებისა ან მოწოდების შესახებ და ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გამოდიან ცოდვის მონანიებისა და გამოსყიდვის საიდუმლოს ფარგლებიდან. ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის სულშია, სულიწმინდაში და მხოლოდ სულში ხდება მისი შეერთება მადლსა და თავისუფლებასთან, რასაც ვაწყდებით კიდეც ზვიად გამსახურდიას პოეზიაში [გამსახურდია ზ., 2014: 78].

მაგრამ როგორია პროფეტული ხელოვნების მნიშვნელობა ეთიკაში? ზვიად გამსახრუდიას აზრით, უპირველეს ყოვლისა, ეთიკამ უნდა დააყენოს საკითხი ნებისმიერი შემომოქმედების დანიშნულების შესახებ, მიუხედავად იმისა, ამ შემოქმედებას კავშირი აქვს თუ არა ზნეობრივ ცხოვრებასთან. შემეცნებით თუ მხატვრულ შემოქმედებას აქვს ზნეობრივი მნიშვნელობა, რამეთუ ის, რაც ქმნის უმაღლეს ღირებულებებს, ზნეობრივი ღირებულება გააჩნია, აუცილებლად უფალს მიეახლება და განწმედილია. ამიტომ სულები შედარებულია „დანთებულ სანთლებს," იესო, რომელსაც ვერ იტევს ზეციური სამაყროც. ამიტომ ჭეშმარიტი პროფეტული პოეზია არის ნაკურთხი და კვეთებული, ის ჭეშმარიტი პროსკომიდიაა პირდაპირი მნიშვნელობით:

სულები სანთლებად ანთია
ციალებს აღსავლის კარი,
დიდების შემმოსველ განთიადს

გვაუწყებს სიონის ზარი,
მეუფევ, ეგ საკურთხეველი
სულეთის კარია ზენა
იესო ცად დაუტეველი
სამოთხის სხივთა ფენა.

[გამსახურდია ზ., 2014: 75]

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ეთიკაში გადახლართულია კონფლიქტი სრულქმნილი კულტურული ღირებულების შემოქმედებასა პერსონალურ შემოქმედებას შორის. მასთან შემოქმედებითი გზა არის ზნეობრიობისა და რელიგიური სრულქმნის გზა, სიცოცხლის სისავსის განხორციელების გზა. სიცოცხლე არა ნაცრისფერი, არამედ არსებობისთვის ბრძოლით თავისი ოჯახური კონფლიქტებით, უიღბლობით, გაწბილებითა და ასე შემდეგ.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ერთი თვალის გადავლებითაც კი ჩანს, რომ მას ხანგრძლივი შემოქმედებითი წვა განუცდია, ის უაღრესად ძლიერია მსოფლგანცდებში და მარადიული, უცვლელი, უცნაურად მშვიდიც კი, მაგრამ თემატურად ცვალებადი. მის შემოქმედებაში გრძნობათა აზვირთება და ნააზრევის საბურველი ჰარმონიულად შერწყმია ერთმანეთს. როცა ძალიან მაღალია რეგისტრი ამგვარი ჰარმონიისა, ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში ჩნდება პროფეტიზმის ელემენტები და უნდა ითქვას, რომ უცდომელია მისი წინასწარმეტყველება და ოსტატურად მოქცეული მხატვრულ ყალიბში. მის პოეზიაში ოსტატურად არის შეზავებული წინასწარი განზრახვით გადმოცემული ბუნდოვანი ალეგორია, რაღაც საშუალო ღიაობასა და დაფარულს, გამჭვირვალესა და ბუნდოვანს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია ენიგმატური პოეზიის დიდოსტატია. საიმქვეყნიო ვნებანი რელიგიური შთაგონებითაა გასხივოსნებული ზვიად გამსახურდიას მთლიან შემოქმედებაში. მასთან არ არის ისეთი პერიოდი, რომელიც სხვადასხვა დოზით პროფეტულ ჭვრეტათა თუ განცდათა მოზღვავებას არ აჩენდეს.

როგორც წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული პოეტი, ის გრძნობდა თავისი ამქვეყნიური არსებობის აღსასრულს და მოახლოებული სიკვდილის შემდეგდროინდელ საყოველთაო აღიარებასა და უკვდავებას. ყველა მისი ტრაგიკული და წინასწარმეტყველური გამონათქვამი ახდა. წინასწარმეტყველება თავისი არსით არაფრისგან ქმნადობას გულისხმობს. მისი საიდუმლო არის თავისუფლების საიდუმლო. მისი ენიგმაც და პროფეტიზმიც მხოლოდ უძირო თავისუფლებიდან მომდინარეობს, რამეთუ უძირო თავისუფლებიდან შეიძლება ახლის შექმნა, არარსებულისა. ასეთი იყო ახალი საქართველოს შექმნა - საბჭოთა კავშირის რუტინის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე და ა.შ. ზვიად გამსახურდიას პასუხი ღვთის მოწოდებაზე არ შეიძლება მთლიანად შედგებოდეს იმ ელემენტებისაგან, რომელსაც ღმერთი იძლევა და რომელიც ღვთისგან გამომდინარეობს. რაღაც ადამიანისაგანაც უნდა გამომდინარეობდეს და სწორედ ეს რაღაცა არის უპირატესად ღვწა-შემოქმედება, ახლისა და არარსებულის შემოქმედება. მაგრამ პოეტის შემოქმედება, რომელიც არის ცეცხლოვანი მოძრაობა თავისუფლების უფსკრულიდან, არა მხოლოდ უნდა ამაღლდეს, არამედ უნდა დადაბლდეს კიდეც და შეატყობინოს ადამიანებსა და სამყაროს ის, რაც წარმოიშვა შემოქმედებითი გამოფხიზლების დროს.

ჩანაფიქრი მომდინარეობს მარადიულიდან, ღმრთისაგან, მისი ემანაციაა და განხორციელება. მხოლოდ მისი ერთ-ერთი ვარიანტი არსებობს შემოქმედებითი ნაყოფის სახით, რომელიც ვერანაირად ვერ იქნება იედალურის იდენტური. აქედან ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული კონფლიქტი პირად სრულყოფილებასთან, არაფრისგან მომდინარე ადამიანის შემოქმედება უნდა გავიგოთ პროფეტული თავისუფლებიდან გამომდინარე შემოქმედების გაგებით. ეს კი მადლად უცვნია პოეტს, პროფეტულ მადლად.

თავი III- ანტიციპაციური ობერტონები ზვიად გამსახურდიას იგავებში

3.1. დროისა და სივრცის დისკურსი ზვიად გამსახურდიას იგავებში

როგორც მხატვრული კატეგორიები, სივრცე და დრო უძველესი დროიდან ყურადღების საგანი იყო. ასე რომ, არისტოტელე წერდა ტოპოსზე, ანუ მოქმედების ადგილის - მხატვრული სივრცის პროტოტიპზე. მხატვრული სივრცისა და დროის კონცეფცია ყველაზე სრულად განვითარდა მე-20 საუკუნეში.

ლიტერატურულ კრიტიკაში სივრცულ-დროით ორგანიზაციას ქრონოტოპი ეწოდება. ეს კონცეფცია, როგორც ლიტერატურის ფორმალური შინაარსის კატეგორია პირველად გამოიყენეს მ.მ. ბახტინმა, რომელმაც დეტალურად აღწერა და აღწერა ქრონოტოპის რამდენიმე ძირითადი ტიპი.

მ. ბახტინის, ქრონოტოპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაწარმოების შექმნის პროცესში. ლიტერატურათმცოდნის აზრით, ქრონოტოპი არის ჟანრის სტრუქტურული კანონი, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი დრო-სივრცე დეფორმირდება მხატვრულად. „დრო აქ სქელდება, მკვრივდება, მხატვრულად ხილული ხდება; სივრცე გაძლიერებულია, ჩათრეულია დროის, სიუჟეტის, ისტორიის მოძრაობაში“ [(ბახტინი, 1975:186].

ჩვენი სამყაროს არსებობის ბუნებრივი ფორმებია დრო და სივრცე. თუმცა, მხატვრული სამყარო ყოველთვის პირობითია ამა თუ იმ ხარისხით. ის არის რეალობის გამოტახულება. ამრიგად, დრო და სივრცე ლიტერატურაში ასევე პირობითია. დრო აქ მხატვრულად ხილული ხდება. სივრცე იზიდავს დროის, მისი მონაკვეთებისა და ისტორიის მოძრაობას. კერძოდ, მოვლენების გამოხატვა შესაძლებელია ერთდროულად სხვადასხვა ადგილას. გადასვლა ერთი წერტილიდან მეორეზეც (განსაკუთრებით აწმყოდან წარსულში და -პირიქით) მარტივია.

ზვიად გამსახურდიას იგავთმეტყველებაში დრო და სივრცე არის უწყვეტი ანუ დისკრეტული. მის იგავარაკულ ჟანრს არა მთელი დროის ნაკადის რეპროდუცირება, არამედ მისგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტების შერჩევა ახასიათებს.

რაც შეეხება სივრცეს, სივრცე-დროის კოორდინატების მყისიერი ცვლილება (მაგალითად, მოქმედების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე) ზედმეტს ხდის შუალედური სივრცის აღწერას. სათანადო სივრცის დისკრეტულობა გამოიხატება, პირველ რიგში, იმაში, რომ ის, როგორც წესი, დეტალურად არ არის ასახული, მაგრამ მხოლოდ მითითებულია ავტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცალკეული დეტალების დახმარებით. დანარჩენი, როგორც წესი, იგავის დიდი ნაწილი მკითხველის წარმოსახვაში გვირგვინდება და აზროვნების ფართო ასპარეზს იძლევა, რაც დიდ უპირატესობას ანიჭებს მის ბასრ კალამს.

დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების ბუნება დიდწილად დამოკიდებულია ლიტერატურის სახეობაზე. იგავური ტექსტის თანახმად, სივრცის გამოხატულება შეიძლება საერთოდაც არა ან ალეგორიულად არსებობდეს, მაგალითად, უდაბნო პუშკინთან, ზღვა ლერმონტოვის „პარუსში“, ბევრად უფრო ფართო და ღრმა ცნებებს - ადამიანის სიცოცხლეს აღნიშნავს. ლირიკას ასევე ახასიათებს დროის სიბრტყეების ყოვლისმომცველი ურთიერთქმედება: წარსული, აწმყო და მომავალი.

ნოველუისტური ხასაითის იგავური ჟანრი კონვენციური ქრონოტოპით არ არის ეპიკური, სადაც აქ დროისა და სივრცის ფრაგმენტაციაა, გადასვლები ერთი დროდან მეორეზე, სივრცითი მოძრაობები მარტივად და თავისუფლად ხორციელდება მთხრობელის ფიგურის წყალობით - შუამავალი გამოხატულ ცხოვრებასა და მკითხველს შორის. მთხრობელი კუმშავს დროს და ხშირად ცდილობს შეაჩეროს იგი.

ქრონოტოპი იგავში ყველაზე მეტად ჩვეულებრივია, რაც ძირითადად განპირობებულია მკითხველზე ორიენტაციით. დროისა და სივრცის ორგანიზება ვერ

გამოიხატება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით, დრო და სივრცე შემოსაზღვრულია ლაკონურობით.

ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახება დროის ფილოსოფიური, თეოლოგიური ან მეცნიერული გაგება, დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების პრობლემა კი ისტორიული პირების ალეგორიული გამოხატვის მიზნით ოსტატურად აქვს გამოყენებული იგავში **„თერსიტეს გაცოცხლება“** . ადამიანებმა გამოიგონეს დროის მანქანა, რომელიც თვით შემქნელთა ნებას არ ემორჩილება და თვითნებური მოქმედებით გააცოცხლებს ფიზიკურად და სულიერად მახინჯ თერსიტეს. ის ლაფში სვრის ყველა გმირს და ბოლოს ოდისევსის კვერთხის მსხვერპლი ხდება.

თერსიტეს გაცოცხლება და თანამედროვე ყოფაში შემოყვანა ახალი გარემოსადმი მის შემგუებლობაზე მეტყველებს. მას სრულიადაც არ აკვირვებს ეს გარემოება. რა თქმა უნდა, ის ყველაზე ღირსეულებს ეძებს და იწყებს ცილისწამებასა და ლანძღვას. პირველი თვით მისი გამომგონებელ-შემოქმედია, შემდეგ ნიჭიერებისა და ღირსეულების ჯერიც მოდის. როცა მისი მოსპობა-ანულირების საკითხი დგება, აღმოჩნდება, რომ მანქანას წარსულიდან გამოხმობა შეეძლო და არა - პირიქით. თავად თერსიტე აღნიშნავს, რომ ის ატიპური მოვლენა იყო და ვერავინ შეძლებდა მის უკან დაბრუნებას, ხოლო თვითონ კი შეეძლო სხვების ანულირება, რადგან ისინი თავადვე ეკუთვნიან წარსულს. რაც შეეხება აწმყოსა და მომავალს, ის მას ეკუთვნოდა. თერსიტე პარპაშებს და ცდილობს ყველა პატიოსანი ადამიანის წარსულში გადაგზავნას.

ავტორის მიზანია დროის უნივერსალური და მაქსიმალურად მწყობრი განსაზღვრების შემუშავება ლოგიკური მეთოდების მეშვეობით. ამის საპირისპიროდ, ლიტერატურული ნაწარმოებების დრო თავისებური და ინდივიდუალურია. ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში, ერთი და იმავე ავტორის ქმნილებებშიც კი, დრო სხვადასხვაგვარადაა გააზრებული, თუმცა, მოკლედ ამის დამაჯერებლად დასაბუთება ძნელია (იხ. პოლ დე მანი, 1981).

რეტროსპექტულად არის დანახული დრო დროის მანქანის გამოგონებით. წვდომა ახლანდელიდან წარსულს ეხება. ხდება დროის სიღრმიდან გმირების გაცოცხლება. სქემა აწმყოდან წარსულისაკენ, წარსულიდან მომავლის მიმართულებით სვლა. იწყება მისტიკური თავგადასავალი, რომელიც დროული განზომილებით არ მიედინება წარსულიდან მომავლისკენ, არამედ ზოგჯერ საპირისპიროდ მიემართება, ზოგჯერ თანხვედრილია, წარსული და მომავალია, ან კიდევ წარსული მომავალსა და აწმყოს წინ უსწრებს. ამას, რეალისტური საშინელება ამძაფრებს. თერსიტეს ანულირება შეუძლებელი ხდება და მეტისმეტი დაუნდობლობით აგრძელებს ადამიანების დაღუპვასა და ფიზიკურ განადგურებას. დროული სივრცე თითქოს ზღვარსაც კარგავს. აი, რას ამბობს თერსიტე: მე რომ შემთხვევითი, ან არატიპიური მოვლენა ვყოფილიყავი, მაშინ შესძლებდით ჩემს ანულირებას. ამჟამად კი მე უფრო შევძლებ თქვენს ანულირებას, ვინაიდან თქვენისთანები უფრო ეკუთვნიან წარსულს, ვიდრე ჩემისთანები . [გამსახურდია ზ,. 1987:32], ჰაიდეგერი საუბრობდა დროის „ექსტაზების“ შესახებ და დროს განსაზღვრავდა, როგორც მომავლისკენ მოძრაობას წარსულში დაბრუნების მიზნით. ეს გამონაკლისი როდია დროის სივრცედ გადაქცევის კანონიდან. მართლაც, როგორც ჰაიდეგერისეული ექსტაზი (ეტიმოლოგიური გაგებით, „გარეთ გასვლა“), ისე – წარმოდგენა წინსვლისა და შემდეგ უკან დაბრუნების შესახებ, სივრცული ხასიათისაა. [ჰაიდეგერი მ., 2006: 157-162]. შესაბამისად, თერსიტეს ექსტაზი სივრცულ ხასიათს იძენს.

ცხოვრებისეული დროის აღსანიშნავად არცერთი ზუსტი სიტყვა არ არსებობს. ამდენად, მისი აღმნიშვნელი ყველა სიტყვა ზვიად გამსახურდიასთან მეტ-ნაკლებად მეტაფორული ხასიათისაა. ამდენად, პროფეტიზმს ენიგმატურობა უდევს საფუძვლად ზვიად გამსახურდიას იგავებში, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ურთიერთგანმაპირობებელი აღმოჩნდა, რომ ყველაზე შთამბეჭდავ სახეებში ის იყენებს საკუთრივ ენას, როგორც დროის ფორმას. დროის შეუმეცნებლობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ დასავლური მოაზროვნეები. მაგალითად, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარების“ მეცხრე წიგნში ასახულია დროის საიდუმლოს ამოცნობის ერთ-ერთი

პირველი მცდელობა. ავგუსტინე კითხულობს: „რა არის დრო?“ და იქვე პასუხობს: „თუ არავინ მეკითხება, მაშინ ვიცი, რა არის დრო. თუკი ვინმეს უნდა განვუმარტო, მაშინ უკვე მისი არაფერი გამეგება“ [ჩედვიკ ჰ., 1992: 65].

სიტყვა „დრო,“ – ამბობს პოლ ვალერი „პოეზიასა და აბსტრაქტულ აზროვნებაში,“ – პრობლემური არაა, როდესაც ზუსტად ვიყენებთ მას ნებისმიერი რაოდენობის ყოველდღიურ გამოთქმებში – მაგალითად, როდესაც დაუფიქრებლად ვკითხულობთ, „რა დროა?“ სიტყვა იქცევა პრობლემად, როდესაც მას კონტექსტიდან ამოვგლეჯთ, იზოლირებულად განვიხილავთ და, ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად, ვეკითხებით საკუთარ თავს: „რა არის დრო?“ ასეთ შემთხვევაში სიტყვა ამოუხსნელ საიდუმლოდ იქცევა. ზვიად გამსახურდია თავისებურად ცდილობს დროის აბსტრაჰირებას. თერსიტეს უარყოფითი ბუნებიდან გამომდინარე, ის წარსულს საერთოდ ჩქმალავს და აწმყოსა და მომავალში ათავსებს ბოროტებას. ნამყო მას ღირსეული და პატიოსანი ადამიანების სამეუფოდ დაუსახავს.

ზვიად გამსახურდიას ამ იგავში სიტყვა „დროის“ მნიშვნელობა, როგორც ჩანს, აღემატება ყოფით ენაში მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობების ჯამს. ზვიად გამსახურდიასთან თერსიტეს მონოლოგი დროის შესახებ ძალზე საყურადღებოა. თერსიტესთვის დრო დღეების სწორხაზოვანი ჯაჭვია და ის სიკვდილის მომენტშიც კი არ წყდება. დღეები კი წინადადების ან წინადადებათა ერთობლიობის წარმომქმნელი მარცვლების ერთობლიობაა, რომელთაც წარმოთქვამს, მაგალითად, მაგიური სიტყვების წაჩურჩულებისას. დრო, თერსიტეს წარმოდგენით, არსებობს მხოლოდ ჩანაწერის სახით. ესაა უსაზმნო ზღაპარი, უთავბოლო თხრობა. მისი ნაწილები ურთიერთშესაბამისი არაა. მარცვლები მწყობრად არაა შეკავშირებული სიტყვებსა და წინადადებებში.

„თერსიტეს გაცოცხლება“ შესაძლებელია დროის სივრცული ალეგორიზების თვალსაჩინოდ ილუსტრირებაა. საზოგადოდ, ზვიად გამსახურდია ყოველთვის ცდილობს, ნარაციის მეშვეობით გადმოგვცეს დროის მისეული განცდა. ზვიად

გამსახრუდიას მეტაფიზიკა დროის მეტაფიზიკაა. ის არაჩვეულებრივად დახვეწილი სივრცული ფიგურების მეშვეობით ასახავს დროს. „რეალისტური“ მოვლენების ცოცხალი, დეტალური ასახვები მის ნაწარმოებებში გამოიყენება, როგორც დროის ალეგორიები. ალეგორიის რეალისტური დეტალიზება ხელს არ უშლის აღწერის ალეგორიულ ფუნქციას – ის აუცილებელიცაა მისთვის [მეიბერი კეტრინ , 1997: 297-308].

„რეალიზმი,“ რომელიც შეიმჩნევა ზვიად გამსახურდიას იგავების დეტალიზებულ ხელოვნებაში, უფრო კალიგრაფიაა, ვიდრე – მიმეზისი. ესაა ტექნიკური საშუალება იმაში დასარწმუნებლად, რომ სიმბოლოები მართებულად იქნება გააზრებული და განმარტებული და არ გვიბიძგებს იმიტაციით პრიმიტიული ტკბობისკენ… ალეგორიის სიძნელე საკმარისია, რომ რეპრეზენტაციის ეს ხაზგასმული სიცხადე არ ემსახურებოდეს იმას, რისი რეპრეზენტირებაც შესაძლებელია.

ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში ის, რისი რეპრეზენტირებაც შეუძლებელია, მაგრამ, რისი ალეგორიული სიმბოლიზება იგულისხმება და სახელდება, არის დრო. ზვიად გამსახურდიას მიერ დროის ალეგორიული გამოხატვის უპირველესი საშუალებაა ადამიანის სხეულის მოძრაობა სივრცეში.

დროის რეპრეზენტაცია ზვიად გამსახურდიას იგავში „თერსიტეს გაცოცხლება“ ძალზე რთულია, მაგრამ მისი ერთ-ერთი ასპექტი შესანიშნავად გამოიხატა დროის პრობლემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის. გამსახურდიასთვის ადამიანისთვის უბედურებას სწორედ რომ დროში შეზღუდულობა წარმოადგენს.

თერსიტე მოგზაურობს მეტაფორულად ან, ყოველ შემთხვევაში, ტროპოლოგიურად, რადგან ეს მოგზაურობა იმდენადვე მეტონიმურია, რამდენადაც მეტაფორული – მაგრამ თვითონ არ იცვლება.

ნებისმიერი ადამიანისთვის ესაა სიკვდილისკენ, როგორც საბოლოო წერტილისკენ, მოძრაობა და გზა. თერსიტეს მონოლოგის კონცეპტუალური ცენტრია

სიტყვებისა და ქმედებების რადიკალური გამიჯვნა. თერსიტესთვის მხოლოდ ბგერებს წარმოადგენს შიში და სიყვარული. ადამიანები, რომელთაც არასოდეს შეუცოდავთ, არ განუცდიათ სიყვარული ან შიში, ამ ბგერებით აღნიშნავენ იმას, რაც არასოდეს იცოდნენ და ვერასოდეს გაიგებენ, სანამ სიტყვებს არ დაივიწყებენ. შესაძლებელია, დროის მხოლოდ არაპირდაპირი სახელდება, პერფორმატიული გამოთქმებით (სიტყვებით, რომლებიც საქმეებია) და მათ ზვიად გამსახურდია საკმაო რაოდენობით გვაწვდის.

იგავის დასაწყისში სივრცული გადაადგილება ალეგორიულად ასახავს დროის მსვლელობას. დრო მიმდინარეობს თერსიტეს რიტმების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დროის მდინარება შეფარდებითია, სინქრონიზებული არაა. აგრეგატის კაპრიზი, ანუ გარემო ხდება თერსიტეს დორული გადაადგილების მიზეზი.

მეორე პასაჟი ასახავს სივრცეში გადაადგილებას, რომელიც თითქოს გადასვლაა დროში, რომელიც ერთდროულად ყველგანაა: ოდისევსმა მას კვერთხი უთავაზა და სამუდამოდ გააჩუმა, მაგრამ ჭკვიანი აგრეგატი დროის დაძლევას ემსახურება და შემოჰყავს გაიძვერა თერსიტე ყველაზე უფრო აქტიურ პერსონაჟად.

ზვიად გამსახურდია ააშკარავებს, რომ ცხოვრებისეული დრო ანადგურებს ადამიანის თავისუფლებას და გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ შესაძლებლობას. ამიტომაა, რომ თერსიტე პირველ აბზაცშივე განადგურებულია ოდისევსის კვერთხით. თითქოს ყოველი ქმედება მოხდა მანამ, სანამ რეალურად მოხდებოდა. ესაა დროის სახეობა, რომელიც გამორიცხავს უეცარი, მოულოდნელი და პირველადი მოვლენის შესაძლებლობას.

ზვიად გამსახურდიას იგავში დრო წარმოადგენს არა მომავლის, აწმყოსა და წარსულის უწყვეტ ჯაჭვს, არამედ ერთდროულობას, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივიდანაა დანახული. აგრეგატი კაზუსებს უშვებს და დამოკიდებულია პირადულ კაპრიზებზეც კი. კვდომას ზვიად გამსახურდია გაიაზრებს, როგორც დროის შემოჭრას, როგორც ერთდროულ თანაარსებობას ყველაფრისა, რაც კი ოდესმე

მომხდარა. როგორც ჩანს, იგავში თერსიტე ყველაზე ახლოა დროულ განზომილებასთან. ის ყველაზე უკეთ გამოხატავს გამსახურდიასეულ დროს - რომ შეგვეძლოს, უბრალოდ, დროიდან გაღწევა.

დროის სივრცედ გარდასახვის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია დროის ეს მანქანა. მსგავსი რამ ისედაც ხშირად ფიგურირებს ლიტერატურაში. მაგალითად, ყველანაირ შავ ფენტეზიში არსებით როლს არაზუსტი დრო თამაშობს, როდესაც საუბარია მკვლელობის ან განცდებთან დაკავშირებული სხვა მოვლენის შესახებ [სტეიბელფორდი ბრაიამ, 2005:3-70]. ცხოვრებისეული დროის აღსანიშნავად არცერთი ზუსტი სიტყვა არ არსებობს. ამდენად, მისი აღმნიშვნელი ყველა სიტყვა იგავში მეტ-ნაკლებად მეტაფორული ხასიათისაა.

„თერსიტეს გაცოცხლების“ იგავი გახლავთ პროფეტული მოვლენა, რომელიც აღემატება თავის დეტალებს. ის უეცარი, მოულოდნელი და პირველადი მოვლენაა, ყოველი სამეტყველო აქტი ირონიული და ზუსტი ალეგორიის მეშვეობით გულისხმობს თანამედროვე პოლიტიკოსებს, რომლებიც მასში აშკარად მოხსენიებულნი არ არიან.

ზოგადად ზვიად გამსახურიას იგავის ჟანრული მახასიათებლებია: მორალი, ალეგორიული მნიშვნელობა, აღწერილი სიტუაციის ტიპურობა, პერსონაჟები, ადამიანური მანკიერებების და ნაკლოვანებების დაცინვა. მაგალითად, იგავში **„კეთილგონიერი ექიმი“** [გამსახურდია ზ., 1987:34-35] ავტობიოგრაფიული მომენტია ასახული, რომელსაც „ქრისტესთვის კომპრომისი“ შეიძლება ეწოდოს. კეთილგონიერ ექიმში თვით ავტორი მოიაზრებს თავის თავს, ხოლო ფსიქიატრიაში საქართველოს ამოცნობაც შეიძლება. მან სხვა ასოციაციაც შეიძლება აღძრას, მაგრამ იგავის უპრეტენზიო ტონი და თავმდაბალი თხრობის მანერა თავითმართლების რეჟიმს გამორიცხავს. აქ საცნაური ხდება, რომ ზვიად გამსახურდიას „მონანიება“ საქართველოს (ფსიქიატრიის) თავისუფლების გადარჩენისათვის გადადგმული კომპრომისი იყო, რაც შემდეგ დადასტურდა კიდეც მოწამებრივი აღსასრულით. იგავი

მოგვითხრობს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სულით ავადმყოფებმა მოაწყვეს შეთქმულება, შეიპყრეს ექიმები და ულტიმატუმი წაუყენეს: თქვენ ცუდად გვეპყრობოდით, ახლა აღიარეთ თქვენი დანაშაული და მოინანიეთ, თორემ სიკვდილი არ აგცდებათ .

ერთმა კეთილგონიერმა ექიმმა მოინანია, რათა თავი დაეხსნა და მომავალში კვლავაც განაგრძო თავისი პროფესია ამგვარი ავადმყოფების მკურნალობისა, უგუნურებმა კი უარი თქვეს მონანიებაზე და ამით თავი შესწირეს თავიანთ ამპარტავნებას, რითაც დიდად ავნეს ფსიქიატრიას. აქ დროის კონტინუუმი წრფივია და პროსპექტული - კომპრომისი სამომავლოდ, სახვალიოდ იმიტომ, რომ სამკურნალო კიდევ მრავალი პაციენტი იქნება. ამით, რაც მთავარია, ფსიქიატრია, როგორც ასეთი, გადარჩა. ემოციას ძლევს გონიერება, უგუნურება კი ამპარტავნებიდან მომდინარეობს და მასვე ეწირება.

უფრო მკაფიოდ არავის ჩამოუყალიბებია თავისი პოლიტიკური კრედო და კომპრომისის ხელოვნება ისე, როგორც ეს ზვიად გამსახურდიამ გამოხატა. ალეგორიისა და იგავთმეტყველების არჩევანი შემთხვევითი არ იყო ზვიად გამსახურდიას შემოქმედებით გზაზე. საგნები და ცხოველები ადამიანების ნაცვლად მოქმედებენ იგავში. იგავის ენას ახასიათებს: ხალხური ლექსიკის ნაკლებად გამოყენება, პერსონაჟების მრავალფეროვნება, აფორიზმები და სხვ.

ძირითადად იგავი ხომ ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ჟანრია, მოკლე, გასართობი მოთხრობა ლექსსა ან პროზაში სავალდებულო მორალური დასკვნით, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანური მანკიერების დაცინვას, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებების წარმოჩენას. ის წარმოადგენს ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობას.

იგავური დროისა და სივრცის მახასიათებლები ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში გულისხმობს მორალის არსებობას ზღაპრის დასაწყისსა ან ბოლოს. საქმე ისაა, რომ მწერალი თავის იგავებში უშუალოდ გამოყოფს მორალის თემას ცალკე

და დასკვნის სახით გამოაქვს მზამზარეულად. ეს მაშინ ხდება, როდესაც ავტორს ეჩვენება, რომ მკიხთველს ან მკითხველთა გარკვეულ ფენას დახმარება ესაჭიროება. ასეთი იგავია **„ფუტკარი და პეპელა“ .**

ფუტკარმა უთხრა პეპელას: მე და შენ ორივენი ყვავილების ნექტარს ვისრუტავთ, მაგრამ სად შენი სარგებლობა და სად ჩემი: მე თაფლს ვაძლევ ადამიანს, შენ კი ქარს ატან მის მონაგარს. პეპელამ მიუგო: სამაგიეროდ, მე ყვავილების მშვენიერების სული მეუფლება და უცხოდ დამიხატავს ფრთებს, რათა ადამიანი დავატკბოთ ჩემი სიმშვენიერით. შენ კი გლახად მოკაზმულხარ გესლისაგან და ხშირად ადამიანს თაფლის ნაცვლად მომაკვდინებელი შხამით უმასპინძლდები, ასე რომ შენგან საფრთხე მეტია, ვიდრე - სარგებლობა“ [გამსახურდია ზ., 1987: 5-6]. სწორედ აქ აქვს გამოტანილი ცალკე მორალი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგავის ბოლოს) ავტორს.

მორალი: ასევე უჭირს ზოგიერთ გონებაშეზღუდულ მეცნიერს ხელოვანის დანიშნულების გაგება.

ალეგორიის არსებობა ნიშანდობლივია, როგორც ზოგადად იგავარაკული ჟანრისთვის, ასევე ზვიად გამსახუდიას იგავებისთვისაც: მოვლენების ალეგორიული გამოხატულებები, გმირები, უმეტესწილად, არიან ცხოველები. კომედიური ტონის მისაცემად ხშირად შემოდის დიალოგი. იგავის ენა ძირითადად ნარატიულია, მაგრამ არის ნარევი ვარიანტები, სადაც ცალკერძ ცხოველია და ცალკერძ ადამიანი, რომელთა შორის დიალოგი მიმდინარეობს თანასწორად. ალეგორია და რეალობა შერეულია ისე, რომ არ ირღვევა ბუნებრივი ზღვარი მეტყველ და რეალურად უტყვ არსებებს შორის. მაგალითად, იგავში **„ღორი და მარგალიტი“** უშუალო დიალოგთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ ოსტატურად არის ორივე პერსონაჟი მეტყველად გამოყვანილი, ღორი და მარგალიტების პატრონი: ერთმა ღორმა მიწის ჩიჩქნისას იპოვნა მარგალიტების სალარო. „ალბათ, საჩემო საკბილო თუა“ (ადამიანის ფიქრისა არ იყოს, ღორიც სიტყვიერად გამოხატავს განცდას), გაიფიქრა მან და ხარბად დაუწყო თქვლეფა, მაგრამ მალე დაინახა, რომ მარგალიტებმა კბილი მოსჭრეს მხოლოდ და არც

შიმშილის გრძნობა გაუქრა. „ეჰ, რას არ მოიგონებს ადამიანი," ამოიოხრა ღორმა, - „ განა რა სარგებლობა მოაქვს მარგალიტებს და მძივებს, თუ ერთი ლაზათიანად ვერ გამოგაძღო. სჯობს, ისევ საჩემო ნაგავი ვიპოვნო სადმე და მით ამოვიძღო სტომაქი." ამ სიტყვებით გადაჯეგა მარგალიტები და გააგრძელა გზა. მალე მარგალიტების მფლობელიც მოვიდა. რა დაინახა თავისი სალარო წაბილწული და განახევრებული, ერთობ დაღონდა და ინანა, რად არ ვიღეო ყურად ბრძენის შეგონება და რად განვუფინეო ღორს მარგალიტი" [გამსახურდია ზ., 1987: 13]. მეპატრონისა და ღორის ფიქრი თანაბარი ექსპრესიითა და ემოციებით არის გადმოცემული.

უმეტეს შემთხვევაში, მხატვრული დრო უფრო მოკლეა, ვიდრე - რეალური: ამას „იგავური ეკონომიკის" კანონის გამოვლინება შეიძლება ეწოდოს. ამასთან, არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომელიც დაკავშირებულია ფსიქოლოგიური პროცესების და პერსონაჟის ან ლირიკული გმირის სუბიექტური დროის გამოხატვასთან. გამოცდილება და აზრები, სხვა პროცესებისგან განსხვავებით, უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მეტყველების ნაკადი, რომელიც ქმნის იგავური გამოხატვის საფუძველს, მოძრაობას. ძალზე დინამიკურია იგავში **„თეთრი ყორანი"** მოთხრობილი ამბავი.

იგავის ტემპი მეტ-ნაკლებად სწრაფი, არაფრისმთქმელი, „ქრონიკული ყოველდღიური" და მოვლენიანი დროის შეფარდება დიდწილად განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრული დროის ტემპის ორგანიზაციას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ესთეტიკური აღქმის ბუნებას, აყალიბებს სუბიექტურ მკითხველს.

ერთმა ყორანმა გათეთრება განიზრახა და მტრედს ჰკითხა რჩევა. მტრედმა ურჩია: ლეშის ჭამას მოეშვი, უადგილო ადგილას ყრანტალს, ქვრივ-ობლებისათვის წიწილების მოტაცებას და გათეთრდებიო. ყორანს არ დაუჯდა ჭკუაში მტრედის რჩევა, წავიდა და მელას დაეკითხა, რომლის ჭკუა და გამჭრიახობაც საქვეყნოდ იყო განთქმული. მელამ ურჩია: „წადი, ერთი ადუღებული ქვაბი მოძებნე სადმე, ჩახტი შიგ და რომ ამოხვალ, სულ გათეთრდებიო." ყორანი გაფრინდა, მოსძებნა მდუღარე ქვაბი,

ჩახტა შიგ და, რა ამოვიდა, დაინახა, რომ ნაკრტენი მთლად გასცვენოდა და გათეთრებული იყო. გაუხარდა ყორანს, ახლა წავალ, თვისტომებს დავენახვები და შურით გავუხეთქავო გულს. დააპირა გაფრენა, მაგრამ ამაოდ, რადგან ფრთებიც ქვაბში ჩარჩენოდა ნაკრტენთან ერთად. „ეჰ, ისევ სიშავე სჯობნებია“, - გაიფიქრა ყორანმა. წაფორხილდა, ისევ მელიას მიაკითხა სოროში და ჰკითხა, როგორ გავშავდეო კვლავ. მელა სიხარულით ცას ეწია. „შემობრძანდი, მეზობელო, - უთხრა მან ყორანს, - შენი შავი სორო გაგაშავებსო ისევ.“ ყორანი გაბრიყვდა და შევიდა, მას შემდეგ აღარავის უნახავს თეთრი ყორანი [გამსახურდია ზ., 1987: 12-13].

იგავში საკმაო აქტივობებია შესრულებული, თუმცა, იგავური ლაკონურობის პრინციპით ეს წამში ხდება თითქოს. რეალური დრო მინიმუმდეა დაყვანილი.

სრულყოფილება და არასრულყოფილება - მხატვრული დროის სრულყოფილება და არასრულყოფილება მნიშვნელოვანია ანალიზისათვის. მწერალი ხშირად ქმნის ნაწარმოებებში დახურულ დროს, რომელსაც აქვს როგორც აბსოლუტური დასაწყისი, და, რაც მთავარია, აბსოლუტური დასასრული, რაც, როგორც წესი, წარმოადგენს როგორც შეთქმულების დასრულებას, ასევე კონფლიქტის მოგვარებას, ასევე იგავებში, მოცემული გამოცდილების ან ასახვის ამოწურვაა. ასეთი დროული სრულყოფილება, როგორც ჩანს, პრაქტიკული თვალსაზრისით იყო გამართლებული და სავალდებულოც. იგავური დროის დასრულების ფორმები მრავალფეროვანია: კერძოდ, ზვიად გამსახურდიამ სარკასტულად გაატარა მხატვრული ნაწარმოების დამთავრებისა ღია დასასრულის პრინციპი, რომელიც ასახავს დროისა და სივრცის არასრულყოფილებას. მასვე იყენებს ერთგვარ ტრამპლინად, რასაც მოსდევს კიდეც შეგონება. ამის მაგალითია იგავი **„გველის სიბერე“** . ერთ გველს შხამი დაუშრა კბილებში სიბერის გამო. შიშს რადგანაც ვეღარავის მოჰგვრიდა, ხრიკი მოიფიქრა, რათა წარსული დიდება დაებრუნებინა. ის გამოვიდა შუა გზაზე და უსისინა გამვლელ-გამომვლელს. ხრიკმა მხოლოდ ერთხანს გამოიღო ნაყოფი და „ყველა ერიდებოდა, რადგან ახსოვდათ მისი წარსული გმირობანი. ბოლოს ცხოველებმა

იფიქრეს: ვიდრე შხამი ჰქონდა, არავის უსისინებდა, ახლა კი, როგორც ჩანს, შხამი დაუშრა და სისინითღა ცდილობსო ჩვენს მოგერიებას“ გარს შემოერტყნენ გველს გაბოროტებულები და ვინც როგორც შეძლო, ისე ჩაწიხლა. ასე რომ გველის ნასახიც აღარ დარჩა საბოლოოდ. ავტორი დასძენს შეგონების სახით: თითქოსდა სიუჟეტი დასრულებულია გველის დაღუპვის ფინალით, მაგრამ ოდნავ ბუნდოვანია არსობრივად. ის მრავალმხრივ შეიძლება გავიგოთ. მთავარი მაინც განეიტრალებული ბოროტების არსის წაარმოჩენაა. ავტორი პროზაული ფორმით გადმოგვცემს ლექსად დაწერილ შეგონებას: „აქედან შეგონება: როცა გზაზე დაინახო მოსისინე გველი, მისგან ნუღარც შემოტევას, ნუღარც კბენას ელი“ [გამსახურდია ზ., 1987: 17]. ასეთი სინთეზი სპარსულ არაკებს მოგვაგონებს, სადაც ბეითები, დუბეითები, რობაიები, ყითები და ნაზმები ორიგინალურად არის ჩასმული თხრობაში.

ზვიად გამსახურდიას იგავთმეტყველებაში დრო-სივრცითი განვითარების ტენდენციები ყოველ ნაბიჯზე შეიმჩნევა: მხატვრული სამყაროს სივრცით-დროებითი ორგანიზაციის ისტორიული განვითარება ავლენს გართულებისადმი საკმაოდ მკაფიოდ გამოხატულ მიდრეკილებას. მწერალი იყენებს სივრცულ-დროებით კომპოზიციას, როგორც განსაკუთრებულ, შეგნებულ მხატვრულ სტრუქტურას. ერთგვარი თამაში იწყება დროით და სივრცით. როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შევადაროთ სხვადასხვა დრო და სივრცე, გამოვავლინოთ როგორც ლოკალური და ამჟამინდელი დამახასიათებელი თვისებები, ასევე ყოფიერების ზოგადი, უნივერსალური კანონები, სამყაროს გააზრება მის ერთობაში. ამის მაგალითია იგავი **„ცრემლნარევი ღიმი“ ,** სადაც სასეირნოდ გამოსული ერთი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ეკონომისტი ჭაში ჩავარდნილ კაცს წააწყდებიან, რომელიც შიგ ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა. მან თოკის მოტანა და დახმარება ითხოვა. სამივე პროტაგონისტმა ბჭობა გამართა, თუ რა უნდა ეღონათ - ფილოსოფოსმა ლოგიკური დასაბუთება მოითხოვა იმისა, „რომ ეს კაცი კაცია, ჭა - ჭაა და რომ ეს კაცი იხრჩობა ამ ჭაში“ [გამსახურდია ზ., 1987: 10]. დასაკავშირებელია თოკის ცნებაც ამ ჭასთან. ფსიქოლოგმა ამ კაცის ფსიქიკის მდგომარეობის შესწავლა მოითხოვა,

გამღიზიანებელთა ზემოქმედება მის ფსიქიკასა და სუბიექტის მათზე რეაგირება. საჭიროა აპარატურაც, თუ რამდენი აზრი გაუელვებს თავში და მოტივირება, თუ რატომ აღეძრა მას „თოკის“ ფსიქოლოგიური ასოციაცია. ეკონომისტმა დასძინა, რომ საჭიროა გავიგოთ, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის ის კაცი, რა წარმოებით ურთიერთობებთან აქვს საქმე, რადგანაც თოკს მოითხოვსო. გზად მომავალმა იურისტმა ურჩია სასწრაფოდ განცხადების დაწერა ჭიდან ამოყვანის თობაზე, თუმცა, დაავიწყდა, რომ იმ დღეს კვირა იყო და კანცელარიაც - დაკეტილი. ამ დროს, საბედნიეროდ, ერთმა გლეხმა გამოიარა, დაინახა კაცი იხრჩობოდა, სასწრაფოდ მოარბენინა სახლიდან თოკი და ამოიყვანა ის კაცი. ადგილობრივმა გაზეთმა მადლობა გადაუხადა მეცნიერთა ჯგუფს კაცის გადარჩენისთვის, ხოლო გლეხს დაევალა, რომ ჭა გადაეხურა, რათა შიგ ხელმეორედ არავინ ჩავარდნილიყო.

მოცემულ იგავში გროტესკს ქმნის კონტრასტი აბსტრაქციას, ზოგადსა და კონკრეტულს შორის. სამივე მეცნიერი მოწყვეტილია დროულ განზომილებას, ახლა და ამჟამად და თავისი პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე, აფასებენ სიტუაციას, როცა გლეხი თავისი ჯანმრთელი ფსიქიკითა და რეალობის ზუსტი აღქმით კაცს გადაარჩენს სასიკვდილო განსაცდელისგან, თუმცა სისტემა მეტად მკაცრია გმირისადმი და პირიქით ექცევა თეორეტიკოსებს. მთავარია ის, რომ სივრცულ-დროებითი კომპოზიცია მხატვრულ სტრუქტურას ართულებს, მაგრამ, ამავდროულად, ამძაფრებს კიდეც.

ეს სწორედაც დაკავშირებულია კიდევ ერთ ტენდენციასთან იგავებში - ინდივიდუალიზაციასთან. ხდება სივრცით-დროული ფორმების ინდივიდუალიზაცია, რაც ასოცირდება ინდივიდუალური სტილის განვითარებასთან და სამყაროსა და ადამიანის კონცეფციების მზარდ ორიგინალურობასთან ზვიად გამსახურდიას იგავებში.

აბსტრაქცია და სიზუსტე ლიტერატურაში დროისა და სივრცის შესატყვისი პირობების დარად ყალიბდება და ის შეიძლება დაიყოს აბსტრაქტულ და კონკრეტულ

სფეროებად. აბსტრაქტული დრო / სივრცე შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ყველაფერი (სადმე ან არსად, ყოველთვის ან არასდროს). მასში არ არის გამოხატული პერსონაჟები და, მაშინაც კი, თუ ის სპეციალურად არის მონიშნული, ის არ აჩვენებს პერსონაჟებისა და ადამიანის ქცევის მნიშვნელოვან გავლენას კონფლიქტზე, ის არ იძლევა ემოციურად აქტიურ სურათს. სხვათა შორის, სივრცე დომინირებს არა მხოლოდ იგავებში, არამედ - კლასიციზმში, მოთხრობებში, ფანტაზიასა და სამეცნიერო ფანტასტიკაში. აბსტრაქტული სივრცე და დრო გამოიყენება როგორც გლობალური განზოგადება, სიმბოლო, როგორც უნივერსალური თანაარსებობის ფორმა (საერთოა ყველა ადამიანისთვის), მაგალითად, აბსტრაქტული დრო ზვიად გამსახურდიას იგავში **„შავარდენი და ყორანი,“** [გამსახურდია ზ., 1987: 28-29] - ერთი ფრთამოტეხილი შავარდენი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, ძლივს დადიოდა ჭალაში. ფრინველებს მისდამი პატივისცემა ჯერ არ განელებოდათ. შურით აღივსნენ ყორნები მის მიმართ, ერთ-ერთი მათგანი გამოეყო გუნდს და დაიწყო მისი გაჭორვა: ნახეთ, ადრე ჰაერში ნადირობდა და ახლა ჩვენსავით ლეშს ჭამსო. შევარდენმა უპასუხა, რომ ლეშის ჭამა მას სისხლში ჰქონდა მამა-პაპისგან და ვერც იკადრებდა ამას. მაგრამ იმდენი ძალა მაინც შერჩენია, რომ საბედისწერო კლანჭის გაკვრა კიდევ შეეძლო. აქ იყო ძლიერი შავარდენი და ახლა მინავლებულა მისი ძალები, თუმცა, დაქადნების უნარი (და, ვინძლო, შესრულებისაც) კიდევ შერჩენია.

დაბოლოს, არ არსებობს გადაულახავი საზღვრები კონკრეტულ და აბსტრაქტულ სივრცეებს შორის: ასეთ პარამეტრებში შეიძლება განიხილებოდეს სხვადასხვა ტიპის სივრცეები.

რაც შეეხება უმაღლესი და უმდაბლესი სახის სრულყოფილებას - როგორც ცხოვრებაში, ასევე ლიტერატურაში, სივრცე და დრო არ გვაძლევს სრულ სურათს. სივრცის შესახებ მსჯელობისას სრულ და დროებით ეგოს ვემორჩილებით (ფართო გაგებით). იგავის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია (მეტ-ნაკლებად) სისრულის, სივრცისა და დროის სპეციფიკის სწორად განსაზღვრა, ვინაიდან ეს მაჩვენებელი

ხშირად ახასიათებს ნაწარმოების სტილს, მწერალსა და თვით ნაწარმოებსაც. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას იგავში „მიწის მოვალენი," სასწაულებრივი დროული ინტენსივობა აისახება მის სპეციფიკაში; მას აქაც აქვს თავისი გრადაცია. იგავებში ძალიან შეკავებულია დრო. ზვიად გამსახურდიას აწუხებს დროის ინტენსივობის დროებითი შემცირების რისკი, რაც, პრინციპში, აფერხებს მოქმედების კონცენტრაციას.

ერთ დილას გლეხმა ორი ღორი გამოიყვანა მინდორში დასაკლავად. საცოდავად აჭყივლებულ ღორს ხარმა მიაძახა, აბა რა გეგონა, უქნარობა, მუცლის ღმერთობა და განცხრომა რა სიკეთეს მოსწევდა შენს თავს. შუადღისას თავად ეს ნიკორა გამოხსნა პატრონმა უღლიდან, უკვე დაბერდა, მოუსუსტდაო მუხლი და დასაკლავად წაიყვანა. მის ნაცვლად კი ახლად გახედნილი ხარი შეაბა.

ამას ყველაფერს ყურს უგდებდა თხუნელა. მიწაში დამალულმა თქვა, ამიტომაც ავარიდე თავი ღვთისა და კაცის სამსახურს. აქ მიწის სიღრმეში ხომ ვეღარ მომწვდება ადამიანების ბოროტი მოდგმა. მაგრამ ხარები ძლიერ ღრმად აბრუნებდნენ გაზაფხულის სითბოსაგან დარბილებულ მიწას და სწორედ ამ დროს გამოედო სახნისი და გამოფატრა. აქვე ხეზე მჯდარი ტოროლა აფრინდა: თქვე უბედურებო, ფრთები არ გაგაჩნიათო, ბედშავნო, მხოლოდ ფრთები თუ დაგიფარავთ სიკვდილისაგანო.

სიკვდილი შენზე ფრთამალი რომ არის, არ იცოდიო, თქვა ალალმა, მეხივით დაეცა ტოროლას და ბუდისაკენ გააქანა. ახლა მონადირემ ესროლა ალალს და მოკლა. ხოლო ანგელოზმა იმავე საღამოს მიიღო მონადირის სული. თქვენ მიწის სტუმრები ხართ, თავის მოვალეებს ის არ ათამამებსო. თქვენი სახლი ხომ ზეციერი საუფლოა და ზეცისაკენ წაიყვანა მონადირის სული.[გამსახურდია ზ., 1987: 22].

დრო უფრო მოკლე ან დრო უფრო გრძელია, ვიდრე რეალური დრო. ის დაკავშირებულია ფსიქოლოგიური პროცესების გამოხატვასთან და გააჩნია ლირიკული გმირის სუბიექტური დროებითი მახასიათებლები. ინტერპრეტაცია და

აზროვნება, სხვა პროცესებისგან განსხვავებით, სწრაფად მიედინება ხსენებული ნაკადის მოძრაობისას და ქმნის ლიტერატურულ ფორმებს.

დროებითი ურთიერთობა და მრავალში ერთდროული ყოფნა განსაზღვრავს დროის პულსით შექმნილი ნაწარმოების ორგანიზების ტემპს, რაც, მისი მოლოდინით, მკითხველის დამახასიათებელ ესთეტიკურ ფორმას აკმაყოფილებს. შესაბამისად, ეგოს აღქმის მოდულიცა და კითხვის სუბიექტური ტემპიც განსხვავდება. ეს კარგად ჩანს იგავში **„კაცი და მზე“** [გამსახურდია ზ., 1987: 27-28]. ერთი ჭკუამჩატე კაცი მზეს შემოსწყრა და დაიფიცა, მზეზე აღარასოდეს გამოვალ, განრისხებული ვარ მასზე და დღისით საერთოდ მივატოვებ სიარულს, ის რომ არ დავინახო და მხოლოდ ღამე ვივლიო. მეც და უწმიდური ნაგავსაც ერთნაირი სითბოთი ათბობს და ანათებს, რაც იმას ამტკიცებს, რომ ის ჭეშმარიტი მზე არ ყოფილაო. მალევეც ჩაქრება, რაც იმაზე მეტყველბს, რომ მზე საერთოდ არ არსებობსო. ეს სიტყვა გაიძვერა და თვალთმაქცი ხალხის მოგონილია მასების მოსატყუებლად და დასამონებლადო.

ამ კაცს მისმა გონიერმა მეგობარმა ურჩია, რომ მზის გზაზე სიარული არ მიეტოვებინა, თორემ ეს, უწინარეს ყოვლისა, თავად მას ავნებდა, დაავადებდა და ბოლოს დაღუპავდა კიდეც. მზეს კი ამით არაფერი დააკლდებოდა, ის ისევ მზედ დარჩებოდა. გარდა ამისა, მზე მხოლოდ მცენარეებს როდი ასულდგმულებს, არამედ - ადამიანებსაც. უხილავმა მტერმა ჩააგონა მას ისე, რომ თავადაც ვერ მიმხვდარიყო. მზე კეთილსა და ბოროტს იმიტომ ეფინება თანაბარი სიცხოველით, რომ პირველი გააძლიეროს სიკეთეში, ხოლო მეორე სიკეთედ გარდაქმნას. ყოველივეს თავისი დანიშნულება აქვს და იგივე ნეხვი, რომელსაც მზე ათბობს, დაიშლება, მიწას შეერწყმის და სასუქად ივარგებს. მცენარეთა განსჯას გიჯობს საკუთარი თავი განსაჯო და იხსნა საუკუნო წარწყმედისაგანო.

ზვიად გამსახურდიას იგავებში ჩვენთვის მნიშვნელოვანია სივრცისა და დროის უწყვეტობის გამოხატვა (დრო, როგორც სივრცის მეოთხე განზომილება). დრო-სივრცე გვესმის როგორც ფორმალურად მნიშვნელოვანი ლიტერატურული კატეგორია.

იგავებში ხდება სივრცითი და დროებითი ნიშნების შერწყმა შინაარსობრივ და კონკრეტულ მთლიანობაში. დროის ნიშნები ვლინდება სივრცეში, ხოლო სივრცე გააზრებულია და იზომება დროით. ზვიად გამსახურდიას იგავებს რიგების ეს კვეთა და ნიშნების შერწყმა ახასიათებს. მაგალითად, იგავში **„სიარულის თეორეტიკოსი“** [გამსახურდია ზ., 1987:11-12] სივრცე და დრო ურთიერთკვეთაშია, თუმცა, არსებით როლს არ თამაშობენ, მხოლოდ ფონს ქმნიან. ერთმა, დაბადებით კუტმა, დაწერა შრომა „სიარულის თეორია“. წიგნი გამოიცა დიდი ტირაჟით, მაგრამ არავინ დაინტერესებულა ამ ნაშრომით, ვინაიდან ორფეხა ადამიანები ყოველგვარი თეორიის გარეშე ახერხებდნენ სიარულს. დაბადებით კუტები მკურნალობას ამჯობინებდნენ სიარულის გამო თეორეტიზებას, ხოლო უფეხოებს გორგოლაჭებით სიარული ერჩიათ ფუჭ ოცნებას.

მხოლოდ ავტორი იყო აღტაცებული თავისი წიგნით. იგი ისე გაიტაცა საკუთარმა იდეებმა სიარულის შესახებ, რომ მალე იმ დასკვნამდე მივიდა, სიარული რომც შემძლებოდა, მაინც თეორიას ვარჩევდიო პრაქტიკას. უთუოდ პრაქტიკულობის შედეგი იყო ეს, ვინაიდან სიარულის თეორია მისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა. ამ ნაშრომმა სადოქტორო ხარისხი მოაპოვებინა დაბადებით კუტს და დიდძალი გასამრჯელო. გარდა ამისა, იგი დანიშნეს ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტული სიარულის კათედრის გამგედ და ტურიზმისა და ალპინიზმის რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარედ.

აქ სივრცე ძალზე დაწურულია, გამომგონებლისა და მის წრეში ტრიალებს, არ სცილდება საგანმანათლებლო სფეროს ვიწრო სპეციალიზაციას. დრო იმდენად კვეთს მას, რომ მისი წარმატების სისწრაფეს ვერც კი ვიაზრებთ. უნებურად ევროპული ტრუბადურული ლიტერატურა გვახსენდება, სადაც „სისულელის სიბრძნე“ ამხელს საზოგადოებრივ თუ ინდივიდუალურ შეცდომებს. მაგალითად, ბეღლის ქურდ კიბორჩხლას როგორ ასამართლებენ და მიუსჯიან შუა მდინარეში გადაგდებას და ა.შ.

იგავის მორალი ან იგავის რელევანტურობა თანამედროვე სამყაროში კვლავაც ინარჩუნებს ოდენ პოზიციებს. მათი სიბრძნე იმდენად ღრმა და ამოუწურავია, რომ ფაბულისტები მრავალი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ. ზვიად გამსახურდია ქმნის იგავის ახალ ფორმას, აუმჯობესებს მას, მაგრამ საჭიროდ არ თვლის მისი შინაარსის შეცვლას, რომელიც არის სრული და, შესაბამისად, მარადიული.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგავი არა მხოლოდ მხატვრული კომპოზიციაა, არამედ ფილოსოფიური და საგანმანათლებლო კომპოზიციაც. იგავი ავლენს ადამიანის ხასიათის ნაკლოვანებებს და ვინაიდან ეს ნაკლოვანებები ხშირად ერთნაირია, დროისა და სივრცის მიუხედავად, თემებს, იდეებს, ზღაპრების სიუჟეტებს ზოგი სხვა მწერალი განიხილავს. ავტორისთვის ერთი მთავარი რჩება: რომ იგავმა ხელი შეუწყოს ადამიანის გაუმჯობესებას და ის ზრუნავს პიროვნებაზე ძალიან ფრთხილად და სათუთად: სთავაზობს მას ცხოველების ქცევას თავისი შეხედულებისამებრ.

ამრიგად, არავინ არ არის განაწყენებული და ვისაც სურს „გაიგოს," რასაც ავტორი საუბრობს, ის „მოისმენს."

მატერიალური და ტრანსცენდენტული რეალობა არქაული და არქეტიპულად მითო-პოეტურია. იგავების სივრცე გეოკულტურად მიგვაჩნია, რადგან პირადად მათ, მიუხედავად მოხეტიალე სიუჟეტებისა, მკაფიოდ გამოხატული სივრცითი და კულტურული ხასიათი გააჩნიათ. ის აღარ აღიქმება მხოლოდ ფილოსოფიური და რელიგიური თვალსაზრისით, ის ხდება ნებისმიერი ადამიანის პიროვნების აუცილებელი ატრიბუტი. ადამიანის სხეულის საზღვრები ვიწროა სულიერი მისწრაფებებისათვის, როდესაც მზერა მიმართულია გარეთკენ, მაკროკოსმოსში და პრაქტიკულად უსაზღვროა, ხოლო როდესაც ავტორის მზერა შინაგანისკენ მიიქცევა, ის დადის სიბერის, ავადმყოფობის ან გარდაუვალ ხორციელ ცვლილება-ხრწნამდე, ფიზიკური გარსის კვდომამდე. ამავდროულად, სხეული, ავტორის ცნობიერების მითოპოეტური ბუნების წყალობით, აღიქმება როგორც სამყაროს ანალოგი, ამიტომ

სივრცითი მოდელების ტიპოლოგია გარკვეულ წრეში ექცევა. ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები ამა თუ იმ გზით ასახავს რეალურ სამყაროს - მატერიალურსაც და იდეალურადაც: ბუნებას, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს გარე და შინაგან არსებას და ა. შ. ამ სამყაროს არსებობის ბუნებრივი ფორმებია დრო და სივრცე. თუმცა, მხატვრული სამყარო, ანუ ხელოვნების ნაწარმოების სამყარო, ყოველთვის პირობითია ამა თუ იმ ხარისხით: ეს არის რეალობის სურათი. ამდენად, დრო და სივრცე იგავებში ასევე პირობითია. ამის კარგი მაგალითია **„ხელმოცარული მოგზაური“** . ერთმა მოგზაურობა გადაწყვიტა შორეულ ქვეყანაში გამგზავრება და დაიწყო შესწავლა ამ ქვეყნის შესახებ არსებული მასალებისა. მალე იმდენად გაერთო მასალების შეგროვებით, რომ მოგზაურობა მთლად გადაავიწყდა და მთელი ცხოვრება არქივებში ქექვას მოანდომა. გარკვეული დროის შემდეგ მოგზაური დაბერდა და დაუძლურდა. მიხვდა, რომ ვეღარ გაემგზავრებოდა ოდესღაც სანატრელ ქვეყანაში და ამის გამო დაიწყო ისეთი მასალების ძებნა, სადაც ის ქვეყანა ნაძაგები იყო და ბოლოს დაწერა შრომა: „ქვეყანა, რომელიც მოგზაურობად არა ღირს. [გამსახურდია ზ., 1987:34].

დრო-სივრცის ანატომია აქ უაღრესი სიზუსტით გადმოსცემს მათ ზემოქმედებას ადამიანზე. სივრცის გადაულახაობა დროში როგორ იწვევს ნიჰილიზმს პიროვნებაში და საუკეთესო მისწრაფებების მიუხედავად, ის უპირისპირდება იმ იდეას, რომლისთვისაც მთელი ცხოვრება იღვწოდა. ეს იგავი პიროვნებაზე დრო-სივრცის ზემოქმედების საუკეთესო ნიმუშია. ასეთი ლიტერატურული თვითშემეცნების განვითარებასთან ერთად, დროისა და სივრცის დაუფლების ეს ფორმები უფრო იხვეწება, მაგრამ, რაც მთავარია, ის ყოველთვის არსებობდა ლიტერატურაში და, შესაბამისად, ქმნიდა მხატვრული გამოსახვის არსებით მომენტს.

დროებითი დისკრეტულობა დინამიზაციის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში. სივრცის ფრაგმენტაცია ნაწილობრივ უკავშირდება მხატვრული დროის თვისებებს, მაგრამ ნაწილობრივ მას აქვს

დამოუკიდებელი ხასიათი. ასე რომ, სივრცე - დროის კოორდინატების მყისიერი ცვლილება ზედმეტს ხდის შუალედური სივრცის აღწერას. იგავში **„სიხარბის მსხვერპლი“** ლოქო არ იცავს წყლის ბინადართა დაუწერელ კანონს და სიხარბის მსხვერპლი შეიქმნება. აქ კარგად ჩანს წამიერი, დაუფიქრებელი მოქმედების შედეგი და სივრცითი ცვალებადობა, რომელიც ლოქოს დაღუპვას მოასწავებს:

რთხელ მდინარეში ლოქო მურწას წამოეწია და გადაყლაპვა დაუპირა.

ძმობილო, დაგავიწყდა რომ მდინარის კანონის მიხედვით დიდ თევზებს ეკრძალებათ პატარების გადასანსვლა, - უთხრა იქვე მყოფმა წანარმა.

შენ ვისი უფასო ვექილი ხარ, - შეუღრინა ლოქომ, - განა თავად ვერ იტყვის, პირი არ აქვს თუ რა?

„ირი კი აქვს, მაგრამ წყლითა და შლამით აქვს სავსე, - მიუგო წანარმა.

ლოქომ ყური არ ათხოვა წანარის გაფრთხილებას და გადაყლაპა მურწა, თავი კი იმით „გაიმართლა,“ რომ მურწა ხმას არ იღებს და დუმილი თანხმობის ნიშანიაო. თურმე მურწა თავად იყო ანკესგადაყლაპული, იგი მეთევზეებს განზრახ ჩამოეშვათ მდინარეში ლოქოს მოსანადირებლად.

ასე რომ, მცირე ხნის შემდეგ თვით ლოქოც აათრიეს ნაპირზე და შამფურზე ააშიშხინეს [გამსახურდია ზ., 1987: 9].

დროის მყისიერი ცვლილება სივრცეში მყისიერ ცვლილებას იწვევს. ლოქო ხმელეთზეა მწვადებად აშიშხინებული. გარდაქმნა დროსა და სივრცეში თანადროულია. ყველაფერი თვალის დახამხამებაში ხდება.

უნდა ითქვას, რომ ეპიკური ნაწარმოებისაგან განსხვავებით, იგავს არა აქვს ფართო შესაძლებლობები, სადაც დროისა და სივრცის ფრაგმენტაცია, გადასვლა ერთი დროიდან მეორეზე, სივრცითი მოძრაობები მარტივად და თავისუფლად ხორციელდება მთხრობელის მიერ, რომელიც შუამავალია აღწერილ ცხოვრებასა და მკითხველს შორის. მთხრობელს შეუძლია დაწუროს და, პირიქით, გააფართოვოს დრო, ან სულაც შეაჩეროს იგი აღწერის ან მსჯელობის დროს. ამგვარი

შესაძლებლობების არქონის მიუხედავად, ზვიად გამსახურდია ახერხებს დროისა და სივრცის ოსტატურად გამოყენებას ეპიკურად შეზღუდულ იგავებში, რაც მათ ღირსებას ძალზე თანამედროვე ელფერს აძლევს და მიმზიდველობას მატებს.

იგავებში დრო მოკლებულია ყოველგვარ ბუნებრივ და ყოველდღიურ ციკლურობას, რომელიც შემოიღებს დროულ წესრიგს და ადამიანური განზომილებიდან დროს დააკავშირებს ბუნებრივი და ადამიანური ცხოვრების განმეორებით მომენტებთან. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება დროის ისტორიული ლოკალიზაციის საკითხს. ზვიად გამსახურდიას იგავებში ქვეყნები, ქალაქები, შენობები, ხელოვნების ნიმუშები, ისტორიული დროის ყველა ნიშნით, ეპოქის ყოველგვარი კვალის გარეშეა.

ამრიგად, გამსახურდიას იგავთმეტყველებაში ყოველგვარი მოქმედება, ყველა მოვლენა და თავგადასავალი, არ გულისხმობს არც ისტორიულ, არც ყოველდღიურ, არც ბიოგრაფიულ, არც ელემენტარულ ბიოლოგიურ-ასაკობრივ თანმიმდევრობებს. ის ამ თანმიმდევრობებს მიღმა და თანდაყოლილი კანონებისა და ადამიანური საზომების მიღმაა. ამ დროს არაფერი იცვლება: სამყარო იგივე რჩება, რაც იყო. გმირების ცხოვრებაც არ იცვლება, მათი გრძნობებიც უცვლელი რჩება. ცარიელი დრო არაფერში ტოვებს კვალს, არ აჩვენებს მის მიმდინარეობას. ეს, ვიმეორებთ, არის მუდმივი უფსკრული, რომელიც წარმოიშვა რეალურ დროში. ამის საუკეთესო მაგალითია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **„თერსიტეს გაცოცხლება“.** მიუხედავად კვდომისა და ხელმეორედ გაცოცხლებისა, კუზიანი და მახინჯი თერსიტე კვლავ აგრძელებს თავის კაცთმოძულე ცხოვრებას. დროის მანქანა უძლურია შეცვალოს თანდაყოლილი კანონები და ადამიანური საზომები.

დრო ორგანიზებულია როგორც გარედან, ასევე - შიგნიდანაც. მოულოდნელობა არის ამ დროის ყველაზე ადეკვატური მახასიათებელი, რადგან ის საერთოდ იწყება და თავისთავად მოდის იქ, სადაც მოვლენების ნორმალური და პრაგმატულად ან მიზეზობრივად მნიშვნელოვანი მიმდინარეობა წყდება და იძლევა ადგილს სიახლის

შემოტანისთვის. ასეთია თერსიტეს გაცოცხლების კონკრეტული ლოგიკა. აგრეგატმა უარი თქვა დამორჩილებოდა, დაჰყოლოდა შემქმნელის ნებას და მაინცდამაინც ფიზიკური სულიერი სიმახინჯით გამორჩეული თერსიტე გააცოცხლა. აქაა პრაგმატულად ან მიზეზობრივად მიმდინარეობის წყვეტა. სიახლის შემოტანის მიზეზიც ეს ხდება, ანუ ერთგვარი ინტრიგა. მგავსი ლოგიკა არ არის შემთხვევითი დამთხვევა, ან შემთხვევითი ერთდროულობა და შემთხვევითი შესვენება, ანუ შემთხვევითი განსხვავება დროში. უფრო მეტიც, ამ შემთხვევითი ერთდროულობისა და დროის განსხვავებისათვის არსებითიცაა და გადამწყვეტიც. არა შემთხვევითი თანმიმდევრულობა ან განსხვავებული დრო, მაშინ საერთოდ არ იქნებოდა მიზეზი იგავის დასაწერად.

ზვიად გამსახურდიას იგავთსამყაროს არსებობის ბუნებრივი ფორმებია დრო და სივრცე. თუმცა, ის ყოველთვის პირობითია ამა თუ იმ ხარისხით და სწორედ ეს არის რეალობის გამოხატვა. ამრიგად, დრო და სივრცე მის იგავებში პირობითია, მაგრამ, ამავდროულად, უაღრესად მიზანმიმართული. ამასთანავე, იგავთმეტყველება ყველაზე თავისუფალია დროსა და სივრცესთან გამკლავებაში. პეიზაჟების არამატერიალურობა მას აძლევს შესაძლებლობას, მყისიერად გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე და, უფრო მეტიც, ამისთვის არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოტივაციას. მოვლენების გამოხატვა შესაძლებელია ერთდროულად სხვადასხვა ადგილას. თერსიტე სრულიად ახალ გარემოში ხვდება მეყსეულად და თავის საქმიანობას წარბშეუხრელად განაგრძობს. პარალელური სურათები, წარსულისა და აწმყოსი, თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს გმირის ხასიათის უცვლელად.

ამ იგავში დროისა და სივრცის კიდევ ერთი თვისებაა მათი დისკრეტულობა (უწყვეტობა). რაც შეეხება დროს, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგავებში, ვინაიდან მას შეუძლია მოახდინოს დროის მთელი ნაკადის არა მხოლოდ რეპროდუცირება, არამედ მისგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტების შერჩევა. სათანადო სივრცის დისკრეტულობა გამოიხატება, პირველ რიგში, იმაში, რომ ის,

როგორც წესი, დეტალურად არ არის აღწერილი, მაგრამ მხოლოდ მითითებულია ავტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცალკეული დეტალების დახმარებით. თერსიტე აერთიანებს ქმედით სიმახინჯეს არა მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში, არამედ თანამედროვე ცხოვრებაშიც, რაც დეტალიზებას აღარ საჭიროებს.

დროისა და სივრცის კონვენციების ბუნება დიდწილად დამოკიდებულია იგავთმეტყევლების თავისებურებაზე. ტრადიციულობა მაქსიმუმამდეა დაყვანილი შემოქმედებაში. სივრცის სურათი შეიძლება აქ საერთოდ არ არსებობდეს, ამიტომაც მასში ჭარბადაა მოცემული გრამატიკული აწმყო - თერსიტეს ცხოვრება მარტივი აწმყოთი გადმოიცემა როგორც განახლებამდე, ისე გაცოცხლების შემდეგაც.

დროისა და სივრცის პირობითობა ზვიად გამსახურდიას იგავებში ძირითადად ასოცირდება მისი დროისა და სივრცის ორგანიზაციის მრავალფეროვნებასთან. ამასთანავე, მათში რჩება საერთო თვისებები. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს თხრობის ფრაგმენტების როლი იგავში, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ფრაგმენტულია აღნიშნული მოქმედება, არ აქვს მნიშვნელობა პერსონაჟების ხმამაღლად გაცხადებულ გამონათქვამებს, რომლებიც ექვემდებარება მათი შინაგანი მეტყველების ლოგიკას. თერსიტეს ფიზიკური გარდაქმნის მიუხედავად, ის თავის თვისებებს არც ახალ სამყაროში ღალატობს.

სივრცის ტიპი ჩვეულებრივ ასოცირდება დროის შესაბამის თვისებებთან. ამრიგად, იგავის აბსტრაქტული სივრცე შერწყმულია კონფლიქტის მარადიულ არსთან და, პირიქით, ჩვეულებრივ, სივრცითი სპეციფიკა ავსებს დროულს.

იგავური დროის კონკრეტული ფორმები ყველაზე ხშირად მოქმედების შეკავშირებაა არა ისტორიული, არამედ უბრალო ქმედებებისა. დროული თანმიმდევრობა ზოგჯერ ცენტრალურ თემად გვესახება. ჩვენ ვმსჯელობთ სივრცის შესახებ იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც ავსებენ მას (ფართო გაგებით) და დროზე მასში მიმდინარე პროცესების მიხედვით. მაგალითად, იგავი „სახე და ნიღაბი“ [გამსახურდია ზ., 1987: 24]. ნიღაბი ეუბნება სახეს, რომ ბუნება საოცარია,

რადგან მას სახე დაემსგავსა ცხვირით, თვალებით, გამოხედვით და ღიმილით. როგორც ორეულს, ნუთუ სირცხვილი მაინც არა ჰქონდა, რომ საკუთარი არაფერი გააჩნდა და ყველაფერს მე დამესესხებიო.

სახემ უპასუხა, რომ ის ბუნების კი არა, ღვთის შექმნილი იყო და ნიღაბი კი - ნებისმიერი მასალისაგან გაკეთებული ვიღაცა ბრიყვის მიერ. ის დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა და მხოლოდ და მხოლოდ სახის გამომეტყველებისა და განწყობილების შესანიღბად იყო შექმნილი.

იგავი კვერცხისა და ქათმის პირველადობის დაუსრულებელ მსჯელობა-კამათზეა თითქოს აგებული. რომელი უფრო ადრე იყო. თუმცა, იგავი სახეს ანიჭებს (და ასეც უნდა იყოს) პირველადობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ დროის ხსენებაც არ არის აქ, მაგრამ ნაგულისხმევია მისი თანმიმდევრულობა. სივრცული ობიექტები მას ავსებენ დროში მიმდინარე თანმიმდევრული პროცესების მიხედვით. იგავური დროის ინტენსივობა გამოიხატება მოვლენების სიმდიდრეში. მას აქაც აქვს თავისი გრადაცია. აქ დრო ძალიან დაკავებულია და გაჯერებული. მეორე მხრივ, იაგავარკულმა ჟანრმა შეძლო მკვეთრად შეემცირებინა დროის ინტენსივობა, თუნდაც მაშინ, როდესაც მოქმედებაზე კონცენტრაციას ახდენენ. მხატვრული სივრცის სიფართოვე, როგორც წესი, შერწყმულია დროის შემცირებულ ინტენსივობასთან და - პირიქით: სივრცის ნაკლები სიფართოვე შერწყმულია დროულ მოვლენებთან. სამყაროს სივრცით-დროებითი ორგანიზაცია ავტორის ყურადღების ცენტრშია.

სივრცე და დრო არ არის მოცემული სუფთა სახით. ჩვენ ვიმსჯელებთ სივრცის შესახებ იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც ავსებენ მას (ფართო გაგებით) და დროის შესახებ - მასში მიმდინარე პროცესების მიხედვით. ზვიად გამსახურდიას იგავების გასააანალიზებლად მნიშვნელოვანია სივრცისა და დროის სისავსის განსაზღვრა. ეს მწერლის სტილზეა დამოკიდებული. სივრცე მაქსიმალურად ივსება გარკვეული საგნებით, პერსონაჟებით. ამავდროულად, ის შეიცავს მხოლოდ იმას, რაც

აუცილებელია მოქმედი პირების შინაგანი სამყაროს გამოსახვისთვის. მაგალითად, იგავში **„მელას დისერტაცია“** .

ერთმა მელამ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქათამი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემაში.“ ოპონენტებად იყვნენ დათვი და სახედარი. დათვმა ხაზი გაუსვა მელას დიდ გამოცდილებას ხსენებული მიმართულებით კვლევაში, თუმცა, აღნიშნა ის სუბიექტივიზმი, რომელსაც მელა იჩენდა „ამ შინაური ფრინველის მნიშვნელობის წინ წამოწევისას.“ სახედარმა კი - პირიქით, უარყო პირველი ოპონენტის ეს შეხედულება და მხოლოდ დადებით მხარეებზე გაამახვილა ყურადღება.“ დარბაზში მჯდომი კურდღელი თავის მეუღლეს დათვის უკმაყოფილების მიზეზს უხსნის, დისერტაციის ნადიმზე მხოლოდ შემწვარი წიწილები მას არ დააკმაყოფილებდა, დათვს სურდა შემწვარი ძროხა. ეს მელა კი სახედრის თავგამოდებით დასაცავი გახდა, ბალახისმჭამელი იცავს ხორცისმჭამელს? [გამსახურდია ზ., 1987: 29-30].

კურდღელს ცბიერი მეუღლე უხსნის, რომ მთელი ქვეყანა ხედავდა გუშინ, თუ როგორ აგროვებდა სახედრისთვის მელია ჩალას თავის შვილებთან ერთად, ხოლო ჩალას რა გამოლევს ჩვენს ჭალებშიო?

იგავი პერსონაჟთა სიუხვით გამოირჩევა, სივრცე გაჯერებულია რამდენიმე ცხოველით, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს გავიგოთ დათვის ოპონენტობის ჭეშმარიტი მიზეზი ან თუნდაც მიზეზი იმისა, თუ რატომ იცავს სახედარი მელას. ყველაფერი დაკავშირებულია ისე, რომ ზედაპირზე არაფერი ჩანს. სცენარის მიღმა ღრმა ანგარება იმალება. დისერტაციის დაცვას მხოლოდ ანგარება და კორუფცია უდევს საფუძვლად. ქვენა გრძნობები განაპირობებს დაცვის აზრს და არა ჭეშმარიტების ძიების მეცნიერული სურვილი.

ზოგადად იგავში რეალური დრო შეიძლება იყოს ნულის ტოლი, რეზულტატის გარეშე. ასეთ დროს შეიძლება ეწოდოს უშედეგო. მაგრამ მოვლენის დრო, რომელშიც რაღაც მაინც ხდება, შინაგანად არაერთგვაროვანია. ერთ შემთხვევაში, ლიტერატურა

ნამდვილად ასახავს მოვლენებს და მოქმედებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის როგორც პიროვნებას, ისე ადამიანების ურთიერთობებს, ან მთლიანად სიტუაციას. ეს არის სიუჟეტი ან სიუჟეტის დრო. სხვა შემთხვევაში, ლიტერატურა ხატავს სტაბილური არსებობის სურათს, იმეორებს დღითი დღე, წლიდან წლამდე განხორციელებულ მოქმედებებსა და საქმეებს. ასეთ დროს არ არსებობს მოვლენები, როგორც ასეთი. ყველაფერი, რაც ხდება მასში, არ ცვლის არც პიროვნების ხასიათს და არც ადამიანების ურთიერთობას. ასეთი დროის დინამიკა უკიდურესად პირობითია და მისი ფუნქციაა სტაბილური ცხოვრების წესის რეპროდუცირება. ამის კარგი მაგალითია იგავი **„ღამის მგოსანი“** [გამსხურდია ზ., 1987: 3-4].

ღმერთმა მზიან დღეს ჩიტები შექმნა, რაც ეშმაკს შეშურდა და იგივე გაიმეორა ღამით, მაგრამ ღამურები გამოუვიდა. ის ერთი ღვთის ჩიტია, რომელსაც შეებრალა ღამის ფრინველები და უფალს შესთხოვა, რომ გაეშვა მათთან, ემღერა მზის საგალობელი, რაც მათ თვალს აუხელდა, დღეს შეაყვარებდა და ნამდვილ ჩიტებად აქცევდა. უფლისგან ბრძანება მიიღო მთვარის საგალობელი ემღერა, რადგან მზისას ვერაფერს გაუგებდნენ. მთვარე ხომ მზის შუქს აირეკლავს და სწორედ მისი საგალობელი უმღერეო მათ. აქედან იწყება ბულბულის მოღვაწეობა, ღამით გალობს, რომ ჩიტები ღამურებად გარდაქმნას. რა თქმა უნდა, აქ წინა პლანზე წამოწეულია სინათლისა და სიბნელის დიქოტომია. სინათლის სწრაფვა, ბნელიდან გამოიყვანოს მისი ბინადარნი, მაგრამ დროის დინამიკა აქ ძალზე მიზერულია. იყო ასე და ამჟამადაც ამგვარად ხდება. თითქოს დრო არც კი ყოფილიყო დასაბამიდან შექმნილი ჩიტებისათვის. ჩვენ თითქოსდა პირველად ვიგებთ ბულბულის ცხოვრების არსს. უმიზეზო და მოვლენებს შორის დროული ურთიერთობა დიდწილად განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრული დროის ტემპის ორგანიზაციას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ესთეტიკური აღქმის ბუნებას. აქ უსასრულო, ქრონიკულ-ყოველდღიური დრო სჭარბობს, რაც ქმნის კიდეც ნელი ტემპის შთაბეჭდილებას. განსხვავებულია ტემპის ორგანიზაცია, რომელშიც საბოლოოდ დომინირებს დრო (არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შინაგანი, ფსიქოლოგიური მოვლენები).

მწერალი ამ დროს აგრძელებს, აჭიანურებს პერსონაჟის გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოსაცემად - სიკეთის ფრინველი ცდილობს უკუნეთიდან ფრინველების ერთი ჯგუფის გამოყვანას და გამუდმებით გალობს. დრო უსასრულობამდე იწელება, რაც ბულბულისეული სიკეთის განცდას უათმაგებს მკითხველს. მეტიც, აქ თითქოს დრო ჩერდება კიდეც და უკან იხევს.

სივრცე, ისევე როგორც დრო, შეიძლება გადაადგილდეს ავტორის ნებით. მხატვრული სივრცე იქმნება გამოსახულების პერსპექტივის გამოყენებით. ეს ხდება იმ ადგილას ფსიქიკური ცვლილების შედეგად, საიდანაც ხდება დაკვირვება: ზოგადი, მცირე გეგმა იცვლება დიდით და - პირიქით. შემოქმედებითი, მხატვრული კონტექსტის სივრცითი ცნებები შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგანი, სიტყვიერი, მაგრამ გადმოსცეს განსხვავებული შინაარსი. იგავში **„მფრინავი და პოეტი“** ეს კარგადაა გადმოცემული: ერთხელ მფრინავი და პოეტი წალაპარაკდნენ. მფრინავმა უთხრა, თუ რას ერჩოდა მათ ტექნიკას, როცა თვითმფრინავიდან ყვავილებსაც კი თესავდნენ ვეება ფართობის მინდვრებზე. აბა, რა იქნება უფრო რომანტიკული, ვიდრე ციდან ყვავილების თესვაო! პოეტმა მიუგო: სამაგიეროდ იმავე ციდან თქვენ ანგელოზები დააფრთხეთ, აი, რატომ გემდურითო ჩემგვარი ხალხი [გამსახურდია ზ., 1987: 6-7] აქ სივრცე დინამიკაშია მოცემული - ციდან ყვავილების თესვა, ტექნიკის უდიდესი მიღწევები და ამავდროულად, მათში ბინადარი მუზებისა თუ ანგელოზების დაფრთხობით გამოწვეული პროზაულობა. სივრცის გადაადგილება, ანუ ფუნქციის გარდაქმნა შინაარსობრივ დატვირთვას იძენს და ძალზე ფაქიზ თემას ეხება.

ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ახალი მხატვრული რეალობის ყველა პირობითობის მიუხედავად, მხატვრული სამყაროს საფუძველი, ისევე როგორც რეალური სამყაროსი, არის მისი ალუზიები, რომლებიც დროის ღერძზეა განთავსებული და მთელი სეგმენტებიც კი, რომლებიც აღნიშნავს თხრობის ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ხოლო ნაწარმოების მხატვრული სამყაროს მეორე კოორდინატი - ადგილი შეიძლება სათაურში იყოს მითითებული სხვადასხვა

ხარისხის სიზუსტით. გამოგონილი სიტუაციის მიხედვით შერქმეული სახელები ხშირად შეიცავს ემოციურ შეფასებას, რაც მკითხველს აძლევს იდეას ნაწარმოების ავტორის კონცეფციის შესახებ. ამრიგად, „თვითმარქვია მაიმუნი“, „ბრმების ქვეყანა“, „ხელმოცარული მოგზაური,” თავიანთი უარყოფითი სემანტიკით მკითხველისათვის სავსებით აშკარას ხდის მხატვრის მიერ შექმნილი სურათის ფართო მნიშვნელობას.

იგავებში ზვიად გამსახურდიამ წამოაყენა ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემები. მრავალფეროვანმა თემატიკამ მას საშუალება მისცა გასცდენოდა არსებული პრობლემების ვიწრო ჩარჩოებს.

ზვიად გამსახურდიას ეპოქაში იშვიათად მსჯელობდნენ თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებზე. აზრი და გონება ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. მათ მიღმა კი ვერაფრის დანახვას ვეღარ ძლევდნენ. მწერალი იმთავითვე ჭვრეტდა, რომ საზოგადოებას მოუწევდა ცხოვრების ძირეული გარდაქმნა, რისთვისაც მზად უნდა ყოფილიყო ხალხი და ქვეყანა.

„ორი ლომის ამბავი“ ორ ეროვნულ ფენოტიპზე აგებული იგავია. რა თქმა უნდა, ძნელი გამოსაცნობი არაა სათქმელი თითქოსდა ერთი შეხედვით - ცირკის ლომისა და ზოოპარკში ჩამწყვდეული გალიის ლომის დაპირისპირებით. აქ ორივე დამოკიდებულია, მაგრამ დამოკიდებულების ხარისხია სხვადასხვაგვარი, რომელიც თავისუფლების პრობლემას კიდევ უფრო დამაფიქრებელს ხდის.

დემოკრატიის პირობებში „ძალაუფლება არ შეიძლება ეკუთვნოდეს ყველას, მექანიკურად გადანაწილდეს წევრებზე. იგი იმ რჩეულთა კუთვნილებაა, რომლებსაც ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა და რომლებიც იღებენ საკუთარ თავზე უდიდეს ვალდებულებებს. მაგრამ ეს რჩეულთა ხელისუფლება სახალხო ცხოვრების წიაღიდან უნდა იყოს მოსული, იგი ხალხის იმანენტური უნდა იყოს. არ არსებობს აბსოლუტური და შეუზღუდავი დემოკრატია, იგი იზღუდება მის მიერვე

განსაზღვრული პრინციპებით“ [კოპსტეინ ჯეფრი, რიჩბახი მარკ, ჰანსონ სტივენ, 2014: 37-39].

თავისუფლება უკავშირდება მთელ კოსმიურ ყოფასა და მის ბედს. ბუნებრივი ყოფის უკანასკნელი სიხარული, ქმნილი სამყაროს სილამაზე, სილამაზე კრისტალური ქვეყნიერებისა, მშვენიერება მზის ნათელით გაჟღენთილი ყოფიერებისა სწორედ თავისუფალი ყოფისთვის არის დამახასიათებელი. სცენა ინაცვლებს ზოოპარკის დამწყვდეულ მხეცებში. აქ ცივა, მოღრუბლულია და ჩვენ გვზარავს. გაქრა სიხარული ქმნილი სამყაროს მზიანი ყოფისა. ჩაუფერფლავი თავისუფლების ხატობრივი გამომოვლინება დაიშალა. გვეფიქრება, რომ ცირკი ლომის თანამოძმესათვის აღარასოდეს დადგება კოსმიური გაზაფხული. და თუკი დადგება კიდეც ოდესღაც გაზაფხული, ის იქნება სულ სხვაგვარი, გალიაში ჩაჭუჭყული და გაუხარელი. დიახ, მონური საშინელი ყოფის შემდგომ, სამყარო აღარ აყვავილდება ძველებურად.

ზვიად გამსახურდია შესანიშნავად გამოხატავს ხრწნას, ფიზიკური, სხეულებრივი, ქმნილი სამყაროს დაშლას. სინამდვილეში თავისუფლების აღსაკვეთად აგებული გალიები დაინგრევიან მცირედი შეხებითაც კი.

თითქოს უკვე ყველაფერი ამოწურულია დახურულ სივრცეში. დასაწყისიდანვე ჩანს გზა თავისუფლებასა და მონობას შორის. მონობა რეალურია: „ეჰ, ძმობილო, რარიგ გადაუგვარებიხარ კაცს, თავისუფლება მონობაზე რომ გაგიცვლია. ისევ ის მირჩევნია, აქ ვიჯდე მოწყენით, ვიდრე კაცის მონა ვიყო და მისი მათრახის ტკაცუნზე ვიხტუნო და ვიჯამბაზო. აქ ის მაინც ვიცი, რომ არავის მონა ვარ და იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიქუხო გულდარდიანმა და უდაბნოს სევდა განვიქარვო, შენ კი ხმის ამოღებაც აკრძალული გაქვს, რათა შენმა გრუხუნმა ცირკის მაყურებლები და მომსახურენი არ შეაშფოთოს.“ [გამსახურდია ზ., 1987: 8]. მართლაც რომ „დაიგრუხუნა“ დისიდეტმა და ამიტომაც ავტორს გვაგონებს ,თუმცა სულისშემძვრელია მომდევნო სტროფები,ასევე წინასწარმეტყველური: ჩვენი მოდგმა მაინც გადაშენების გზაზეა დამდგარი, მალე ასპარეზი ლომ-ვეფხვთა ნაცვლად

ვირთხებსა და ტურა-მელიებს დარჩებათ. ასე, რომ, აქაც მშვიდობიანად დავლევ ჩემს დღეებს“ [იქვე].

3.2. კეთილისა და ბოროტის დიქოტომია ზვიად გამსახურდიას პროფეტულ იგავთმეტყველებაში

სხვადასხვა რელიგიური კონფესია კეთილისა და ბოროტების დიქოტომიას დაპირისპირებულ დუალიზმად მიიჩნევს, რომელშიც ბოროტებას ეცლება თავისი ძალა და გავლენა. ლინგვისტურად მსოფლიო ენებში ყველგან დასტურდება სიკეთისა და ბოროტების გამომხატველი ლექსიკა.

ეს ერთგვარი კულტურული უნივერსალურობაა, რომელიც აერთიანებს, კარგისა და ცუდის, სწორისა და არასწორის, სასურველისა და არასასურველის მორალურ განსჯას. დღეს ამ დიქოტომიის არსი ჩვეულებრივ ეხება სიკეთის სხვადასხვა განზომილებას - სიყვარულს, სამართლიანობას, ბედნიერებას, სათნოებას და, ასევე, ბოროტების განზომილებებს - განადგურებას, ბოროტებას, მიზანმიმართულ ზიანს, დისკრიმინაციას, დამცირებასა და ძალადობას. ადამიანის ქცევას შესწევს უნარი ერთდროულად განახორციელოს როგორც კეთილი, ასევე ბოროტი მოქმედებები.

უძველესი დროიდან მოყოლებული, არსებობს მრავალი თვალსაზრისი სიკეთისა და ბოროტების არსებობის მიზეზებზე. მიზეზები სიკეთისა და ბოროტების ცნებებს აკავშირებს ადამიანის ბუნების კანონებთან, რომლებიც წარმოიქმნება პიროვნების განვითარების ადრეულ სტადიაზე. კერძოდ, ადამიანების ბუნებრივი მისწრაფებით, ეგრეთ წოდებული ნატურალიზმით, სიამოვნებითა და ტანჯვით ანუ ე.წ. ჰედონიზმი. ბედნიერება-უბედურებით, ე.წ. ევდემონიზმით და ა.შ.

ეს ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ პირობებთან, ანუ საზოგადოების ცხოვრებაში კონკრეტული წინააღმდეგობებით, მათი გავლენით გარკვეული ეპოქებისა და სოციალური სისტემების მორალზე. სიკეთისა და ბოროტების იდეები იმდენად შეიცვალა ადამიანებში, საუკუნეებიდან საუკუნემდე,

რომ ისინი ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, სიკეთისა და ბოროტების თანადროულ მოთხოვნებს [მაკენზი ჯ. ს, 1911: 251-268].

სიკეთისა და ბოროტების დიქოტომია დიდი ხანია გახდა უნივერსალური ადამიანური კულტურის ერთგვარი მემკვიდრე. იგი ფართოდ აისახება ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში [ნიცშე ფრიდრიხ,1994: 57]. გარდა ამისა, სიკეთე და ბოროტება საზოგადოების სხვადასხვა ფენის განხილვის პოპულარული თემაა. პიროვნების საკუთარი თავისა და სხვების რეალური შეფასება, მისი მოტივები, მიზნები და ღირებულებები, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ქცევას კონკრეტულ სიტუაციებში და ზოგადად ცხოვრების შინაარსს, დიდწილად უკავშირდება სიკეთისა და ბოროტებისადმი დამოკიდებულებას, როგორც პიროვნების ეთიკურ მახასიათებლებს. [კეი მ., 2009:27-28].

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმას, რომ ფსიქიკისა და მისი გარეგნული გამოვლინების დონეზე სიკეთე და ბოროტება არის დამოკიდებულების, მოტივების, მიზნების, ღირებულებითი ორიენტაციების, იდეებისა და ინდივიდუალური ცნობიერების კატეგორიული სტრუქტურების ორგანული ელემენტები. მათი არსებობა პიროვნების განვითარების გარკვეულ დონეზე, მისი ცნობიერებისა და თვითშემეცნებისთვის არის დამახასიათებელი. ისინი გამოიხატება საკუთარი თავის და სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულებით კომუნიკაციასა და საქმიანობაში. და სწორედ ამ ჰიპოსტასებში შეიძლება მათი გამოკვლევა. სიკეთე და ბოროტება, რომელიც შედის პიროვნულ ღირებულებებში, არის ადამიანის განვითარებისა და ქცევის უძლიერესი განმსაზღვრელი ფაქტორები.

მოვალეობა და პატივისცემა სხვათა უფლებების მიმართ, თუნდაც საკუთარი თავის საზიანოდ, იგივე სათნოებაა. მაგრამ მათ არ მოუხსნიათ წინააღმდეგობა სათნოებისა ისეთ გაგებას შორის, როგორიცაა მოვალეობა და ადამიანის ბუნებრივი სურვილი, რომ ისწრაფოდეს საკუთარი კეთილდღეობისათვის. ეთიკური ქცევის ნორმების წყაროები უნდა ვეძებოთ ადამიანის ბუნებაში, რომ მორალური ნორმები ემყარება ადამიანის

თანდაყოლილ თვისებებს და მათი უხეში დარღვევა იწვევს ფსიქიკურ და ემოციურ უთანხმოებას. აქედან გამომდინარე, პიროვნების ისეთი თვისებები, როგორებიცაა: ტემპერამენტი, ხასიათი, ნება, მორალური ღირებულებები, არის წყარო სათნოებისა და მანკიერების. ადამიანში სიკეთე თანდაყოლილია და ჭარბობს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ნორმალურად ვითარდება, მისი შესაძლებლობები რეალიზდება. ადამიანში ბოროტება მაშინ ჩნდება, როდესაც განვითარების შესაბამისი პირობები არ არსებობს . [მაიკლ ს. გ. გრაზიანო და საბინ კასტნერი, 98-113].

კარგიცა და ცუდიც ადამიანში თანდაყოლილია. აქ ყურადღება გამახვილებულია არა მარტო ბოროტების დათრგუნვაზე, არამედ სიკეთის წახალისებაზე. ადამიანი თავისი არსით არის კეთილი, აქვს პოზიტიური ზრდის თანდაყოლილი პოტენციალი. ადამიანში დამანგრეველი ძალები ამ შემთხვევაში აღიარებულია არა როგორც თანდაყოლილი, არამედ იმედგაცრუების ან ძირითადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილების შედეგად წარმოქმნილი .

სიკეთისა და ბოროტების დაპრისპირების შესახებ მკაფიოდაა ნაჩვენები იგავში **„მორიელი და ფუტკარი“** [გამსახურდია ზ., 1987:17] - მორიელი გაკვირვებით მიმართავს ადამიანს, რომ მაინდამაინც მის დანახვაზე იპყრობს შხამის შიში ყველას, როდესაც ფუტკარსაც შხამი აქვს და მას გადაყოლილია, სახლებსაც კი უშენებო. კაცი პასუხობს, ფუტკარი თაფლსაც რომ არ აძლევდეს, მისი შხამიც კი წამალია, ხოლო მორიელის ორლესი ნესტარი მხოლოდ სიკვდილს თესავსო. ვისღა ესიამოვნებოდა მისი დანახვა? სიკეთისა და ბოროტების თემა წითელ ზოლად გასდევს იგავებს. იგავის მთავარი პერსონაჟები არიან ფუტკარი - შრომისმოყვარე, კეთილი, ჯანსაღი და გემრიელი თაფლის დამამზადებელი, შხამის წამლად გამოსადეგი და სასტიკი, სიკვდილის მომტანი შხამიან-შაშარიანი მორიელი.

იგავის მორალით შხამი შეიძლება სასიკვდილოც იყოს და წამლადაც გამოდგეს. გააჩნია ვის უპყრია იგი, გამრჯე ფუტკარს, თუ ვერაგ მორიელს. ბოროტს ვერც კი გაუცნობიერებია თავისი სიცუდე, ის იყვედრება კიდეც, სიკეთესთან რატომ არ

აიგივებენ, რამეთუ ორივეს ერთი და იგივე იარაღი - შხამი- აქვთ. არად დაგიდევთ, რომ ფუტკარი თაფლსაც ამზადებს ადამიანების სასარგებლოდ, მას ეს არაფრად მიაჩნია, არადა გულგასიებულია შურით შეპყრობილი ფუტკრის მიმართ.

იგავი წარმოშობს შემდეგ იდეას: ბოროტების გასაკეთებლად ქმედება სულაც არ არის საჭირო, მაგრამ სიკეთეს ფუტკარივით მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება. შხამი რომ შხამია, კეთილის ხელში ის წამლად იქცევა და სარგებელს იძლევა, განსხვავებით ბოროტისაგან, რომელსაც არ ძალუძს ასეთი გარდაქმნა. ამ თვალსაზრისით სიკეთე ქმედითი და აქტიურია, ბოროტება უმოქმედო და პასიური. სიკეთის ძალმოსილება ერთი ათად აჭარბებს ბოროტებისას. ამდენად, ის გაცილებით ძლიერია.

ხშირად გამოთქმულა მოსაზრება, რომ სიკეთე არ არის პოპულარული და არც თანამედროვე და მოდური. თითქოსდა ის გულუბრყვილობასა და სისუსტეს უახლოვდებოდეს. მორიელისა და ფუტკრის იგავი კი გვიჩვენებს, რომ ის სამყაროს მამოძრავებელი ძალაა. სიკეთე მაღლდება, როდესაც რაიმე კარგს ჩაიდენ, სულიც გიმშვიდდება და მჩატდება. არავინ ამტკიცებს, რომ ბოროტება, რა თქმა უნდა, არ არის ბედნიერება, არ არის ჰარმონია, არ არის პოზიტიური. ბოროტებას არც მომავალი აქვს. ადამიანს არ შეუძლია ყველას სიკეთე გაუკეთოს, მაგრამ მას აქვს უნარი, არავის მიაყენოს ზიანი. ამიტომ მორიელის ფილოსოფია ადამიანისთვის მიუღებელი უნდა ოყოს. მას სიკეთე არ ხელეწიფება, თაფლის მოცემა არ შეუძლია, არც მისი შხამია წამლის შემამზადებელი. ფუტკარი ალტრუისტია, ის უკან არაფერს ითხოვს, რაც მორიელის საყვედურიდან გამომდინარე, სრულიად საპირისპიროა. მას პრეტენზია აქვს, რომ ფუტკართან, სიკეთესთან გაიგივონ.

სიკეთე და ბოროტება - შეფასებითი კატეგორიების დიქოტომიაა, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ ფენომენებთან, ადამიანთა ქმედებებსა და მოტივებთან. მნიშვნელობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, მორალურად პოზიტიურად განაზოგადებენ და მეორე მხრივ, მორალურად უარყოფითად. ექსპერიმენტული კვლევები ალტრუიზმის პრობლემის შესახებ, როგორც წესი, გარკვეული კონკრეტული

ფაქტორების გათვალისწინებით, გავლენას ახდენენ ალტრუისტულ ქცევაზე. კეთილი საქმე მიჩნეულია პიროვნების პირადი ინტერესების საზიანოდ და ადამიანის მიერ ფსიქიკური დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება. დაკვირვების შედეგები აჩვენებს, რომ საზოგადოებაში გავრცელებული იდეოლოგია თუ მორალური დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების მიმართ დიდ გავლენას ახდენს როგორც სუბიექტებზე, ასევე - მკვლევარებზეც (იხ. ტორტორიელო გრიგოლ, 2019).

თავად ადამიანი, უპირველესად, ეთიკურ სუბიექტს წარმოადგენს, რომელიც გამოიხატება სხვა ადამიანებთან მიმართებაში, ანუ სიკეთე და ბოროტება ვლინდება მხოლოდ ერთი ადამიანის მეორისადმი დამოკიდებულებით, რომ ეთიკური აქტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ პიროვნებასთან და არა საგნების მიმართ დამოკიდებულებაში, რომელიც მხოლოდ ქმედებაა. სიკეთე და ბოროტება არა სტრუქტურული კომპონენტებია, არამედ პიროვნების ფუნქციური მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება სხვა ადამიანზე გათვლილ კონკრეტულ ურთიერთობებსა და ქმედებებში. ამიტომ მორიელისა და ფუტკრის შხამებს თანდაყოლილობასთან ერთად შეძენილის ფუნქციაც ემატება, როდესაც მას ადამიანური თვისებები მიეწერება. ის არ არის აბსოლუტური და უცვლელი სტრუქტურა პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე. შეგვიძლია ვისაუბროთ გარკვეული ზოგადი თვისებებისა და პიროვნული თვისებების თანდაყოლილობასა ან შეძენაზე, მაგრამ დროის კონკრეტულ მომენტში და, ზოგადად, დავიცვათ რელატიურობა მხოლოდ ადამიანის ადამიანთან და პლუს - საკუთარ თავსა და გარესამყაროსთან მიმართებით. მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვისაუბროთ ადამიანში კეთილისა და ბოროტის პრინციპების უპირატესობაზე, ვინაიდან პიროვნების ეს თვისება, უმეტეს შემთხვევაში, ვლინდება როგორც ერთში, ისე- მეორეში სხვა ადამიანებთან მიმართებით, ცოცხალი სამყაროსა და საკუთარ თავთან მიმართებით. რაც შეეხება პიროვნების თვისებების თანდაყოლილობას ან შეძენას, რაც განსაზღვრავს სიკეთის ან ბოროტების პრინციპების უპირატესობას ადამიანის ურთიერთობებსა ან მოქმედებებში, უკვე არსებობს საკმაოდ

დასაბუთებული მტკიცება იმისა, რომ უმეტესობა მათგანი თანდაყოლილია და, ამასთანავე, გავლენა აქვს ცხოვრების პირობებს, აღზრდის პროცესს, რომელიც შეიძინება ცხოვრების განმავლობაში. კერძოდ, ღირებულებითი ორიენტაციები მიიღება ცხოვრების განმავლობაში, ხოლო ხასიათის ჩამოყალიბება ორმაგი ხასიათისაა - წინასწარი განწყობა ზოგიერთი ცუდი ჩვევის მიმართ. ანადგურებენ პიროვნებას და მეტწილად გენეტიკურად არის .

ამის საილუსტრაციოდ უპრიანი იქნებოდა გვემსჯელა იგავზე **„თოფი და დურბინდი“** [გამსახურდია ზ.,, 1987:16]. დურბინდმა უთხრა თოფს, რომ მას ავი თვალი ჰქონდა და საითაც გაიხედავდა, ყველგან სიკვდილს თესავდა. ამიტომაც კაცს მისი შემოხედვისას ტანში ზარავდა. როცა მისი არავის ეშინოდა და ყველა სიამოვნებით ათვალიერებდა გარემოს. თოფმა დურბინდს მიუგო: თითქოსდა მას უვნებელი თვალი ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში თავად თოფი მის გარეშე ვერსად გაგზავნიდა სიკვდილს. მისი მიდამოზე დაკვრივება-დაზვერვას დურბინდით ახდენს და მხოლოდ ამის მერე იღებს ხელში თოფს. დურბინდი არა მარტო სამიზნე, არამედ ბოროტებისთვის გეზის მიმცემიც გამოდიოდა.

ცხადია, რომ აქ უსულო თოფისა და დურბინდის დიალოგი განპირობებულია და უკავშირდება ორ საწყისს - ბოროტსა და კეთილს. ორივე აგრესიისა და სიკვდილის წყაროდ შეიძლება იქცეს, მაგრამ აქ კეთილისა და ბოროტის დიქოტომია მკვეთრად არაა გამიჯნული. საკითხი ასე დაისმის - რომელია უფრო უარესი ორი უარყოფითიდან? ორივეს თავის მართლება ესაჭიროება, თუმცა, ერთ-ერთი იმარჯვებს. მარცხდება არა ის, ვისითაც ხორციელდება მოკვდინება, არამედ ის, ვინც ხელს უწყობს მას ბოროტების განცხორციელებაში, რომელიც თავი და თავია ბოროტებისა.

აქ ერთი ეთიკური სუბიექტი სხვა სუბიექტთან მიმართებითაა წარმოდგენილი, ანუ სიკეთე და ბოროტება ვლინდება მხოლოდ ერთი „ადამიანის“ მეორისადმი დამოკიდებულებით, რომ ეთიკური აქტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ

პიროვნებასთან და არა საგნების მიმართ დამოკიდებულებაში, თუმცა, საგნები, მოგეხსენებათ, განპირობებულნი არიან იგავური, ჟანრობრივი თავისებურების თანახმად. დურბინდსაც და თოფსაც გააჩნიათ პიროვნების ფუნქციური მახასიათებლები და მათი მეტნაკლებობა სიკეთესა თუ ბოროტებაში ვლინდება კონკრეტულ ურთიერთქმედებებში.

ამიტომ თოფსა და დურბინდს თანდაყოლილთან ერთად შეძენილის ფუნქციაც ემატება. აქ საუბარია გარკვეულ ზოგად თვისებებსა და პიროვნული თვისებების თანდაყოლილობაზე. მაგალითად, ჭოგრიტის ფუნქციაზე მიდამოს დაზვერვისა და ორიენტირის მიცემასა ან შენაძენზე, თუმცა დროის კონკრეტული, მოცემული თხრობის მომენტში, კერძოდ, სასიკვდილოდ მიმართვის ფუნქციისას დაცულია რელატიურობა თოფთან მიმართებით, მხოლოდ ადამიანის ადამიანთან და გარესამყაროს მიმართებით. აქ კონკრეტულად შეგვიძლია ვისაუბროთ ადამიანში კეთილისა და ბოროტის პრინციპების უპირატესობაზე, ვინაიდან პიროვნების ეს თვისება, უმეტეს შემთხვევაში, ვლინდება როგორც ერთში, ისე მეორეში სხვა ადამიანების მიმართ, ცოცხალ სამყაროსა და საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში. რაც შეეხება პიროვნების თვისებების თანდაყოლილობას ან შეძენას, რაც განსაზღვრავს სიკეთის ან ბოროტების პრინციპების უპირატესობას ადამიანის ურთიერთობებსა ან მოქმედებებში, მომაკვდინებელი თვისება ორივეში - თოფსა და დურბინდშიც თანდაყოლილია და, ამასთანავე, გავლენა აქვს ცხოვრების პირობებსაც, გამოყენების პროცესს, თუ საით მიმართავს მომხმარებელი მას.

იგავში **„ადამიანი და სარკე“** [გამსახურდია ზ.,1987: 15] სარკემ უთხრა ადამიანს, იცოდა თუ არა, რომ ის მხოლოდ სარკეში არსებობდა. თუ არ გაფრთხილდებოდა და დაამსხვრევდა, განადგურდებოდა და მხოლოდ მისი ლანდიღა დარჩებოდა ქვეყნაზე. კაცმა მიუგო, რომ ის დაიჯერებდა ამ არაკს, სარკე რომ მისივე ხელით არ ყოფილიყო შექმნილი. ამიტომაც მას უფრო საპირისპირო ეჩვენა სიმართლედ.

არსებობს მორალი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებისადმი დამოკიდებულებასთან: მორალი, როგორც ადამიანის ჩვეულებითი, ბუნებრივი მდგომარეობა, ბოროტების უარყოფა და ზნეობის პრიმატი. სარკე ამ თვისებებს მოკლებულია. მისი ბუნებრივი მდგომარეობა მოკლებულია ზნეობრიობის პრიმატს და, აქედან გამომდინარე, ბოროტებას ვერც განაგდებს და ვერც უარყოფს. თავისთავად ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია, რადგან აქ ,გარკვეულწილად, იხსნება ერთგვარი წინააღმდეგობა: მოვალეობა ზნეობის წინაშე და პირადი პასუხისმგებლობა მოვალეობას შორის, მორალური ნორმების უნივერსალურობასა და არსებულ სიტუაციას შორის. სარკე ვერ გრძნობს პირად მოვალეობასა თუ პასუხისმგებლობას ადამიანის, მისივე შემქმნელის მიმართ. მეტიც, აყვედრის კიდეც მას თავის არსებობას და ექადნება, რომ თუკი ის დაიმტვრევა, მისივე შემოქმედისგან თურმე მხოლოდ ლანდიღა დარჩება. სარკე უპასუხისმგებლოა ზნეობის წინაშე. ის ივიწყებს შემქმნელსა და მის დამსახურებას და მასვე თვლის მოვალედ. სარკე ივიწყებს მოვალეობის გრძნობასაც, რომელიც გამოიხატება მადლიერებაში შემოქმედისადმი. ის კი, პირიქით, უმადურია.

მორალური განსჯისა და დამოკიდებულების მიხედვით ჩნდება ადამიანის პასუხისმგებლობის პრობლემა, პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც გაკეთდა. ის ფარდობითია იმ თვალსაზრისით, ითვალისწინებს თითოეული სიტუაციის თავისებურებებს, არ გააჩნია სტანდარტის მკაცრი ჩარჩო, მაგრამ აბსოლუტურია თავისი არსით - შეგნებული აქვს ცხოვრებისადმი მორალური ზოგადი მიდგომა. რეალურად რა სახის მორალი აქვს ადამიანს - ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მრავალ ფაქტორზე - ასაკზე, სქესზე, განათლების დონეზე, და ა.შ. ის უშუალოდ უკავშირდება პიროვნების განვითარების დონეს. რადგანაც სარკე ირეკლავს, ასახვის ფუნქციითაა წარმოდგენილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგავის მორალი გვახედებს სარკეში და გვაღრმავებს ჩვენსავე სულებში [ჟენგი ლ. დანიელ, 2015: 6].

იგავში **„მფრინავი თევზი და თოლია“** [გამსახურდია ზ.,1987:14], მფრინავი თევზი მიმართავს თოლიას, რომ ის ჩიტად გადაგვარებული თევზია, ზღვის სიღრმეები არ უყვარდა, სულ ზედაპირზე დაფარფატებდა და ამიტომაც გადაუკეთდა ფარფლები ფრთებად. შემდეგ ამპარტავნება მოეძალა, მიატოვა თვისტომნი და მაღლა დაიწყო ფრენა. თოლიამ პასუხად მიუგო, რომ თვითონ მფრინავი თევზი იყო თევზად გადაგვარებული ჩიტი. სიხარბემ დამართა ყველაფერი. თვისტომებთან ლაჟვარდში ნავარდს თევზებზე ნადირობას არჩევდა, სულ წყალში ყვინთავდა და ამიტომაც გადაუგვარდა ფრთები ფარფლებად. ახლა კი ზოგჯერ წარსულს იხსენებს და წყლიდან მცირე ხნით ამოფრინდება ხოლმე. ავტორი დასვამს რიტორიკულ კითხვას - რომელია მათ შორის მართალი? არსებობს პიროვნების სტაბილურობის პოზიტიური დამოკიდებულება მისი თვითორგანიზების დონეზე. ურთიერთყვედრება და პრეტენზიები (და ორივე შემთხვევაში სამართლიანი) ჩნდება სწორედ მერყევი თვითორგანიზების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო, სადაც პიროვნული თვითორგანიზება ძალზე დაბალია, ან, სულაც, არ არსებობს. ეს კი მიზეზი ხდება სრული სახეცვლილებისა, სრული ტრანსფორმაციისა, სახის მთლიანად დაკარგვისა. თვისტომობიდან განდგომის პრობლემა იმ პერიოდში საკმაოდ მწვავედ იდგა საქართველოში. დაახლოებით ამ დროს იქმნება მუხრან მაჭავარიანის ლექსი „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“, სადაც სწორედ ეს ღრმა და საჭირბოროტო პრობლემაა აღბეჭდილი პირდაპირ და დიდი ექსპრესიით. ადამიანის მორალური სტაბილურობის ფსიქოლოგიური არსი მისი ორიენტაციაა შორეულ პერსპექტივებსა და არა სიტუაციურ მიზნებზე. სწორედაც რომ სიტუაციურ მიზნებზე ორიენტაცია იწვევს სრულ გადაგვარებას იმდენად, რომ ძნელი გამოსაცნობია, რომელი რომელია - თევზია ფრინველი თუ - პირიქით. სიტუაციურ მიზნებზე გათვლილი ცხოვრება უპერსპექტივოა, რადგან მას ორივე შემთხვევაში ერთი შედეგი მოაქვს - გადაგვარება, ასიმილაცია, გაქრობა. მორალური სტაბილურობის პრობლემა ეროვნული მდგრადობის თემასთან ძალზე ადვილი დასაკავშირებელია. თვითორგანიზაციის მაღალი დონე და ორიენტაცია შორეულ მიზნებზე არის

პიროვნების გარკვეული ინტეგრალური მახასიათებლის ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ კიდეც პიროვნების მორალურ სტაბილურობას. მორალურად თოლიაცა და მფრინავი თევზიც დესტაბილიზირებულები არიან. მათ ვერ გაურკვევიათ (და ვერც მკითხველს), მათ შორის ვინაა მართალი. ამას თავად ავტორი დასვამს დამაინტრიგებლად. აქ ორი გარდასახვა უპირისპირდება ერთმანეთს, რომლიდანაც ერთის დაშვებაც შესაძლებელია და - მეორესიც. ისინი დეზინტერგირებული არიან შინაგანად და, ამდენად, მორალურად არასტაბილიზირებულები. ამიტომაც აწუხებთ თვიანთი წარმომავლობის საკითხი.

ამას უშუალოდ უკავშირდება პიროვნების ამბივალენტურობის საკითხი - მას ძალუძს როგორც კეთილი, ასევე ბოროტი საქმეების აღსრულება. იგავში **„თვალხილული და ბრმადშობილი“** [გამსახურდია ზ., 1987:4], (გასათვალისწინებელია ეთიკური და ფსიქოლოგიური მიდგომა. კერძოდ, თვალხილული იბრალებს ბრმადშობილს, რომ ის ასე უმწეოდ დალასლასებს. ურჩევს ქირურგთან მისვლასა და ოპერაციის გაკეთებას, რათა თვალი აეხილოს და მზის სინათლე დაინახოს. ბრმადშობილს კი საერთოდ არ სჯერა თვალხილულების არსებობა. მას სწამს, რომ არსებობენ მხოლოდ ბრმები, რომ თვალხილულიც მასავით ბრმა იყო, ოღონდ თავს იტყუებდა. მეორეც, არავითარი სინათლე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიბნელე. სინათლე კი უბრალოდ სიბნელის საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ჭკუაზე შემცდარი ხალხი სინამდვილედ თვლის. სიგიჟის უმაღლესი გამოხატულებაა მის მიერ ხსენებული სიტყვა „მზე,“ ვითომდაც რაღაც არარსებული სინათლის წყარო, რაც უბრალოდ სიტყვების თამაშია მხოლოდ და მხოლოდ. არავითარი თვალის ქირურგი არ არსებობს. არსებობს კუჭისა და ნაწლავის, ნაღვლის ბუშტისა და სხეულის და სხვა ორგანოების ქირურგი. თვალები კი იმისათვის აქვს ადამიანს, რომ სიბნელე დაინახოსო.

ბრმადშობილის მორალური პრინციპი, მორალური თვითშეგნება ჩამოყალიბებულია გამოცდილების შედეგად. ეს გამოცდილება გამორიცხავს

სინათლეს და მის წყაროს - მზეს. ის აგდებულადაც კი მოიხსენიებს მანათობელს, ხოლო სიბნელე მიაჩნია დანახვის ერთადერთ ობიექტად. გარდა ამისა, არჩევანის პროცესში მორალური პრინციპების ჩამოყალიბება ავტომატურად მიმდინარეობს - ბრმადშობილის არჩევანი აპრიორული ხასიათისაა, ეს არჩევანი მოტივების კონფლიქტშია ჩამოყალიბებული და განპირობებულია მისი მოქმედებაში გადაწყვეტილების მიღების უნარით. მზე მისთვის ჩასახვისა და განვითარებისას მოტივების ბრძოლაში კრისტალიზდება. ბრმადშობილის მონოლოგი სოფიზმის მკაფიო მაგალითადაც შეიძლება დავსახოთ. მისთვის დანახვა სიბნელესთან ასოცირდება და არა - სინათლესთან, და როგორი თვითდაჯერებულია ამ დროს?! ფასეულობები, რომლებიც მიზნად ისახავს სიკეთისა და ბოროტების რეალიზაციას, როგორც მოტივებს, რომლებიც ერთდროულად რეალიზებულია, მნიშვნელობის მომტანია და მოქმედებისკენ მიისწრაფვის. [იხ. დურლოვსკი პოლა, „გაურკვევლობასთან გამკლავება: როგორ გავუმკლავდეთ გაურკვევლობას და გადაწყვეტილების მიღებას," 2013].

საკითხი როდესაც ეხება პიროვნების მორალური განვითარების პრობლემებს, იქ სიკეთე და ბოროტება ცენტრალურ ცნებებად მოიაზრება. ამ დროს ხელოვნება არა მხოლოდ აკვირდება, არამედ აქტიურად ერთვება პიროვნებისათვის ბრძოლაში.

იგავში **„ფარშავანგი და გველი"** [გამსახურდია ზ.,1987:5] ფარშავანგი მიმართავს გველს, რომ მას მშვენიერი პერანგი აცვია და არ აფასებს. ნაცვლად იმისა, რომ გზაზე გამოფინოს, იძრობს და სადღაც ძეძვიანში მალავს. მოუწოდა მიებაძა მისთვის, რათა გარემო დაეტკბო მისი ჭვრეტით, რაზეც გველმა უპასუხა, რომ ფარშევანგისთვის მარაოს გაშლა თვალის ერთ დახამხამებაში ხდებოდა და, გართობისა და სიამის გარდა, არა მოუტანია რა მისთვის, გველს კი თავისი პერანგის გამოცვლა უზარმაზარი ტანჯვის ხარჯზე უხდებოდა, რაც ყოველგვარი გამოჩენისა და სეირის გასამართად აღარ ეხალისებოდა.

დუალიზმი არის ნებისმიერი ფენომენის, მისი პოლარული მახასიათებლებისადმი დიალექტიკური მიდგომის იდეა, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ის, რაც ერთი პოლუსიდან მეორეზეა კონცენტრირებული. ცალკერძ გვაქვს მშვიდობიანი ფარშავანგი, გარემოს მშვენება, და მეორე მხრივ - ბოროტი, მაგრამ არანაკლებ ლამაზი გველი. უფრო ზუსტად, ფარშევანგის ბოლოა მარაოსავით იგავმიუწვდომელი სილამაზისა და არანაკლებია გველის კანი. საქმე ისაა, რომ ერთი ყველას დასანახად შლის მარაოს და მეორე ულამაზეს კანს ისე ტოვებს, რომ ძნელად იპოვება, თვალსაჩინო ვერაა. მაგრამ ფარშავანგის ფსიქიკაში დუალიზმის წინააღმდეგობრივი ჩანასახი არსებობს, რომელიც ასტიმულირებს მის დამოუკიდებელ საქმიანობას. აქ თითოეული ნაწილი, როგორც ფარშავანგი, ასევე გველი, აბალანსებს ერთიმეორეს. დისბალანსი, სავარაუდოდ, მაშინ ხდება, როდესაც საპირისპირო მახასიათებლის ჩარჩოში მოქცეული პატარა ნაწილაკები იწყებენ ზრდას ან შემცირებას. ფარშავანგი მოუწოდებს გველს, რომ მიბაძოს მას. მაგრამ ვერ უკვირდება იმას, რომ მისთვის მარაოს გაშლა ერთი წამი და დიდი სიამოვნებაა, ხოლო გველისთვის ისეთი ტანჯვა, რომ სახალისოდ დრო აღარ რჩება. სიამოვნების განცდისა და ძლიერი ტანჯვის შეგრძნება დისბალანსის საფუძველი ხდება და დიალოგი ყვედრების ფორმას იღებს.

ასევეა იგავში **„ფუტკარი და პეპელა“** ფუტკარმა უთხრა პეპელას, რომ ისინი ორივენი ყვავილების ნექტარს ისრუტავენ, მაგრამ სარგებლობის მიხედვით ძალიან განსხვავდებიან. თუკი ის თაფლს ადამიანს აძლევდა და თავსაც იკვებავდა, ქარს ატანდა მის მონაგარს.

პეპელა პასუხობს, რომ სამაგიეროდ მას ყვავილების მშვენიერების სული ეუფლება და უცხოდ უხატავს ფრთებს, რათა ადამიანი დატკბეს მისი მშვენიერებით. ფუტკარი კი ვერ არის ასე ლამაზად მოკაზმული და ხშირად ადამიანს თაფლის ნაცვლად მომაკვდინებელი შხამითაც კი უმასპინძლდება. ასე რომ , მისგან საფრთხე მეტია, ვიდრე - სარგებლობა.

აქედან ავტორს გამოჰყავს მორალი: „ასევე უჭირს ზოგიერთ გონებაშეზღუდულ მეცნიერს ხელოვანის დანიშნულების გაგება (გამსახურდია ზვიად.,1987: 6).

ესაა გარკვეული ინტრიგა, რომელიც არის სხვადასხვა ადამიანის ინტერესების შეჯახება ერთმანეთის ზიანის მიყენების მიზნით, გონებაშეზღუდული მეცნიერი დამაინტრიგებელი მხარეა. ეს ხომ სულისა და ხორცის მარადიული დიქოტომიის გამოხატულებაა.

გარეგნულად, ფუტკარი სიკეთესა და ხაზგასმულ კეთილგანწყობას ასხივებს. ის ტკბილი ტონით ლაპარაკობს ისე, რომ მისი სიტყვები სხვისკენ არის მიმართული და თითქოს დადებით ემოციებსაც კი იწვევს.

დამაინტრიგებელი სტრატეგია ასეთია: პირველ რიგში, აქებენ თავიანთ დამსახურებას (ადამიანურს, პროფესიონალურს და სხვა). ისინი ყოველთვის ახსენებენ მათ კარგ დამოკიდებულებას ახლობელი და ძვირფასი ადამიანების მიმართ. ნდობის მოპოვების შემდეგ, ისინი აგრძელებენ ძირითად საქმეს: აწვდიან უარყოფით ინფორმაციას სხვების შესახებ, ამჯერად პეპლის შესახებ იმაზე, ვინც რაღაცას აკეთებს ადამიანების სასარგებლოდ. კარგის ფენომენი სიკეთისა და სათნოების განსაკუთრებული სულიერი წყაროა. სულიერება თანდაყოლილია ნებისმიერ ადამიანში. ამაღლებული ფსიქიკური მდგომარეობა წარმოიქმნება საკუთარი საქმიანობის ღრმა გააზრების პროცესში, საკუთარ სულში ჭეშმარიტების აღმოჩენისას, საკუთარი მორალურ და პროფესიულ გამოცხადებაში ისე, როგორც ამას პეპელა აკეთებს. მას ღრმად აქვს გააზრებული თავისი საქმიანობის სულიერი მხარე და მისი პრიმატი, რომელიც არანაკლები მნიშვნელობისაა ესთეტიკური თვალსაზრისით, ვიდრე მატერიალური სიკეთისა - თაფლის წარმოება ადამიანებისათვის.

იგავში **„ხე და ნაცარი“** ვკითხულობთ: ერთმა გლეხმა ნაცარი გამოიტანა ეზოში და ხეებს ძირში ჩაუყარა. ვაჟმა ჰკითხა მამას, თუ რად სჭირდებოდა ხეებს ნაცარი? გლეხმა აუხსნა, როგორც კაცი კაცის წამალია, ასევე ხეც ხის წამალიაო. ნაცრად ქცეული ხე ისევ

ხეს გამოადგება სასუქად. „ცხოვრებაშიც ასეა, კაცმა რომ მეორე კაცს არგოს, აი, ამ ხესავით უნდა დაიწვას მისთვის და დანაცრდესო“ [გამსახურდია ზ.,1987:6].

დავიწყოთ ბოლოდან - კაციც ხესავით უნდა დაიწვას და დანაცრდეს, რათა სხვას არგოს. ეს კი ჩვეულებრივ გმირობასთან არის დაკავშირებული. გმირი კი ყოველთვის ებრძვის გარემოებებს (ადამიანები, იდეები), რაც, მისი აზრით, არ არის საკმარისი და მუდმივად მოითხოვს გარდაქმნას. გმირი ყოველთვის აქტიურია, არ სურს შეურიგდეს სამყაროს ისეთი, როგორიც ის არის. გმირი აბსოლუტური სიკეთის იდეას მიესწრაფვის და უპირისპირდება ყველაფერს, რაც იდეალს ვერ უახლოვდება [ზიმბარდო ფილიპ, 2011:18]. საკუთარი დანაცრება არცთუ ისეთი მიმზიდველი იდეაა, მაგრამ მსხვერპლის გაღება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რასაც ქადაგებს კიდეც გლეხი.

სამყაროს არასრულყოფილება მუდმივ გამოსწორებას საჭიროებს. სილამაზის ესთეტიკა სწორედაც რომ მებრძოლი ესთეტიკაა და ეს იწვევს დაპირისპირებას მტრის მხრიდან. მართალია, იგავში მტრები უშალოდ არ ჩანან, მაგრამ სრულიად გასაგებია ნათქვამის ალეგორიული ხასიათი - დანაცვრა, ნაცრად ქცევა წვის, მსხვერპლის გაღების შედეგად. რაც უფრო ძლიერია მტერი, მით უფრო ძლიერია ენთუზიაზმი. ფუტკარი ძლიერია სიკეთის კეთებაშიც და, ამდენად, პეპელას ენთუზიაზმს უმატებს. პეპლის პასუხი არის ზუსტი, ლაკონიური დ ამომწურავი. ვებრძვი რაღაც მნიშვნელოვანს, განსაკუთრებულს. ბოროტება ყველგან ფესვგადგმულია, ამიტომ არ არის საჭირო მოვლითი გზით სიარული და პირდაპირობა გადამწყვეტია.

პეპლის მორალურ ცნობიერებაში მთავარი ღირებულება არის იდეა. ის არის იდეოლოგიის მატარებელი. ტოლერანტობა არ არის მისი სათნოებათაგანი. პეპლის მთავარი მორალური ღირებულება არის სამართლიანობა. სამართლიანობისთვის ბრძოლას აქვს აზრი, რომელსაც ბედნიერება მოაქვს მის ცხოვრებაში. სამართლიანობა არის ისეთი კონცეფცია, რომელიც არ ეხება შინაგან სამყაროს, არამედ ფართო საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხებს. ამრიგად, პეპლის ქმედების ძირითადი მაორიენტირებელი არის გარეგანი, სოციალური ორიენტაცია. ის საზოგადოებას უნდა

ემსახუროს. აქედან გამომდინარე, პეპელა ისწრაფვის მომავლისკენ, იმ საზოგადოებისკენ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის იდეალს.

პეპელა არის მოვალეობის შემსრულებელი, ზემორალური იმდენად, ხანდახან ავიწყდება კიდეც, რომ, მორალური ფასეულობების გარდა, არის სხვა რამ, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის ამორალური. მაგალითად, ადამიანისთვის ფუტკრის მიერ მსახური, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ამორალური. პეპელა იწვევს დისკომფორტს მის გარშემო არსებულ გარემოში. ის ყოველთვის მართალი არ არის, რაც დამოკიდებულია იმ იდეაზე, რომელსაც ის ემსახურება. ის ცდილობს, ფუტკრის დადებითი მხარე - სასარგებლო თაფლის დამზადება -დაჩრდილოს და ხაზს უსვამს ადამიანისათვის მომაკვდინებელი შხამის არსებობას.

გარკვეულწილად, პეპელა შეიძლება რეალურად ფანატიკოსად მივიჩნიოთ, თუმცა, აშკარად კეთილშობილია და თუ ცდება, მაშინაც გულწრფელად ცდება. პეპლის მთავარი ღირებულება - სამართლიანობა, მაღალი მორალური ორიენტაცია, აქტიური სოციალური, ცხოვრებისეული პოზიციაა.

იგავში **„უნდობლობის მსხვერპლი“** [გამსახურდია ზ., 1987: 7]) მოთხრობილია ერთი კაცის ჭაში ჩავარდნის შესახებ, რომელიც შველას ითხოვდა. გზად მიმავალმა უცხო კაცმა სასწრაფოდ მოარბენინა თოკი და ჩაუშვა ჭაში. ჩასძახა, რომ ამ თოკისთვის მოეკიდა და ამოიყვანდა. ჭა ძლიერ ღრმა იყო, თან ჭაში ჩავარდნილს იჭვიანობა მოსდგამდა ბუნებით. თოკის ნაცვლად მას გველი მოელანდა და ამოსძახა, რომ მისი დაღუპვა უნდოდა. მშველელმა ჩასძახა, გველიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა მოსჭიდებოდა თოკს, თორემ აუცილებლად დაიხრჩობოდა. მაგრამ ყველაფერი ამაოდ, ასე რომ მცირე ხნის შემდეგ წყალქვეშ გაუჩინარდა უნდობლობის მსხვერპლი.

პიროვნების მორალური კრედოს გასაგებად, რომლის ქცევა ემყარება ეჭვს, მიზანშეწონილია გვესმოდეს ადამიანის ფსიქოლოგია, რომლის ქცევა ემყარება რწმენას. რწმენა ყველაზე ხშირად ღმერთთან ასოცირდება, რის გარეშეც ადამიანი

ხდება უმწეო, სტერილური და შიშით აღსავსე. ჭაში ჩავარდნილი კაცის უმწეობა არა შემთხვევის, არამედ ურწმუნოების მსხვერპლი უფროა. რასაკვირველია, რწმენა აქ არა როგორც რელიგია, არამედ გამძლეობად და ხასიათის თვისებად არის მოაზრებული.

ამრიგად, ეჭვი არის გაურკვევლობა, მერყეობა, დაბნეულობა ნებისმიერი წინადადების, იდეის, პიროვნების. ის შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს, როგორც ეს ჭაში ჩავარდნილ კაცს მოუვიდა. ის გაურკვეველია, შემთხვევის მსხვერპლია, მერყევია და სავსებით დაბნეული, რადგან გადაწყვეტილების მიღებაში ეჭვი გადაულახავ დაბრკოლებას უქმნის. გარდა ყველაფრისა, ეჭვი შეიძლება იყოს რაციონალური და ირაციონალური [ბალკისი მურატ, ურუ ერდინჩ, 2019 : 299–331].

რაციონალური ეჭვი გამოიხატება, ვლინდება კრიტიკულ განსჯაში, საკუთარ თავში კრიტიკული შესაძლებლობების ზრდაში. რაციონალური ეჭვი არის თანამედროვე აზროვნების მთავარი მამოძრავებელი ძალა, ანუ ის დადებითია და მეცნიერული წინსვლის საფუძლადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ რაციონალური ეჭვი ჭაში ჩავარდნილი კაცის მახასიათებლად ვერ გამოდგება.

ჭაში ჩავარდნილი კაცისთვის დამახასიათებელია ირაციონალური ეჭვი, რომელიც აფერხებს მის, როგორც ემოციურ, ისე ინტელექტუალურ ცხოვრებას. ამ ეჭვის ნიადაგზე, ყველაფერი არასტაბილური ხდება, მერყეობის ტემპერატურა და დუღილი მატულობს - თითქოს ის ეხეთქება ერთი კიდედან მეორეს, იზრდება დაბნეულობის განცდა, რაც მტკივნეულია და ართმევს მას ფიზიკურ თუ სულიერ ძალებს. ირღვევა პიროვნების მთლიანობა, უბედურებაში ჩავარდნილ კაცს უჩნდება უძლურების, უმწეობის განცდა. უკიდურეს შემთხვევაში, ეს ყველაფერი იწვევს აკვიატებული ნევროზული მდგომარეობის წარმოქმნას. მას ელანდება თოკის ნაცვლად გველი, რომელიც მირაჟია. ირაციონალური ეჭვის მქონე პირის შესაძლო გამოსავალია ეჭვის აღიარება და რაიმეს დაჯერება, რომელსაც პროტაგონისტი ვეღარ ახერხებს.

ირაციონალური რწმენა არის რწმენა ადამიანის, იდეის ან სიმბოლოსი, რომელიც არ გამომდინარეობს საკუთარი გამოცდილებიდან, მაგრამ ემყარება ემოციურ მორჩილებას ირაციონალური ავტორიტეტისადმი. გაუაზრებელია ჭაში ჩავარდნილი კაცის იდეა - ავტორიტეტი. ირაციონალური ავტორიტეტი არის ფანტომი, მირაჟი, რომელიც ჰიპნოზის მდგომარეობაში იბადება და, როდესაც ადამიანი საკუთარი თავის ავტორიტეტს ემორჩილება. უკიდურესი, სასიკვდილო მდგომარეობის ზღვარზე მდგომს უჩნდება საკუთარი უაზრობისადმი მორჩილების დაუოკებელი განცდა. ასეთია ირაციონალური რწმენის მქონე პირის რეაქცია თვით მისი სიცოცხლის გადარჩენის მოწოდებაზეც კი. ამავდროულად, ხდება მისი იდეის მის მიერვე უპირობო აღიარება, სრული ემოციური მორჩილება. მას აღარ უნდა რეალობას გაუწიოს ანგარიში. ის მირაჟის სრულ ტყვეობაშია. ირაციონალური რწმენა კი ეფუძნება იმ ძალის მორჩილებას, რომელიც აღიქმება როგორც ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე. ფატალური შეცდომის საფუძველი სწორედაც ეს ხდება. ის სრულ მორჩილებას უცხადებს ირაციონალურსა და არარეალურს და გარდაუვლად იღუპება.

სრულიად საპირისპიროა რაციონალური ადამიანი, რომელიც თავის ურთიერთობებს ადამიანებთან აყალიბებს სიტუაციის მუდმივად ფრთხილი ანალიზის, კომპეტენტური დახმარებისა და თანასწორობის ურთიერთობის საფუძველზე. ეს ადამიანებს ბიძგს აძლევს ურთიერთობები განავითარონ ჰუმანისტური ეთიკის კანონების შესაბამისად, სადაც ადამიანი თავად არის ნორმების შემქმნელი და მათი შემსრულებელი, ის ქმნის მათ, არეგულირებს და აკვირდება, ის თავად განსაზღვრავს, რა არის კარგი და რა არის ბოროტი: კარგი არის ის, რაც კარგია ადამიანისთვის და ბოროტი არის ის, რაც ზიანს აყენებს ადამიანს. ჰუმანისტურ ეთიკაში კარგი არის სიცოცხლის დამკვიდრება პიროვნების მიერ მისი ძალების გადანაწილების გზით. ეს არის ადამიანის ბუნების მოდელთან დაკავშირებისა და დაახლოების საშუალება [უილიამსი, ბ., 2006: 52-135]. ბოროტებაში იგულისხმება ის,

რაც ხელს გვიშლის ასეთი ნიმუშის მიღწევაში. ავტორიტარული ეთიკის სიკეთე არის მორჩილება, ბოროტება არის დაუმორჩილებლობა [მაკმაჰანი, ჯ, 2016: 26–30].

საგულისხმოა იგავი **„მწყემსი და მგლები“** [გამსახურდია ზ.,1987: 26]. ცხვრის ერთ ფარას მგლები შეეჩვივნენ, რომლებიც თვითონ იყვნენ გადაცმულნი ცხვრის ტყავში. დღისით სხვებთან ერთად ძოვდნენ ბალახს და კიკინიც კი ისწავლეს, ცხვრისებრი ბღავილიც, მწყემსის სალამურზე კუნტრუში, ხოლო ღამღამობით ფარეხში ყოფნისას დაერეოდნენ ფარას, ყელებს ღადრავდნენ და მახლობელ ტყეში მიათრევდნენ საცოდავებს და თავიანთი თვისტომებით ვახშმობდნენ.

ამ ფარის მწყემსი მხედველობასუსტი იყო, ამადაც, ვერ არჩევდა მგლებს ცხვრებისაგან (თუმცა, ზოგის აზრით, ის განგებ იბრმავებდა და თვალებს მგლების შიშით). ძაღლები დასაგლეჯად ეტანებოდნენ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს, მაგრამ მწყემსი კომბალს უღერებდა და უგერიებდა, არიქა, ჩემი საყვარელი ცხვრები არ დამიგლიჯოთ, ხალხი რას იტყვის, მის ფარას ხომ გაუტყდებოდა სახელი .

მაშინ ერთ-ერთმა ნაგაზმა მიუგო მას, დრო იყო გამოფხიზლებულიყო და დაენახა, რომ ცხვრის ქურქში გამოხვეულმა მგლებმა ფარა გაუნახევრეს. სულ მალე კი ისინი თავად პატრონსაც მიადგებოდნენ და მას ნაგაზებიც კი ვეღარ უშველიდნენ. მაინც არ დაუჯერა მწყემსმა ნაგაზებს და როცა ერთ ღამეს მგლებმა გული იჯერეს ცხვრის ხორცით, გადაწყვიტეს, ადამიანის ხორციც გაესინჯათ და მწყემსი თავის ოჯახიანად გადასანსლეს. ავტორი ასკვნის, რომ ასე დამთავრდა ფარეხის კეთილი სახელისათვის ზრუნვა.

სიკეთე და ბოროტება, როგორც ეთიკური ფსიქოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები, აისახება ბევრ ადამიანში. სუბიექტის ყოველმხრივი შესწავლიდან გამომდინარე, ტიპოლოგიურად მრავალი ფსიქოლოგიური ფენოტიპი ჩამოყალიბდება ორი მკაფიოდ განსაზღვრული ორიენტაციით: სულიერება - სულიერების ნაკლებობა.

ერთი შეხედვით, მწყემსი არის ჰუმანისტი, რომელიც ხელმძღვანელობს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შინაგანი ხმით, გარე სანქციებისა და ყოველგვარი ჯილდოებისგან დამოუკიდებლად. გართული თავისი ჰუმანისტური იდეებით, ის ვერ ამჩნევს (და ესეც ერთი შეხედვით) ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს, რომლებიც დღენიადაგ ხვეწენ თავიანთ გარეგნობას და უახლოვდებიან ცხვრების მანერებს, რათა კიდევ უფრო დამაჯერებლები იყვნენ. ამ თვალთმაქცებს ერთი მიზანი ამოძრავებთ - დაღუპონ ფარა, მათ ხარჯზე იარსებონ. სულიერების ნაკლებობა, ანუ ბოროტი ზრახვები მათი ცხოვრების წესია. უძველესი თეზისის მიუხედავად, რომ ადამიანი ბუნებრივად კარგია, არსებობს ადამიანთა საკმაოდ ფართო წრე, რომლებიც პირიქით ამბობენ: ადამიანის ბუნება მას მტრობისკენ მიდრეკილს ხდის, ადამიანი შურიანია, ეჭვიანი და ზარმაცი, განადგურებისკენ მიდრეკილი. ყოველივე ეს ბოროტების გამოვლინებაა საყოველთაო ადამიანური გაგებით და ეწინააღმდეგება სიყვარულსა და შემოქმედებას. მგლების საქციელი გამორიცხავს შემოქმედებითობას. ისინი დესტრუქციასა და განადგურებაზე არიან ორიენტირებულები. მათ ამოქმედებთ სიკვდილის ინსტინქტი, ე.ი. განადგურება. ნგრევის პრინციპი სწორედაც ბოროტებაა, ან მას მიმსგავსებული რამ. ბოროტება არის სიკეთის არარსებობა ადამიანში. დესტრუქციული დასაწყისი პიროვნებაში ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ ახერხებს თავისი ძალების შემოქმედებით რეალიზაციას, თუ ადამიანი ვერ მიაღწევს შინაგან ჰარმონიას. ბოროტი არღვევს ეთიკის მთავარ კანონს: ნუ გაუკეთებ სხვებს იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. ამავდროულად, დესტრუქციული პიროვნების დამახასიათებელი თვისება არის სიძულვილის მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება რაციონალური და ირაციონალური სიძულვილის სახით.

რაც შეეხება მწყემსს, მას აკლია თვისივე რეაქციაა საკუთარ თავზე, სინდისის ფენომენი ვერ იღვიძებს მასში. მას მკაცრი რეალობის დაჯერება, როგორც ჩანს, არ უნდა. ჭეშმარიტი მე-ს ხმა არ ჩაესმის, რომელიც, მიზნების შესაბამისად, ჰარმონიულად ცხოვრებას მოითხოვს. ჰარმონიული თანაცხოვრება ცხვრების დაცვას და არა მათი მგლების ხახაში ჩაგდებას ნიშნავს. ის ჰარმონიას ვერ აღწევს, რადგან

მისი საქციელი ვერანაირად ვერ შეესაბამება ფარის სიცოცხლის გადარჩენას. სინდისი ადამიანების პატიოსნების ინდიკატიორია. ის შეიცავს ცოდნას მათი ცხოვრების მიზნის შესახებ. იმ პრინციპების შესახებ, რასაც აღმოაჩენენ, რაც უსწავლიათ სხვა ადამიანებისგან და ჭეშმარიტებად აღიარებენ. მწყემსმა უთუოდ იცის თავისი წეს-მოვალეობანი, მაგრამ ჭეშმარიტება მისგან განრიდებულია. ის ქვენა გრძნობებს არის აყოლილი და არად დაგიდევთ მკაცრ რეალობას. სინდისი ამ შემთხვევაში გამოხატავს პირად ინტერესსა და სისავსეს. სინდისი და სისავსე ნადგურდება, თუ ადამიანი თრგუნავს საკუთარ თავს. მწყემსი თრგუნავს თავს, რათა სიმართლესა და რეალობას გაუსწოროს თვალი, მისი მდგომარეობა კომფორტულია და ის ბრძოლისთვის მზად არ არის. მთელი მისი ქმედება თხემიდან ტერფამდე ფარისევლურია. აქ შეგვიძლია დავინახოთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკა, სამი ავტონომიითა და უამრავი პრობლემით. როგორ არად დაგიდევდათ (იგულისხმება მაშინდელი მწყემსები - რესპუბლიკის ხელმძღვანელობა) სამწუხარო რეალობას და როგორ იყვნენ თვითკმაყოფილებასა და ჰედონიზმს მიცემული. აქედან გამომდინარე, მწყემსი იარაღად იქცევა მგლების ხელში, დამდაბლდება, უბედურდება და ტრაგიკულადაც ასრულებს სიცოცხლეს.

მწყემსი დამნაშავეა, რომელიც ცხოვრობს მუდმივი დანაშაულის განცდით, მაგრამ ეს თითქოს იგავიდან ნაკლებად ჩანს. მას ახასიათებს დანაშაულის გრძნობა თავისი მრავალრიცხოვანი და გარდაუვალი ბოროტმოქმედების - შინაგანი მე-ს წინაშე. ვერ არის ღია და ლაღი. სილაღის დეფიციტი მიუთითებს მის ფარულ წუხილზე. ამავდროულად, დანაშაულის გრძნობა მას ძალიანაც არ აწუხებს, რადგან სინდისი დაძინებულია და მის ქმედებაში ცხვრად ქცეული მგლები ლამის ცხვრებად ჰყავს აღიარებული და ყველა საშუალებას აძლევს მიზნების განსახორციელებლად. ეს არის ყველაზე ეფექტური საშუალება დამნაშავეთა ავტორიტეტზე დამოკიდებულების ფორმირებისა და გაძლიერებისა. მწყემსს ირაციონალური ავტორიტეტი ასტიმულირებს, რაც ამ პირის ნების შესუსტებას იწვევს.

დანაშაულის განცდა მწყემსს მუდამ თან ახლავს, რაც გამოიხატება ნაგაზის მიერ გამოფხიზლების მოწოდებაში. უბრალოდ, მას ძალიან ღრმად აქვს ჩაბეჭდილი მგლების ტრანსფორმაცია და შეხსენების ღირსადაც არა თვლის. ესაა გზა საკუთარი თავის დანაშაულისგან გათავისუფლებისა და იმ შედეგებისა, რომლებიც ამ შემთხვევაში შეიძლება მოსალოდნელი იყოს.

მწყემსის მორალური პრინციპია იცხოვროს სოციალურ გარემოსთან, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. ის კომფორმისტია და მისი მთავარი მორალური ღირებულება არის სოციალური გარემოს, საზოგადოების, ე.ი. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის შეგრძნება.

მწყემსის შემთხვევაში ცუდად არის წარმოდგენილი მორალური ავტონომია, ჩადენილი ქმედებებისადმი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. ქმედებებისა და საქმეების შეფასებისას ყველაზე მნიშვნელოვანი არის საზოგადოებრივი აზრი: „ხალხი რას იტყვის, ხომ გაუტყდებაო ჩემს ფარეხს სახელი“. ამის იქით მისი საწუხარი არ მიდის.

გარდა ამისა, მწყემსის მისწრაფებები უფრო უნივერსალურ შეთანხმებაზეა ორიენტირებული, ვიდრე პირად ბედნიერებაზე. აუცილებელია ადაპტირება გაბატონებულ ღირებულებებთან. შეგუება, რომ მგლები ცხვრებად იქცნენ და მათთვის ხელის არშეშლაა საჭირო. ყველა ნორმა დიდი ხანია შემუშავებულია, პიროვნება მათ არ აყალიბებს. მორალური ინდივიდუალობა უკუგდებულია. ყველა ადამიანი მსგავსი უნდა იყოს. შეუწყნარებლობა სხვა მორალური სისტემის მიმართ წესადაა ქცეული. ამავდროულად, მწყემსი ორიენტირებულია საზოგადოების მორალის საფუძვლების მიმართ ურყევი რწმენით. ამიტომაცაა, როდესაც ნაგაზები კარგად არჩევენ მტერ-მოყვარეს და ეძგერებიან კიდეც მგლებს დასაგლეჯად, მწყემსი მათ კომბალს უღერებს და ისე აჩერებს. ანუ მოყვარეს აგრესიით აჩერებს უშუალოდ მტრების, მისი საბოლოოდ დამსამარებლების დასაცავად.

მწყემსი იკარგება და, აქედან გამომდინარე, იღუპება, რადგან მას იტაცებს შორეული და უცხო ინტერესები, გაუგებარი იდეები, მიზნები და მისთვის უცხო საქმეები. ამ გაუცხოებას ის ყველაფერს უთმობს და სწორედ ამის გამო, დგება მომენტი, როდესაც ეს ყველაფერი ქრება და ის კარგავს საკუთარ თავს: ის უსარგებლო ხდება და ვეღარ გაუგია, რა ხდება მის ირგვლივ და შიგნით, დაკარგავს იდეალების მხარდაჭერას და ცხოვრებისეულ პოზიციებს. აქედან გამომდინარეობს შედეგები: უიმედობა, სევდა და ნიჰილიზმი.

მწყემსს ავტორიტარული ტიპის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია: ლიდერის ფუნქციების მკაცრი ცენტრალიზაცია, ყველაფერი მის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს ნაბიჯის გადასადგმელად, მთელი ძალაუფლება კონცენტრირებულია მის ხელში, ქვეშევრდომთა ინიციატივას ახშობს, ნაგაზს კომბლის დაცემითაც ემუქრება, რომ მისი საყვარელი „ცხვრები“ არ დაეგლიჯა. მათი დაუშვებლობა ერთობლივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაშია, სასჯელის სხვადასხვა ფორმა - ამ შემთხვევაში კომბლის მოღერება და ამით ნაგაზების იგნორირება. მწყემსის ავტორიტარული ქცევა რეგულირდება სასჯელის შიშით - ნაგაზს არა აქვს უფლება, დასვას კითხვები და გააკრიტიკოს ის, ყოველ შემთხვევაში, ეს იგავიდან არ ჩანს.

თავისი საქციელით მწყემსი თრგუნავს სხვებს (ერთგულ და ფარის დამცველ ნაგაზებს), ართმევს მათ სიხარულს, ინიციატივას, იწვევს მათში პროტესტის გრძნობას (ფარულად, მაგრამ მაინც). ის ყველაფერში საკუთარ თავს სწორად მიიჩნევს. მას უყვარს მუდმივად კომენტარების კეთება, რის შემდეგაც ხალხი დუმს.

ბოროტება და გამოსყიდვა ეს საკითხი არა მხოლოდ ქრისტიანობაშია, არამედ მთლიანად ლიტერატურულ ცნობიერებაში ყველგან არსებობს. გველთევზას თემატიკას ვეხებით ზვიად გამსახურდიას იგავ-არაკში **„თევზები და გველთევზა“** [გამსახურდია ზ., 1987: 25]. ამ (ამ თემატიკას გველს იმიტომ ვუკავშირებთ, რომ ავტორი თავადვე ანიჭებს გველთევზას როგორც გველის, ისე თევზის თვისებებს.

ავტორი დასაწყისშივე ამბობს თავის სათქმელს და იგავი ვითარდება ისე, რომ თევზის სხეულში ამოფარებული გველთევზა ჭკვიანურად ცდილობს ამ შხამის დაფარვას: გველთევზა ნაპირზე ცხოვრობდა და ხანდახან თუ ჩააკითხავდა წყალში თავის მოძმეთ. თევზებმა უთხრეს: -,,რა გინდა მაგ ხრიოკ ნაპირზე, გადმოსახლდი ჩვენთან, წყალში, განა ვერ ვხედავთ, ვით იტანჯები მანდ უწყლობით, შენ აქ გვჭირდები თევზებს, შენი ადგილი აქ არისო.

გველთევზამ მიუგო: -,,განა წყალი არ მირჩევნია ამ უხეირო სამკვიდრებელს, წყლისათვის დავბადებულვარ, მაგრამ ამ ნაპირზე თქვენთვის სახიფათო, ვერაგი მეთევზეები რომ მომრავლებულან, ჯერ იმათ უნდა დავუგესლო ფეხები, რათა ვეღარ შეძლონ წყალში ბადის გადმოსროლა და თქვენი ერთიანად განადგურება“ [გამსახურდია ზ., 1987: 25]. ძალიან საინტერესოა ამ შემთხვევაში ავტორის თხრობის სტილი და მისი განზრახვაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ არა ავტორის ერთი რეპლიკა, მკითხველი ვერ გაიგებდა გველთევზას რეალურ სახეს. ვიფიქრებდით, რომ ის მართლაც კეთილი არსებაა.

აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდია გველთევზას უფრო მეტად გველის მოდგმას უკავშირებს და ის ცბიერ არსებად გამოჰყავს, რომელიც, თითო-ოროლა კეთილი სიტყვით ცდილობს თანამოძმეების მოსყიდვას, გაბრიყვებას და არწმუნებს თავის დამსახურებაში. გველთევზას სახით ავტორი საკუთარი თანამედროვეების მხილებას ცდილობს, რომლებიც თითქოს კარგ საქმეებს აკეთებენ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ეპოქის საქართველოში, ქართული პოლიტიკური და სოციალური გარემოებებიდან გამომდინარე, გველი უკვე ამოეფარა თევზის სხეულს და ცბიერი ენით სცადა საკუთარი მიზნების მიღწევა.

იმის წყურვილი, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ბოროტებისგან გათავისუფლდე, ყოფიერების წვალებისგან ქმნის საერთოდ იგავის , „თევზები და გველთევზა“,

საფუძველს. ბოლოს და ბოლოს, როგორც ყველა რელიგია, ასევე ლიტერატურა გვპირდება ბოროტისა და მისგან გამოწვეული სტრესებისაგან გათავისუფლებას. მკითხველი ლიტერატურიდან ეძიებს გამოსავალს მიტოვებულობიდან, მარტოობიდან და მისთვის უცხო ბოროტი სამყაროდან.

გველთევზას იანუსივით ორგვარი სახე აქვს. გარეგნულად მას „ფარფლ-ქერეჭი თევზისა ჰქონდა, შხამი და საზრიანობა კი - გველისა“, მაშასადამე, ფლობს როგორც თევზის, ასევე გველის თვისებებს. ძირითადად გველთევზა ცხოვრობს სანაპიროზე და იშვიათად აკითხავს თანამოძმეებს წყალში. ის არ ეძიებს სულიერების სამშობლოში დაბრუნებას, რომელიც ახლობელია და ნათესაური. ტოტემის თაყვანისცემა უკვე იყო და მფარველობის გზით ბოროტების განდევნა ამ ბოროტი სამყაროსაგან. თანამედროვე რაციონალური შემეცნებით ადამიანი არის მთავარი წინაღობა ღმერთის რწმენისა.

არსებობს ბოროტება, რომელიც არის ძალზე ძლიერი და გვიჩვენებს, რომ მას აქვს ძალმოსილება ჩვენს სამყაროში. გველთევზა მეთევზეების სახით გამარჯვებულ ბოროტებას აწყდება, თევზები განიცდიან ტკივილებსა და წამებას, რომელიც გამოწვეულია ბოროტებისაგან და გველთვზას გაუჩნდა მოთხოვნა ამ ბოროტებისაგან გათავისუფლებისა. რომ არ ყოფილიყო ბოროტება, რომელიც ქმნის ჩვენს სამყაროს, კაცობრიობა ბუნებრივი სამყაროთი კმაყოფილი დარჩებოდა. ბუნებრივი სამყარო, რომელიც ყოველგვარი ბოროტებისა და წამებისგან თავისუფალია, ადამიანისთვის იქცეოდა ერთადერთ ღმერთად. რომ არ ყოფილიყო ბოროტება (ამ შემთხვევაში) და ამით გამოწვეული უბედურება, არ იქნებოდა მისგან გათავისუფლების მოთხოვნილებაც. წვალება და წამება ცხოვრების ბოროტებისა დასტურია დიდი რელიგიურ-ლიტერატურული სკოლისა. კაცობრიობის ცხოვრება ამ სამყაროში, რომელმაც არ იცის ბოროტება, ყოველგვარი ტანჯვა-წამებისაგან გათავისუფლებულია და აუცილებლად თვითკმაყოფილებას ვერ გასცილდებოდა. ამიტომაა, რომ გველთევზა და მისი არსებობა განაპირობებს კიდეც სასიკვდილოდ განწირული თევზების იმედს.

გველთევზას არსებობა არა მხოლოდ ღმერთისადმი ჩვენი რწმენის დაბრკოლება იქნებოდა. ბოროტების არსებობა ასევე ღმერთის არსებობის მტკიცებულებად შეიძლება ჩავთვალოთ, იმის მტკიცებულებად, რომ ეს სამყარო არ არის ერთადერთი და საბოლოო. ბოროტების გამოცდილება ადამიანს მიაქცევს სხვა სამყაროსკენ, იწვევს საშინელ უკმაყოფილებას ამ სამყაროთი. თევზების გამოცდილებისა და მათი ცნობიერების საფუძელში დევს პესიმიზმი და არა - ოპტიმიზმი. ადამიანთა შინაგანი განცდა პესიმისტურია და არა ოპტიმისტური თავისი სოფლაღქმით, პესიმისტურია ბუნებრივი სამყაროს მიმართ. ნამდვილი ცხოვრების დადებითი აზრი სხვა, სულიერ სამყაროში ძევს. ჩვენი ბუნებითი სამყარო, რაც გარს გვაკრავს და შემოგვსაზღრავს, მოზეიმე უაზრობის ძალაუფლების ქვეშაა. ზვიად გამსახურდიას ხომ ეს თავისი ტანჯული ცხოვრების განმავლობაში უშუალოდ ჰქონდა განცდილი და გადატანილი?! მასში ბატონობს ხრწნა და სიკვდილი, ბოროტება და შური, ეგოიზმი და დაშლა-დანაწევრება. ამქვეყნიური ყოფისაგან ადამიანი (თევზები) დათრგუნულია უსამართლობითა და ბოროტებით. რელიგიასა და რწმენაში ის გარღვეულია სამყაროს არსთან და იღებს ძალას, რომელიც სხვა სამყაროდან მომდინარეობს, რომელშიც სიყვარული იმარჯვებს სიძულვილზე, ერთიანობა იმარჯვებს განხეთქილებაზე, მარადიული ცხოვრება იმარჯვებს სიკვდილზე. ბოროტების არსებობა საღვთო სამართლის პრობლემას დასვამს, ღმერთის გამართლების პრობლემას. რატომ ითმენს ღმერთი ასეთ საშინელ ბოროტებას, რატომ უშვებს მის ზეიმს? თევზების სამყარო სისხლისგან იცლება, იფლითება ნაკუწ-ნაკუწ. მათ ცხოვრებას ერთადერთი დამთრგუნველი შიში მართავს. სადღაა ღმერთის ჩანაფიქრი?

რაციონალისტური გონება, რომელიც უარყოფს სამყაროსეული ცხოვრების ირაციონალურ საიდუმლოს, ცდილობს უკეთესი სამყაროს შექმნას, ვიდრე ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროა, სადაც არ იქნება ტანჯვა-წამება, იქნება მხოლოდ სრული რაციონალურობით სავსე სამყარო, როგორც ეს თევზებს წარმოუდგენიათ. ეს თევზები ხომ ევკლიდესეულ ადამიანებს მოგვაგონებენ, რომლებიც სავსეა რაციონალური გონით და ვერ ხვდებიან, თუ რატომ არ შექმნა ღმერთმა უცოდველი, ნეტარი,

ბოროტებასა და სატანჯველთან ვერშემგუებელი სამყარო. ამიტომაა მათი რჩევა ნაივური. ისინი იანუსისებრ გველთევზას თავიანთ სამყაროში ეპატიჟებიან, თითქოსდა გველთევზა სასურველი არსება იყოს მათთვის. კეთილი ევკლიდესეული ადამიანური სამყარო, ალბათ, იმით განსხვავდებოდა ბოროტი საღვთო სამყაროსაგან, რომ მასში არ იქნებოდა თავისუფლება. თავისუფლება არ შევიდოდა მის ჩანაფიქრში და ადამიანიც კეთილი მექანიკური მანქანა იქნებოდა. მშვიდობის არქონა შეუძლებელს გახდიდა ბოროტებასა და ტანჯვას. თევზების რეციონალური ადამიანური სამყარო, რომელშიც არ არის ბოროტება, დაავადებულია საშინელი ბოროტებით - თავისუფლების არქონით, გამონაკლისის გარეშე თავისუფალი სულის განადგურებით. საღვთო სამყარო ბოროტებითაა აღსავსე, მაგრამ მის პირველსაწყისში ჩადებულია სულის თავისუფლება, უდიადესი სიკეთე, ადამიანის ღმერთის ხატობის ნიშანი. საღვთო სამართლიანობის საკითხი მხოლოდ თავისუფლებით წყდება. ბოროტების საიდუმლო არის თავისუფლების საიდუმლო. თავისუფლების გარეშე არ შეიძლება გაგებულ იქნეს ბოროტების არსებობის ფაქტის ირაციონალურობა საღვთო სამყაროში. ამ თავისუფლფებას სწორედ ისინი არაინ მოკლებულნი, ვინც გველთევზას კარნახობენ წყალში დაბრუნებას. ზვიად გამსახურდია კარგად გადმოსცემს, რომ სამყაროს საფუძვლად უდევს ირაციონალური თავისუფლება, რომელიც ღრმა უფსკრულში იკარგება. სამყაროს სიღრმეში საშინელი უფსკრულია, რომლიდანაც მოედინება სიცოცხლის ბნელი დინებები. მასზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს ანიჭებს იგავს ენიგმურობას. ის დაფარულია, მაგრამ ქვეტექსტით აუცილებლად იკითხება. ამ უფსრულში ყველა შესაძლებლობა დაფარულია. ეს უძირო, ყველა თევზისა თუ გველთევზის წინარე მდგომარეობა ყოფიერებისა, არ შეიძლება ბოლომდე იყოს რაციონალიზებული. მასში ყოველთვის დაფარულია ახალი, ჯერ კიდევ ბნელი ენერგიების შესაძლებლობების წესები. ამ ენერგიებს ძალუძს ადამიანების დაგესვლა. ლოგოსის სინათლე სჯაბნის სიბნელეს, კოსმიური წყობა ქაოსს სძლევს, მაგრამ უფსკრულისა და ქაოსის, ქვემოთა უსასრულობის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე, თავისუფლება, აზრი ეკარგება ყოველგვარ მომხდარს.

დაფარული დევს ბნელ უფსკრულში, არაფერში, მაგრამ თავისუფლების გარეშე აზრი არ არსებობს. გველთევზისეული თავისუფლება წარმოქმნის ბოროტებას, ისევე როგორც სიკეთეს. ამიტომ ბოროტება არ უარყოფს აზრის არსებობას, არამედ ამტკიცებს კიდეც მას. თავისუფლება შექმნილი არაა, იმიტომ რომ ის ბუნება არ არის, თავისუფლება წინ უსწრებს სამყაროს, ის ფესვგადგმულია საწყის არაფერში - გველთევზამდე და თევზებამდე. ღმერთი ყოვლისშემძლეა ყოფიერებაზე, მაგრამ არა არაფერზე, არა თავისუფლებაზე. ამიტომაც არსებობს ბოროტება, თუნდაც „ფარფლ-ქერეჭის“ ქვეშ.

სიცოცხლესთან ბოლომდე სერიოზული და საპასუხისმგებლო დამოკიდებულება დაკავშირებულია ბოროტების ხედვასთან, მისი არსებობის აღიარებასთან. თევზები ინფანტილურად გამოიყურებიან გველთევზას წყალში მიპატიჟებით. ზვიად გამსახურდია კარგად აჩვენებს, რომ ბოროტების არდანახვა ადამიანს უპასუხისმგებლო არსებად აქცევს, კარს უხურავს ცხოვრებისეულ სიღრმეს. ბოროტების უარყოფა თავისუფალი სულის დაკარგვაა, თავიდან მოშორება თავისუფლების ტვირთისა. გველთევზას გესლიანი ხასიათის არდანახვა ამის მაგალითია თევზების მხრიდან. თავად იგავის ავტორის ეპოქა დგას ბოროტების ძალების საშინელი ზრდის წინაშე და, ამასთანავე, უარყოფენ ბოროტების არსებობას. ადამიანი განიარაღებულია ბოროტების წინაშე, როდესაც მას ვერ ხედავს. პიროვნება გამოიკვეთება კეთილისა და ბოროტების გარჩევით, ბოროტების საზღვრების დადგენით. როდესაც იშლება ეს საზღვარი, როდესაც ადამიანი აღრეულობისა და გაურჩევლობის მდგომარეობაში იმყოფება, პიროვნება იხრწნება და იშლება თვითსიყალბეში. თვითშემეცნების ციხე-სიმაგრე პიროვნებისა ბოროტების მხილებასთან არის დაკავშირებული, რომელიც ხმლით იჭრება. არევასა და განურჩევლობაში, ბოროტების დანახვის დაკარგვისას, ადამიანი კარგავს თავისუფლების სულს. თევზები გარანტირებული აუცილებელი სიკეთის ძიებას იწყებენ და სიმძმის ცენტრი გადააქვთ შიგნიდან გარეთ, ისინი წყვეტენ შინაგან განსაზღვრას, ვეღარ საზღვრავენ ვერაფერს. რაციონალიზმი უარყოფს ბოროტების

ირაციონალურ ბოროტებას, იმიტომ რომ ის უარყოფს თავისუფლების ირაციონალურ საიდუმლოს, ენიგმატურს. უფრო ადვილია დაიჯერო ეშმაკის რაციონალისტური ცნობიერება, ვიდრე ღმრთისა. რაციონალური ცნობიერებით ადამიანები იგონებენ ათასგვარ მოძღვრებას, რომელიც უარყოფს ბოროტებას, მას აღიარებს არასაკმარის სიკეთედ ან თავად სიკეთის შინაგან განვითარებად მიიჩნევს. ბოროტება ევოლუციური და ჰუმანისტური ცნობიერებებით არის უარყოფილი, თევზების შემთხვევაში განსაკუთრებით ჰუმანისტურით, ანარქისტული და თეოსოფიური ცნობიერებით.

თავისუფლების შინაგანი დიალექტიკა თავისი წიაღიდან ბოროტებას ბადებს. დავდაპირველ ირაციონალურ თავისუფლებაში, უსასრულო პოტენციაში დევს ბოროტების თავწყარო, როგორც ყოველგვარ სიცოცხლეში. თავდაპირველმა თავისუფლებამ წარმოშვა ბოროტება ყოფიერების უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე. სული, რომელიც დგას ყოფიერების უმაღლეს საფეხურზე ღმერთში სწორედ თავისუფლებით მოწყდა, სულიერი ამპარტავნების თვითდამკვიდრების აქტი ჩაიდინა და მისგან დაიწყო ხრწნა და ყოფიერების დაცემა. ღმერთისგან გამოყოფა მოხდებოდა მთლიანად სამყაროსეული სულისა, რომელიც ყველა სულიერს გველთევზას და თევზსაც გულისხმობს. ეშმაკის მითი სიმბოლურად ასახავს უმაღლეს სულიერ სამყაროში მომხდარ მოვლენას. სიბნელე თავდაპირველად სულიერი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე გამეფდა. იქ თავისუფალმა პირველად მისცა საღვთო მოწოდებას უარყოფითი პასუხი, ღვთის მოწოდებას მოყვასის სიყვარულზე, იქ შექმნილი დაადგა თვითდამკვიდრებისა და თვითჩაკეტვის, განხეთქილებისა და სიძულვილის გზას. ადამიანი მოსწყდა ღმერთს თავისი ქმნილებით, თავისი მსოფლიო იერარქიით. ის ცდუნდა უმაღლესი სულიერი ძალებით. ამპარტავნება ეს არის ცდუნება უმაღლესი სულისა, რომელსაც თავისთავის დაყენება სურს ღმერთის ადგილზე. ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებით ბოროტება ჩვენში ჩაისახება უმაღლესი სულიერი ძალებით, ხოლო შემდეგ გამოხატულია ჩვენი მდაბალი სტიქიების მიხედვით, ხორციელი ვნებებით. აკი იგავში **„არწივი და ბაყაყები,“**

[გამსახურდია ზ., 1987:22] . ბაყაყებს მუდმივად წუმპეში უწევთ ცხოვრება. ისინი ხორციელი ვნებებიდან ვერ გამოდიან. არწივის ფრენა მათი რისხვაც არის და ურწმუნოების საფუძველიც. ასეთივე გარემოა თევზებისთვის წყალი. საღვთო მოწოდება უპირველეს მიმართულია უმაღლესი სულისკენ, მისი თავისუფლებისაკენ, და იქიდანვე გვეძლევა პირველსაწყისის პასუხიც. განსხეულება თუ მატერიალიაცია ადამიანის არსებობისა, მისი დამორჩლება ქვენა ბუნებრივი სტიქიებისადმი უკვე მოვლენის შედეგია, რომელიც სულიერ სამყაროში მოხდა. სულის ამპარტავნებას ადამიანი საღვთო სიმაღლეებისაკენ არ მიჰყავს, არამედ ითრევს მატერიალიზმის ჭაობში. ეს არწივს შეუძლია იფრინოს მაღლა, ამპარტავნების კი არა, არამედ მისი ბუნებითი თვისების გამო. ცოდვითდაცემა სულიერ სამყაროს შესახებ მოთხრობილი სიმბოლური ამბავია. ამ ამბავში ეშმაკი და ადამიანი უშუალო რეალობებია. მაგრამ სულიერ სამაყროში ეს ასე არ არის. ყოფიერების შინაგანი იერარქია სულ სხვა სტრუქტურისაა, ვიდრე ბუნებრივი სამყაროსი, მასში ყველაფერი შინაგანია და მასშივე ჰგიეს ყოველივე. ამიტომაც სულიერ სამყაროში ეშმაკი, როგორც სულიერი იერარქიის უმაღლესი საფეხური და ადამიანი, როგორც შემოქმედების ცენტრი და მეფე, შინაგანად ერთმანეთისთვის არიან და ერთმანეთში არიან გადაჯაჭვული. ეშმაკი ასევე ადამიანის სულიერი სამყაროს შინაგანი რეალობაა და გარეგნულად წარმოდგენილია მხოლოდ სამყაროსეული ბუნებითი სახით, ამ შემთხვევაში არწივის სახით. ეშმაკი სულიერი წყობის რეალობაა და არა ფიზიკური. ზვიად გამსახურდიას მიერ მისი გააზრება ნაივურ-რეალისტურად შეუძლებელია. ეშმაკი არ არის თავისთავადი წყარო ბოროტი ყოფიერებისა, ის მხოლოდ სულის მწვერვალზე ირაციონალური თავისუფლების აღმოჩენაა. ამიტომ არწივიც მის რიგებში უნდა ვივარაუდოთ.

ძის მიერ მეუფე ზეცათა იხსნება არა როგორც მოსამართლე და მბრძანებელი, არამედ უსასრულო სიყვარული. ძე ღვთისას მიერ ჩადენილი გამოსყიდვა სასჯელი კი არა, არამედ გადარჩენაა. ესაა არწივის აფრენა და მიწიერის გადალახვა: „რამდენჯერაც დააპირა არწივმა აფრენა, ისეთი შხუილი შექმნეს მისმა ფრთებმა, რომ

ელდანაცემი ბაყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ. შემდეგ კი, როდესაც ისინი თავს ამოყოფდნენ წყლიდან, არწივი უკვე ღრუბლებში იყო. ამის გამო ბაყაყები ამტკიცებდნენ, არწივმა საერთოდ არ იცისო ფრენა [გამსახურდია ზ ., 1987: 15]. ამ იგავით ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისეთი ტიპის ადამიანზეც, რომელიც თავისი სიმცირით სხვის სიდიადეს ვერ ხედავს. გადარჩენა სასამართლო კი არ არის, არამედ ბუნებრივი გარდასახვა და განწმენდაა, გაკეთილშობილება და განღმრთობა. გადარჩენა არ არის გამართლება, არამედ სრულქმნის მიღწევა. ღმერთის, როგორც მოსამართლის იდეა, სულიერი კი არა, სამშვინველისეულია. გამოსყიდვის სამართლებრივ გაგებას მხოლოდ ბუნებით ადამიანისთვის აქვს მნიშვნელობა. სულიერი ადამიანისთვის იხსნება ღმერთის სხვა ასპექტი - ზეცაში ისე მაღლა აფრენა, რომ ბაყაყთათვის თავლშეუწვდომი იყოს არწივის სიმაღლე. არ შეიძლება ღმერთს მიეწეროს ისეთი თვისებანი, რომლებიც განსაკითხია ადამიანებისთვისაც კი - სიამაყე, ეგოიზმი, თავითკმაყოფილება, ბოღმა, შურისმაძიებლობა, მრისხანება. ბუნებითმა ადამიანმა ღმერთის ხატებისგან საშინელება შექმნა. სამართლებრივი გაგებით , ქრისტეს გამოსყიდვის რელიგია ჯერ კიდევ კანონის რელიგიაა და მასში მადლი არა კანონიკურად, არამედ ცხოვრებისეულად არის გადმოცემული.

საინტერესოა ბაყაყების სახე ამ შემთხვევაში. მათი თვისებებით ზვიად გამსახურდია ცდილობს საზოგადოების უმეტესობის თვისებები აჩვენოს. ისინი, ვინც არწივის აფრენის დროს შიშით ვერც კი ჩნდებოდნენ (ელდანაცემი ბაყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ), ხოლო შემდეგ ამტკიცებდნენ, რომ არწივს ფრენა სულაც არ შეუძლია. არწივის სახით კი მას ძლიერი ადამიანი გამოჰყავს, რომლის ფრთების შრიალი შხუილის ხმას გამოსცემს და მაღლა ღრუბლებში მიფრინავს. ის ძლიერია, სიმაღლისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის ზურგს უკან მაინც არიან ვიღაცები, რომლებიც მას თითქოს დასცინიან საკუთარი სიმცირისა და ეგოიზმის გამო.

არაკში **„ბრმების ქვეყანა“** [გამსახურდია ზ.,1987: 36] ბოროტების საიდუმლოს გაგება თავისუფლების საიდუმლოს გაგების გზით ზეგონებრივი გაგებადაა აღქმული

და თავად გონებისთვის ანტინომიას წარმოადგენს. ბოროტების წყარო არც ღმერთშია და არც დადებით ყოფიერებაში, რომელიც ღმერთის გვერდითაა, არამედ უფსკრულში, ირაციონალურ თავისუფლებაში, წმინდა შესაძლებლობაში, პოტენციურად, რომელიც ჩადებულია შავბნელ უფსკრულში, წინ უძღვის ყოფიერების ყოველგვარ დადებით განმარტებას, ყველანაირ ყოფიერებაზე უფრო ღრმაა. ამიტომ ბოროტება უსაფუძვლოა, ის არ განისაზღვრება ვერავითარი დადებითი ყოფიერებით, ის არ იბადება ონტოლოგიური წყაროდან. ბრმათა სიბეცე ხდება მათივე ტრაგედიისა და ბოროტების სათავე. თვალხილულ ექიმს არათუ მათი მკურნალობის საშუალებას აძლევენ, არამედ ატუსაღებენ და ახლოს არ აკარებენ. ბოროტების შესაძლებლობა დაფარულია ყოფიერების იმ ბნელ საფუძველში, რომელშიც დაფარულია ყველანაირი შესაძლებლობა. უფსკრული სულაც არ არის ბოროტება, ის ყოველგვარი სიცოცხლის წყაროა, ყოფიერებაში ის ყველაფრის აქტუალიზაციის სათავეა, უფსკრული მსოფლიო ცხოვრების საფუძველია. ვერავითარ ლოგიზმს არ ძალუძს მთლიანად დაფაროს ეს ირაციონალური საიდუმლო ცხოვრება. შელინგის განმარტებით ბოროტება ბრუნდება წმინდა პოტენციის მდგომარეობაში. დასაბამიდან იყო ლოგოსი, სიტყვა, აზრი, ნათელი, მაგრამ ეს მუდმივი ჭეშმარიტება რელიგიური განცხადებისა არ ნიშნავს, რომ ყოფიერებაში იმთავითვე უკვე განხორციელდა სინათლის მეუფება, რომ ლოგოსმა იმთავითვე მოუგო ყოველგვარ სიბნელეს. ერთი თვალხილული ექიმის არსებობა სიბნელის წყვდიადში ამის ნათელი დასტურია. საღვთო ცხოვრება არის ტრაგედია. არაკი არაფერს ამბობს მათ წარსულზე, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ბრმათა ქვეყანა დასაწყისში ქვეყნიერების შემოქმედებამდე იყო ასევე ირაციონალური უფსკრული, თავისუფალი, რომელიც გაცისკროვნებული იყო ლოგოსის სინათლით. ეს ირაციონალური უფსკრული, თავისუფლება არ იყო ყოფიერება საღვთო ყოფიერების გვერდით. თავისუფლება არის ის, რის გარეშეც სამყაროს ყოფიერებას აზრი არა აქვს ღმერთისთვის, რომლისგანაც შეიძლება გამართლდეს საღვთო ჩანაფიქრი სამყაროზე. ღმერთმა არაფრისგან შექმნა სამყარო. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მან სამყარო თავისუფლებისაგან შექმნა. სამყაროს შექმნის საფუძველში უძირო თავისუფლება

უნდა იდოს, რომელიც უკვე მდგომარეობდა შესაქმემდელ არაფერში, მის გარეშე ღმერთს არ უნდა ემოქმედა. ყოფიერების მიმართ ღმერთი ყოვლადბრძენია, მაგრამ ეს იმავე არაყოფიერებასთან მიმართებით. თავიდან იყო ლოგოსი, მაგრამ თავიდანვე იყო თავისუფლებაც. თავისუფლება არ ეწინააღმდეგება ლოგოსს, რამეთუ თავისუფლების გარეშე სამყაროს ლოგოსი არ არსებობს, სამყაროს აზრი არა აქვს, ისევე როგორც აზრი არა აქვს არწივის ძალზე მაღლა აფრენას ბაყაყების წუმპის გარეშე, გველთევზას სანაპიროზე ყოფნას ტბის გარეშე, ცირკის ლომი ზოოპარკის ლომის გარეშე, სიბნელის გარეშე არ არის სინათლე. ბოროტების გამოცდის გზით იხსნება და იმარჯვებს სიკეთე. თავისუფლება შესაძლებელს ხდის ბოროტებასაც და სიკეთესაც. ბოროტება თავისუფლების წიაღიდანაა გამოსული და მის გარეშე აზრი არა აქვს სამყაროს. მაგალითად, ყინულეთს ეძახდნენ მხარეს, სადც ყოველივე ყინულით იყო დაფარული და არც ამოდიოდა მზე (იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“). დაპირისპირებულთა ერთიანობის ეს კანონის უზადოდ მუშაობს ამ შემთხვევაშიც. სიბნელის გარეშე არ არის სინათლე. ბოროტების გამოცდის გზით იხსნება და იმარჯვებს სიკეთე. თავისუფლება ქმნის შესაძლებელს სიკეთესაც და ბოროტებასაც. ბოროტება არყოფნაა, ხმის შეუსმენლობა, რომელიც უნდა განვასხვავოთ პირველსაწყისი არაფრისაგან, მზის ამოუსვლელობისაგან. მაგრამ არყოფნა არსებობს და მას შეუძლია ჰქონდეს უზარმაზარი ძალა, სიყალბის ძალა. ბოროტება ყოფიერების გამრუდებაა, ყოფიერების კარიკატურა, გარყვნა და ავადმყოფობა - წუმპე ბაყაყებისა, ცირკის ლომის კომფორტი, უმზეო ქვეყანა, ყინულეთი.

ზვიად გამსახურდიასთან ბოროტება არის ყოფიერების საღვთო იერარქიის დარღვევა, რომელიც მოდის არყოფნიდან, იერარქიული ცენტრის გადახრა, დაცემა უმაღლესისა და ბოლოს აღზევება, პირველწყაროდან და ყოფიერების ცენტრიდან დაშორება, რომლიდანაც ყველგან ნაწილდება მისი ადგილი სამყაროში. ბოროტება პირველ რიგში სიცრუეა - მოჩვენებითი ბედნიერება ცირკის ლომისა გალიაში გამომწყვდეულ ლომთან შედარებით. ის ყოველთვის თავს იმად არ ასაღებს, რაც სინამდვილეშია, ის ყოველთვის სიცრუით არის შებურული. ეშმაკი მატყუარაა, არა

აქვს თავისი სიცოცხლის წყარო, არა აქვს თავისი ყოფიერება, ის სულ ღმერთს ჰპარავს და ამახინჯებს, კარიკატურისტობს. მეფე ბრმების ქვეყანაში ცდილობს უებარი დასტაქარი ხალხს ახლოსაც არ გააკაროს, პირიქით, ატყვევებს მას, იზოლაციაში ამყოფებს და, მეტიც, არწმუნებენ ხელმწიფე და მისი დიდებულები, რომ თვითონ დასტაქარია ბრმა და ისინი თვალხილულნი. ეშამკის სიძლიერე არის ცრუ, მოჩვენებითი, მაცდური ძალა. არ არსებობს ბოროტების მეუფება, როგორც დადებითი ყოფიერება, ის საღვთო მეუფების გვერდითაა, საღვთო ყოფითურთ. ბოროტებას ყოველთვის უარყოფითი, ნეგატიური ხასიათი აქვს, ის სიცოცხლესა და ყოფიერებას კლავს, თავისთავსაც იკლავს, მასში არაფერი დადებითი არ არის. ზვიად გამსახურდია გვასწავლის ბოროტების, როგორც არყოფნის შესახებ. სრულიად უარყოფითი, არაყოფიერებითი ხასიათი ბოროტებისა ჩვენსავე ცხოვრებისეული გამოცდილებით გვეხსნება. ამ მხრივ, რეალური გამოცდილება ადამიანთაგან არავის ჰქონდა, თვინიერ მწერლისა.

მწერლის აზრით, რასაც ჩვენ უეჭველად მივიჩნევთ ბოროტებად, ატარებს უარყოფით ხასიათს და არ შეიცავს თავისთავში არავითარ დადებით ყოფიერების ელემენტს. ბოროტება, შური, შურისძიება, გარყვნილება, ეგოიზმი, ანგარების სიყვარული, ეჭვიანობა, სიძუნწე, ამპარტავნება, სიხარბე კლავენ ცხოვრებას, ადამიანის ძალებს სპობენ. მეფე და მისი დიდებულები ზუსტად სიმართლის საპირისპიროს ჩასჩიჩინებენ უსინათლო მასას, სახლში იმიტომ დავატყვევეთ, რომ თავლხილულები (ანუ ბრმები) არ დაგვიბრმავოს და სადმე არ გადაიჩეხოს და დაშავდესო. სიკეთე, ჭეშმარიტება თავდაყირა დგას. ნებისმიერი ბოროტი ვნება თავისთავს ხრავს, თავისთავში შეიცავს სიკვდილის მარცვალს როგორც ადამიანისთვის, ისე სიცოცხლისთვის. უსინათლოთა მომავალი გადაწყვეტილია - ისინი განწირულები არიან სამუდამო სიბნელისთვის. პერსპექტივაშიც კი არ ჩანს სინათლე. ბოროტ ვნებაში არის რაღაც შთანმთქმელი, მასში იხსნება სულელური უსასრულობა. ეს სულელური უსასრულობა გვირაბის ბოლოსაც სიბნელეა. მეფე და დიდებულები ხალხს ითრევენ ილუზორულ, მოჩვენებით და ცრუ ცხოვრებაში.

არავითარი ყოფიერებისა ამ ცხოვრებაში არ არსებობს. მკვლელობა და სიკვდილი დაფარულია ბოროტების სტიქიაში, ყოველგვარ ბოროტ ვნებაში. ბოროტება და ზიზღი არის მკვლელობა და სიკვდილი, ყოფიერების დაღუპვა. მეფე და დიდებულები ასახიერებენ სიკვდილის მისტერიას. ასეთი გზა წინასწარი განსაზღვრით სრული დაღუპვისა და განადგურების გზაა.

სიყვარული კი ამკვიდრებს სიცოცხლეს, არსებობას ყველასა და ყველაფერში. დადებითი არსებობა შეიძლება იყოს მხოლოდ სიყვარულის მეუფეებაში. სიყვარულში მტკიცდება სახე ყოველგვარი ადამიანად ყოფნისა, ყოველგვარი საღვთო შემოქმედებისა. მოყვარულს შეყვარებულისათვის ეთმობა სამუდამო ცხოვრება. როგორც ზვიად გამსახურდია დასძენს, „გამოაცხობენ თონეში უკვდავების პურს“. საზიზღარს კი სიცოცხლის შეწყვეტა სურს, სიკვდილი. სიყვარულისა და სიძულვილის მოცულობით განისაზღრება მტკიცებულების ან უარყოფის დონე. ამიტომაც ბოროტებისა და სიკვდილისაგან ხსნა შეიძლება იყოს დაუსრულებელი სიყვარული.

მისტიკურ-წინასწარმეტყველურ იგავში „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“ ვკითხულობთ: წამოვიდნენ ფრთოსნები და დაასხდნენ ანთებულ კელაპტრებს, მაგრამ ფრთოსნები არ დასწვა ცეცხლმა, არამედ უფრო ააელვარა, ისე გაბრწყინდა იქაურობა. ხალხი ვერ სცნობდა ურთიერთს, იმდენად გამშვენიერდა ყველა. მხოლოდ ხელმწიფის კარისკაცები გაშავდნენ და მაჯლაჯუნებს დაემსგავსნენ [გამსახურდია ზ.,1987 : 66]. აღთქმული ბოროტება ვერასდროს ვერ იქნება აღსრულებული. მას არ შეუძლია სიცოცხლის მეუფების დამკვიდრება, რამეთუ წყვეტს ურთიერთობას სიცოცხლის წყაროსთან. ბოროტი საშუალებები საბოლოოდ იმარჯვებენ და ცხოვრების ერთადერთ შინაარსად იქცევიან. სიძულვილს არასდროს შეუძლია სიყვარულამდე მისვლა, განხეთქილებას გაერთიანება, მკვლელობას სიცოცხლემდე არასდროს მივყავართ, ძალდატანებას არასდროს შეუძლია მშვიდობამდე მიყვანა. ავტორი გვეუბნება, რომ არ არსებობს ბოროტი გზები სიკეთისკენ. ბოროტ გზებზე

ზეიმობს ბოროტება, როდესაც ბოროტება ადამიანთა გულებში შევიდა და მოწამლა ისინი, ამის მერე იწყებენ ისინი სიცოცხლის მოსპობის საქმეს. თუკი თქვენს გულში შევა ბოროტება იმის მიმართ, ვისაც თვლით ბოროტების მატარებლად, ვერ გაიმარჯვებთ ბოროტებაზე, თქვენ მის მეუფებაში დარჩებით: „ხელმწიფე შეშფოთდა, რადგან იცოდა, რომ ყინულის დადნობა მისი მეფობის დასასრულს მოასწავებდა. შეჰყარა კარისკაცები და უთხრა: „ჩქარა ავლაგმოთ ეს თავხედი, თორემ ხალხს თავგზას აუბნევს, ამასობაში უწონადი ხმის ჭაბუკიც მოვა და შავი დღე დაგვადგება“. [გამსახურდია ზ.,1987: 65].

წინასწამეტყველურ ზღაპარში, „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი,“ მეფისა და მწყემსის დიალოგში ვკითხულობთ:

ვისაც კომბალს შევახებ, ყველა ჩემი ცხვარი გახდება, - უთხრა მწყემსმა.

ყველა?- ჰკითხა ხელმწიფემ.

ყველა, ოთხი კაცის გარდა ამ ქალაქში,- მიუგო მწყემსმა.

ვინ არიან ეგენი?

ვისაც შენ უსმენ, ხელმწიფეო!

მაშ, მეც მაგათში ვარ?

არა, შენ არ უსმენ შენს თავს, ხელმწიფეო!

შენ ვინ გამოგგზავნა?

შენ თვითონ მეფეო!

რისთვის?

შესარიგებლად.

ვინ უნდა შეარიგო?

შენ უნდა შეგარიგო შენსავ თავთან .

[გამსახურდია ზ., 1987: 64]

ავტორის აზრით, ბოროტებასთან ბრძოლას ადვილად შეუძლია იქცეს ბოროტებად. ბოროტებასთან ბრძოლა თავისთავიდან უნდა დავიწყოთ და არა - სხვებისგან. სხვათა

შორის, ჩვენი ბოროტი გრძობები ბოროტების მიმართ ხშირად ჩვენივე თვითდამკვიდრების გამოვლინებაც არის ხოლმე.

როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ზვიად გამსახურდიამ, კარგად უწყოდა, რომ ქრისტიანობა გამოსყიდვის რელიგიაა და ამდენად ბოროტების, ყოფიერების უბედურებასა და სიმწარის არსებობას გულისხმობს. ამიტომ დუალისტურია მისი ხედვა ჭაბუკის საცხოვრისზეც, რომელიც მიუთითებს ქრისტიანობის ორბუნებოვნებაზე: „ეს ლითონები ფრთოსნებად იქცევიან ჭაბუკის სიმღერაზე, ხოლო ფრთოსნები გარს უვლიან კოშკს შვიდფერი ნათებით. კოშკის საძირკველი ვარსკვლავეთშია, ხოლო სახურავი-სულეთში“ [გამსახურდია ზ., 1987: 62]. ბოროტებისა და ტანჯვის ამქვეყნად არსებობით ქრისტიანობას ვერ უარვყოფთ. ქრისტეც იმიტომ მოევლინა სამყაროს, რომ სამყარო ბოროტებაშია ჩაფლული. ქრისტიანობა გვასწავლის, რომ სამყარო და ადამიანი უნდა ატარებდეს თავის ჯვარს: „როდესაც ვინმე მოათავებდა ხელმწიფის სამსახურს და მოისურვებდა მის დიდებულად გახდომას, უნდა გასულიყო ქალაქიდან, გაევლო სიცილის ბეწვის ხიდი, გადაეარა ცოფიანი კატების მინდორი, რომელიც მის მიღმა მდებარეობდა, აქ თუ ფრთები გამოებმებოდა, გადაეფრინა ცივი თუთიყუშის კლდეზე, თავს მოევლებოდა ათასწლოვან კიპარისს და, თუ არ გადაიქცეოდა კიპარისის გირჩად, კვლავ მობრუნებულიყო ქალაქში“ [გამსახურდია ზ., 1987: 61]) ტანჯვა არის შედეგი ბოროტებისა ცოდვისა, მაგრამ, ამავდროულად, ტანჯვა არის ბოროტებისაგან თავდახსნის გზაც.

ზვიად გამსახურდიასთან ქრისტიანული ცნობიერებისათვის ტანჯვა თავისთავად არ არის აუცილებელი ბოროტება, არის საღვთო ტანჯვაც, თავად ღმერთში ტანჯვაც, ღვთის ძისაში. ყველა შექმნილი ელოდება გათავისუფლებას. ეს ფაქტი დევს ქრისტიანობის საფუძველში და ამით ქრისტიანობის უარყოფა არ გამოვა. ქრისტიანობის მოწინააღმდეგეები ჩვეულებრივ მიუთითებენ იმაზე, რომ ქრისტე-მხსნელის მოვლინებამ ვერ გაათავისუფლა კაცობრიობა ტანჯვისა და ბოროტებისაგან.

ორი ათასი წლის გასვლამაც არ უშველა სამყაროს და ის იტანჯება და ბოროტება და ტანჯვა კიდევ უფრო გამრავლდა. ეს ძველი ებრაული არგუმენტი ერთობ სერიოზულად გამოიყურება. ჭეშმარიტ მესიად წარმოდგენილია ის, ვინც ადამიანებს იხსნის ბოროტებისა და ამქვეყნიური ტანჯვისაგან.

ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავად უწყის, რომ ქრისტიანობა უმაღლეს შეფასებას აძლევს ადამიანის სულის თავისუფლებას და მის გარეშე საღვთო მეუფების განხორციელებას არ თვლის შესაძლებლად. თუკი ქრისტეს ჭეშმარიტება სამყაროში არ აღსრულდება, ამით ქრისტეს ჭეშმარიტება კი არ არის დამნაშვე, არამედ ადამიანის სიყალბე. სიყვარულის რელიგია იმაში დამნაშავე როდია, რომ ადამიანებში გამეფებულია ზიზღი. ქრისტიანობა დამნაშავე იმაში არაა, რომ მას ამრუდებენ. ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა და არ უშვებს ამიტომაც ბოროტებისა და ტანჯვის ძალდატანებით აღოფხვრას. აი, რას ეუბნება მისანი ქვეყნის მეფეს: „ერთ დღეს ამ ქვეყნის მეფესთან მივიდა მისანი და უთხრა: „დრო მოდის, როდესაც მოვაჭრეებმა ადგილი უნდა დაუთმონ ცეცხლის ხაბაზებს. ამ ხაბაზებს თავის ქალებში ექნებათ თორნე, გულის კვესით შეძლებენ ენაზე ცეცხლის წაკიდებას დ ამგვარად გამოაცხობენ თორნეში უკვდავების პურს. ხმა საერთოდ აღარ ექნებათ მათ. მართალია, მათი ცეცხლი უხმოდ იმღერებს, მაგრამ იგი გააუფასურებს შენი კარისკაცების მჭექარე ხმებს. ხმის სახელმწიფოს ცეცხლის სახელმწიფო შესცვლის, ხოლო თავად შენ სიცილის ხიდზე მოგიწევს გავლა“ [გამსახურდია ზ., 1987: 61-62]. ქრისტიანობა გაიაზრებს ტანჯვას და ბოროტებისაგან გვათავისუფლებს, მაგრამ ამისგან გათავისუფლება გულისხმობს მასში ადამიანური თავისუფლების მონაწილეობას.

ზვიად გამსახურდიას წარმოდგენით, გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალურად გაგება შეუძლებელია ისევე, როგორც არ შეიძლება საღვთო ცხოვრების საიდუმლოებების გაგება. მართლმადიდებელი ღვთისმეტყველება გამოსყიდვის საიდუმლოს რაციონალიზაციაა, გაიგივება მისი იმ ურთიერთობებთან, რომლებიც არსებობენ ბუნებაში. აი, როგორი ძალმოსილებით მოდის გარდაქმნილი

სასწორთვალა, იმედისმომცემი ცეცხლით: „მეფე სიცილის ხიდისაკენ გაემართა. ხიდის თავთან მისანი დაუხვდა, რომელმაც უწინასწარმეტყველა ჭაბუკის გამოჩენა. მეფე დააკვირდა მისანს და სასწორთვალა შეიცნო. მას აღარ ჰქონდა თვალებში სასწორი, სასწორი ახლა ხელთ ეპყრა მას, ხოლო მეორე ხელში ახალი, ჯერაც აუნთებელი ჩირაღდანი ეკავა. „ვერავინ ასწონის მის ხმას, - უთხრა მან მეფეს, - არც ამათი გამომცხვარი პური აიწონება, ხოლო მათი ცხოველმყოფელი ცეცხლი იმედის მომცემია“ [გამსახურდია ზ.,1987: 69]. ეს სამართლებრივი გაგება ზეციური ცხოვრების მორგება იყო ადამიანის ბუნების დონესთან. ეს არაა სულიერი გაგება. მსოფლიო ტრაგედიის გაგება , როგორც ღმრთისა და ადამიანის სასამართლო პროცესისა, რომელიც ღმერთის მიერ არის აღძრული მისი ნების ადამიანის მიერ ფორმალური დარღვევისა, ნიშნავს გადაიტანო საღვთო ცხოვრებაზე, ყოველთვის შეუცნობელი საიდუმლო, წარმართული წარმოდგენები ნათესაური ცხოვრებასა და საგვარეულო შურისძიებაზე.

ცვლილებათა გზაგასაყარზე ავტორი მიმართულების ვექტორს აცვლევინებს სასწორთვალას: „მეფემ ხიდზე შედგა ფეხი. დიდებულებსაც სურდათ მიჰყოლოდნენ, მაგრამ სასწორთვალამ შეაჩერა ისინი: „თქვენთვის ეს ხიდიც დაკეტილია. თქვენი გზა სხვა მიმართულებით მიდის.“ და უჩვენა მათ დავიწყების მდინარე“ [გამსახურდია ზ., 1987: 69]. ძველი ღმერთი, წარმართული ძველაღთქმისა, წარმოგვიდგება საშინელ მეუფედ, რომელიც სჯის და აზღვევინებს შეუსმენლობისათვის, მოითხოვს გამოსასყიდს, მსხვერპლის ჩანაცვლებითა და სისხლის დათხევით. აქ ღმერთი წარმოდგენილია ძველი აღთქმის, წარმართული ადამიანის ბუნებით. იურიდიულ თეორიას გამოსყიდვისას წარუხოცელი კვალი დაამჩნია რომის და ფეოდალური გაგებით, ღირსების აღდგენის გაგებამ. საღვთო ნების ფორმალური დარღევისთვის იწყება სასამართლო პროცესი და ღმერთს უნდა გადაუხადო. არავითარი ადამიანური მსხვერპლი არაა საკმარისი მის დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ ძე ღვთისას მსხვერპლი ეთანადება ჩადენილი დანაშაულის ზომას. გამოსყიდვის ასეთ გაგებას გარეგნული, ეგზოთერული ხასიათი აქვს. წარმართული სამყარო მიდიოდა

გამოსყიდვისკენ, რომელიც ქრისტიანობაში გამომჟღავნდა, მასში დიადი მოლოდინი იყო, მაგრამ წარმართულ რელიგიებში იყო არა სულიერი, არამედ ბუნებრივი, გამოსყიდვის ნატურალური გაგება.

ქრისტიანობაში გამოსყიდვა სიყვარულის საქმეა და არა სასამართლოს სამართლიანობა, საღვთო უსასრულო სიყვარულის მსხვერპლი და არა შენდობა და გადახდა: „დრო მოდის, როდესაც მოვაჭრეებმა ადგილი უნდა დაუთმონ ცეცხლის ხაბაზებს. ამ ხაბაზებს თავის ქალებში ექნებათ თორნე, გულის კვესით შეძლებენ ენაზე ცეცხლის წაკიდებას და ამგვარად გამოაცხობენ თორნეში უკვდავების პურს. ხმა საერთოდ აღარ ექნებათ მათ. მართალია, მათი ცეცხლი უხმოდ იმღერებს, მაგრამ იგი გააუფასურებს შენი კარისკაცების მჭექარე ხმებს. ხმის სახელმწიფოს ცეცხლის სახელმწიფო შესცვლის, ხოლო თავად შენ სიცილის ხიდზე მოგიწევს გავლა.“

ჰო, მაგრამ ვინ განახორციელებს შეუძლებელს?- ჰკითხა შეშფოთებულმა ხელმწიფემ მისანს.

უწონადი ხმის ჭაბუკი,- მიუგო მისანმა.

ჰო, მაგრამ ვინ დასძლევს მაგ ჭაბუკს? - ჰკითხა ხელმწიფემ.

ვინც ასწონის მის ხმას, - უპასუხა მისანმა და გაქრა. [გამსახურდია ზ.,1987:62]

ძე ღვთისას თვითნებური მსხვერპლი იმთავითვე შედიოდა ქვეყნიერების შესაქმეში. თავად ღმერთის სურვილია, რათა სამყაროსთან ერთად იტანჯოს, შეუძლებელი შეძლოს. სამართლებრივი გაგება მსოფლიო პროცესისა გამოსყიდვას აქცევს სასამართლოს სამართლიანობის საქმედ. ღმერთი ითხოვს, რათა მას სამართლიანობა მიეგოს, გადახდას ითხოვს ზარალისთვის, რაც მას მიადგა. ითხოვს მსხვერპლს, რომელიც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ზომას. ქრისტეს მსხვერპლი, გამოსყიდვის საიდუმლო ადამიანის ცნობიერებაში რის ვაივაგლახით ეტევა. ჯვარი - იუდეველებისთვის მაცდურია, ელინებისთვის უაზრობა და თავად ქრისტიანულ სამყაროშიც თრგუნავთ ის და მისი გაგება გარდატეხილია ძველი

აღთქმისა და წარმართობის ცნობიერებაში. კანონიკური შემეცნება სიძნელით დაიძლევა ქრისტიანობის შიგნით.

ადამიანს ესაჭიროება კანონი და ბუნებრივად არის მიდრეკილი ყველაფრის კანონის ენით გაგებისთვის. ქრისტე სრულადაც არ უგულებელყოფს კანონს, მაგრამ ის ხსნის სულიერ სამყაროს, რომელშიც, მართლაც რეალურად იძლევა კანონი, დაიძლევა მადლიანი სიყვარულით და მადლიანი თავისუფლებით. უმადლო თავისუფლება, დაბალი თავისუფლება არ შეიძლება კანონს უარყოფდეს, ის ემორჩილება მის მოქმედებას. ქრისტიანობა არ არის კანონის რელიგია, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ ნიშნავს, რომ ჩვენ წესიდან გადახრად უნდა ვაღიაროთ. გამოსყიდვაში იხსნება ეს საიდუმლო. სასამართლოს გაგებით გამოსყიდვა გულისხმობს იმას, რომ ცოდვა შეიძლება მიეტევოს ადამიანს, ღვთის რისხვა მსხვერპლისაგან შეიძლება შენელდეს, რომელიც ძე ღვთისამ მოიტანა. ამგვარი გამოსყიდვის გაგებით ადამიანის ბუნებასა და ღმერთს შორის დამოკიდებულება გარეგნულია, ადამიანურ ბუნებაში არაფერი არსებითად არ იცვლება. მაგრამ ცოდვა არ შეიძლება და არც უნდა იქნეს პატიებული. ღმერთს შეუძლია ადამიანური ცოდვის პატიება, ხოლო ადამიანს თავისთავად არ ძალუძს ცოდვის მიტევება და ღვთისაგან, მისი დიადი ჩანაფიქრისგან განდგომა. ღმერთმა რისხვა არ იცის და მის ყოვლისმიმტევებლობასაც არა აქვს საზღვარი.

მაგრამ ადამიანს რჩება მისი უმაღლესი სულიერი ბუნება, ღმრთისდარი ბუნება და ის ვერ ეგუება დამდაბლებასა და დაცემას, ის შეურაცხყოფილია ღმრთის ღალატით, ძველი ადამიანის გამყიდველობით, ბნელი არარაობის მჯობინებით საღვთო ნათელზე. ადამიანი მიისწრაფვის გამოისყიდოს ცოდვები, გრძნობს თავის უძლურებას, ელოდება გამოსყიდვას და მაცხოვარს, რომელიც დააბრუნებს მას ღმერთთან:

„შენ ვინ გამოგგზავნა?
შენ თვითონ, მეფეო!
რისთვის?

შესარიგებლად.

ვინ უნდა შეარიგო?

შენ უნდა შეგარიგო შენსავე თავთან.“ [გამსახურდია ზ., 1987: 64]

თავისთავთან შერიგებით ადამიანის სულიერი ბუნება ითხოვს არა ცოდვის პატიებას, არამედ ცოდვის რეალურ გადალახვას და მოსპობას. ანუ ადამიანის ბუნების გარდაქმნასა და მის შინაგან გაბრწყინებას. გამოსყიდვის არსი ახალ ადამშია, ახალ სულიერ ადამიანში, სიყვარულის მოვლენაში, რომელიც ძველმა ცოდვით დაცემულმა ადამმა არ უწყის, უმდაბლესი ბუნების უმაღლესი ბუნების გარდაქმნით და არა გარე ბედითი დამოკიდებულებით ძველი ადამისადმი, მისი ძველი აღთქმის ცოდვილი ბუნებით და ღმერთს შორის, არა მიტევებასა და კმაყოფილებაში, რომელიც ერთი მხრიდან მოცემულია მეორისთვის. ქრისტეს მოვლინების არსი სამყაროში არის ადამიანური ბუნების რეალურ გარდაქმნაში, ახალი სულიერი ადამიანის მოდგმის დაარსებაში და არა კანონის დადგენაში, რომლის შესრულებისთვისაც გეძლევა სულიერი ცხოვრება. სამყაროში ქრისტეს მოვლინების შემდეგ მიიღწევა რეალური სულიერი ცხოვრება. ადამიანს სწყურია ახალი, უმაღლესი, მუდმივი ღირსებით აღსავსე ცხოვრება, ღმერთში ცხოვრება და არა გარეგანი დამოკიდებულებებისა და ანგარიშების დარეგულირება ღმერთთან. ეს არის ახალი აღთქმის გამოცხადების სტადია. ქრისტიანობაში ცენტრალური საკითხია არა გამართლების იდეა, არამედ გარდაქმნისა. გამართლების იდეას ძალზე დიდი ადგილი ეჭირა დასავლეთის ქრისტიანობაში, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმში. აღმოსავლურ ქრისტიანობაში, ბერძნულ პატრისტიკაში ცენტრში იდგა ღვთაებრივი გარდაქმნა:

„კარისკაცები შეცვივდნენ სასახლეში, გამოიტანეს ლითონის საყვირები, მოიშველიეს ჯარი და დასცეს ნაღარა, მაგრამ მწყემსის ხმა უფრო გაძლიერდა და კიდევ უფრო მეტი ხალხი შეგროვდა მის გარშემო. რაღაც კარისკაცებისთვის გაუგებარი სიტყვებით მიმართავდა ხალხს, რაც კარისკაცებს კიდევ უფრო მეტად ახელებდა. რა დაინახეს, არაფერი გამოდისო, მოინდომეს ქვით ჩაქოლვა მწყემსისა,

მაგრამ დასწვდნენ თუ არა ქვებს, ქვები ვარდებად გადაექცათ ხელში. ამასობაში მწყემსის ხელში აყვავდა კომბალი, მან დაუარა თავის გარშემო შეყრილ ხალხს და, ვისაც კი მიაკარა კომბალი, ყველა ოქროსმატყლიან ვერძად აქცია“ [გამსახურდია ზ.,1987: 66].

აქ ზვიად გამსახურდია ენიგმატურად გვიჩვენებს, რომ ქრისტეს მოვლინება და გამოსყიდვა სულიერ პლანში შეიძლება გავიგოთ როგორც მხოლოდ სამყაროს შემოქმედება, როგორც შესაქმის მერვე დღე, როგორც ახალი ადამის მოვლენა, ანუ, როგორც პროცესი კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური, როგორც საღვთო სიყვარულის აღმოჩენა შესაქმეში, როგორც ახალი სტადია ადამიანის თავისუფლებაში: „ამასობაში ვერძებს რქებს შორის ანთებული კელაპტრები ამოუვიდათ, ციდან შვიდფრად აელვარებულ კამარად წამოვიდნენ ფრთოსნები და დაასხდნენ ანთებულ კელაპტრებს, მაგრამ ფრთოსნები არ დასწვა ცეცხლმა, არამედ უფრო ააელვარა, ისე გაბრწყინდა იქაურობა. ხალხი ვერ სცნობდა ურთიერთს, იმდენად გამშვენიერდა ყველა“ [გამსახურდია ზ., 1987: 66]. ახალი სულიერი ადამიანის მოვლენა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანური ბუნების ნატურალური ევოლუციის შედეგი, თუმცა ეს მის მიერ მომზადებულია. ეს მოვლენა გულისხმობს სულიერი სამყაროდან მუდმივიდან გარღვევას ჩვენს ბუნებრივ სამყაროში, დროულ სამყაროში. ბუნებრივი რევოლუცია ბუნებითი სამყაროსი და ბუნებით ადამიანისა ბუნების სინამდვილეს ტოვებს ჩაკეტილ სივრცეში. თავდაპირველი ცოდვა, ბოროტება, რომელიც ამ სამყაროს საფუძველშვე დევს, რჩება ამ ჩაკეტილობაში, მიგაჯაჭვებთ საქმიან სამყაროს. გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაღლიდან მოვიდეს, სხვა სამყაროდან. სულიერი სამყაროს ენერგია, საღვთო მეუფება უნდა შემოვიდეს ჩვენს ბუნებაში, ცოდვილ სინამდვილეში და გარდაქმნას ჩვენი ბუნება, გაარღვიოს საზღვრები, რომელიც ორ სამყაროს ყოფს. ზეციური ისტორია შემოდის მიწიერ ისტორიაში. ისხნება დედამიწის ისტორია. ადამიანის მოდგმის ისტორიაში, ძველი ადამის მოდგმაში, უნდა მომზადდეს მიღება სხვა სულიერი სამყაროდან ჩამოსული ახალი სულიერი ადამიანის მიღება, უნდა მომხდარიყო სულიერი მოსამზადებელი განვითარება.

ბუნებით სამყაროში, ბუნებით ადამიანში უნდა გამოჩენილიყო საღვთო საწყისის წმინდა აღქმა, წმინდა ქალურობა, რომელიც ღვთისმშობელში უნდა განხორციელებულიყო, ისაა სოფიური ქალურობა, რომელშიც კაცობრიობის მოდგმამ თავის წიაღში მიიღო ძე ღვთისა და ძე ადამისა. ქრისტე-ღმერთკაცში, ახალ ადამში, უსაზმნო საღვთო სიყვარული შეხვდა ადამიანის საპასუხო სიყვარულს. გამოსყიდვის საიდუმლო არის სიყვარულისა და თავისუფლების მისტერია.

თუ ქრისტე მხოლოდ ღმერთი არ არის, რასაც დოგმატი გვასწავლის, მაშინ გამოდის, რომ გამოსყიდვაში მოქმედებს არა მხოლოდ საღვთო ბუნება, არამედ ადამიანურიც, ზეციური, სულიერი ადამიანური ბუნება. სწორედ ქრისტე-ღმერთკაცით გვეხსნება, რომ ადამიანი ეკუთვნის არა მხოლოდ მიწიერს, არამედ ზეციურ მოდგმას, რომ სულიერი ადამიანი ძის მეშვეობით საღვთო სინამდვილის სიღრმეში ჰგიებს. ქრისტეში, როგორც აბსოლუტურ ადამიანში, თავისთავში მოიცავს ადამიანური მოდგმის მთელ სულიერებას. ადამიანთა მთელი სიმრავლე, სულიერი ადამიანი გმირულ ძალისხმევას არ იშურებს, რათა სძლიოს ცოდვასა და მის შედეგებს, სიკვდილს და მსხვერპლისა და ტანჯვის გზით უპასუხოს საღვთო სიყვარულს. ადამიანური ბუნება ქრისტეში მონაწილეობდა გამოსყიდვის საქმეში. მსხვერპლშეწირვა სულიერი აღმართის კანონია და ქრისტეს მოდგმაში, ახალ სულიერ მოდგმაში, იხსნება პერიოდი შემოქმედებითი ცხოვრებისა. გარდაქმნის საოცარი მაგალითია ენიგმად გამოცხადებული: „ამასობაში, მწყემსის უბრალო ტანისამოსი ელვისაგან დაწნულს დაემსგავსა, სახე მზესავით გაუბრწყინდა, თვალები ვარსკვლავთა უელვარესი გაუხდა, შემდეგ მოიმარჯვა შვიდფერი მშვილდი და დაუშინა ცეცხლის ისრები ირგვლივ შემოჯარულ გათოშილ კიბოებს, რომელთაც გაეგოთ მისი მოსვლა და ჯგუფ-ჯგუფად მოიწევდნენ მოედნისაკენ. ქვით მოპირკეთებული მოედანი ხასხასა, მწვანე ბალახმა დაფარა, ლივლივა თეთრი ლოტოსებით დამშვენდა მინდორი. ბალახს ალი ედებოდა აქა-იქ, დაწვით კი არავის წვავდა“. [გამსახურდია ზ.,1987: 66]

ადამი წავიდა თავისუფლების გამოცდის გზით და არ უპასუხა თავისუფლებისა და შემოქმედებითი სიყვარულის საღვთო მოწოდებას. ადამში ჯერ კიდევ არ გახსნილა სულიერი ადამიანი. ქრისტე, ახალი ადამი, პასუხობს ღმერთს მისი სიყვარულით და ამ პასუხის გზას უხსნის მთელ თავის სულიერ მოდგმას. გამოსყიდვა საღვთო და კაცობრივი, ორმაგი პროცესია. ზვიად გამსახურდია დრამატულ ფერებში გადმოსცემს ძველ ადამისეულ მისტერიას: „ახლა სამი დიდებული მოიხმო ხელმწიფემ. მათ დანახვაზე უწონადი ხმის ჭაბუკი შეიცვალა. იგი ისეთივე უბრალო მწყემსად გადაიქცა, როგორიც იყო მოსვლის ჟამს. დიდებულების დანახვაზე გველმაც გახსნა წრე და მიუშვა ისინი მწყემსთან. ფრთოსნებმაც დატოვეს ოქროსმატლიანი ვერძები, კელაპტრებიც ჩაქრნენ. დიდებულებმა გამოსტაცეს ჭაბუკს აყვავებული კომბალი, რომელიც მაშინვე გახმა, ბორკილი დაადეს ქედზე, წაიყვანეს და უზარმაზარ ხაროში ჩააგდეს, შემდეგ მიწით ამოავსეს ხარო. მერმე წავიდნენ, მორეკეს ხიდის გამოღმიდან ცოფიანი კატები, შეუსიეს ცხვრებს და მუსრი გაავლეს. სისხლის ტბა დადგა მოედანზე. გველიც ნაკუწ-ნაკუწად აქციეს კატებმა“. [გამსახურდია ზ., 1987: 67]

საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას იგავი **,,ორი ლომის ამბავი,“** სადაც გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ავტორზე გავლენას ახდენს ქვეყნის რეალობა და თავისუფლებისთვის ბრძოლის თემა ასრულებს უმთავრეს როლს. ამ იგავში ვხვდებით ორ ლომს, რომელთაგან ერთ-ერთი გალიაშია დამწყვდეული - ხოლო მეორე სხვისი ,,მონაა“. ავტორი პირველ ლომს თითქოს ნეიტრალური სიტყვებით ახასიათებს, მაგრამ ,,სამაგალითოდ გაწვრთნილი ლომი“ ერთგვარ პროტესტს და ირონიას იწვევს მკითხველში.

,,ერთი ყველაზე სამაგალითოდ გაწვრთნილი ლომი თავისი მოძმის გალიასთან შეჩერდა.“ ავტორისეული ირონია ასევე შემდეგში შეიმჩნევა, როცა ლომს ასაუბრებს საკუთარი ღირებულებების შესახებ: ,,წამოდი ჩვენსას ცირკში, ჩვენი ბატონი კარგად გაჭმევს, არაფერს მოგაკლებს, საზოგადოებაც დიდი გეყოლება“. [გამსახურდია ზ., 1987: 8]

ავტორი თავის სათქმელს ასევე მეორე ლომსაც ათქმევინებს, რითაც ის ისევ თანადროულ ადამიანს დასცინის და თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბრობს: ,,ეჰ, ძმობილო, რარიგ გადაუგვარებიხარ კაცს, თავისუფლება მონობაზე რომ გაგიცვლია. ისევ ის მირჩევნია, აქ ვიჯდე მოწყენით, ვიდრე კაცის მონა ვიყო და მისი მათრახის ტკაცუნზე ვიხტუნო და ვიჯამბაზო. აქ ის მაინც ვიცი, რომ არავის მონა ვარ და იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიქუხო გულდარდიანმა და უდაბნოს სევდა განვიქარვო, შენ კი ხმის ამოღებაც აკრძალული გაქვს, რათა შენმა გრუხუნმა ცირკის მაყურებლები და მომსახურენი არ შეაშფოთოს. ჩვენი მოდგმა მაინც გადაშენების გზაზეა დამდგარი, მალე ასპარეზი ლომ-ვეფხვთა ნაცვლად ვირთხებსა და ტურა-მელიებს დარჩებათ, ასე, რომ, აქაც მშვიდობიანად დავლევ ჩემს დღეებს.“ [გამსახურდია ზ., 1987: 9]

ამ სიტყვებითვე ის ლომში საკუთარ პროტოტიპს გვიჩვენებს და ხაზს უსვამს ღირებულებებს. ზუსტად ისევე ასაუბრებს ლომს, რასაც ის თავის რეალურ ცხოვრებაში ფიქრობდა და აკეთებდა, მაგრამ იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ გალიაში დამწყვდეულ ლომში შეიძლება საქართველო იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, გალიას რუსეთი წარმოადგენს, მაცდურ ლომს კი ის ყველა ქვეყანა ან ადამიანი, რომელიც საქართველოს პოზიციების დათმობას სთავაზობს.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ანტიკური დროიდან დღემდე ლომი სხვადასხვა არსებად გვევლინება, თუ ეზოპესთან ის წინდახედული არსებაა, სულხან-საბასთან ის მხოლოდ ცხოველურ ინსტინქტებზე მორგებული ქმნილებაა. თანამედროვე მწერლები კი ერთგვარად დასცინიან მათ. ჯ. თერბერი (ტერბერი ჯეიმს, „ზღაპარი ბავშვებისა და უფროსებისათვის,“ 1971) და არნოლდ ლოუბელი (ლოუბელი არნოლდ, „ბაყაყები და გომბეშო,“ 1970) ზვიად გამსახურდიას ეპოქის ამერიკელი მწერლები არიან, თუმცა, მათ მიერ დახასიათებული ლომი სრულიად განსხვავდება მაშინ, როცა ლოუბელი ლომს თავმომწონე არსებად ახასიათებს, იგავის ბოლოს კი მას დასცინის და დაამდაბლებს, ჯ. თერბერი მისდამი სიბრალულს

გამოხატავს. ზვიად გამსახურდია ლომს ორი სახით წარმოგვიგენს. ერთი, როგორც ბუნებით მონა ლომს, ხოლო მეორე, როგორც თავისუფლებისთვის მოყვარულს, სულით მებრძოლ არსებას, რომელიც შეიძლება თვითონ ავტორს ახასიათებდეს. ზვიად გამსახურდიას იგავი, ამ შემთხვევაში, ცდილობს მებრძოლი ქართული სულის წარმოჩენას და აჩვენებს ქართველი კაცის ნამდვილ სახეს. ის არ აკარგვინებს ლომს თავის უმთავრეს მოთხოვნილებას, თავისუფლებას და მეფურ ბუნებას და, მართალია, გალიაში, მაგრამ მაინც თავისუფალ არსებად ტოვებს. მას ასევე არ ავიწყდება თანადროული მდაბიო ადამიანების მოხსენება და მათაც ლომებს უწოდებს, თუმცა ეს წოდება, ტექსტშივე ჩანს, რომ ავტორის ირონიულ განზრახვას ემსახურება.

დ ა ს კ ვ ნ ა

საკვალიფიკაციო ნაშრომი ავაგეთ დადგენილი საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად. სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გამოვკვეთეთ: საკითხის აქტუალურობა; საკითხის შესწავლის ისტორია; სადისერტაციო ნაშრომის საგანი, მიზნები და ამოცანები; სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტი; თეორიული საფუძველი და მეთოდოლოგია; მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები; ნაშრომის მეცნიერულ-პრატქიკული ღირებულება.

ნაშრომი მოიცავს შესავალ ნაწილს, სამ ძირითად თავს, ექვს ქვეთავსა და დასკვნას.

თ ა ვ ი I -პროფეტიზმი და ენიგმა

1.1 პროფეტიზმი-წინასწარჭვრეტითი სისტემა. ზვიად გამსახურდიას შემოქმედების სხვადასხვა სიღრმისეული ასპექტის გაგება ყოვლად წარმოუდგენელია მისი ბიოგრაფიული ესკიზის, პირადი ღირსებებისა და თვისებების გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით იყო დაკავებული და ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან ქართული დისიდენტური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან იდგა, არასოდეს დაშორებია ლიტერატურას, მხატვრული სიტყვიერება მისთვის ყოველთვის „აზროვნების ლინგვისტური ეკვივალენტი“ (ბორხესი) იყო. კონსტანტინე გამსახურდიას სიყვარულით სავსე წერილებში ნათლად ჩანს, თუ რა იდეებით იზრდებოდა ზვიადი - გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იღვწის მაღალი და ზეაღმტაცი ამბებისთვისო. ეს „ზეაღმტაცი ამბები“ წარმოვაჩინეთ ნაშრომის პირველ თავში - გზა დისიდენტური მოძრაობიდან -

საქართველოს პრეზიდენტობამდე, პრეზიდენტობიდან - მთაწმინდამდე, „გზა გოლგოთისა და გარადაუვალი აღდგომისა.“

მიუკერძოებელი მკვლევარი იმთავითვე შეამჩნევს, რომ ძირითადი და არსებითი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში არის თავისუფალი საქართველოსა და საზოგადოდ, თავისუფლების იდეა. მისი ყველა ნაბიჯი და ქმედება სწორედ ამ იდეიდან გამომდინარეობს. აკი ამბობდა კიდეც, როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებასო. ილიას გზის გამეორებად თვლის როსტომ ჩხეიძე ზვიად გამსახურდიას გზას.

ზვიადს შეეძლო სიტყვა-ლოგოსში გამოეხატა თავისი წინათგრძნობები. ასტრალურ-სულიერი საოცრად შეერწყა მასში, რამაც განაპირობა ჭეშმარიტი ნათლის მდგომარეობასთან გატოლება. ვ. ნოვოდვორსკაიას თქმით, ზვიად გამსახურდია იყო ერთადერთი (!) დისიდენტი ყოფილ საბჭოთა კავშირში. ფრაზით დისიდენტური მოძრაობის დიდმა რუსმა მოღვაწემ პოლიტიკურ წრეებს დისიდენტობის ნამდვილი არსი დაანახა. ზვიად გამსახურდიას ეპოქამდე პიროვნება არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების პასუხისმგებელი შემოქმედი. ცხოვრების გარდაქმნას მოელოდნენ სოციალურ გარემოში განხორციელებული ცვლილებებისაგან და არა პიროვნული და ეროვნული ნებისა და ცნობიერების გარდაქმნისაგან. ერთა ზნე-ჩვეულებანი საერთოდ უგულებელყოფილი იყო ახალ სოციალურ მოძღვრებაში. დემოკრატიის იდეამ, იმ გამარტივებული და სწორხაზოვანი ფორმით, როგორითაც ის ჩვენში იქნა მიღებული, სავალალო შედეგები მოგვიტანა. მან გაათავისუფლა პიროვნება ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან, დააკარგვინა მას ავტონომიურობა და ბუნებრივი უფლებები, პასუხისმგებლობა და თავისუფლება გადატანილი იქნა მასების რაოდენობრივ მექანიკაზე. სწორხაზოვანი დემოკრატიული მეტაფიზიკა არ მოითხოვს პიროვნების გარდაქმნას, შინაგან სულიერ ცვლილებებს. ფორმალურ დემოკრატიზმს არ აინტერესებს ერის ნება, მისი სული. მთავარია, სახალხო მმართველობის ფორმალური პრინციპის დაცვა, მაგრამ ეროვნული ნება არის შინაგანი, სულის გარკვეული

მიმართულება, რომელიც უნდა დაუპირისპირდეს დემოკრატიის ფორმალიზმს. ზვიად გამსახურდია ფლობდა ძალაუფლებას, მაგრამ მხოლოდ ძალაუფლების ესთეტიკა იცოდა და არა - რეალური ძალაუფლება. ქრისტეს და ბარაბას გზის არჩევანზე რომ მიუთითებდა, ზვიად გამსახურდია სწორედაც გულისხმობდა განმღრთობილ ქართველს და არა ნიღბიანი ცინიკოს-ეგოისტს. ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებების გასაღები მისი შემოქმედების ორ ნიშანსვეტში - პროფეტიზმსა და ენიგმატურობაში- უნდა ვეძიოთ, რაც მას განუმეორებელ და უაღრესად ინდივიდუალურ პიროვნებად წარმოგვიჩენს. რელიგიური კაცი და თავდადებული ქრისტიანი - აი, იდეალი ზვიად გამსახურდიასი.

პროფეტული მჭევრმეტყველების ფენომენი გვხვდება ისრაელში მეფეთა ხანიდან მოყოლებული, ვიდრე განდევნის შემდგომდროინდელი პერიოდის ჩათვლით. მსაჯულნი (მაგალითად, ნათან წინასწარმეტყველი), ისევე, როგორც არაოფიციალური წინასწარმეტყველები, მაგალითად, ამოსი, მრავალგზის არიან დამოწმებული, მაგრამ ისრაელის ყველა წინასწარმეტყველს როდის აჩნია ორაკულის კვალი. ყველაზე მეტად პროფეტიზმი ესაიას, ერემიას, დანიელის დაა და ეზეკიელის წიგნებში ირეკლება. თავად წინასწარმეტყველის ტიტული, ასევე სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებსაც მიეკუთვნება, მაგალითად, აბრაამს, მოსეს, ელიას, ელისეს, ნათანს, იუდას და სხვ. როგორც ქრისტიანობაში, ასევე ისლამშიც წინასწარმეტყველება ყოველთვის აღფრთოვანებით, ზეშთაგონებული გამოთქმებით არის გადმოცემული. ნაშრომში განვიხილავთ წინასწარმეტყველებით ნიუანესებს ქრისტიანობასა და ისლამში, ასევე ფსიქოლოგიაში (იუნგი, ლომბროზო).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, წინასწარმეტყველი მომავალს კი არ ხედავს, არამედ - აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ. წინასწარმეტყველების

შეუმეცნებლობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ დასავლელი მოაზროვნეები. დრო წინასწარმეტყველების პერიფრაზადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ლიტერატურული ნაწარმოებების წინასწარმეტყველება თავისებური და ინდივიდუალურია. თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქრონოლოგიური რიგით დავალაგებთ, წინასწარმეტყველების არსი უფრო მკაფიო ვერ გახდება, რასაც წინასწარმეტყველების მეცნიერული თეორიები ისახავენ მიზნად, ჩოსერის წინასწარმეტყველება განსხვავდება ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველებისგან და არც ერთი მათგანი არ წააგავს, მაგალითად, მარლოუს წინასწარმეტყველებას.

ლიტერატურის შესწავლის ძირითადი ობიექტი, არსებითად, ენათმეცნიერული ხასიათისაა. პრობლემა, როგორც ჰაიდეგერმა დიდი ხნის წინ გამოთქვა „ყოფიერებასა და დროში“ (ჰაიდეგერი მარტინ, 2006:157-162), ისაა, რომ წინასწარმეტყველების აღმნიშვნელი სიტყვები და ციფრები დასავლურ ენებში, უპირველეს ყოვლისა, სივრცული ხასიათისაა და წინასწარმეტყველებას სივრცედ გარდაქმნიან. ამიტომ შეუძლებელია წინასწარმეტყველების უშუალო რეპრეზენტაცია. ის განყენებისკენ მიისწრაფვის.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში ასახული წინასწარმეტყველების კრიტიკული ანალიზი სამ კატეგორიად იყოფა: ისინი მეტ-ნაკლებად შეესაბამება შუასაუკუნეობრივი ტრივიუმის სამ კატეგორიას – ლინგვისტური განსწავლის საფუძველს შუა საუკუნეებში: გრამატიკას, ლოგიკასა და რიტორიკას. გრამატიკულ კვლევებში – მაგალითად, ჟერარ ჟენეტის სამტომეულში, განხილულია ლიტერატურაში წინასწარმეტყველების ასახვის თემატური რეპრეზენტაციები, რაც მეტ-ნაკლებად ემყარება ამ რეპრეზენტაციების ენას. წინასწარმეტყველების რიტორიკული ინტერპრეტაციები ლიტერატურაში, იმ ხერხებზე საუბრობს, რომელთა მეშვეობითაც განსაკუთრებული და ბუნდოვანი მხატვრული ენა გამოიყენება ლიტერატურაში ამ იდუმალი მოვლენის – ადამიანური წინასწარმეტყველების ასახვის მიზნით.

მწერლის პროფეტულობა იმაში გამოიხატება, რომ მას უნდა ხელეწიფებოდეს დროის ჰიპოსტასების საიდუმლოებათა წვდომა, მომავლის განჭვრეტა, წარსულიდან სასიცოცხლო ძალებით გამსჭვალვა და აწმყოდან მომავლის პერსპექტივის დანახვა. პასაჟში განვიხილავთ ზემოთქმულის რეპრეზენტაციას ფიოდორ დოსტოევსკის, ნიკოლაი გოგოლის, ლევ ტოლსტოის, ფრიდრიხ ნიცშეს, ჰერბერტ უელსის, კურტ ვონეგუტის, მარკ ტვენის, ფრანც კაფკას, კარლ გუსტავ იუნგის, ბენჯამინ დიზრაელის, ალბერ კამიუს, ქართველ ავტორთაგან კი - ნიკოლოზ ბარათაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში.

1.2. ენიგმის პოეტიკა. საბერძნეთში ძვ. წ. აღ. მეხუთე საუკუნეში სიმბოლო და ალეგორია უკავშირდება ტერმინ *აინიგმას (ენიგმას).* ალეგორიას (ბერძნ. „სხვაგვარად თქმა“) „ანტიკურობის ლექსიკონი“ განმარტავს როგორც რიტორიკის ფიგურას - განვრცობილ, ფართო შედარებას. აბსტრაქტული ცნებებისა და საგანთა ურთიერთმიმართებების სახეობრივი წარმოდგენა მხატვრობაში აპელესის, ლიტერატურაში კი ჰომეროსის დროიდან იწყება, ტრადიციას ელადაში განაგრძობენ ჰესიოდე და არქილოქე, მოგვიანებით კი, უკვე რომში - ვერგილიუსი, ჰორაციუსი და ოვიდიუსი. პირველ კლასიკურ ალეგორიულ ტექსტად მიჩნეულია პრუდენციუსის „ფსიქომაქია“, რომლის რემინისცენციებსა და ალუზიებს აქტიურად იყენებდნენ შუა საუკუნეებში. აინიგმა გამოცანად/დაფარულად ითარგმნება, მაგრამ ანტიკურ სამყაროში ჰქონდათ სხვა ტერმინიც - გრიფოსი, რომელიც გამოხატავდა სიტყვიერ თავსატეხებს - მარტივ კალამბურებსა და ილეთებს ასოებით, რომლებიც ამოხსნისთანავე უინტერესო ხდება (მაგალითად, სფინქსის გამოცანა - რთული მეტაფორა, რომელიც შემოქმედებითობისკენ აღგვძრავს, ადამიანური ცხოვრების ჭვრეტას გვიხსნის ოიდიპოსის იგავის წყალობით).

ენიგმა რჩება მნიშვნელოვან ტერმინად ნაწერისა, რომელიც ორიენტირებულია აზროვნების სიჭარბეზე და ინტერპრეტაციის სურვილს აღძრავს. ტერმინ

საიდუმლოს/დაფარულის/იდუმალის კლასიკურ, შუასაუკუნეობრივ და თანამედროვე სალიტერატურო კულტურაში გამოყენება გულისხმობს ისეთი დაფარული ხერხისა და სტილის აღიარებას, რომელიც უპირისპირდება დიდაქტიკურ-ეზოთერულ განსაზღვრას. როგორც დიდაქტიკური, ასევე ეზოთერული ტექსტი ცდილობს, მკვეთრი ხაზი გაავლოს შინაგანსა და გარეგანს შორის მაშინ, როდესაც ენიგმური იწვევს მკითხველს უსასრულო ჭვრეტისაკენ, აქეზებს ინტერპრეტაციისათვის, რაკი ორიენტირებული არტიკულაციას აღმატებულ რეალობაზე. ძველად სალიტერატურო ხელოვნება (დღევანდელი გაგებით, გრამატიკა და რიტორიკა) საიდუმლოს/დაფარულს/იდუმალს (ენიგმას) განსაზღვრავდა, როგორც წინასწარი განზრახვით გადმოცემულ ბუნდოვან ალეგორიას, რაღაც საშუალოს ღიაობასა და დაფარულს, გამჭვირვალესა და გაუმჭვირვალეს/ბუნდოვანს შორის.

„ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები. ჯერჯერობით კი ეს სამია: რწმენა, სასოება და სიყვარული. ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ - ახალ აღთქმაში ეს ერთადერთი განსაზღვრებაა ენიგმისა, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ღვთაებრივი ცოდნის შემეცნების ზღვრულობას, არააბსოლუტურობას.

იმის აღნიშვნით, რომ არაფერია უფრო დიდი საიდუმლო, ვიდრე ჩვენივე თავი, ავგუსტინე იკვლევს ცნობიერ(ებ)ის გამოცდილებას. საბოლოოდ, ის პოულობს ადამიანის გონების „მონაწილეობის“ კვალს სიტყვის (ლოგოსის) განხორციელებაში - იოანეს სახარების ექსპოზიცია - „პირველითგან იყო სიტყუაი“ - ყველაზე საიდუმლო გამოცანად, ყველაზე ტევად ენიგმად მიაჩნია.

შუასაუკუნეობრივი საღვთისმეტყველო კონცეფციით, სამყარო აღიქმებოდა ღვთაებრივის გამომჟღავნებად, ანარეკლად. მთელი ბუნება და ისტორია სავსეა გამოცანებით/დაფარულით - ფარული ენიგმებით, მინიშნებებით.

კითხვის ბერული პრაქტიკა და მედიტაცია ოდითგანვე წმინდა წერილს აღიქვამდა სამყაროს ენიგმური შიფრის გასაღებად. შუასაუკუნეების რელიგიური შრომები და ენციკლოპედიები ლათინურ სიტყვა სარკესაც ამავე მნიშვნელობით იყენებენ. ენიგმურის პოტენციალი საღვთო და ადამიანურის საიდუმლოებების წარმოჩენისას, როგორც დანტე ალიგიერის („ღვთაებრივი კომედია“).

შუა საუკუნეების ეკლესიას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა პოეზიაზე და ისიც, ენიგმურის ნაცვლად, ეპოქის კანონიკიდან გამომდინარე, უფრო დიდაქტიკურ- ეზოთერული იყო. თომა აქვინელის მიერ შედგენილი კატეხიზმო პოეტთა შთაგონების წყაროდ იქცა.

რელიგიური კლიმატი თანდათან უფრო არასახარბიელო შეიქმნა ენიგმური პოეზიისთვის. რამდენადაც კულტურა უფრო და უფრო სეკულარული ხდებოდა, ის საიდუმლო მოდუსების სათამაშო არენად იქცა, რომელიც თითქოს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე გადავიდა - ადამიანურ სივრცეში.

ენიგმა, ერთგვარად, იქცევა ნეოკლასიციზმის ალტერნატივად, რამდენადაც კლასიკური ლიტერატურა ამჯობინებს დახვეწილსა და მკაფიოს - საპირისპიროდ ბუნდოვანისა და რთულისა (მაგალითად, ჯონ დონის სტილი, რომელიც მეტაფიზიკის ელემენტებს შეიცავს, უპირისპირდება ბენ ჯონსონის კლასიციზმს. ისევე, როგორც რომანტიზმს უორდსვორთისა და კოლრიჯისა, მეთვრამეტე საუკუნის კლასიცისტური სტანდარტების საპირისპიროდ, როდესაც რელიგიური დისკურსი არ იწონებს ამა თუ იმ ტიპის თამაშს, რომელიც აუცილებელია რეალობაზე შეხედულების ამგვარი კულტივირებისათვის).

ლიტერატურა იქცევა ერთგვარ ალტერნატივად, როგორც მას აღიქვამდნენ მეთიუ არნოლდი, თომას ელიოტი და ე.წ. „ახალი კრიტიკოსები“, რომლებიც ოპერირებდნენ ანტიკური ენიგმური სახელებით (ნაშრომში განვიხილავთ ენიგმათაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულს - ქვაბს (გამოქვაბულს) - აქტუალურს ქრონოტოპულად უაღრესად დაშორებულ კულტურებსა და

ცივილიზაციებში (მაქფელაქის (ბიბლია), ემპედოკლეს, პლატონის, არისტოტელეს, ავალონის (მეფე არტურის), ფარნავაზის, „ვეფხისტყაოსნის“... „ქვებები“).

ლიტერატურული ტექსტის ენიგმური წინასწარმეტყველება განსხვავებული, თავისებური და ინდივიდუალურია. წინასწარმეტყველების აღმნიშვნელი სიტყვები და ფიგურები (ფრაზა-კონსტრუქციები) დასავლურ ენებში, უპირველეს ყოვლისა, სივრცული ხასიათისაა და წინასწარმეტყველებას სივრცედ გარდაქმნის, ამიტომ შეუძლებელია წინასწარმეტყველების უშუალო რეპრეზენტაცია.

სიმბოლოს არსზე გამოწვლილვით მსჯელობს ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე ალექსეი ლოსევი წერილში „სიმბოლოს ლოგიკა“, რომელშიც აღნიშნავს, რომ „სიმბოლოდ გარდაქმნილ-აბსტრაჰირებული აზროვნება თავის მიერვე „უკუგდებულ“ ობიექტურ რეალობას უბრუნდება“ - ეს უკვე განსხვავებული რეალობაა - ინტერპრეტირებული (აბსტრაჰირება ინტერპრეტირებას გულისხმობს).

ლიტერატურისგან მკითხველი მრავალ რამეს მოელის. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მათში ჭეშმარიტების ძიება სულ უფრო და უფრო ჭირს. ზოგადად კი ლიტერატურული ჭეშმარიტებისა და სიმართლის საკითხი ყოველთვის რთული იყო.

ზ. გამსახურდიას აზრით, ალეგორიას მოკლებული ლიტერატურა შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც განზოგადების უნარი არ გააჩნია და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს. ანალოგიურს აცხადებდა კ.გამსახურდია: პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს. ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო, მაგრამ ჟამიდან ჟამზე პოეტი იძულებული ხდება, ეს ჩაიდინოს და ცნებების ენით ელაპარაკოს მკითხველს.“ ზვიად გამსახურდიას იგავები პროფეტული ბუნებითა და ენიგმატურობითაც იქცევს მკითხველისა თუ მკვლევართა ყურადღებას. ვიზიარებთ ინგა მილორავას თვალსაზრისს, რომ ლაკონიური, ზუსტი, კომპოზიციურად შეკრული და ნათელი იგავები შეიცავს სათქმელს, რომელიც ორმაგადაა კოდირებული (პასაჟში გაანალიზებულია „თერსიტე“, „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“, „მგელთავა და ამაღლების ციხე“).

თავი II-პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

2.1. პანეგირიკი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, მიძღვნითი ხასიათის ლექსები. ზვიად გამსახურდიას პატრიოტიზმი თემატურად ტრიადის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოით - ძეგლები, გმირები და მსოფლიო ლიტერატურა. ძირითადად, ზვიად გამსახურდიას პოეზია პანეგირიკულ ხასიათს ატარებს და ის მიძღვნითია - მიძღვნაა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი, საქართველოსთვის თავდადებული თუ შეწირული გმირებისადმი და მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი პოეტ-მწერლებისადმი.

ზვიად გამსახურდია, როგორც ყველა პოეტი, სამოციანელებიდან მოყოლებული, გალაკტიონის გავლენას განიცდის (ბევრია ვარდებით, ოლარებით, უძირო ღამეებით, სამშობლოში ხეტიალით, სიფაქიზითა და აღმაფრენით სავსე სტრიქონი), რასაც ძალიან მალე აღწევს თავს. მთელი პოეზია ზვიად გამსახურდიასი დამოუკიდებელი მსოფლგანცდის ანარეკლია. წინამდებარე პასაჟში განვიხილავთ ფსალმუნური მხატვრული ქსოვილის მქონე ლექსებს, რომლებშიც ირეკლება ღრმადმორწმუნე ლირიკული გმირის სულიერი რელიგიური ექსტაზი, განწყობა, ლირიზმი გამსახურდიას შემოქმედებაში ჩნდება პროფეტიზმის ელემენტები, უცდომელია წინასწარმეტყველება, ოსტატურად მოქცეული მხატვრულ ყალიბში. პროტაგონისტმა იცის, რომ უნდა დალიოს „სასუმელი“ მოწამეობის გვირგვინის დასადგმელად. მისი ზმანება აშკარად წინასწარმეტყველურია. პროფეტული დრო მიღმიერია, დრო პროფეტს მთლიანობაში ეძლევა და არა - ნამყოთი, აწმყოთი ან მყოფადით.

მეოცე საუკუნეში პოეტის წინასწარმეტყველური ფუნქცია საფუძვლიანადაა შესწავლილი (ვგულისხმბოთ, განსაკუთრებით, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის პოეზიის პროფეტულ შრეებს),

ლექსებში „ალბათ..“, „მიძღვნა“ (სონეტი) პროფეტული და ენიგმატური შერწყმულია, პოეტი არღვევს დრო-სივრცის საზღვრებს, .პოეტი - წინასწარმეტყველის პოეზიისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კომუნიკაციური, არამედ - მეტაკომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც არის გათვლილი მაქსიმალურად ფართო აუდიტორიაზე, მათ შორის, მომავლიდან წარსულისკენ და - პირიქით.

ლექს-ტრილოგიაში „სიონის ელეგია“ ინისა და იანის ხვეულს მოგვაგონებს, სამყაროსეული კეთილ-ბოროტით. პოეზია აქ მანუგეშებლის როლს ასრულებს, წარმოჩნდება ბუნდოვანი ალეგორია - საშუალო გამჭვირვალესა და ბუნდოვანს შორის. ზვიად გამსახურდიას პირადი მომავლის საიდუმლო სერობის მისტერიასთან შედარება ესქატოლოგიური წარმოსახვის ნიმუშს წარმოადგენს. საზოგადოებრივი დრამა პირად ტრაგედიად გარდაიქმნება. ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ ეგოცენტრისტული განწყობებით არაფრის შექმნა არ შეიძლება, ის ახერხებდა და აერთიანებდა ასკეზასა და შემოქმედებით ცხოვრებას. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში არის თავისებური ასკეზა და თვითშეზღუდვაც, მაგრამ ეს ასკეზა არაა მიმართული პირადი სრულქმნისა და პირადი გადარჩენისაკენ (თუმცა, არც უამისობაა). საზღვარი ზვიადისა და მერაბის პიროვნებებს შორის წაშლილია, სადაც მოიაზრება ერთი, იქაც მეორე და - პირიქით. უნდა აღინიშნოს, რომ „ქრისტესმიერი ძმები“, „ქარიშხლის ძენი“, „მწუხარე სახის რაინდები“, ძმადნაფიცები წინასწარ ჭვრეტდნენ თავიანთ/ერთმანეთის ბედსა და ტრაგიკულ აღსასრულს. 1978 წლის 12 აგვისტოს დაწერილ ლექსში“ „ძმას ქრისტესმიერს“, მერაბ კოსტავამ წინასწარგანცდის უტყუარი ალღოთი განჭვრიტა ზვიადის ბედისწერა, საოცარი პორტრეტი დაგვიხატა „დევების დამამხობელი“ ზვიადისა. ახსნა ზვიადის ფენომენი, რომელშიც შეკრა ზნესრული ადამიანის, ერისთვის თავდადებული მოღვაწის, ერის წყლულისთვის მარტვილის სახე, გამოკვეთა ზვიადის პიროვნული თვისებები და სიდიადე, მისი რელიგიური და ეროვნული იდეალები, მისი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ერის სულიერ-ზნეობრივ წრთობაში და აქვე იწინასწარმეტყველა მისი მომავალი ბედი და უკვდავების იდეაც. „ერზე მჭვუნვარე“ ძმას ემოციურ სტრიქონებს

უძღვნის ზვიად გამსახურდიაც და წინასწარმეტყველებს მოწამეობრივი გვირგვინით შემკული მეგობრის შემდეგდროინდელ საყოველთაო აღიარებასა და უკვდავებას.

ზვიად გამსახურდია არა მარტო საამქვეყნიო, არამედ საიმქვეყნიო ფიქრებსა და წინათგრძნობებსაც კი არასდროს მოუსვენებია. რელიგიურ ექსტაზში არის გარდაუვალი აუცილებლობა.

წინასწარმეტყველება თავისი არსით არაფრისგან ქმნადობას გულისხმობს. არაფერი იმად გარდაიქმნება, რაც არყოფნიდან ყოფიერში გადასვლას გულისხმობს. ასეთ ყოფიერში მსხვერპლშეწირვა გარდაუვალი გვირგვინის შარავანდედია. ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ წინასწარმეტყველება არ არის მატერიისა და ენერგიის გადანაწილება და, ამდენად, არაევოლუციურია. ევოლუციაში ახალი არაფერი იქმნება, მხოლოდ ძველი გადაინაცვლებს. პროფეტული ენიგმა - ასე შეიძლება ეწოდოს აფრაზე გაკრულ გველის მეტაფორას. ხომ არ არის ეს ათასწლეულეულით შეკრული სატანა სუპერსამყაროს, მართლისა და მტყუანის გადარჩევის, უფლის მეორედ მობრძანების შემდგომ საღვთო მეუფების დადგომის სიმბოლო? ავტორი თავისთავს ელაპარაკება, რადგან პროფეტიზმი გამოსხივებისა და დაბადებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ზვიად გამსახურდიასთან პროფეტიზმი სიცოცხლის უდიდესი საიდუმლოა, ახლის წარმოქმნის ან ქმნადობის საიდუმლო, არაფრისგან გამოყვანილი, არაფრისგან გამომდინარე და არაფრისგან დაბადებული „ შავი ლაქა დანთქმული მარადიულ ბნელში“ და ეს უკავშირდება სამებას. მარადიული ბნელის სიშავე სწორედ რომ არაფრის კვინტენსენციაა იმ ქაოსისა, სადაც, შესაქმეს მიხედვით, სული ღვთისა მიმოიქცეოდა სამყაროს შექმნამდე. ალბათ, დროსა და სივრცის მიღმიერი. ეს არის საიდუმლო საწყისის, პირველადის - სამყარომდელი.

2. 2. შემოქმედებითი თავისუფლება ზვიად გამსახურდიას პოეზიაში. თავისუფალი შემოქმედების საიდუმლო თავისებურად ახსნილია ბიბლიურ-ქრისტიანულ სწავლებაში ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა. ღმერთმა სამყარო შექმნა თავისუფლად და თავისუფლებისაგან. სამყარო საღვთო გამოსხივება კი არა, დაბადება იყო, ან ევოლუცია კი არა, - შემოქმედება, ანუ აბსოლუტური სიახლე. შემოქმედება იმიტომაცაა შესაძლებელი ამ სამყაროში, რომ სამყარო შექმნილია, არსებობს მისი შემოქმედი. ადამიანიც, რომელიც სახე და ხატია ღვთისა, შემოქმედია და მოწოდებულია შემოქმედებისაკენ. კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ლექსში „კენტავრების აურზაური“ ლოგოსი იფეთქებს. ესეც ალეგორიაა ქაოსზე ღვთის სულის გადმოსვლისა და მისგან საღვთო წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით. მაგრამ აქ უფრო მთავარია მონსალვატის ნელი ანთება. მონსალვატი იგივე მუნსალვეშია ეშენბახის თხზულებიდან „პარციფალი.“ ინგლისელები მხარს უჭერდნენ იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც, იოსებ არიმათიელმა მოგზაურობისას ბრიტანეთს მიაღწია და წმინდა რელიქვია იქ დამალა, სახელგანთქმული გლოსტენბერის სააბატოში. მრგვალი მაგიდის მხოლოდ რამდენიმე წევრს მიეცა უფლება, ენახათ გრაალი. ლეგენდის თანახმად, ქრისტეს სისხლმა საოცარი თვისებები შესძინა თასს. ვინც იქიდან დალევდა, კურნებას, ცოდვათა მიტევებასა და უკვდავებას მოიპოვებდა. მონსალვატის ნელი ანთება ნამდვილად გულისმობს გრაალის საოცარ თვისებებს, ქრისტეში გადარჩენასა და შემოქმედებით ამონათებას. პროფეტიზმს აქვს რთული შედგენილობა. ის არა მხოლოდ თავისუფლებას გულისხმობს, ჩანასახში ადამიანის უქმნად თავისუფლებას, არამედ ტალანტს, ნიჭს, რომელიც ღვთაება-შემოქმედისაგან ეძლევა ადამიან-შემოქმედს. ადამიანი თვითონ არაა „დამნაშავე“ თავის ნიჭსა თუ გენიალობაში. არაფერი იმაზე სასაცილო და დამამცირებელი არაა, რომ ტრაბახობდე შენი გენიით. იტრაბახო იმით, რაც გაჩუქეს, სადაც შენი დამსახურება მინიმალურიც არაა. ზვიად გამსახურდიას პასუხი ღვთის მოწოდებაზე არ შეიძლება მთლიანად შედგებოდეს იმ ელემენტებისაგან, რომელსაც ღმერთი იძლევა და რომელიც ღვთისგან გამომდინარეობს. რაღაც ადამიანისაგანაც უნდა გამომდინარეობდეს, და სწორედ ეს

რაღაც არის უპირატესად ღვწა-შემოქმედება, ახლისა და არარსებულის შემოქმედება. ეს რაღაცა არაფერია, თუ არა თავისუფლება, რომლის გარეშეც არ არსებობს წინასწარმეტყველური შემოქმედებითი აქტი. პროფეტული თავისუფლება არაფრით განსაზღული არ არის და იძლევა პასუხს საღვთო მოწოდებაზე შემოქმედებითი ქმნადობის თაობაზე, მაგრამ ტალანტთან, გენიასთან შეერთებით, რომელიც მიღებულია ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროსა და იმ მატერიალური მასალისაგან, რომლითაც შემქნილია სამყარო. შემოქმედებითი აქტი ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ასევე მადლისა და თავისუფლების ნარევია, რომელიც ღმერთისგან ადამიანს მიემართება და - პირიქით.

კრიტიკულ ლიტერატურაში შენიშნულია ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ორი სხვადასხვა მხარე, აქტი, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება განვმარტოთ: არის პირველადი შემოქმედებითი აქტი, რომელშიც ადამიანი ღვთის წინაშე დგას და მეორეული აქტი, რომელშიც პოეტი ხალხისა და სამყაროს წინაშე დგას. არსებობს პირველადი შემოქმედებითი ინტუიცია, შემოქმედის შემოქმედებითი ჩანაფიქრი, როდესაც მას ჩაესმის მუსიკა, წარმოუდგება თვალწარმტაცი სახე ან პოეტური სახე, შინაგანი, რომელიც არ არის გახსნილი და გამოგონებული, პოეტის სიყვარულის შინაგანი შემოქმედებითი ბუნება, რომელიც ჯერ არაფრით გამოხატული არ არის.

მერე დგება მეორადი შემოქმედებითი აქტი, რაც იმასთან არის დაკავშირებული, რომ ზვიად გამსახურდია აქტიური, ყველაზე თვალსაჩინო პიროვნებაა. შემოქმედებითი პროდუქტების რეალიზაცია იწყება. იწერება წიგნი და აქ ის მჟღავნდება, რასაც შემოქმედებაში ოსტატობა ეწოდება. პირველადი შემოქმედებითი აქტი ჯერ კიდევ სულაც არ არის ხელოვნება. შემოქმედება მეორადია და მასში შემოქმედებითი ცეცხლი ცივდება. ყოველგვარი შემოქმედება კანონს ემორჩილება და მასში მადლი და თავისუფლება მოქმედებს ისევე, როგორც პირველად შემოქმედებით აქტში. ამაშია შემოქმედების ტრაგედია და პოეტური შემოქმედების საზღვარი. ამის ბოლოში კი იწყება გამსახურდიას შემოქმედების საშინელი სამსჯავრო. შინაგანი

შემოქმედებითი აქტი მისი ცეცხლოვანი მოძრაობიდან, სამყაროს სიმძიმიდან უნდა გამომდინარეობდეს და სამყაროს ძლევა უნდა იყოს.

ზვიად გამსახურდიას ბუნებისა და პირველადი შემოქმედებითი პროცესის შეერთება, რომელიც მიისწრაფვის პირველწყაროსკენ, ძალიან დიდი ტალანტით, შემოქმედების რეალიზაციის ნიჭით აყალიბებს კიდეც ძლიერ საყურადღებო პოეზიას.

ზვიად გამსახურდიას პოეზია შესანიშნავად აჩენს პოეტის ეთიკურ თვისებებს, მაგრამ ცნობილია, რომ გენიალური და დიდი შემოქმედი შეიძლება იყოს ლოთი, ზნედაცემული და ა.შ. პოეტური და ზოგადად შემოქმედება ეთიკის კანონის გარეშეა და სხვაგვარ ეთიკას გულისხმობს, ვიდრე, მაგალითად, მონანიების ეთიკაა. შემოქმედი მართლდება თავისი შემოქმედებით, თავისი შემოქმედებითი გმირობით. ზვიად გამსახურდია ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მისი ზნეობრივი თვისებები, ცხოვრების წესი და ა.შ. ის მთლიანად ეთანადება იმ სულისკვეთებას, რომელსაც ხშირად აშკარად და ხშირად შეფარვითაც გამოხატავს ხოლმე. მიმართვის ფორმით დაწერილ ლექსთა შორის საუკეთესოა ტექსტი, რომლის რეფრენიც „მეუფეო ზეცათაო“ ალუზიაა ზოგადად, ქრისტიანული ლოცვისა, ასევე - დავით გურამიშვილისეული იესოსადმი მიძღვნილი ლექს-ფსალმუნისა (განსაკუთრებით რეფრენისა - დიდება, მოთმინებასა შენსა, უფალო, იესო!). პოეტი დაინტერესებულია გადარჩენითაც და დაღუპვითაც. ივიწყებს თავის პოეზიაში საკუთარ პიროვნებას, უარყოფს თავისთავს. თავად შემოქმედება ყოველთვის მსხვერპლს გულისხმობს. ზვიად გამსახურდიას პოეზიაში პროფეტიზმი ყოველთვის თვითგადალახვა, მისივე ჩაკეტილი სამყაროდან გამოსვლაა. ის ივიწყებს გადარჩენას და გამუდმებით ზეადამიანურ ღირებულებებზე ფიქრობს. ეს ზეადამიანური ქრისტესმიერი თვისებებია, რომელიც მართლაც გამოდგება ამ ღირებულებების ყველაზე უფრო პოზიტიურად წარმოსაჩენად. უნებურად იბადება პროფეტული განცდა საქართველოს თავისუფლების გარდუვალობისა, რომელიც ზვიად გამსახურდიას საჯარო გამოსვლებში მრავალჯერ გაუმეორებია,

სიკვდილიდან გამოსვლისა და გარდაუვალი აღორძინების შესახებ. ის, რომ ქვეყნის ტვირთმზიდველობა ჯოჯოხეთიდან ამოიყვანს ცოდვილ ადამიანს.

პროფეტული პოეზია გულისხმობს პირადი სრულქმნის დავიწყებასა და პირად მსხვერპლშეწირვას. მისი შემოქმედების გზა - გმირული გზაა, მაგრამ განსხვავებული თვითსრულქმნისა და გადარჩენისაგან. მისი ხელოვნების დანიშნულება სამეუფეო სამყაროსთვის, ამქვეყნად სამეუფეო საქმეებისთვის არსებობს.

მაგრამ როგორია პროფეტული ხელოვნების მნიშვნელობა ეთიკაში? ზვიად გამსახურდიას აზრით, უპირველეს ყოვლისა, ეთიკამ უნდა დააყენოს საკითხი ნებისმიერი (ნებელობითი) შემოქმედების დანიშნულების შესახებ, მიუხედავად იმისა, აშემოქმედებას კავშირი აქვს თუ არა ზნეობრივ ცხოვრებასთან. ზვიად გამსახურდიას პროფეტული სულისკვეთება ზნეობრივი აქტის შემოქმედებით მნიშვნელობასაც ეხება. კანონისა და ნორმის ეთიკისთვის ჯერ კიდევ უცხოა შემოქმედებითი აქტის ზნეობრიობა და ამიტომ გარდაუვალია გადასვლა შემოქმედებით, ადამიანის ჭეშმარიტი მოწოდებისა და დანიშნულების ეთიკაზე. ზვიად გამსახურდიასათვის შემოქმედებითობა ან პროფეტული შემოქმედებითი დამოკიდებულება საერთოდ ცხოვრებისადმი ადამიანის არა უფლება, არამედ მოვალეობაა.

თავი III- ანტიციპაციური ობერტონები ზვიად გამსახურდიას იგავებში

3.1. დროისა და სივრცის დისკურსი ზვიად გამსახურდიას იგავებში. სივრცე და დრო უძველესი დროიდან ყურადღების საგანი იყო. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა ტოპოსზე, ანუ მოქმედების ადგილის - მხატვრული სივრცის პროტოტიპზე. მხატვრული სივრცისა და დროის კონცეფცია ყველაზე სრულად განვითარდა მე-20 საუკუნეში. კონცეფცია, როგორც ლიტერატურის ფორმალური შინაარსის კატეგორია

პირველად გამოიყენა მ.მ. ბახტინმა, რომელმაც დეტალურად აღწერა ქრონოტოპის რამდენიმე ძირითადი ტიპი - ჟანრის სტრუქტურული კანონი, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი დრო-სივრცე დეფორმირდება მხატვრულად. ქრონოტოპი იგავში ჩვეულებრივია, რაც ძირითადად განპირობებულია მკითხველზე ორიენტაციით. დროისა და სივრცის ორგანიზება ვერ გამოიხატება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით, დრო და სივრცე შემოსაზღვრულია ლაკონიურობით. ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახება დროის ფილოსოფიური, თეოლოგიური ან მეცნიერული გაგება, დროისა და სივრცის ურთიერთმიმართების პრობლემა კი ისტორიული პირების ალეგორიული გამოხატვის მიზნით ოსტატურად აქვს გამოყენებული იგავებში „თერსიტეს გაცოცხლება.“ რეტროსპექტულად არის დანახული დრო დროის მანქანის გამოგონებით. წვდომა ახლანდელიდან წარსულს ეხება. ხდება დროის სიღრმიდან გმირების გაცოცხლება. სქემა აწმყოდან წარსულისაკენ, წარსულიდან მომავლის მიმართულებით სვლაა. თერსიტეს ექსტაზი სივრცულ ხასიათს იძენს.

ამ თავში განვიხილავთ დროსთან მიმართებით ნეტარი ავგუსტინეს, პოლ ვალერის, მიხაილ ბახტინის, ბლეზ პასკალის მოსაზრებებს. ზვიად გამსახურდიას იგავში სიტყვა „დროის“ მნიშვნელობა, როგორც ჩანს, აღემატება ყოფით ენაში მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობების ჯამს - დრო, თერსიტეს წარმოდგენით, არსებობს მხოლოდ ჩანაწერის სახით. ესაა უსაზმნო ზღაპარი, უთავბოლო თხრობა. მისი ნაწილები ურთიერთშესაბამისი არაა. მარცვლები მწყობრად არაა შეკავშირებული სიტყვებსა და წინადადებებში. ირონია და დრო შეიძლება წარმოვიდგინოთ ალეგორიის (თერსიტეს - აბსოლუტური უარყოფითი გმირის) მეშვეობით, ზუსტად ისევე, როგორც ნული მათემატიკაში წარმოდგენილია ერთის წყალობით – ესე იგი, იმის მეშვეობით, რომ ნულს გავიაზრებთ როგორც ერთ რაღაცას, მაგალითად – ცარიელ სიმრავლეს.

დროითი წარმოდგენა, ფურცელზე სიტყვათა სივრცული, თანმიმდევრული განლაგების მეშვეობით, ნარატივებში ხშირად სიმბოლიზებულია ფაქტობრივი

მოგზაურობებით. ამის მაგალითია თერსიტეს თავგადასავალი, რომელიც აყალიბებს „თერსიტეს“ ნარატიული სტრუქტურის ფორმებს. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში ის, რისი რეპრეზენტირებაც შეუძლებელია, მაგრამ, რისი ალეგორიული სიმბოლიზება იგულისხმება და სახელდება, არის დრო. ზვიად გამსახურდიას მიერ დროის ალეგორიული გამოხატვის უპირველესი საშუალებაა ადამიანის სხეულის მოძრაობა სივრცეში. გამსახურდიასთვის ადამიანის უბედურება ისაა, რომ ის შეზღუდულია დროით. მისი მსოფლხედვა შეიძლება შევადაროთ იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც ღია მანქანაში ზის და უკან იყურება. მის ირგვლივ განუწყვეტლივ ირხევა, თრთის უფორმო ლანდები, ჩრდილნათელი ზევით მიიკლაკნება და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ოდნავ იკვეთება პერსპექტივა, ყოველივე ეს იქცევა ხეებად, ადამიანებად და ავტომანქანებად. ეს სივრცული სახე შესანიშნავი სიმბოლოა დროისა, რომელიც დევს მოვლენასა და ამ მოვლენის გაცნობიერებას შორის. ის განსაზღვრავს ავტორის მიერ თავისი განწირულობის შეგრძნებას. თერსიტე მოგზაურობს მეტაფორულად ან, ყოველ შემთხვევაში, ტროპოლოგიურად, რადგან ეს მოგზაურობა იმდენადვე მეტონიმურია, რამდენადაც მეტაფორული – მაგრამ თვითონ არ იცვლება.

ზვიად გამსახურდიას მიხედვით, ადამიანს არ შეუძლია გაღწევა დროითი რიგიდან მარადისობაში. ის აღწევს, ან სურს, შეაღწიოს დროში. დროში შესაღწევად საჭიროა თავი დავიხსნათ ყალბი დროისგან, რომელშიც მოვლენები ერთმანეთს წრფივად მიჰყვება (გახრწნის გზით) ერთდროულობასა ან „ყოველთვისში“ და, მისი აზრით, დრო სწორედ ესაა. ბოლოს, ზვიად გამსახურდიასათვის დრო არაა არც ერთდროულობა (როგორც, მაგალითად, დიდ ამერიკელ მწერალ სტივენ კინგთანაა), და არც წარსულის, აწმყოსა და მომავლის კონტინუალური ურთიერთმიმართება. დრო არის ინტენსიური ხანმოკლე პაუზების (ისევე, როგორც უამრავი მცირე მოვლენის) მეშვეობით თანაზომიერად დანაწევრებული ნაკადი.

იგავში „კეთილგონიერი ექიმი“ ავტობიოგრაფიული მომენტია ასახული, რომელსაც „ქრისტესთვის კომპრომისი“ შეიძლება ეწოდოს. კეთილგონიერ ექიმში თვით ავტორი მოიაზრებს თავის თავს, ხოლო ფსიქიატრიაში საქართველოს ამოცნობაც შეიძლება. მან სხვა ასოციაციაც შეიძლება აღძრას, მაგრამ იგავის უპრეტენზიო ტონი და თავმდაბალი თხრობის მანერა თავითმართლების რეჟიმს გამორიცხავს. აქ საცნაური ხდება, რომ ზვიად გამსახურდიას „მონანიება“ საქართველოს (ფსიქიატრიის) თავისუფლების გადარჩენისათვის გადადგმული კომპრომისი იყო, რაც შემდეგ დადასტურდა კიდეც მოწამებრივი აღსასრულით.

იგავში „ფუტკარი და პეპელა“ ავტორს ტექსტის ფინალში აქვს გამოტანილი ცალკე. მორალი - შეზღუდულ რაციონალიზმს უჭირს ხელოვანის დანიშნულების გაგება.

ალეგორიის არსებობა ნიშანდობლივია, როგორც, ზოგადად, იგავარაკული ჟანრისთვის, ასევე, კონკრეტულად, ზვიად გამსახურდიას იგავებისთვისაც: მოვლენების ალეგორიული გამოხატულებები, გმირები, უმეტესწილად, არიან ცხოველები. კომედიური ტონის მისაცემად ხშირად შემოდის დიალოგი. იგავის ენა ძირითადად ნარატიულია, მაგრამ არის ნარევი ვარიანტები, სადაც ცალკერძ ცხოველია და ცალკერძ - ადამიანი, რომელთა შორის დიალოგი მიმდინარეობს თანასწორად („ღორი და მარგალიტი“).

დინამიკურია იგავში „თეთრი ყორანი“ მოთხრობილი ამბავი - ყორნის ტრანსფორმაციისა. იგავური ლაკონიურობის პრინციპით, რეალური დრო მინიმუმდეა დაყვანილი.

მწერალი ხშირად ქმნის ნაწარმოებებში დახურულ დროს, რომელსაც აქვს როგორც აბსოლუტური დასაწყისი, და, რაც მთავარია, აბსოლუტური დასასრული.

„გველის სიბერეში“ მთავარი განეიტრალებული ბოროტების არსის წაარმოჩენაა. ავტორი პროზაული ფორმით გადმოგვცემს ლექსად დაწერილ შეგონებას (ასეთი

სინთეზი სპარსულ არაკებს მოგვაგონებს, სადაც ბეითები, დუბეითები, რობაიები, ყითები და ნაზმები ორიგინალურად არის ჩასმული თხრობაში).

მწერალი იყენებს სივრცულ-დროებით კომპოზიციას, როგორც განსაკუთრებულ, შეგნებულ მხატვრულ სტრუქტურას. ერთგვარი თამაში იწყება დროითა და სივრცით. როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შევადაროთ სხვადასხვა დრო და სივრცე, გამოვავლინოთ როგორც ლოკალური და ამჟამინდელი დამახასიათებელი თვისებები, ასევე ყოფიერების ზოგადი, უნივერსალური კანონები, („ცრემლნარევი ღიმი“). იგავში გროტესკს ქმნის კონტრასტი აბსტრაქციას, ზოგადსა და კონკრეტულს შორის. ზემოთქმული დაკავშირებულია კიდევ ერთ ტენდენციასთან იგავებში - ინდივიდუალიზაციასთან. ხდება სივრცით-დროული ფორმების ინდივიდუალიზაცია, რაც ასოცირდება ინდივიდუალური სტილის განვითარებასთან და სამყაროსა და ადამიანის კონცეფციების მზარდ ორიგინალურობასთან.

აბსტრაქტული სივრცე და დრო გამოიყენება როგორც გლობალური განზოგადება, სიმბოლო, როგორც უნივერსალური თანაარსებობის ფორმა („შავარდენი და ყორანი“). იგავში „მიწის მოვალენი“ სასწაულებრივი დროული ინტენსივობა აისახება, მას აქაც აქვს თავისი გრადაცია. იგავებში ძალიან შეკავებულია დრო. ავტორს აწუხებს დროის ინტენსივობის დროებითი შემცირების რისკი, რაც აფერხებს მოქმედების კონცენტრაციას.

ეგოს აღქმის მოდულიცა და კითხვის სუბიექტური ტემპიც განსხვავდება („კაცი და მზე“). იგავებში ხდება სივრცითი და დროებითი ნიშნების შერწყმა შინაარსობრივ და კონკრეტულ მთლიანობაში. დროის ნიშნები ვლინდება სივრცეში.

იგავი არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ფილოსოფიური და საგანმანათლებლო კომპოზიციაცაა. მხატვრული სამყარო, ანუ ხელოვნების ნაწარმოების სამყარო, ყოველთვის პირობითია ამა თუ იმ ხარისხით: ეს არის რეალობის სურათი. ამდენად, დრო და სივრცე იგავებში ასევე პირობითია („ხელმოცარული მოგზაური“).

დროებითი დისკრეტულობა დინამიზაციის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში. სივრცის ფრაგმენტაცია ნაწილობრივ უკავშირდება მხატვრული დროის თვისებებს, მაგრამ ნაწილობრივ მას აქვს დამოუკიდებელი ხასიათი. ასე რომ, სივრცე - დროის კოორდინატების მყისიერი ცვლილება ზედმეტს ხდის შუალედური სივრცის აღწერას („სიხარბის მსხვერპლი“). იგავებში დრო მოკლებულია ციკლურობას, რომელიც შემოიღებს დროულ წესრიგს და ადამიანური განზომილებიდან დროს დააკავშირებს ბუნებრივი და ადამიანური ცხოვრების განმეორებით მომენტებთან. ეს არ ეხება დროის ისტორიული ლოკალიზაციის საკითხს. ზვიად გამსახურდიას იგავებში ქვეყნები, ქალაქები, შენობები, ხელოვნების ნიმუშები, ისტორიული დროის ყველა ნიშნით, ეპოქის ყოველგვარი კვალის გარეშეა. გამსახურდიას იგავთმეტყველებაში ყოველგვარი მოქმედება, ყველა მოვლენა და თავგადასავალი, არ გულისხმობს არც ისტორიულ, არც ყოველდღიურ, არც ბიოგრაფიულ, არც ელემენტარულ ბიოლოგიურ-ასაკობრივ თანმიმდევრობებს. ის ამ თანმიმდევრობებს მიღმა და თანდაყოლილი კანონებისა და ადამიანური საზომების მიღმაა.

დროისა და სივრცის კონვენციების ბუნება დიდწილად დამოკიდებულია იგავთმეტყევლების თავისებურებაზე. ტრადიციულობა მაქსიმუმამდეა დაყვანილი შემოქმედებაში. სივრცის სურათი შეიძლება აქ საერთოდ არ არსებობდეს, ამიტომაც მასში ჭარბადაა მოცემული გრამატიკული აწმყო - თერსიტეს ცხოვრება მარტივი აწმყოთი გადმოიცემა როგორც განახლებამდე, ისე გაცოცხლების შემდეგაც.

იგავური დროის კონკრეტული ფორმები ყველაზე ხშირად მოქმედების შეკავშირებაა არა ისტორიული, არამედ უბრალო ქმედებებისა („სახე და ნიღაბი“). სივრცე მაქსიმალურად ივსება გარკვეული საგნებით, პერსონაჟებით. ამავდროულად, ის შეიცავს მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია მოქმედი პირების შინაგანი სამყაროს გამოსახვისთვის („მელას დისერტაცია“).

დროის დინამიკა უკიდურესად პირობითია და მისი ფუნქციაა სტაბილური ცხოვრების წესის რეპროდუცირება („ღამის მგოსანი“). სივრცე, ისევე როგორც დრო, შეიძლება გადაადგილდეს ავტორის ნებით. მხატვრული სივრცე იქმნება გამოსახულების პერსპექტივის გამოყენებით („მფრინავი და პოეტი“).

ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ახალი მხატვრული რეალობის ყველა პირობითობის მიუხედავად, მხატვრული სამყაროს საფუძველი, ისევე როგორც რეალური სამყაროსი, არის მისი ალუზიები, რომლებიც დროის ღერძზეა განთავსებული და მთელი სეგმენტებიც კი, რომლებიც აღნიშნავს თხრობის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

ქართულ კულტურაში ნაკლებად იგრძნობა დროით-სივრცული ყოფიერების კრიზისულობა, რადგან ქართული კულტურა ყოველთვის იყო გამორჩეულად სულიერ-გონითი.

3.2. დიქოტომია კეთილი/ბოროტი პროფეტულ იგავთმეტყველებაში. სხვადასხვა რელიგიური კონფესია კეთილისა და ბოროტების დიქოტომიას დაპირისპირებულ დუალიზმად მიიჩნევს, რომელშიც ბოროტებას ეცლება თავისი ძალა და გავლენა. ლინგვისტურად მსოფლიო ენებში ყველგან დასტურდება სიკეთისა და ბოროტების გამომხატველი ლექსიკა.

სიკეთისა და ბოროტების დიქოტომია დიდი ხანია გახდა უნივერსალური ადამიანური კულტურის ერთგვარი მემკვიდრე. იგი ფართოდ აისახება ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში. ფსიქიკისა და მისი გარეგნული გამოვლინების დონეზე სიკეთე და ბოროტება არის დამოკიდებულების, მოტივების, მიზნების, ღირებულებითი ორიენტაციების, იდეებისა და ინდივიდუალური ცნობიერების კატეგორიული სტრუქტურების ორგანული ელემენტები.

სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება მკაფიოდაა ნაჩვენები იგავში „მორიელი და ფუტკარი.“ იგავის მორალით, ბოროტების გასაკეთებლად ქმედება სულაც არ არის საჭირო, მაგრამ სიკეთეს ფუტკარივით მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება. სიკეთე ქმედითი და აქტიურია, ბოროტება - უმოქმედო და პასიური.

სიკეთე და ბოროტება შეფასებითი კატეგორიების დიქოტომიაა. საზოგადოებაში გავრცელებული იდეოლოგია თუ მორალური დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების მიმართ დიდ გავლენას ახდენს სუბიექტებზე.

სიკეთე და ბოროტება არა სტრუქტურული კომპონენტებია, არამედ - პიროვნების ფუნქციური მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება სხვა ადამიანზე გათვლილ კონკრეტულ ურთიერთობებსა და ქმედებებში. ამიტომ მორიელისა და ფუტკრის შხამებს თანდაყოლილობასთან ერთად შეძენილის ფუნქციაც ემატება, როდესაც ადამიანური თვისებები მიეწერება.

იგავში „თოფი და დურბინდი“ უსულო თოფისა და დურბინდის დიალოგი განპირობებულია და უკავშირდება ორ საწყისს - ბოროტსა და კეთილს. ორივე აგრესიისა და სიკვდილის წყაროდ შეიძლება იქცეს, მაგრამ აქ კეთილისა და ბოროტის დიქოტომია მკვეთრად არაა გამიჯნული. საკითხი ასე დაისმის - რომელია უფრო უარესი ორი უარყოფითიდან? ერთი ეთიკური სუბიექტი სხვა სუბიექტთან მიმართებითაა წარმოდგენილი, ანუ სიკეთე და ბოროტება ვლინდება მხოლოდ ერთი „ადამიანის“ მეორისადმი დამოკიდებულებით,

იგავში „ადამიანი და სარკე“ იხსნება ერთგვარი წინააღმდეგობა: მოვალეობა ზნეობის წინაშე და პირადი პასუხისმგებლობა მოვალეობას შორის, მორალური ნორმების უნივერსალურობასა და არსებულ სიტუაციას შორის. სარკე ვერ გრძნობს პირად მოვალეობასა თუ პასუხისმგებლობას ადამიანის, მისივე შემქმნელის მიმართ.

მორალური განსჯისა და დამოკიდებულების მიხედვით ჩნდება ადამიანის პასუხისმგებლობის პრობლემა, პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც გაკეთდა. ის

ფარდობითია იმ თვალსაზრისით, ითვალისწინებს თითოეული სიტუაციის თავისებურებებს, არ გააჩნია სტანდარტის მკაცრი ჩარჩო, მაგრამ აბსოლუტურია თავისი არსით - შეგნებული აქვს ცხოვრებისადმი მორალური ზოგადი მიდგომა.

იგავში „მფრინავი თევზი და თოლია“ ურთიერთყვედრება და პრეტენზიები (და ორივე შემთხვევაში სამართლიანი) ჩნდება სწორედ მერყევი თვითორგანიზების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო, სადაც პიროვნული თვითორგანიზება ძალზე დაბალია, ან, სულაც, არ არსებობს. ეს კი მიზეზი ხდება სრული სახეცვლილებისა, სრული ტრანსფორმაციისა, სახის მთლიანად დაკარგვისა.

მნიშვნელოვანია პიროვნების ამბივალენტურობის საკითხი იგავში „თვალხილული და ბრმადშობილი.“ ბრმადშობილის მორალური პრინციპი, მორალური თვითშეგნება ჩამოყალიბებულია გამოცდილების შედეგად. ეს გამოცდილება გამორიცხავს სინათლეს და მის წყაროს - მზეს. ის აგდებულადაც კი მოიხსენიებს მანათობელს, ხოლო სიბნელე მიაჩნია დანახვის ერთადერთ ობიექტად.

იგავში „ფარშავანგი და გველი“ დუალიზმი არის ნებისმიერი ფენომენის, მისი პოლარული მახასიათებლებისადმი დიალექტიკური მიდგომის იდეა, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ის, რაც ერთი პოლუსიდან მეორეზეა კონცენტრირებული. აქ თითოეული ნაწილი, როგორც ფარშავანგი, ასევე გველი, აბალანსებს ერთიმეორეს. დისბალანსი, სავარაუდოდ, მაშინ ხდება, როდესაც საპირისპირო მახასიათებლის ჩარჩოში მოქცეული პატარა ნაწილაკები იწყებენ ზრდას ან შემცირებას.

იგავის „ხე და ნაცარი“ მორალით, კაციც ხესავით უნდა დაიწვას და დანაცრდეს, რათა სხვას არგოს. ეს კი ჩვეულებრივ გმირობასთან არის დაკავშირებული. გმირი აბსოლუტური სიკეთის იდეას მიესწრაფვის და უპირისპირდება ყველაფერს, რაც იდეალს ვერ უახლოვდება.

„უნდობლობის მსხვერპლის“ პერსონაჟის მორალური კრედოს გასაგებად, მიზანშეწონილია გვესმოდეს ადამიანის ფსიქოლოგია, რომლის ქცევა ემყარება რწმენას, რის გარეშეც ადამიანი ხდება უმწეო, სტერილური და შიშით აღსავსე.

ჭეშმარიტი რწმენა არის რწმენა ადამიანის, იდეის ან სიმბოლოსი, რომელიც არ გამომდინარეობს საკუთარი გამოცდილებიდან, მაგრამ ემყარება ემოციურ მორჩილებას ირაციონალური ავტორიტეტისადმი.

საგულისხმოა იგავი „მწყემსი და მგლები.“ ერთი შეხედვით, მწყემსი არის ჰუმანისტი, რომელიც ხელმძღვანელობს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შინაგანი ხმით, გარე სანქციებისა და ყოველგვარი ჯილდოებისგან დამოუკიდებლად. გართული თავისი ჰუმანისტური იდეებით, ის ვერ ამჩნევს (და ესეც ერთი შეხედვით) ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს, რომლებიც დღენიადაგ ხვეწენ თავიანთ გარეგნობას და უახლოვდებიან ცხვრების მანერებს, რათა კიდევ უფრო დამაჯერებლები იყვნენ. ამ თვალთმაქცებს ერთი მიზანი ამოძრავებთ - დაღუპონ ფარა, მათ ხარჯზე იარსებონ. მწყემსის მორალური პრინციპია, თანხმობით იცხოვროს სოციალურ გარემოსთან, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. ის კონფორმისტია, ავტორიტარული ტიპის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია: ლიდერის ფუნქციების მკაცრი ცენტრალიზაცია, ყველაფერი მის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს ნაბიჯის გადასადგმელად.

იგავ-არაკში „თევზები და გველთევზა“ თევზის სხეულს ამოფარებული გველთევზა ჭკვიანურად ცდილობს შხამის დაფარვას. გველთევზასეული თავისუფლება წარმოქმნის ბოროტებას, ისევე როგორც სიკეთეს. ამიტომ ბოროტება არ უარყოფს აზრის არსებობას, არამედ ამტკიცებს კიდეც მას. თავისუფლება შექმნილი არაა, იმიტომ რომ ის ბუნება არ არის, თავისუფლება წინ უსწრებს სამყაროს, ის ფესვგადგმულია საწყის არაფერში - გველთევზამდე და თევზებამდე. ღმერთი ყოვლისშემძლეა ყოფიერებაზე, მაგრამ არა არაფერზე, არა თავისუფლებაზე. ამიტომაც არსებობს ბოროტება, თუნდაც „ფარფლ-ქერეჭის“ ქვეშ.

იგავში „არწივი და ბაყაყები“ ხაზგასმულია, რომ საღვთო მოწოდება უპირველეს მიმართულია უმაღლესი სულისკენ, მისი თავისუფლებისაკენ, და იქიდანვე გვეძლევა პირველსაწყისის პასუხიც. ზვიად გამსახურდიას იგავთა მორალით, ეშმაკი არ არის თავისთავადი წყარო ბოროტი ყოფიერებისა, ის მხოლოდ სულის მწვერვალზე ირაციონალური თავისუფლების აღმოჩენაა.

არაკში „ბრმების ქვეყანა“ ბოროტების საიდუმლოს გაგება თავისუფლების საიდუმლოს გაგების გზით ზეგონებრივ გაგებადაა აღქმული და თავად გონებისთვის ანტინომიას წარმოადგენს. ბოროტების წყარო არც ღმერთშია და არც დადებით ყოფიერებაში, რომელიც ღმერთის გვერდითაა, არამედ უფსკრულში, ირაციონალურ თავისუფლებაში, წმინდა შესაძლებლობაში, პოტენციურად, რომელიც ჩადებულია შავბნელ უფსკრულში, წინ უძღვის ყოფიერების ყოველგვარ დადებით განმარტებას, ყველანაირ ყოფიერებაზე უფრო ღრმაა.

ზვიად გამსახურდიასთან ბოროტება არის ყოფიერების საღვთო იერარქიის დარღვევა, რომელიც მოდის არყოფნიდან, იერარქიული ცენტრის გადახრა, დაცემა უმაღლესისა და ბოლოს აღზევება, პირველწყაროდან და ყოფიერების ცენტრიდან დაშორება, რომლიდანაც ყველგან ნაწილდება მისი ადგილი სამყაროში.

მისტიკურ-წინასწარმეტყველური იგავის „სასწორთვალა და უწონადი ხმის ჭაბუკი“ მორალით, ბოროტება ვერასდროს იქნება აღსრულებული. მას არ შეუძლია სიცოცხლის მეუფების დამკვიდრება, რადგან წყვეტს ურთიერთობას სიცოცხლის წყაროსთან.

ზვიად გამსახურდიასთან ქრისტიანული ცნობიერებისათვის ტანჯვა თავისთავად არ არის აუცილებელი ბოროტება, არის საღვთო ტანჯვაც, თავად ღმერთში ტანჯვაც, ღვთის ძისაში. ყველა შექმნილი ელოდება გათავისუფლებას. ეს ფაქტი დევს ქრისტიანობის საფუძველში. ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავად უწყის, რომ ქრისტიანობა უმაღლეს შეფასებას აძლევს ადამიანის სულის თავისუფლებას და მის გარეშე საღვთო მეუფების განხორციელებას არ თვლის შესაძლებლად.

ქრისტიანობაში გამოსყიდვა სიყვარულის საქმეა და არა სასამართლოს სამართლიანობა, საღვთო უსასრულო სიყვარულის მსხვერპლი და არა შენდობა და გადახდა. თავისთავთან შერიგებით ადამიანის სულიერი ბუნება ითხოვს არა ცოდვის პატიებას, არამედ ცოდვის რეალურ გადალახვას და მოსპობას.

ამგვარად, ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი მრავალფეროვანი რაკურსით წარმოაჩენს ზვიად გამსახურდიას მიერ პროფეტულ-ენიგმატურ თემაზე შექმნილ მასალას. ვეცადეთ, საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე ზვიად გამსახურდიას იგავებისა და ლექსების რეფლექსიისას კვლევის ჩვენებური რაკურსი წარმოგვეჩინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ., ქართველი მწერლები ეპოქათა ჭრილში, თბ., 2020;
2. აბულჰასან ალი ნავდი, მუჰამედი, უკანასკნელი წინასწარმეტყველი, 1993;
3. არისტოტელე, „პოეტიკა," მთარგმნელი სერგი დანელია, 2019;
4. არქანია გ., „არქიპელაგ გულაგის" გავრცელება - ერთი ეპიზოდი ზვიად გამსახურდიას დისიდენტური მოღვაწეობიდან, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, არტანუჯი, 2020; ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963;
5. ბალკისი მურატ, ურუ ერდინჩ, „გადადება და რაციონალურ/ირაციონალური რწმენა: მოდერნიზებული მედიაციის მოდელი," 2019;
6. ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, გიორგი ლეონიძის კომენტარებით, თბილისი, „საბჭოთა მწერალი", 1954;
7. ბაქრაძე აკ. , „ხოგაის მინდია" და „ტაბუ", თხზულებანი (ტ. II), „ნეკერი", „ლომისი", თბილისი, 2004;
8. ბახტინ მ., ლიტერატურა და ესთეტიკა, 1975;
9. ბენაშვილი დ., , კონსტანტინე გამსახურდია, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1962;
10. ბლუაშვილი უ. ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ. თბ., 2012 ;
11. ბოგვერაძე მარიამ, 1937 წლის 30 ივლისი, https://netgazeti.ge/news/384125/.
12. ბრეგაძე ლევან, "პოსტსაბჭოთა კულტურის სივრცე და ლიტერატურული პროცესი", ალმანახი "კრიტიკა" #1, 2005
13. გაზ. ნიკოლაძის გზით", 2009;
14. გამსახურდია ზ., კოსმიური წირვა, ქუთაისი, 2014;
15. გამსახურდია ზვიად, იგავები და ზღაპრები, თბილისი, 1987;

16. გამსახურდია კ., „როცა ბავშვობა მთავრდება,“ ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, 2018;
17. გამსახურდია ზ. მთვარის ნიშნობა. თბ. „მერანი“ 1989;
18. გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისია. თბ. „განათლება“, 1990;
19. გამსახურდია ზ. ავტობიოგრაფია http://bpg.sytes.net/Simartle
20. გამსახურდია ზ. წერილები, ესეები. თბ. „ხელოვნება“ 1991;
21. ამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თ., 1991;
22. გამსახურდია ზ., დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ., 1995;
23. გამსახურდია კ., „რა ვქნისა ციხე ავაგე,“ თბ. „ინტელექტი,“ 2015;
24. გამსახურდია კ., წინასიტყვაობა წიგნისა: გამსახურდია ზვიად, „კოსმიური წირვა“ 2014;
25. გამსახურდია კ., თხზ. 20 ტომად, ტ.მე-2, თბ., 1992
26. გელიტაშვილი თ., აკაკი ბაქრაძე - ქართული ლიტერატურის მკვლევარი (დისერტაცია), თბ., 2014;
27. გლეისერი ნატაშა და პინელი სარა, დიდაქტიკური ლიტერატურა ინგლისში, 2003;
28. გუგუშვილი პ., კონსტანტინე გამსახურდია, მნათობი, 1976;
29. გურული ზ., ვინ იცის, ჰერბერტ უელსის კიდევ რომელი წინასწარმეტყველება ახდება, https://kvirispalitra.ge/article/22971-vin-icis-herbert-uelsis-kidev-romeli-tsinastsarmetyveleba-akhdeba/.
30. დე მანი პ., „პასკალისეული დარწმუნების თეორია,“ 1981;
31. ეკოლანი ა. და ჯორდანო დ. - „პოეტური ენის საღი მიღმა,“ 2016;
32. ვალერი პ., პოეზია და აბსტრაქტული აზრი,“ ზაჰაროვის ლექცია 1939 წელს, ოქსფორდი, 1939;
33. ზვიად გამსახურდია - 70, კვალი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, თბ., 2013
34. ზიმბარდო ფილიპ, რა აყალიბებს გმირს?, თბ., 2011;

35. იუნგი კ. გ. , ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები,სიზმრები, თბ., 1995;
36. კეი მ., „ფილოსოფია, კეთილისა და ბოროტის მორალი,“ კემბრიჯი, 2009;
37. კეძიერსკა ბარბარა, ნეკ-გოზდეკი იოანა, „თანამედროვე დიდაქტიკა დღევანდელ განათლებაში,“ 2015;
38. კვესელავა ი. საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები - ზვიად გამსახურდია - დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე; თბ, 2007;
39. კოპსტეინ ჯეფრი, რიჩბახი მარკ, ჰანსონ სტივენ, შედარებითი პოლიტიკა, ინტერესები, იდენტობები და ინსტიტუციები გლობალურ-ცვალებად წესრიგში, კემბრიჯის უნივერსიტეტი, 2014;
40. კოსტავა მ.,ლექსები, თბ., 1990;
41. ლოუბელი ა., „ბაყაყები და გომბეშო,“ 1970;
42. ლოუბელი არნოლდ, „ბაყაყები და გომბეშო,“ 1970;
43. მაკენზი ჯ. ს, „კეთილისა და ბოროტის არსი,“ საერთაშორისო ჟურნალი, 1911;
44. მაკმაჰანი, ჯ, „მოდალური პერსონალიზმის შესახებ,“ გამოყენებითი ფილოსოფიის ჟურნალი, 2016;
45. მაღლაფერიძე ციცინო, ძმას ქრისტესმიერს, ჟურნალი „რიწა,“ თბ., 2020,#1
46. მეიბერი კ., „ნარატივის პროლემები ტონი მორისონის ჯაზში,“ ნიუ-იორკი, 1997;
47. მესხი გ.,, მთარგმნელის წინასიტყვაობა, წიგნიდან: „ფრიდრიხ ნიცშე, ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“, თბ., 2016;
48. მილორავა ი., ზვიად გამსახურდიას იგავების პროფეტულობა, ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება,ლიტერატურა (კონფერენციის მაალები), თბ., 2020 ;
49. ნეტარი ავგუსტინე — აღსარებანი, წიგნი მეცხრე 2013;
50. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995;

51. ნიკოლეიშვილი ა., აფხაზი მწერლები და საქართველო, http://dl.sangu.edu.ge/pdf/qapvols/qap_v1_12.pdf;
52. ნიცშე ფ., „მორალის გენიალოგიის შესახებ," კემბრიჯი, 1994, 2007;
53. ნოვოდვორსკაია ა. , https://www.youtube.com/watch?v=2VYpl7xAqaA
54. პასკალი ბლეზ, „აზრები," 1981;
55. პასკალი ბლეზ, „ფიქრები ზოგადი გეომეტრიის შესახებ", Blaise Pascal."De l'Esprit geometrique [on the geometrical spirit]., 124.
56. ჟენგი ლ. დანიელ, „მორალის არსი: ტელეოლოგიურ-ფორმალისტური კონცეფცია, მორალური პროგრესი," 2015;
57. ჟღენტი ბ., ,კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, 1967;
58. როგავა თ., - ზვიად გამსახურდიას ზღაპრის გმირთა მითოლოგემა, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2019 წ, 5 აპრილი.
59. სიგლერ ამანდა, „ფოლკლორული ხიდების გადაკვეთა," 2008;
60. სლატერი ქევინ, „უცვლელი მემკვიდრეობა," ბატონი ჯერალდ უორდი, წმინდა ვინსენტ დე პოლის საზოგადოება, 2004;
61. სორდია ლ., ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თ., 2011;
62. სორდია ლ., მერაბ კოსტავას პოეზია, თბ., 2917;
63. სტეიბელფორდი ბრაიან, „ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურა ა-დან ზ-მდე," 2005;
64. სქეიზი ვენდი, „მეგუთნე პირსი და ახალი ანტიკლერიკალიზმი," კემბრიჯი, 1989;
65. ტერბერი ჯეიმს, „ზღაპარი ბავშვებისა და უფროსებისათვის," 1971;
66. ტორტორიელო გრიგოლ, „სიკეთისა და ბოროტების დიქოტომიის მოშლა," 2019;

67. ტურავა მ., „სიცოცხლე შვენობს შენითა“ (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში), თბ., 2014;
68. ტურავა მ., გარღვეული ლაბირინთი (ლიტერატურული წერილები, ესეები, პორტეტები), თბილისი, 2014;
69. უილიამსი, ბ., „ადამიანური ცრურწმენები,“ ფილოსოფია როგორც ჰუმანისტური დისციპლინა, პრინსტონის უნივერსიტეტი, 2006;
70. უსპენსკი ე, „მამხილებელი თეოლოგია,“ 1895;
71. ფრისტი კრის, „შინაგანი დიალოგის გამოყენება მრავალმხრივი ეფექტის მისაღწევად,“ 2016;
72. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბილისი, 2019;
73. ქართული ხალხური პოეზია, თბილისი, 1974;
74. ყალიჩავა თამარ, ზვიად გამსახურდიას იგავები, „ათინათი“, 2011 #1;
75. შენგელია ქ., მამა ხარ ყოველთა ძეთათვის მზრუნველი (ზ.გამსახურდიას პოეზიის მიხედვით), ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები VIII 2019;
76. შვარცი შალომ, „ღირებულებათა ორიენტაციები: გაზომვა, წინაპირობები და შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში,“ 2007;
77. ჩედვიკ ჰ., „წმინდა ავგუსტინე, აღსარებანი,“ ოქსფორდის უნივერსიტეტი, 1992;
78. ჩხეიძე რ., „თუ საწუთრომან დამამხოს“ (ზ. გამსახურდიას ბედისწერა), 1998;
79. ჩხეიძე რ., „მზის ამოსვლის წინ“, თბ., 1997;
80. ჩხეიძე რ.,ეკლის გვირგვინი,თბ., 2015;
81. წმინდა ალდჰემი, „გამოცანები,“ 2015;
82. ჭავჭავაძე ი., „ოთარაანთ ქვრივი,“ ქართველი მწერლები სკოლაში, II ნაწილი, 2007;
83. ჭავჭავაძე ი., „პოეტი,“ ქართველი მწერლები სკოლაში, I ნაწილი, თბილისი, 2007;

84. ჯანჯღავა თ., ანდღულაძე ლ., ზვიადის ერთი უცნაური ზღაპრის საიდუმლო, თბ., 1995;
85. ჯოხაძე მ.,, მერაბ კოსტავას საგალობლები, „ჩვენი მწერლობა“,თბ., 1987, 29 ნოემბერი,#24;
86. ჰაიდეგერი მარტინ, „ყოფიერება და დრო,“ 2006;
87. ჰაიდეგერი მარტინ, ყოფიერება და დრო, 2006;
88. Архипов Юрий, Франц Кафка и его творчество, из книги „Франц Кафка. Собрание сочинении“, том первый, М. 2009;
89. Имби Паю, Отвергнутые воспоминания, *history.wikireading.ru/12582.*
90. Ломброзо Ч., Гениальность и помешательство, М, 2019;
91. Лосев А., Философия, Мифология, Культура, М., 1991, 247-274;
92. Предсказания Марка Твэна, http://mark-twain.ru/o-nem/predskazaniya-marka-tvena.
93. Синицын Е., Синицына О., Тайна творчества гениев (фрагменты из книги), Писатели-пророрки, http://www.s-genius.ru/vse_knigi/pisateli_proroki.htm.
94. Словарь Античности, М., 1989 (თარგმანი გერმანულიდან);